# ცისკარი

3



მარტი. 1963



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინარა ნოდია

ჟურნალის ამ ნომერში მკითხვე-
ლებს ვთავაზობთ ახალგაზრდ
მხატვარი ქალის დინარა ნოდიას
სურათების რეპროდუქციებს.
დინარა ნოდიას სურათები გამო-
ფენილი იყო მოსკოვში, კიევში,
პარიზში, ნიუ-იორკში, ბრიუსელ-
ში, სან-პაულოში, რიო დე ჟანეი-

(დასასრული გარეკანის მე-3 გვ.)

**გარეკანის პირველ გვერდზე —**
ბაკურიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც.კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

3

მარტი

1963

გამომცემლობა «საბჭოთა მწერალი»

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


ნ. ს. ხრუშჩოვი
მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა 3

როინ მეტრეველი
ახალგაზრდობის შემოქმედება მაღალ იდეალებს უნდა ემსახურებოდეს 38

მუხრან მაჭავარიანი
ნათელი გზით 45

შოთა ნიშნიანიძე
ლექსები 48

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე. რომანი. გაგრძელება 53

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები. გაგრძელება 69

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ნოდარ ჩხეიძე
„ახალგაზრდობა" 87

ფილიპე ბერიძე
მთარგმნელის ოსტატობა 100

პროკოფი რატიანი
ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა 101

ვალერიან მექვაბიშვილი
საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის ისტორიიდან 124

## მეცნიერება და ტექნიკა

იაროსლავ პუტიკი
ხინდისი. გაგრძელება. თარგმნა ე. ბუაჩიძემ 131

## სატირა და იუმორი

არლი თაყაიშვილი
უცნობი მისამართები. იუმორისტული მოთხრობა 143

## სპორტი

ჩვენი ინტერვიუ 156



რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ./მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, ხერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.


ჟურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ

# მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა

### ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

### პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1963 წლის 8 მარტს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მეორედ ვხვდებით ერთმანეთს. და თუ გავითვალისწინებთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ საუბარს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებთან, რომელიც იდეოლოგიურმა კომისიამ მოაწყო, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უკვე მესამე იქნება.

მასალები ამ შეხვედრების შესახებ გამოქვეყნდა პრესაში და დიდი ინტერესი გამოიწვია. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას ხელოვნების საკითხებში მხურვალედ დაუჭირეს მხარი შემოქმედებითმა მუშაკებმა, პარტიამ და ხალხმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა.

თავის სიტყვაში ამხ. ილიჩოვმა უკვე ილაპარაკა იმაზე, თუ რა ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საზოგადოებრიობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამოსვლამ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მან სამართლიანად აღნიშნა, თუ როგორ გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში შემოქმედებითი მუშაკების აქტივობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებულ არაჯანსაღ ტენდენციათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინტერესო მოსაზრებანი და მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი გამოთქვა ამ თათბირზე გამოსულმა ბევრმა ამხანაგმა. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ საკითხებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კულტურის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის იმ მიმართულებით, რომელიც განსაზღვრულია კომუნისტური პარტიის პროგრამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნიზმის მშენებლობა და მხატვრული შემოქმედების ამოცანები

მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების, კინოსა და თეატრის მუშაკების — მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობა მუდამ პარტიისა და ხალხის თვალთახედვის არეშია. და ეს სავსებით გასაგებია. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა იწინასწარმეტყველა, საერთო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილი გახდა.

საბჭოთა ხალხი თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს. კომუნიზმის მშენებლობაში ჩვენი მთავარი მიზანია, მე ხაზს ვუსვამ ამას, — შევქმნათ ყველა პირობა შრომის ადამიანთა უკეთესი ცხოვრებისათვის. კომუნისტური საზოგადოება კი სწორედ შრომის ადამიანთა საზოგადოება იქნება.

ადამიანისათვის ორგანულად დამახასიათებელია შრომის მოთხოვნილება, და მხოლოდ კაპიტალიზმი, რომელმაც არაადამიანური პირობები შეუქმნა შრომის ადამიანებს, ამახინჯებს მათ, გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს ბევრი ადამიანის დამოკიდებულებაზე შრომისადმი. ისინი, ვინც ვერ ურიგდება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, შრომითი საქმიანობის პროცესში ავითარებენ თავიანთ კლასობრივ თვითშეგნებას და მშრომელთა ინტერესებისათვის, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები ხდებიან. სხვები, რომლებიც მხოლოდ პირადი, მესაკუთრული ინტერესებით ხელმძღვანელობენ, პასიური არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ მონაწილეობენ კლასობრივ ბრძოლებში ბურჟუაზიის დამხობისა და ახალი საზოგადოების აშენებისათვის. ზოგი სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს. ესენი ექსპლოატატორები, მშრომელთა მჩაგვრელები არიან.

კომუნიზმი მილიონების შრომით და მხოლოდ შრომით შენდება. აი ამიტომ პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ კომუნიზმის მშენებლობაში ერთიან შრომით მონოლითურ კოლექტივად აქტიურად მონაწილეობდეს მთელი საბჭოთა ხალხი — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწეები.

ახლა ყველა ხედავს, რომ პარტიის ღონისძიებანი შესანიშნავ შედეგებს იძლევა, ჩვენმა ხალხმა მიაღწია დიდ წარმატებებს კომუნიზმის გზაზე. მაგრამ ჩვენ თვალს ვერ ავარიდებთ იმ სიძნელეებს, რომლებიც უნდა დავძლიოთ ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ასეთ სიძნელეებს მიეკუთვნება წარსულის გადმონაშთები საზოგადოების ყველა ფენის ადამიანთა გარკვეული ნაწილის შეგნებაში. ეს გადმონაშთები უწინარეს ყოვლისა ვლინდება დაუდევარი დამოკიდებულებით შრომისადმი, საზოგადოებრივი ვალის, ხალხის წინაშე მოვალეობის შესრულებისადმი.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალებაც, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება. (ტაში).

ჩვენი შეხვედრები, რომლებიც ცხოვრების კარგ წესად გადაიქცა, არსებითად ლიტერატურისა და ხელოვნების ძალების, მათი შემოქმედებითი აქტივობისა და რევოლუციური მებრძოლურობის თავისებური დათვალიერებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება წარმატებით ვითარდება და ძირითადად კარგად ასრულებს თავის ამოცანებს.

მაგრამ მეტად საზიანო იქნება, რომ გავაზვიადოთ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი და არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებანი მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოსა და თეატრის მოღვაწეთა მუშაობაში. განსაკუთრებული ხასიათის რაიმე იდეურ-შემოქმედებითი მარცხი არ მომხდარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქმე ეხება არსებითს ნაკლოვანებებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში შეცდომებსაც, რომლებსაც ვერ შევურიგდებით.

ცხოვრებამ გვიჩვენა, ეს დადასტურდა ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლებშიც წარსული საუბრის დროს და დღეს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს სწორად როდი ესმის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ამოცანები, რომლებიც პარტიის პროგრამაშია ჩამოყალიბებული. მაშასადამე, საჭიროა ერთხელ კიდევ განვმარტოთ ჩვენი პარტიული თვალსაზრისი მხატვრული შემოქმედების ძირეულ საკითხებზე კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

რა მხატვრულ ნაწარმოებებს მოელის საბჭოთა ხალხი, რა ნაწარმოებებს აფასებს და მხარს უჭერს და რას უარყოფს?

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ და ხელოვნებამ მხატვრული შემოქმედების დიდ სიმაღლეებს მიაღწია, აქვს მდიდარი რევოლუციური ტრადიციები და სახელგანთქმულია მსოფლიოში. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილია შესანიშნავი ნაწარმოებები, დიდი სულიერი ფასეულობანი, რომლებითაც სამართლიანად ამაყობენ ჩვენი ქვეყნის ხალხები.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედება მათი დიდი დამსახურებაა ხალხის წინაშე, სამშობლოსადმი ხელოვნის სამსახურის შთამაგონებელი მაგალითია.

რამ შეიძლება მიანიჭოს მეტი კმაყოფილება ხელოვანს, თუ არა იმის შეგნებამ, რომ მისი ტალანტი მთლიანად ეძღვნება ხალხის ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის, რომ მისი ნაწარმოებები მიიღო ხალხმა და მაღალი შეფასება მისცა.

გაიხსენეთ, თუ თავის დროზე როგორ მიიღო ჩვენმა ხალხმა იარაღად დემიან ბედნის პოეზია. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით ძიდიოდნენ ბრძოლაში წითელგვარდიელებიც, წითელარმიელებიც, პარტიზანებიც. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, გასაგები იყო თვითეულისათვის, უწიგნური გლეხებისთვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ.

იმ დროს ყველაზე პოპულარულ სიმღერაში „როგორ მაცილებდა მშობელი დედა" აღბეჭდილია ხალხის ფიქრები. პოეტი რევოლუციისათვის მებრძოლთა საბრძოლო მწყობრში იყო და მთელი თავისი უდიდესი ნიჭი მოახმარა ექსპლოატატორთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს.

დემიან ბედნის ჰქონდა მშრომელი გლეხის სულში ჩაწვდომის გასაოცარი ნიჭი. მხატვრული ოსტატობის რა გაგებითა და ძალით დაგვანახვა მან გლეხის სულიერი ორჭოფობა. სამოქალაქო ომის პერიოდის ნაწარმოებებში პოეტმა დამაჯერებლად გვიჩვენა გლეხის ფსიქოლოგია მაშინ მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ერთი მხრივ, გლეხი მეტად კმაყოფილია, რომ ახალმა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მისცა მიწა, რომელზეც იგი ოცნებობდა და რომლისთვისაც წარმოებდა მაშინ შეიარაღებული ბრძოლა. მეორე მხრივ, ზოგიერთ გლეხს, რომლებმაც მიწა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, არ ესმოდა, რომ სახალხო ხელისუფლება, რევოლუციის მონაპოვარი იარაღით ხელში უნდა დაეცვა.

დემიან ბედნის ნაწარმოებთა უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ის არის, რომ პოეტი რევოლუციური პოზიციებიდან გულისწყრომით გმობს გლეხის მერყეობას და ამასთანავე განუმარტავს მას, რომ ეს მერყეობა დამღუპველია თვით გლეხობის ინტერესებისათვის. პოეტი ეხმარება გლეხს შეიგნოს, რომ მისი ინტერესებისათვის საჭიროა განუყოფელი კავშირი ჰქონდეს მუშათა კლასთან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ახლაც ჩემი თაობის ადამიანები, როცა ერთმანეთს ხვდებიან სადღესასწაულო ვითარებაში, კმაყოფილებით იგონებენ თავიანთ წარსულს სამოქალაქო ომის წლებში და მღერიან დემიან ბედნის სიმღერებს იმიტომ, რომ ეს სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ჟღერს. (ტაში). მათი სიმშვენიერე ის არის, რომ მოგვაგონებენ თუმცა ძნელ დროს, მაგრამ კარგ და ლამაზ დროს, იმათთვის სიამაყით აღგვივსებენ გულს, ვინც უძნელეს პირობებში გმირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შრომის ადამიანთა განთავისუფლებისათვის, ხალხისათვის, სოციალიზმისათვის და გაიმარჯვა ამ ბრძოლაში.

ავიღოთ სხვა მაგალითი, რომელიც დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა ძლიერ და კეთილშობილურ გრძნობებს იწვევს ადამიანებში ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები. ალბათ თქვენი უმრავლესობა იცნობს ბერლინში საბჭოთა მეომრების ძეგლს, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ე. ვ. ვუჩეტიჩი. ამ ცოტა ხნის წინათ მოძმე პარტიათა დელეგაციები, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მეექვსე ყრილობას ესწრებოდნენ, მონაწილეობდნენ როზა ლუქსემბურგის, კარლ ლიბკნეხტისა და მუშათა კლასის საქმისათვის დაღუპულ სხვა მებრძოლთა საფლავების გვირგვინებით შემკობაში.

შემდეგ გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინში. ეს იყო გულშიჩამწვდომი წუთები. მოვიდა ასობით ადამიანი, საზეიმოდ ჟღერდა მუსიკა, ძეგლს უახლოვდებოდნენ დუმილით, არავის არ შეეძლო ხმამაღლა ლაპარაკი, თვითონ ვითარება ახდენდა გავლენას ადამიანებზე. დიდებული ქანდაკება იწვევს გმირი საბჭოთა მეომრებისადმი დიდი პატივისცემის, მადლობის გრძნობას, იმათდამი თაყვანისცემის გრძნობას, ვინც დაიღუპა ფაშიზმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რამდენიმე ხნის წინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები გაეცნენ ფაშიზმზე გამარჯვების იმ ძეგლის ესკიზებს, რომელიც აიგება მოსკოვში ამხ. ვუჩეტიჩის პროექტით. პროექტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შეიქმნება რეალისტური ხელოვნების დიდი ძალის ნაწარმოები, რომელიც ადიდებს გამარჯვებულ ხალხს და მოგვიწოდებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და უძლეველობის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია კარლ მარქსის ძეგლი მოსკოვში, რომელიც ამხ. კერბელმა შექმნა. მოქანდაკემ მხატვრულად წარმოსახა მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლის სიდიადე. შეუძლებელია ჩაიარო და არ გაჩერდე ამ მშვენიერ მონუმენტთან.

მხოლოდ დიდი რევოლუციური, შემოქმედებითი პათოსით აღსავსე შესანიშნავი ნაწარმოები სწვდება ადამიანის სულის სიღრმესა და შეგნებას, უღვიძებს მას მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებსა და მტკიცე გადაწყვეტილებას — მთელი ძალღონე მოახმაროს ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლას. ასეთ ნაწარმოებთა ავტორები ღირსეულად, დამსახურებულად სარგებლობენ ხალხის მადლობით. შექმნან ასეთი მაღალი იდეურობისა და ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედების მხატვრული ძალის ნაწარმოები — აი რისკენ მოუწოდებს კომუნისტური პარტია მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოსა და თეატრის მუშაკებს. (ხანგრძლივი ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ხალხს ესაჭიროება მებრძოლი რევოლუციური ხელოვნება. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებულია მკაფიო მხატვრული სურათებით წარმოსახოს კომუნიზმის მშენებლობის დიადი და გმირული დრო, მართლად ასახოს ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება და გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში. მხატვარს უნდა შეეძლოს დაინახოს დადებითი, მას უნდა ახარებდეს ეს დადებითი, რაც ჩვენი სინამდვილის არსია, მხარი დაუჭიროს მას და ამავე დროს, რა თქმა უნდა, გვერდი არ აუაროს უარყოფით მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ახლის წარმოშობას ცხოვრებაში.

თვითეულ, ყველაზე კარგ საქმესაც კი აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეები. ულამაზეს კაცსაც კი შეიძლება ჰქონდეს ნაკლოვანებანი. მთელი საქმე ის არის, როგორ მივუდგებით ცხოვრების მოვლენებს და რა პოზიციებიდან შევაფასებთ მათ. როგორც იტყვიან, რასაც ეძებ, იმას ნახავ. უწინაზრახვო ადამიანი, ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის აქტიური მონაწილე, ობიექტურად ხედავს როგორც კარგს, ისე უარყოფითს ცხოვრებაში, სწორად ესმის და აფასებს ამ მოვლენებს, აქტიურად იბრძვის მოწინავის, მთავარის დამკვიდრებისათვის, იმის დამკვიდრებისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ განვითარებაში.

მაგრამ მას, ვინც ჩვენს სინამდვილეს გარეშე მეთვალყურის პოზიციებიდან უყურებს, არ შეუძლია დაინახოს და წარმოსახოს ცხოვრების მართალი სურათი. სამწუხაროდ, ასეც ხდება, რომ ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელი სინამდვილეზე მსჯელობს მარტო ფეხსადგილების სუნის მიხედვით, ხატავს ადამიანებს განგებ დამახინჯებულად, თითხნის თავის სურათებს შავბნელი საღებავებით, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შეუქმნან ადამიანებს გულგატეხილობის, დარდისა და უსაშველობის განწყობილება, ხატავს სინამდვილეს მის შესახებ წინასწარ აკვიატებული, დამახინჯებული, სუბიექტივისტური შეხედულებით, გამონაგონი გამოფიტული სქემებით.

ამას წინათ ჩვენ ვნახეთ ერნსტ ნეიზვესტნის გულისამრევი ნათითხნი და აღვშფოთდით იმის გამო, რომ ეს ადამიანი, რომელსაც, როგორც ჩანს, აქვს მონაცემები და საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია, ასე უმადურად უხდის სამაგიეროს ხალხს. კარგია, რომ ასეთი მხატვრები ჩვენში ცოტაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მარტო როდია ხელოვნების მუშაკთა შორის. თქვენ ნახეთ აბსტრაქციონისტი მხატვრების ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. ჩვენ ვგმობთ და კვლავაც დავგმობთ ასეთ სიმახინჯეს აშკარად, მთელი შეურიგებლობით.

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას საბჭოთა კინოხელოვნება ხალხის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან მხატვრულ საშუალებად მიაჩნია. ადამიანების გრძნობებსა და გონებაზე ზემოქმედების ძალითა და ხალხის უფართოეს მასებში გავრცელებით ვერაფერი ვერ შეედრება კინოხელოვნებას. კინო გასაგებია საზოგადოების ყველა ფენის ადამიანებისათვის და, შეიძლება ითქვას, ყველა ასაკისათვის, დაწყებული მოსწავლეებით და დამთავრებული მოხუცებით. იგი ვრცელდება ყველაზე შორეულ რაიონებსა და სოფლებში.

აი რატომ არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთი ყურადღებითა და მომთხოვნელობით ეკიდება საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საკითხებს.

ჩვენ ვხედავთ და დიდად ვაფასებთ მიღწევებს მხატვრული კინემატოგრაფიის დარგში. და, ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ მიღწეული არ შეესაბამება ჩვენს ამოცანებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც კინოხელოვნების მოღვაწეებს აქვთ. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად მოვეკიდოთ კინოხელოვნების იდეურ მიზანდასახულობასა და ეკრანებზე გამოშვებული კინოფილმების მხატვრულ ოსტატობას. ამ მხრივ კინოს დარგში საქმე სრულიადაც არ არის ისე კარგად, როგორც ბევრ კინომუშაკს წარმოუდგენია.

დიდად გვაწუხებს ის გარემოება, რომ კინოთეატრებში აჩვენებენ შინაარსით უმწეო და ფორმით უძლურ მეტად მდარე კინოსურათებს, რომლებიც ან აღვიძებენ, ან ძილის, მოწყენილობისა და სევდის მდგომარეობას უქმნიან მაყურებლებს.

ჩვენ წინასწარი წესით გვაჩვენეს მასალები კინოფილმისა, რომელსაც მეტად დამავალდებულებელი სათაური აქვს — „ილიჩის საგუშაგო". სურათს დგამს რეჟისორი ამხ. მ. ხუციევი გორკის სახელობის კინოსტუდიაში, ცნობილი კინორეჟისორის ამხ. ს. გერასიმოვის მხატვრული ხელმძღვანელობით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მასალებში არის შთამაგონებელი ადგილები. მაგრამ ისინი არსებითად ნილაბია სურათის ჭეშმარიტი აზრისა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ დაამკვიდროს საბჭოთა ადამიანებისათვის მიუღებელი იდეები და საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებისათვის უცხო ნორმები. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ დიდი და მნიშვნელოვანი თემის ასეთი გააზრების წინააღმდეგ.

ამაზე შეგვეძლო არც კი გველაპარაკა, რადგან მუშაობა ფილმზე ჯერ არ დამთავრებულა. მაგრამ, რადგანაც ჩვენს პრესასა და ლიტერატორებისა და კინოს მოღვაწეების ზოგიერთ საჯარო გამოსვლაში ყოველნაირად აქებენ ამ ფილმის „შესანიშნავ თვისებებს", საჭიროა გამოვთქვათ ჩვენი აზრიც.

ფილმის სახელწოდება „ილიჩის საგუშაგო" ალეგორიულია. თვით სიტყვა საგუშაგო წინათ ნიშნავდა გუშაგთა რაზმს. ახლაც კი ასე უწოდებენ ჩვენს სასაზღვრო ფორპოსტებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე. ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილმის ძირითადი პერსონაჟები სწორედ საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე ფენებს წარმოადგენენ, რომლებიც ურყევად დგანან სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა, ილიჩის ანდერძის სადარაჯოზე.

მაგრამ ყოველი ადამიანი, ვინც ასეთ ფილმს ნახავს, იტყვის, რომ ეს ტყუილია. ფილმის ყველაზე დადებითი პერსონაჟებიც კი — სამი ახალგაზრდა მუშა ვერ განასახიერებს ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას. ისინი ნაჩვენები არიან ისე, რომ არ იციან, როგორ იცხოვრონ და რას უნდა ესწრაფოდნენ. და ეს ჩვენს დროში, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დროში, რომელიც გაცისკროვნებულია კომუნისტური პარტიის პროგრამის იდეებით.

განა ახლა ასეთი ახალგაზრდობა თავის მამებთან ერთად აშენებს კომუნიზმს პარტიის ხელმძღვანელობით! განა შეუძლია ჩვენს ხალხს ასეთ ახალგაზრდებზე დაამყაროს მომავლის იმედი, დაიჯეროს, რომ ისინი იქნებიან უფროსი თაობების დიად მონაპოვართა მემკვიდრენი, თაობებისა, რომლებმაც მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია, ააშენეს სოციალიზმი, იარაღით ხელში დაიცვეს იგი ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში, შექმნეს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის მატერიალური და სულიერი წანამძღვრები!

არა, ვერ დაეყრდნობა საზოგადოება ასეთ ადამიანებს — ისინი არ არიან მებრძოლები და სამყაროს გარდამქმნელები. ესენი არიან მორალურად სუსტი, ახალგაზრდობაში დაბერებული ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ მაღალი მიზნები და მოწოდება ცხოვრებაში.

სურათში განზრახულია უარყოფითად წარმოსახონ და გააკრიტიკონ უქნარები და ნახევრადგახრწნილი ტიპები, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდებიან ჩვენს ახალგაზრდობაში და რომლებსაც არავინ არ უყვართ და არავის არ სცემენ პატივს; უფროსებს ისინი არათუ არ ენდობიან, არამედ სძულთ კიდევაც. ისინი ყველაფრით უკმაყოფილო არიან, ყველაფერზე ბუზღუნებენ, ყოველივეს დასცინიან და ფეხებზე იკიდებენ, თავიანთ დღეებს ატარებენ უქმად, ხოლო საღამოებსა და ღამეებს — საეჭვო ქეიფში. ასეთი ტიპები ქედმაღლური ზიზღით ლაპარაკობენ შრომაზე. ხეთქავს ასეთი უქნარა საარსებო პურს, და აბუჩად იგდებს კიდევაც იმათ, ვინც ამ პურს თავისი გარჯით ქმნის.

თავიანთი განზრახვა — დაეგმოთ უქნარა ადამიანები, მუქთახორები, ფილმის დამდგმელებმა ვერ განახორციელეს. მათ არ ეყოთ მოქალაქეობრივი სიმამაცე და გულისწყრომა სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ასეთი გადაგვარებულები და [illegible]რეწრები, ისინი მხოლოდ იმას დასჯერდნენ, რომ სუსტად გააწნეს სილა არამზადას. მაგრამ ასეთ ნაძირალებს სილის გარტყმით ვერ გამოასწორებ.

სურათის დამდგმელები ახალგაზრდობის სათანადო ფენებს როდი უჩვენებენ მაყურებელს. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა თავის ცხოვრებაში, შრომასა და ბრძოლაში განაგრძობს და ამდიდრებს წინა თაობათა გმირულ ტრადიციებს, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი დიდი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც და სამამულო ომის ფრონტებზეც. კარგად არის ნაჩვენები ჩვენი ახალგაზრდობა ა. ფადეევის რომანში „ახალგაზრდა გვარდია". ძალიან სამწუხაროა, რომ ს. გერასიმოვმა, რომელმაც დადგა ფილმი ამ რომანის მიხედვით, რჩევა არ მისცა თავის მოწაფეს მ. ხუციევს ეჩვენებინა თავის სურათში, როგორ ცოცხლობს და ვითარდება ჩვენს ახალგაზრდობაში ახალგაზრდაგვარდიელთა შესანიშნავი ტრადიციები.

მე გუშინ უკვე ვთქვი, რომ სერიოზულ, პრინციპულ საწინააღმდეგო აზრს იწვევს ეპიზოდი, როცა ფილმის გმირი ხვდება ომში დაღუპული მამის აჩრდილს. შვილის კითხვაზე, როგორ ვიცხოვროთ, მამის აჩრდილი თავის მხრივ ეკითხება შვილს—რამდენი წლისა ხარო. და როცა შვილი უპასუხებს, ოცდასამი წლისა ვარო, მამა მიუგებს — მე კი ოცდაერთისა... და გაუჩინარდება. და თქვენ გინდათ, რომ დავიჯეროთ ასეთი ეპიზოდის სიმართლე? არავინ არ დაიჯერებს! ყველამ იცის, რომ ცხოველებიც კი არ ტოვებენ თავიანთ ნაშიერს. თუ ლეკვს წაართმევენ ძაღლს და წყალში გადააგდებენ, იგი უმალვე თავგანწირვით მიეშველება მას.

განა შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ მამამ არ უპასუხოს შვილის კითხვაზე და არ დაეხმაროს მას რჩევით, როგორ გამონახოს ცხოვრების სწორი გზა?

ასე კი ტყუილუბრალოდ როდია გაკეთებული. აქ ჩაქსოვილია გარკვეული აზრი. სურთ ჩააგონონ შვილებს, რომ მათი მამები არ შეიძლება იყვნენ მასწავლებელი ცხოვრებაში და არ არის საჭირო რჩევა-დარიგებისათვის მიმართოთ მათ. დამდგმელთა აზრით, ახალგაზრდობამ თვითონ, უფროსთა რჩევა-დარიგებისა და დახმარების მიუღებლად, უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ იცხოვროს.

აქ საკმაოდ ნათლად არის გამოხატული კინოფილმის დამდგმელთა პოზიცია. მაგრამ მეტისმეტი ხომ არ მოუვიდათ? თქვენ რა, გინდათ წააქეზოთ ახალგაზრდობა უფროსი თაობების წინააღმდეგ, წაახჩხუბოთ ისინი ერთმანეთთან, შუღლი ჩამოაგდოთ ერთსულოვან საბჭოთა ოჯახში, რომელიც ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც აერთიანებს კომუნიზმისათვის ერთობლივ ბრძოლაში? შეგვიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვუცხადოთ ასეთ ადამიანებს — არაფერი არ გამოგივათ! (მქუხარე ტაში).

ჩვენს დროში მამებისა და შვილების პრობლემა როდი დგას ისე, როგორც ტურგენევის დროს იყო, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ სულ სხვა ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ადამიანთა სხვა ურთიერთობაც. საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის თაობათა წინააღმდეგობანი. არ არსებობს „მამებისა და შვილების" პრობლემა ძველი გაგებით. იგი გამოიგონეს ფილმის დამდგმელებმა და ხელოვნურად აღვივებენ არც თუ ისე კარგი განზრახვით.

ასე გვესმის ადამიანთა ურთიერთობა ჩვენს საზოგადოებაში და გვინდა, რომ ეს ურთიერთობა მართლად აისახოს ლიტერატურის ნაწარმოებებში, პიესებში, კინოფილმებში, მუსიკაში, ფერწერაში — ყველა სახეობის ხელოვნებაში. ვისაც ეს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული, ჩაუფიქრდეს, ჩვენ კი დავეხმარებით დაიკავოს სწორი პოზიცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეიძლება ვკითხოთ ფილმის რეჟისორს ამხანაგ ხუციევსა და მის შეფს ამხანაგ გერასიმოვს, როგორ წარმოეშვათ ასეთი სურათის იდეა.

ფილმის სერიოზული შეცდომები აშკარაა. თითქოს კინოს მოღვაწეებს, რომლებმაც იგი ნახეს, გულახდილად და პირდაპირ უნდა ეთქვათ ეს რეჟისორისათვის, სურათის გამო კი რაღაც წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ჯერ კიდევ არავის არ ენახა ფილმი, ხოლო უკვე გაჩაღდა ფართო სარეკლამო კამპანია საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ყველაზე შესანიშნავი, „ჩვენი ხელოვნების რაღაც განსაკუთრებული მოვლენის" შესახებ. რა საჭიროა ეს? არ შეიძლება ასე მოვიქცეთ, ამხანაგებო, არ შეიძლება!

## პარტიულობა და ხალხურობა ჩვენი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი პრინციპია

ამ უკანასკნელ წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი თავიანთ შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია სტალინის პიროვნების კულტთან. ყოველივე ეს სავსებით გასაგები და კანონზომიერია. გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებშიც მართლად, პარტიული პოზიციებიდან არის გაშუქებული იმ წლების საბჭოთა სინამდვილე. შეიძლებოდა მოგვეყვანა, როგორც მაგალითი, ა. ტვარდოვსკის პოემა — „შორეთს იქით შორეთი", ა. სოლჟენიცინის მოთხრობა — „ივან დენისოვიჩის ერთი დღე", ე. ევტუშენკოს ზოგიერთი ლექსი, გ. ჩუხრაის კინოფილმი „მოწმენდილი ცა" და სხვა ნაწარმოებნი.

პარტია მხარს უჭერს ჭეშმარიტად მართალ მხატვრულ ნაწარმოებებს, ცხოვრების რა უარყოფით მხარეებსაც უნდა ეხებოდნენ ისინი, თუ კი ისინი ეხმარებიან ხალხს ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლაში, რაზმავენ და განამტკიცებენ ხალხის ძალებს.

ყველამ იცის, რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სატირა, კერძოდ იგავარაკი. ამ ჟანრში ხშირად გამოდის, მაგალითად, ამხანაგი მიხალკოვი. სატირა ბასრი სამართებელივით არის; გამოაჩენს ხორცმეტს ადამიანის სხეულზე და მაშინვე, კარგი ქირურგივით, მოჰკვეთს. მაგრამ სატირის იარაღის ხმარება უნდა გემარჯვებოდეს, როგორც ქირურგი ხმარობს თავის დანას და ჰკვეთს მავნე ხორცმეტს, ისე რომ არ აზიანებს ორგანიზმს, არაფერს ავნებს მას. აქ საჭიროა ოსტატობა. თუ არა ხარ დაუფლებული ამ ოსტატობას, მაშინ ნურც მოჰკიდებ ხელს, იმიტომ რომ სხვასაც მიაყენებ ზიანს და თვითონაც შეაჭრი ხელს. სწორედ იქცევიან დედები, როცა უმალავენ ბავშვებს მჭრელ საგნებს, სანამ ისინი ისწავლიდნენ მჭრელი საგნების ხმარებას. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).

ყოველივე ამასთან ერთად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყველა შემოქმედებითი მუშაკის ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ მცდარ მოტივსა და ტენდენციას, რაც თავს იჩენს ხოლმე ცალკეული ავტორების ნაწარმოებებში. მცდარი ტენდენციები უმთავრესად ის არის, რომ მთელი ყურადღება ცალმხრივად ეთმობა უკანონობის, თვითნებობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს. მართლაც, პიროვნების კულტის წლებმა მძიმე შედეგები დატოვა. ჩვენმა პარტიამ ამის შესახებ მთელი სიმართლე უთხრა ხალხს. ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს და გვახსოვდეს, რომ ის წლები საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში უძრაობის პერიოდი როდი იყო, როგორც ეს ჩვენს მტრებს წარმოუდგენიათ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის დროშით და ანდერძით ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებდა და ააშენა სოციალიზმი. საბჭოთა კავშირი პარტიისა და ხალხის ღონისძიებებით გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

რომელმაც გაუძლო ომის უმძიმეს განსაცდელს და ძლევამოსილად დაამთავრა ისტორიაში უმაგალითო ბრძოლები, მთლიანად გაანადგურა ფაშისტთა ურდოები (მქუხარე ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ვამბობთ, რომ არასწორად იქცევიან მწერლები, რომლებიც მეტად ცალმხრივად უდგებიან ჩვენი ქვეყნის ცხოვრების იმ ეტაპის შეფასებას, ცდილობენ თითქმის ყველა მოვლენა ბნელ ფონზე უჩვენონ, შავი საღებავებით დახატონ. ჯერ კიდევ არიან ლიტერატორები, რომლებსაც ურჩევნიათ ნაგვის ორმოში ამოქექონ მასალა და სურთ ასეთი ნაწარმოებები ხალხის ცხოვრების მართალ ასახვად გაასაღონ. ამ თვალსაზრისის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ყველა ნაწარმოები, რომლებშიც ლაპარაკია ჩვენი ხალხის მიღწევებზე, ცხოვრების დადებით მხარეებზე, „შემლამაზებელი" ნაწარმოებია. ასეთ მტკიცებას არ შეიძლება დავეთანხმოთ. ცნობილია, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში მართლაც იყო შელამაზება და პარტიამ გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. მაგრამ ყველაფერი ხომ ცუდი არ ყოფილა იმ პერიოდში, ხალხი სოციალიზმის მშენებლობის იმ პერიოდშიც იჩენდა გმირობას, და ამიტომ არ შეიძლება ყველაფერი კუპრით ვთხუპნოთ.

საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ იმათ, ვისაც სჩვევია „შემლამაზებლის" იარლიყი მიაკრას მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც ასახავენ ჩვენი ცხოვრების დადებით მხარეებს. რაღა ვუწოდოთ მაშინ იმათ, ვინც მხოლოდ ცუდს ეძებს ცხოვრებაში, ყველაფერს შავი საღებავებით ხატავს? როგორც ჩანს, მათ კუპრით მთხუპნელები უნდა ვუწოდოთ. ის, რაც კარგია ცხოვრებაში, შესაფერისად უნდა აისახოს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ ცხოვრების მოვლენები და უფრო სწორად გააშუქონ ისინი თავიანთ ნაწარმოებებში. თვითეული თავისი იარაღით უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ჩვენს საერთო საქმეს. მე მხედველობაში მყავს თვითეული მწერალი, მოქანდაკე, კომპოზიტორი, კინოსა და თეატრის მოღვაწე. და ხელოვნების თვითეული სახეობის იარაღი უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ხალხის სასარგებლოდ, რათა ვურტყათ მტერს და გავკაფოთ გზა ნათელი მომავლისაკენ — კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს. საჭირო არ არის მყვირალა ფრაზები. თვითეულ შემოქმედებითს მუშაკზე ხალხი მსჯელობს იმის მიხედვით, თუ რა შექმნა მან. აი ზოგიერთი გმობს ყველა იმას, ვინც წერდა ნაწარმოებებს იმ ხანებში და ჩვენი ცხოვრების დადებით მხარეებსაც ხედავდა. არ უნდა გავაბიაბრუოთ ხელაღებით ყველაფერი, რაც იმ დროს დაიწერა. იტყვიან, ეს XX და XXII ყრილობებიდან უკანდახევააო. არა, ეს XX და XXII ყრილობების კურსის დამკვიდრებაა. (მქუხარე ტაში).

როცა ი. გ. ერენბურგის მემუარებს კითხულობ, ყურადღებას აქცევ იმას, რომ იგი ყველაფერს შავი ფერებით ხატავს. თვითონ ამხ. ერენბურგს პიროვნების კულტის პერიოდში არ განუცდია დევნა ან შეზღუდვა. სულ სხვაგვარად წარიმართა, მაგალითად, ისეთი მწერლის ბედი, როგორიც არის გალინა სერებრიაკოვა, რომელიც დიდხანს იყო დაპატიმრებული. მაგრამ მან, მიუხედავად ამისა, შეინარჩუნა მხნეობა, ერთგულება პარტიის საქმისადმი და რეაბილიტაციისთანავე ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელში აიღო თავისი იარაღი და ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც საჭიროა ხალხისა და პარტიისათვის (მქუხარე ტაში).

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი საწარმოო ძალები, განხორციელდა კულტურული რევოლუცია. მთელი მსოფლიო ხედავს ახლა, რომ საბჭოთა ხალხის ამ თვალსაჩინო გამარჯვებათა შესანიშნავი ნაყოფია ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ, მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი აღმოჩენები, კოსმო-

სის დაპყრობა. არ შეიძლება ჩვენი დღევანდელი გამარჯვებანი არ დავუკავშიროთ იმ წლების ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა არც თუ იშვიათად აყენებენ კითხვას, სტალინის სიცოცხლეშივე რატომ არ გამოაშკარავდა და არ აღიკვეთა კანონიერების დარღვევა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და შეიძლებოდა თუ არა ეს მაშინ გვექნა? პარტიულ დოკუმენტებში ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე არაერთხელ გავაშუქეთ მთელი სისრულითა და საკმაო სიცხადით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, კერძოდ ხელოვნების მუშაკთა შორის, რომლებიც ცდილობენ დამახინჯებულად გააშუქონ მოვლენები. ამიტომ დღესაც გვიხდება კვლავ შევეხოთ სტალინის პიროვნების კულტის საკითხს.

ისმება კითხვა, იცოდნენ თუ არა პარტიის ხელმძღვანელმა კადრებმა მაშინდელ დაპატიმრებათა ამბავი? დიახ, იცოდნენ. მაგრამ იცოდნენ თუ არა მათ, რომ აპატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს? არა, ეს მათ არ იცოდნენ. მათ სჯეროდათ სტალინისა და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ შეიძლებოდა რეპრესიები გამოეყენებინათ პატიოსანი, ჩვენი საქმის ერთგული ადამიანების წინააღმდეგ.

საბჭოთა საზოგადოება ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდან მოყოლებული და ქვეყნის შიგნით ექსპლოატატორული კლასების საბოლოო ლიკვიდაციამდე უაღრესად მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში იყო. კლასობრივი მტრები დამარცხებულ იქნენ პირდაპირ ბრძოლაში სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ ფიზიკურად არ განადგურებულან და ხელი არ აუღიათ ვერაგულ ზრახვებზე ზიანი მიეყენებინათ საბჭოთა წყობილებისათვის. მათ შეცვალეს ბრძოლის ფორმები და იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის საბოტაჟი, მავნებლობა, ფარული მკვლელობა, ტერორისტული აქტები, ამბოხებანი.

უნდა დაეცვა თუ არა რევოლუციას თავისი მონაპოვრები? დიახ, უნდა დაეცვა და მთელი სიმკაცრით იცავდა კიდევაც პირველი დღეებიდანვე. ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დეკრეტით შეიქმნა რევოლუციის მტრებისათვის ისეთი მრისხანე ორგანო პროლეტარული დიქტატურისა, როგორიც იყო სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა გამოაშკარავდა შეთქმულებანი რევოლუციის წინააღმდეგ, სტალინი, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, აწარმოებდა ბრძოლას, რათა ჩვენი ქვეყანა გაეწმინდა შეთქმულთაგან, და აწარმოებდა ხალხის მტრებთან ბრძოლის ლოზუნგით. სჯეროდათ მისი ამ საქმეში, და მხარს უჭერდნენ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. წარსულში ხომ ჩვენი პარტიის ისტორიაში არაერთხელ იყო რევოლუციის საქმის გამცემლობისა და ღალატის შემთხვევები, მაგალითად, მალინოვსკის—სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრის პროვოკატორობა.

რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მტრების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლას მაშინ მეთაურობდა სტალინი. ამან განამტკიცა მისი ავტორიტეტი. ყველასათვის ცნობილი იყო აგრეთვე სტალინის წვლილი რევოლუციურ ბრძოლაში ოქტომბრის რევოლუციამდე, რევოლუციის მსვლელობაცა და სოციალისტური მშენებლობის მომდევნო წლებში. სტალინის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა პარტიის შიგნით ანტილენინურ მიმდინარეობათა და ოპოზიციურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, პარტიის რიგებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის, პარტიის შიგნით ლენინიზმისადმი ისეთი მტრული მიმდინარეობებისა და ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, როგორიც იყვნენ ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიამ მოაწყო დისკუსია ტროცკისტებთან და ზინოვიეველებთან სოციალისტური მშენებლობის და შინაპარტიული მდგომარეობის ძირეულ საკითხებზე. ამ დისკუსიაში გამოაშკარავებულ და [illegible]ლებულ იქნა ტროცკის, ზინოვიევისა და მათი დამქაშების ანტილენინური, სოციალიზმისადმი მტრული შეხედულებანი და მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ჩვენს ქვეყანაში ჩაეშალათ ლენინური კურსი სოციალიზმის მშენებლობისა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

ტროცკისტების შემდეგ პარტიის ლენინური კურსის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსის წინააღმდეგ გამოვიდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მეთაურობით. მათი შეხედულებანი, ცხოვრებაში რომ დამკვიდრებულიყო, გარდუვალად გამოიწვევდა იმას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა კაპიტალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდებოდა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში. მემარჯვენე ოპორტუნისტების ხაზი იქით მიდიოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისით უმწეო ყოფილიყო ჩვენდამი მტრული აგრესიული კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე.

ჩვენი პარტიის კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა ლენინური კურსი იყო, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი პარტია, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. ჩვენ ათ წელიწადში უნდა გაგვევლო ეკონომიური განვითარების ისეთი ისტორიული გზა, როგორიც დასავლეთმა ევროპამ გაიარა ასი წლის მანძილზე. ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სტალინი ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ პირველ წლებში იცავდა ლენინურ პოზიციებს და ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამიტომ პარტიასა და მასებს სჯეროდათ მისი, და მხარს უჭერდნენ.

მაგრამ სტალინს ჰქონდა დიდი ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებზეც თავის დროზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მიაპყრო პარტიის ყურადღება.

დიდი ლენინი აღნიშნავდა იმ საშიშროებას, რომ სტალინი, რომელმაც მთლიანად თავის ხელში აიღო დიდი ძალაუფლება, ვერ შეძლებს სწორად გამოიყენოს ეს თავისი დიდი პირადი ნაკლოვანებების გამო. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი რჩევას იძლეოდა შეეცვალათ სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე, ამასთანავე მიაჩნდა, რომ ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ისეთი მოღვაწე, „რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ, უფრო შემწყნარებელია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ ჭირვეულია და ა. შ."

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს სტალინი მიაჩნდა მარქსისტად, ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწედ, რევოლუციის ერთგულ მოღვაწედ. თავისი მოსაზრებანი ვ. ი. ლენინმა გამოთქვა წერილში პარტიის მორიგი ყრილობისადმი, რომელიც განიხილეს კიდევაც დელეგაციებმა პარტიის XIII ყრილობაზე. ამ საკითხს რომ წყვეტდა, პარტია ითვალისწინებდა ცენტრალური კომიტეტის შიგნით მაშინდელ ძალთა რეალურ თანაფარდობას და მხედველობაში იღებდა სტალინის, როგორც მოღვაწის, დადებით მხარეებს, დაიჯერა მისი განცხადებანი, რომ შეძლებს დაძლიოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ აღნიშნა. სტალინმა შემდეგ გატეხა თავისი სიტყვა და ბოროტად გამოიყენა პარტიის ნდობა. ამან მძიმე შედეგი გამოიწვია, რაც გავრცელდა პიროვნების კულტის პერიოდში.

პარტიამ მთელი შეურიგებლობით დაგმო და გმობს სტალინის მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების უხეშ დარღვევებს, თვითნებობას და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენა კომუ-

ნიზმის საქმეს. და ყოველივე ამასთან პარტია ჯეროვნად აფასებს სტალინის დამსახურებას პარტიისა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე. ჩვენ ახლახან მოვისმინეთ, რომ სტალინი კომუნიზმის ერთგული იყო, იგი მარქსისტი იყო, ამის უარყოფა არ შეიძლება და არც უნდა უარვყოთ. მისი ბრალი ის არის, რომ მან ჩაიდინა თეორიული და პოლიტიკური ხასიათის უხეში შეცდომები, არღვევდა სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, ბოროტად იყენებდა ძალაუფლებას, რომელიც მას პარტიამ და ხალხმა ანდეს.

სტალინის დაკრძალვის დროს ბევრნი, მათ შორის მეც, თვალცრემლიანი ვიყავით. ეს გულწრფელი ცრემლები იყო. თუმცა ვიცოდით სტალინის ზოგიერთი პირადი ნაკლი, მაგრამ გვჯეროდა მისი.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდი იყო რწმენა სტალინისა და მისი ავტორიტეტისადმი, მოვიყვან ასეთ მაგალითს. ბევრს ახსოვს ამხანაგი იაკირი. ეს იყო თვალსაჩინო მხედართმთავარი და კრისტალური სიწმინდის ბოლშევიკი, რომელიც ტრაგიკულად, უდანაშაულოდ დაიღუპა იმ წლებში. მას, სიკვდილმისჯილს, სწამდა, რომ სტალინი გარეული არ იყო ამაში, და დახვრეტის წინ შესძახა: „გაუმარჯოს სტალინს!". დაკითხვებზე ამხანაგი იაკირი გამომძიებლებს ეუბნებოდა, რომ მისი დაპატიმრება და მის წინააღმდეგ ბრალდება პროვოკაციაა, რომ პარტია და სტალინი შეცდომაში შეიყვანეს, ისინი გაერკვევიან ყოველივე ამაში, გაერკვევიან იმაში, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც თვითონ არის, იღუპებიან პროვოკაციების შედეგად. და ასე ფიქრობდა არა მარტო ამხანაგი იაკირი, არამედ ასე ფიქრობდა ბევრი სხვაც, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც უდანაშაულოდ დაიღუპნენ.

სტალინი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ძალიან ავადმყოფი კაცი იყო, დაავადებული იყო ეჭვიანობით, დევნილობის მანიით. პარტიამ ფართოდ გააცნო ხალხს, თუ როგორ შექმნა სტალინმა ისეთი „საქმეები", როგორიც იყო „ლენინგრადის საქმე", „ექიმთა საქმე" და სხვები. მაგრამ, ამხანაგებო, ასეთი „საქმეები" ხომ მნიშვნელოვნად მეტი იქნებოდა, რომ ყველა, ვინც სტალინის გვერდით მუშაობდა იმ პერიოდში, ყველაფერში დათანხმებოდა მას. ერთ-ერთ ჩემს გამოსვლაში მე ვთქვი, როგორ აპირებდა სტალინი გაებერა ეგრეთწოდებული „მოსკოვის კონტრრევოლუციური ცენტრის" საქმე. მაგრამ, როგორც ცნობილია, მას კვერი არ დაუკრეს, და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის კადრებს ახალი მასობრივი რეპრესიები არ განუცდიათ.

აგრეთვე ცნობილია, რომ სტალინს განზრახული ჰქონდა გაენადგურებინა საბჭოთა უკრაინის შემოქმედებითი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ჩანს, ბერიასა და კაგანოვიჩის დაბეზღებით მან ეჭვი მიიტანა, რომ ომისშემდგომი საბჭოთა უკრაინის შემოქმედებითს ინტელიგენციაში მწიფდებოდა რაღაც ნაციონალისტური ტენდენციები, განწყობილებანი და მან დაიწყო მოვლენების იმ მიმართულებით წარმართვა, რომ გასწორებოდნენ უკრაინის გამოჩენილ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. უკრაინელი ბოლშევიკები რომ მაშინ სტალინის განწყობილებებს აჰყოლოდნენ, როგორც ჩანს, უკრაინის ინტელიგენცია დიდად დაზარალდებოდა და, ალბათ, შეიქმნებოდა „საქმე" უკრაინელი ნაციონალისტების შესახებ.

სტალინის ავადმყოფური ეჭვიანობა და უნდობლობა რომ იცოდნენ, იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვები მას „აჩეჩებდნენ" ისეთ საქმეებსა და ისეთ „დოკუმენტებს", რომლებიც მეტად ჰგავდა სიმართლეს, და უქმნიდნენ იმის სრულ რწმენას, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფები, იხლართებოდა სხვადასხვა დამნაშავე დაჯგუფებათა შეთქმულებანი.

მემუარული ლიტერატურის მოყვარულნი ხშირად თითქოს საზღვარგარეთული შორეთიდან აღწერენ იმ დროის ამბებს, თანაც აღწერენ ისეთ ამბებს, რომლებიც მართლაც შორს იყო მათგან როგორც არსებითად, ისე იმ შედეგებით, რომლებსაც ეს მოვლენები იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩვენში არიან ისეთი ამხანაგები და ისეთი ძალიან ცნობილი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე გამოსცადეს სტალინური თვითნებობის მოქმედება და რომლებიც იმ განსაკუთრებით მძიმე დროშიც კი ვერ ურიგდებოდნენ ასეთ მოვლენებს, გამოთქვამდნენ პროტესტს და მიმართავდნენ უშუალოდ სტალინს გულახდილი განცხადებებით.

ჩვენმა პატივცემულმა მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვმა 1933 წლის გაზაფხულზე პროტესტის ხმა აღიმაღლა იმ თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ დონზე ხდებოდა. ამას წინათ არქივებში იპოვნეს მიხეილ ალექსანდრეს-ძის ორი წერილი სტალინისადმი და სტალინის პასუხი ამ წერილებზე. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო შოლოხოვის ეს მართალი, სისხლით დაწერილი სიტყვები იმ ადამიანთა აღმაშფოთებელი მოქმედების შესახებ, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ვეშენსკაიასა და დონის სხვა რაიონებში.

1933 წლის 16 აპრილის წერილში მიხეილ ალექსანდრეს-ძე სწერდა სტალინს: „ეს მაგალითები უსასრულოდ შეიძლება ჩამოითვალოს. ეს გადახრების ცალკეული შემთხვევები როდია, ეს არის პურის დამზადების რაიონული მასშტაბით დაკანონებული „მეთოდი". ამ ფაქტებზე მე მესაუბრნენ, ან კომუნისტები, ან თვით კოლმეურნენი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ყველა ეს „მეთოდი" და შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ და მთხოვდნენ „გაზეთში გამეწერა ეს".

გახსოვთ თუ არა, იოსებ ბესარიონის-ძევ, კოროლენკოს ნარკვევი „დამშვიდებულ სოფელში"? აი სწორედ ასე „გააქრეს" არა სამი გლეხი, რომლებზეც ეჭვი მიიტანეს, რომ მათ კულაკი გაქურდეს, არამედ ათეულ ათასობით კოლმეურნე. ამასთან, როგორც ხედავთ, ტექნიკის საშუალებათა უფრო ფართოდ გამოყენებით და მეტი გამომგონებლობით".

შემდეგ შოლოხოვი სტალინს სთხოვდა დაკვირვებოდა იმას, რაც რაიონებში ხდებოდა. „საჭიროა არა მარტო იმათი საქმის გამოძიება, ვინც აბუჩად იგდებდა კოლმეურნეებსა და საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ იმათიც, ვისი ხელიც წარმართავდა მათ".

„თუ ყოველივე ის, რაც მე აღვწერე, ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ღირსია, მაშინ გაგზავნეთ ვეშენსკაიას რაიონში ნამდვილი კომუნისტები, რომლებსაც ეყოფათ გამბედაობა პიროვნების განურჩევლად ამხილონ ყველა, ვინც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ვეშენსკაიას რაიონის საკოლმეურნეო მეურნეობას, კომუნისტები, რომლებიც ნამდვილად გამოიძიებენ და გამოამჟღავნებენ არა მარტო იმათ, ვინც კოლმეურნეების მიმართ იყენებდა წამების, ცემა-ტყეპისა და დამცირების საზიზღარ „მეთოდებს", არამედ იმათაც, ვინც ამ ამბების სულისჩამდგმელი იყო".

შეიძლებოდა სხვა ნაწყვეტებიც მოგვეყვანა ამხ. შოლოხოვის წერილიდან, პირდაპირი, გულახდილი და გაბედული წერილიდან, რომელიც, სხვათა შორის, არ გამოქვეყნებულა არც მის თხზულებებში, არც მის მოგონებებში.

მაგრამ მე მინდა შევჩერდე სხვა რამეზე — რა უპასუხა სტალინმა წერილზე მწერალ შოლოხოვს? მან მიხეილ ალექსანდრეს-ძეს მისწერა, „თქვენი წერილები რამდენადმე ცალმხრივ შთაბეჭდილებას ახდენსო". სტალინის წერილში ნათქვამია:

„მე მადლობა გადაგიხადეთ წერილებისათვის, ვინაიდან ისინი ამხილებენ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაობის მტკივნეულ მხარეებს, ამხილებენ იმას, თუ როგორ ურტყამენ უნებურად ხანდახან მეგობრებს და სადიზმამდე მიდიან

ჩვენი მუშაკები, რომლებსაც მტრის ალაგმვა სურთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერში გეთანხმებით. თქვენ ხედავთ ერთ მხარეს, ხედავთ არცთუ ცუდად. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. პოლიტიკაში რომ არ შევცდეთ (თქვენი წერილები ბელეტრისტიკა კი არ არის, თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა), უნდა განიხილოთ, უნდა შეგეძლოთ საქმის მეორე მხარის დანახვაც. მეორე მხარე კი ის არის, რომ თქვენი რაიონის პატივცემული მხვნელ-მთესველნი (და არა მარტო თქვენი რაიონისა) აწყობდნენ „იტალიანკას" (საბოტაჟს!) და სიამოვნებით დასტოვებდნენ მუშებს, წითელ არმიას უპუროდ. ის ფაქტი, ძვირფასო ამხ. შოლოხოვ, რომ საბოტაჟი ჩუმი და გარეგნულად უწყინარი (უსისხლო) იყო, — ეს ფაქტი როდი ცვლის იმას, რომ პატივცემული მხვნელ-მთესველნი არსებითად „ჩუმ", დამაუძლურებელ ომს აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ...

რა თქმა უნდა, ეს გარემოება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს იმ უმსგავსობას, რაც, როგორც თქვენ ირწმუნებით, ჩვენმა მუშაკებმა ჩაიდინეს, — სწერდა შემდეგ სტალინი. — და ამ უმსგავსობაში დამნაშავენი ჯეროვნად უნდა დაისაჯონ. და მაინც დღესავით ნათელია, რომ პატივცემული მხვნელ-მთესველნი არც ისე უწყინარი ადამიანები არიან, როგორც ეს შორიდან მოეჩვენებოდა კაცს".

აი, ხედავთ, თურმე მწერალი მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი, რომელიც სტალინს სიგნალებს აძლევდა აღმაშფოთებელი უკანონობის შესახებ, მოვლენებს ისე ხედავდა, „როგორც ეს შორიდან მოეჩვენება კაცს". და ეს უთხრეს მწერალს, რომელიც ხალხის შუაგულში ტრიალებდა და შექმნა საუკეთესო, მართალი პარტიული წიგნი კოლექტივიზაციის შესახებ — „გატეხილი ყამირი". (ხანგრძლივი ტაში).

როგორც ნამდვილი ბოლშევიკი მწერალი, მ. შოლოხოვი ვერ ურიგდებოდა აღმაშფოთებელ უსამართლობას, იგი აღდგა უკანონობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ სჩადიოდნენ, მაგრამ სტალინმა ყურად არ იღო შოლოხოვის ეს სიგნალები, ისევე, როგორც სხვა გაბედული კომუნისტების მრავალი მსგავსი სიგნალი.

სტალინის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და თვითნებობის ფაქტები, რასაც იგი სჩადიოდა, ჩვენ შევიტყვეთ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ და მას შემდეგ, რაც მხილებულ იქნა ბერია — პარტიისა და ხალხის ეს დაუძინებელი მტერი, ჯაშუში და ბილწი პროვოკატორი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბერია, ეს საზიზღარი ადამიანი, რომელიც საჭიროდ არც კი თვლიდა დაეფარა თავისი სიხარული სტალინის კუბოსთან, გაცოფებული ისწრაფოდა ძალაუფლებისაკენ, პარტიაში ლიდერობისაკენ. და ეს საშიშროება მაშინ რეალურად არსებობდა. ეს დიდ საფრთხეს უქმნიდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმესა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმატებებს.

ბერიამ სტალინის სიკვდილის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებმაც დეზორგანიზაცია შეიტანეს პარტიის მუშაობაში და რომელთა მიზანი იყო ძირის გამოთხრა საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობისათვის სოციალისტური ბანაკის მოძმე ქვეყნებთან. მაგალითად, მალენკოვთან ერთად მან შემოიტანა პროვოკაციული წინადადება მოგვეხდინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ლიკვიდაცია, რჩევა მიგვეცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისათვის უარი ეთქვა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის ლოზუნგზე. მაშინვე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღშფოთებით უარყო ეს მოღალატური წინადადებანი და გამანადგურებელი პასუხი გასცა პროვოკატორებს.

ლონისძიებებმა, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა, იხსნეს პარტია და ჩვენი ქვეყანა ბერიას, იმპერიალისტთა ამ პირწავარდნილი აგენტის საზიზღარი ზრახვებისაგან.

ამხანაგებო, იმას, ვინც ქმნის ნაწარმოებებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ, მისი აწმყოსა და წარსულის შესახებ, ყველაფერი ეს კარგად უნდა ახსოვდეს, უნდა შეეძლოს ღრმად გაერკვეს ისტორიულ მოვლენებში. საბჭოთა ხალხმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო ძველი ბურჟუაზიული სამყაროს დანგრევიდან ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. (ხანგრძლივი ტაში).

ეს გზა იოლი როდი იყო; სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხი გმირულად ძლევდა ყველა სიძნელესა და გაჭირვებას, რომლებიც მის გზაზე იქმნებოდა. სიძნელეთა გადალახვაში ყალიბდებოდა საბჭოთა ადამიანის, ახალი საზოგადოების ადამიანის, მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის მებრძოლის ხასიათი. მაღალი ლენინური იდეურობა, უდრეკი ნებისყოფა, კომუნისტური იდეალების გამარჯვების მისაღწევად თავგანწირვისათვის მზადყოფნა შესანიშნავი თვისებებია საბჭოთა ადამიანების იმ თაობებისა, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა სკეპტიციზმი, უნებისყოფობა და მოდუნება, პესიმიზმი და სინამდვილისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

გაკვირვებას იწვევს, როცა ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებში, კინოფილმსა თუ სპექტაკლში ათასნაირად აღწერენ ადამიანების უხალისო და მოსაწყენ განცდებს, მათი ცხოვრების სიძნელეთა გამო. ცხოვრების სურათების ასე დახატვა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც თვითონ არ მონაწილეობენ ხალხის შემოქმედებითს საქმიანობაში, გატაცებული არ არიან მისი შრომის პოეზიით და ყველაფერს შორიდან უცქერიან. პირადი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ, როგორც იმ წლების მოვლენათა მონაწილემ, რომლებსაც ხანდახან მუქი საღებავებითა და უფერული ტონებით ხატავენ, რომ ეს იყო ბედნიერი, სასიხარულო წლები, ბრძოლისა და გამარჯვებების, კომუნისტური იდეების ზეიმის წლები. (ხანგრძლივი ტაში).

ამას წინათ ამხ. ვალტერ ულბრიხტმა გვიჩვენა დოკუმენტალური კინოფილმი „რუსული სასწაული", რომელიც გერმანელმა კინომუშაკებმა ანელი და ანდრე ტორნდაიკებმა შექმნეს. ეს შესანიშნავი ფილმია. როცა ამ ფილმს ვუყურებდით, ჩვენს თვალწინ ჩაიარა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მართალმა სურათებმა. როცა ამას ვუყურებდით, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მასაში მე თითქოს საკუთარ თავს ვხედავდი, ასეთები იყვნენ იმ დღეების წითელი არმიის მებრძოლები. ფილმი ჩვენი დოკუმენტალური მასალების მიხედვით არის გაკეთებული. როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, რომ ჩვენმა კინომუშაკებმა რაც შეიძლება მეტი ასეთი კარგი, მართალი ფილმი შექმნან. ფილმი „რუსული სასწაული" გვიჩვენებს ჩვენს გუშინდელ დღეს დღევანდელობასთან დაპირისპირებით. უყურებ ამ ფილმს და ფიქრობ — აი რამდენად წინ წავიდა ჩვენი ქვეყანა! (ტაში).

და ჩვენ გვინდა ვურჩიოთ ჩვენს ახალგაზრდებს: ისწავლეთ რევოლუციის ისტორიით, იმ ბრძოლის ისტორიით, რომლის მონაწილენი იყვნენ თქვენი მამები და დედები, წმინდად შეინახეთ იმათი ხსოვნა, ვინც აღარ არის, და პატივისცემით მოექეცით იმათ, ვინც ცოცხალია, და ყველაფერი გადმოიღეთ მათგან, რომ ღირსეული ადამიანები, მამათა საქმის ღირსეული განმგრძობნი იყოთ. (მქუხარე ტაში). თუ ღირსება არ შეინარჩუნეთ, თავს შეირცხვენთ.

ჩვენ ღრმად გვწამს ჩვენი ხალხი, მისი ძალა, მისი შემოქმედებითი რევოლუციური სულისკვეთება. გვწამს, რომ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა განაგრძობს თავისი მამების საქმეს, მუდამ ივლის ხალხის მხარდამხარ.

გამარჯვებისადმი დიდი მისწრაფებით აღფრთოვანებული მებრძოლი ვერ ამჩნევს ლაშქრობათა და ბრძოლათა სიძნელეებს, რა მძიმეც უნდა იყოს, იგი სიცოცხლეს სწირავს იდეას, იმიტომ რომ უაღრესად მწვავე ბრძოლის მომენტში იდეა დგას მისთვის ყოველ სიძნელეზე მაღლა, ყველაფერზე მაღლა.

ადამიანის მიერ ცხოვრების მოვლენებისა და ისტორიული ამბების შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იდეურ პოზიციებზე იდგა და დგას თვითონ იგი თავის დამოკიდებულებაში ამ მოვლენებისა და ამბებისადმი. არის წიგნები ჩვენი რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ, რომლებიც დაუწერიათ ისეთ ადამიანებს, ვინც „თითქოს სხვების სარკმლებიდან" ადევნებდა თვალს რევოლუციას და ხალხის გარდამქმნელ საქმიანობას.

რევოლუციაზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და საქმეებზე წიგნებს წერდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც რევოლუციამ გამორეკა შეჩვეული თბილი ბუდეებიდან, რომლებმაც ვერ გაიგეს და არ მიიღეს რევოლუცია. მოვლენათა ტალღები ისროდა მათ ერთი მხარიდან მეორეში — მოსკოვიდან ყირიმში, ყირიმიდან თბილისში, ხოლო იქიდან მთელ მსოფლიოში. მოთხრობებში, რომანებსა და მემუარებში ისინი ჩიოდნენ თავიანთ განცდებს იმ სიძნელეთა გამო, რომლებიც თავს დაატყდა მათ და მათს მსგავსთ. წერენ იმაზე, თუ როგორ იკვებებოდნენ აყროლებული თევზითა და სხვა მსგავსით. ჩვენი საბჭოთა ადამიანები მაშინ ამარცხებდნენ მტრებს, ცუდად ჩაცმულნი და ნახევრადმშიერნი, ზოგჯერ აყროლებული თევზიც რომ არ ჰქონდათ, მაგრამ კი არ წუწუნებდნენ და არ კვნესოდნენ, არამედ მედგრად იბრძოდნენ, თავდადებით იცავდნენ რევოლუციის მონაპოვრებს. (მქუხარე ტაში).

ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა პარტიულობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი მიესალმება ყველას — ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც მოხუც, ისე ახალგაზრდა მოღვაწეებს, პარტიულებსა და უპარტიოებს, რომლებიც მტკიცედ დგანან კომუნისტური იდეურობის პოზიციებს მხატვრული შემოქმედების საკითხებში. ისინი პარტიის დასაყრდენი, მისი ერთგული ჯარისკაცები არიან. (ტაში).

ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ და მხარს დავუჭერთ, ვზრუნავთ და ვიზრუნებთ იმისათვის, რომ იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ჩვენი შემოქმედებითი ძალები, ირაზმებოდნენ რევოლუციონერ მხატვართა ერთიან, მებრძოლ ოჯახად, რომლებიც თანამიმდევრულად იცავენ თავიანთ შემოქმედებაში მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ იდეებს, შეურიგებელნი არიან ყოველივე დამყაყებულის, უცხოს, მტრულისადმი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. (ტაში).

აქ გამოვიდა პოეტი რ. როჟდესტვენსკი. მან საპაექროდ გახადა ნ. გრიბაჩოვის ლექსი „არა, ბიჭებო"!.. ამხ. როჟდესტვენსკის გამოსვლაში ის აზრი გამოსჭვიოდა, თითქოს მხოლოდ ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფი გამოთქვამდეს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის განწყობილებებს, რომ ისინი არიან ახალგაზრდობის დამრიგებელნი. ეს სრულებითაც არ არის ასე. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიამ აღზარდა, იგი პარტიას მიჰყვება, პარტია მიაჩნია თავის აღმზრდელად და ბელადად. (მქუხარე ტაში).

ახალგაზრდა პოეტს რ. როჟდესტვენსკის მინდა მაგალითად მოვუყვანო პოეტი ჯარისკაცი, რომელსაც მახვილი თვალი აქვს და რომელიც ზუსტად, აუცდენლად ურტყამს იდეურ მტერს. ეს არის კომუნისტი პოეტი ნ. გრიბაჩოვი. (ტაში). ჩვენ ვცხოვრობთ მწვავე იდეური ბრძოლის პერიოდში, გონებისათვის, ადამიანთა ხელახალი აღზრდისათვის ბრძოლის პერიოდში. ეს რთული პროცესია, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე ჩარხებისა და ქარხნების გადაკეთება. თქვენ — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, — ხატოვნად რომ ვთქვა, — მჭედლები ხართ ადამიანთა ფსიქოლოგიის ხელახლა გამოსაჭედად. თქვენ გაქვთ ძლიერი

იარაღი, და ეს თქვენი იარაღი ყოველთვის ხალხის ინტერესებისათვის უნდა მოქმედებდეს. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუსტად რომ ითქვას, უპარტიობა, არსებითად, არც არის საზოგადოებაში და ის, ვინც საქვეყნოდ აცხადებს თავის უპარტიობას, ამას იმიტომ სჩადის, რომ დაფაროს, რომ არ ეთანხმება პარტიის შეხედულებებსა და იდეებს, რომ შეაგროვოს მომხრეები. ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა, როცა ყველაზე აშკარა რეაქციონერები და კონტრრევოლუციონერები გამოდიოდნენ უპარტიობის ლოზუნგით და მხოლოდ შემდეგ ვლინდებოდა მათი ბურჟუაზიული პარტიულობა.

ასეთი მაგალითი ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლის ისტორიიდან. სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა პერიოდში მუშათა და გლეხთა მტრები სხვადასხვანაირად იყენებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ, სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს, ინიღბებოდნენ უპარტიობით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ესერები, ანარქისტები, მენშევიკები, კადეტები და სხვა უწმინდურნი, რომლებიც ექსპლოატატორთა და ინტერვენტთა ნებას გამოხატავდნენ და მათი აგენტურა და მსახურნი იყვნენ, აშკარად და პირდაპირ გამოდიოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, ლენინის წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის მტრების ბანაკში იყვნენ კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხოელ ინტერვენტებთან. მთელი მენშევიკი, ესერი, ანარქისტი ნაძირალები კონტრრევოლუციას ემსახურებოდნენ, ზოგი შინამსახურნი გახდნენ.

კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების ცეცხლში ჩვენი ქვეყნის მშრომელები გადიოდნენ პოლიტიკური აღზრდის სკოლას, თვითონ შეიცნეს პოლიტცოდნა და წყვეტდნენ, ვის გაჰყოლოდნენ, ვის მიმხრობოდნენ, ხდებოდნენ ბოლშევიკები.

ეს მეტად კარგად და დამაჯერებლად ნაჩვენებია დ. ფურმანოვის მოთხრობაში და კინოფილმ „ჩაპაევში", ა. სერაფიმოვიჩის რომანში „რკინის ნაკადი", ა. ფადეევის რომანში „განადგურება", ნ. ოსტროვსკის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და ჩვენი საბჭოთა რევოლუციონერი მწერლების სხვა მხატვრულ ნაწარმოებებში. მათი ნაწარმოებები, გამსჭვალული პარტიულობის იდეებით, ახლაც დიდ როლს ასრულებენ, ჩვენი პარტიის იარაღია მის იდეოლოგიურ მუშაობაში. შემთხვევითი როდია, რომ კუბასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" დიდი პოპულარობით სარგებლობს.

იმის კვალობაზე, თუ როგორ უფრო მეტად და მეტად ეუფლებოდა ლენინის იდეები მუშათა და გლეხთა გონებას და მტკიცდებოდა კომუნისტების გავლენა ხალხში, იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი, რევოლუციის მტრებმა სცადეს განედევნათ ბოლშევიკები და ხელთ ეგდოთ საბჭოები. მათ წამოაყენეს ლოზუნგი: „საბჭოები უკომუნისტებოდ".

რა არის საბჭოები უკომუნისტებოდ? ეს არის რევოლუციურ შინაარსს მოკლებული ცარიელი ფორმა. კონტრრევოლუციონერებს კარგად ესმოდათ ეს და, რომ წამოაყენეს ლოზუნგი „საბჭოები უკომუნისტებოდ", ფიქრობდნენ გადაექციათ საბჭოები — რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები მასებზე თავიანთი გავლენის გამავრცელებლად, გამოეყენებინათ საბჭოების ავტორიტეტი თავიანთი ანტიხალხური ზრახვების განხორციელებისათვის.

საქმე ის როდია, თუ რა ეწოდება ამა თუ იმ ორგანიზაციას, არამედ ის, თუ რა პოლიტიკას ახორციელებს იგი, რომელი კლასის ინტერესებს იცავს.

მაგალითად, საფრანგეთში დიდი ხანია არსებობს კომუნები. როგორც ხედავთ, მმართველობის ამ ორგანოებს რევოლუციური სახელი ეწოდება, მაგრამ ისინი კი კაპიტალისტურია და იცავენ მონოპოლისტთა ინტერესებს. რევოლუციური სიტყვა „კომუნა" სრულებითაც არ აშინებს ბურჟუაზიას, იმიტომ რომ ეს სიტყვა ეწოდება მის მმართველობის ორგანოებს.

რამდენია ახლა სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიული მოღვაწე, რომლებიც სოციალისტური ფრაზეოლოგიით ფარავენ თავიანთ ბურჟუაზიულ პოლიტიკას. ისინი აცხადებენ, რომ სოციალიზმს აშენებენ, და ამავე დროს საპყრობილეებში სვამენ კომუნისტებს, სიკვდილით სჯიან, იატაკქვეშეთში ერეკებიან კომუნისტურ პარტიებს და ამბობენ, რომ იბრძვიან სოციალიზმისათვის. ამას იმიტომ სჩადიან, რომ სოციალიზმის იდეები სულ უფრო პოპულარული ხდება ყველა ქვეყნის ხალხთა მასებში, სწვდება მათს შეგნებას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მაგალითი რევოლუციური შუქურაა ხალხებისათვის. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული მოღვაწეები, განსაკუთრებით მემარცხენე ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ფართოდ იყენებენ სოციალიზმის მშენებლობის ლოზუნგს მშრომელთა მოსატყუებლად.

## ჩვენ იდეოლოგიის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგი ვართ

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ბრძოლაში არ შეიძლება მივენდოთ სიტყვებსა და დეკლარაციებს, უნდა შევეცდოთ გამოვიცნოთ ვინ და რისთვის წამოაყენა ისინი, ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა იყო მარქსისტ-ლენინელი, მტკიცე კომუნისტი და შენს სიცოცხლეს, შენს ნიჭს ახმარდე ბრძოლას შრომის ადამიანთა ბედნიერებისათვის დედამიწაზე.

არ შეიძლება მიგაჩნდეს თავი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად, იდგე მებრძოლ მხარეთა შორის გზაჯვარედინზე, და „გულგრილად ცქეროდე კეთილსა და ბოროტს".

კლასობრივ ბრძოლაში ებმება საზოგადოების ყველა ფენა, ამ ბრძოლას ოჯახებშიც კი შეაქვს განხეთქილება. ხდება ისეც, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრები ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს.

არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც რევოლუციაში მონაწილეობის მიუღებლობას ხსნიან, ასე ვთქვათ, „ჰუმანური" მოსაზრებებით: თურმე ნუ იტყვით, მათ არ შეუძლიათ აღმართონ ხელი ადამიანის წინააღმდეგ. მაგრამ ვინღა ხოცავს ადამიანებს, თუ არა ადამიანი?

რევოლუციებს ახდენენ საზოგადოებრივი კლასები. მუშებისა და გლეხების რევოლუცია კაპიტალისტური კლასის დასამხობად ყველაზე ჰუმანური, ყველაზე ადამიანური საქმეა. ასეთ რევოლუციაში მონაწილეობა მუშებისა და გლეხების მხარეზე ჰუმანიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ექსპლოატატორთა წყობილების დაუმხობლად შეუძლებელია მშრომელთა განთავისუფლება და მათთვის ბედნიერი ცხოვრების შექმნა. განა ძნელია მიხვდე, რომ ისინი, ვინც მშრომელთა მხარეზე არ იბრძვის, არსებითად ბურჟუაზიას ეხმარებიან. ვინც მუშებისა და გლეხების მხარდამხარ არ მიდის, ის გარდუვალად მათი მოწინააღმდეგეა. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ, ამხანაგებო! (ტაში).

გვხვდებოდნენ და ახლაც გვხვდებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ეთანხმებიან კომუნიზმის იდეას, ზოგჯერ კიდევაც იცავენ მას, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ, ფეხებში ებანდებიან მებრძოლებს, თავგზა ებნევათ და სხვებსაც თავგზას ურევენ.

რევოლუცია კეთილ-კეთილი სურვილები როდია, ეს მკაცრი და მწვავე ბრძოლაა. რევოლუციისათვის ბრძოლა საჭიროა არა მარტო რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის მონაპოვართა განმტკიცების პერიოდშიც კომუნიზმის საბოლოო აშენებამდე. აქ არ კმარა მარტოოდენ რეფერატები, ლექციები, მოხსენებები, საჭიროა სროლაში მონაწილეობაც, როცა ამას გარემოება მოითხოვს.

მერყევი ადამიანები კლასთა ბრძოლის რთულ პირობებში, ზოგჯერ თავისდაუნებურად, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. მოგაგონებთ ასეთ შემთხვევას, რომელიც ა. ვ. ლუნაჩარსკის გადახდა. იმით შეშინებული, რომ შეიარაღებული მუშების მიერ მტრისათვის დაშენილი ტყვია ისტორიულ ძეგლებს მოხვდებოდა და დააზიანებდა, იგი ვ. ი. ლენინთან მივიდა, საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოთქვა და კიდევაც იმუქრებოდა საბჭოთა მთავრობის შემადგენლობიდან გამოვალო. ვლადიმერ ილიას-ძემ სასაცილოდ აიგდო ეს ობივატელური წარმოდგენა რევოლუციაზე. შემდეგ ლუნაჩარსკი ამას თვითონაც მიხვდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამხანაგ ერენბურგზე. იყო დრო, როცა ამხანაგი ერენბურგი პარიზში ჩავიდა ვ. ი. ლენინთან. ლენინმა, როგორც თვითონ ერენბურგი წერს, თანაგრძნობით მიიღო იგი. ამხანაგი ერენბურგი პარტიაშიც კი შევიდა, ხოლო შემდეგ ჩამოსცილდა მას. უშუალო მონაწილეობა სოციალისტურ რევოლუციაში მას არ მიუღია და, როგორც ჩანს, გარეშე მაყურებლის პოზიცია ეკავა. ვფიქრობ, სიმართლეს არ დავამახინჯებ, თუ ვიტყვი, რომ ასეთივე პოზიციებიდან აფასებს ამხანაგი ერენბურგი ჩვენს რევოლუციას და სოციალისტური მშენებლობის მთელ შემდგომ პერიოდს თავის მემუარებში: „ადამიანები, წლები, ცხოვრება".

საბჭოთა მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, თვითეული შემოქმედებითი მუშაკის უმაღლესი მოვალეობაა იყოს კომუნიზმის მშენებელთა რიგებში, ემსახუროს თავისი ნიჭით ჩვენი პარტიის დიად საქმეს, იბრძოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა ორ შეურიგებელ იდეოლოგიას შორის — სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის.

ხელოვნის ამოცანაა აქტიურად შეუწყოს ხელი თავისი ნაწარმოებებით კომუნისტური იდეების დამკვიდრებას, გამანადგურებელ ლახვარს სცემდეს სოციალიზმისა და კომუნიზმის მტრებს, იბრძოდეს იმპერიალისტების, კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ხელოვნების ამოცანების პატრიოტული, პარტიული გაგების შესანიშნავი ძაგალითია ჩვენი გამოჩენილი მწერლის, მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის შემოქმედება. ავიღოთ მისი რომანები „წყნარი დონი" და „გატეხილი ყამირი", მოთხრობა „ბედი კაცისა", თავები რომანიდან „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ". ეს არის უდიდესი ძალის მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გამსჭვალულია რევოლუციური პათოსით, კომუნისტური პარტიულობითა და რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით. ამხანაგი შოლოხოვი თვითონ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ბრძოლაში სამოქალაქო ომის დროს, კულაკობის, როგორც უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში, და ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში. იგი ამ ბრძოლებში მონაწილეობდა არა როგორც მეთვალყურე, არამედ როგორც მეომარი, და მშვიდობიან დროს იგი ასეთივე მებრძოლია მშრომელთა ბედნიერებისათვის. (მქუხარე ტაში).

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვს აქვს უდიდესი ნიჭი ღრმად ჩასწვდეს საზოგადოებრივი მოვლენებისა და ამბების არსს, კარგად ხედავდეს [illegible] გამოიცნოს მტრები და ნიჭიერად, პარტიული პოზიციებიდან ასახოს რეალური ცხოვრების შთამბეჭდავი სურათები. დიდი სიყვარულით გვიხატავს იგი თავის ნაწარმოებებში კომუნისტებს, შრომის ადამიანებს.

შეურიგებელი კლასობრივი სიძულვილით ამხილებს და ურტყამს იგი ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების მტრებს. რა მკაფიოდ და დამაჯერებლად ხატავს ფიცხელი ბრძოლების სურათებს! თუ ხმალდახმალ ბრძოლაა, იბრძვიან ისე, რომ ხმლებს ნაპერწკლები სცვივა, იბრძვიან სამართლიანი სახალხო საქმისათვის, და ეს საქმე იმარჯვებს.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის შემოქმედების მაგალითით ყველა ხედავს, რომ მწერლის კომუნისტური პარტიულობა არა მარტო არ ბოჭავს მისი მხატვრული ინდივიდუალობის გამოვლინებას, არამედ, პირიქით, აქტიურად უწყობს ხელს ტალანტის გაფურჩქვნას და აჰყავს მისი ნაწარმოებები უმაღლესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონემდე.

ჩვენ ხელოვნებაში კლასობრივ პოზიციებზე ვდგავართ და გადაჭრით გამოვდივართ სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის წინააღმდეგ. ხელოვნება იდეოლოგიის სფეროს ეკუთვნის. და ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელოვნებაში შეიძლება ერთმანეთს შეეგუოს სოციალისტური რეალიზმიც, ფორმალისტური, აბსტრაქციონისტული მიმდინარეობებიც, გარდუვალად ეშვებიან იდეოლოგიის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენთვის უცხო პოზიციებზე. ასეთ განწყობილებებს წავაწყდით ამ უკანასკნელ ხანებში. ამ ანკესს, სამწუხაროდ, წამოეგო ზოგიერთი კომუნისტიც — მწერლები და მხატვრები, ასე განსინჯეთ, შემოქმედებითი ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწეც კი. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი უპარტიოები, როგორიც არის, მაგალითად, ამხ. ლ. სობოლევი, მტკიცედ იცავენ პარტიულ ხაზს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ამას წინათ ამხ. ი. ერენბურგი ამბობდა, თანაარსებობის იდეა წერილში ხუმრობის სახით არის გამოთქმულიო. ვთქვათ, რომ ასეც არის. მაგრამ მაშინ ეს ბოროტი ხუმრობაა. იდეოლოგიის დარგში ასე ხუმრობა არ შეიძლება. მოდით, გავერკვეთ, რა მოხდებოდა ნამდვილად საბჭოთა ხელოვნებაში, გამარჯვება რომ დარჩენოდათ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სხვადასხვა იდეური მიმართულების მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეებს. უწინარეს ყოვლისა იერიშს მიიტანდნენ ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე სოციალისტური ხელოვნების დარგში. ბრძოლის ლოგიკით საეჭვოა, რომ საქმე ამით დამთავრებულიყო. გამორიცხული არ არის, რომ ეს ადამიანები, როცა ძალებს მოიკრებდნენ, შეეცდებოდნენ რევოლუციურ მონაპოვართა წინააღმდეგ გამოსვლას.

მე ერთხელ უკვე ვთქვი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიის დარგში მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ღალატია, მუშათა და გლეხთა საქმისადმი ღალატია. საბჭოთა საზოგადოება ახლა ისეთ ეტაპზეა, როცა მიღწეულია სრული, მონოლითური ერთიანობა ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერისა, ხალხის ყველა ფენის — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნიზმს ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ხალხი და პარტია არ შეურიგდებიან ამ მონოლითური ერთიანობის რაიმე ხელყოფას. ასეთი ხელყოფის ერთ-ერთი გამოვლინებაა იმის ცდა, რომ თავს მოგვახვიონ იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობა. აი რატომ ვუშენთ ცეცხლს ამ გამხრწნელ იდეებსაც და ამ იდეების მატარებლებსაც. და ამაში, იმედი მაქვს, ჩვენ ყველანი ერთსულოვანი ვართ. (ხანგრძლივი ტაში).

ხოლო იმათ, ვინც ჯერ კიდევ ცდება, ჩვენ მოვუწოდებთ ჩაუფიქრდნენ, გაერკვნენ თავიანთ შეცდომებში, გაიგონ ამ შეცდომების ბუნება და სათავეები, დაძლიონ თავიანთი შეცდომები და პარტიასთან ერთად, საერთო მწყობრში, მარქსიზმ-ლენინიზმის წითელი დროშით აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობაში, ამრავლონ სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბსტრაქციონიზმი, ფორმალიზმი, სოციალისტურ ხელოვნებაში, რომლის არსებობის უფლებისათვისაც იბრძვიან ცალკეული მისი ქომაგნი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმაა. სამწუხაროა, რომ ეს არ ესმის ზოგიერთ, მათ შორის ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულ შემოქმედებითს მუშაკს.

ამხანაგ ერენბურგის მემუარებში არის ასეთი ადგილი. მომყავს იგი: „იყო უამრავი ლიტერატურული სკოლა: კომფუტები, იმაჟინისტები, პროლეტკულტელები, ექსპრესიონისტები, ფუისტები, უსაგნურობის მიმდევარნი, პრეზენტისტები, აქციდენტისტები და არაფრელებიც კი. რა თქმა უნდა, ცოტა სისულელეს როდი ამბობდა ზოგიერთი თეორეტიკოსი... მაგრამ მე მინდა დავიცვა ის შორეული დრო".

როგორც ჩანს, მემუარების ავტორი დიდი სიმპათიით ეპყრობა ევროპული ბული „მემარცხენე" ხელოვნების წარმომადგენლებს და ამოცანად ისახავს ამ ხელოვნების დაცვას. საკითხავია — ვისგან იცავს? ჩანს, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური კრიტიკისაგან. რისთვის შვრება ამას? ეტყობა, იმისათვის, რომ დაიცვას ჩვენს თანამედროვე ხელოვნებაში ასეთ ან მსგავს მოვლენათა არსებობის შესაძლებლობა. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ გვეცნო სოციალისტური რეალიზმისა და ფორმალიზმის თანაარსებობა. ამხანაგი ერენბურგი უხეშ იდეოლოგიურ შეცდომას სჩადის, და ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ მას, რომ ეს შეიგნოს.

ჩვენს ამასწინანდელ შეხვედრაზე გამოვიდა და აბსტრაქციონიზმი დაიცვა ამხანაგმა ევტუშენკომ. იგი ცდილობდა თავისი პოზიცია იმით დაესაბუთებინა, რომ კარგი ადამიანები არიან რეალისტებს შორისაც და ფორმალისტებს შორისაც. ამასთან დაიმოწმა მაგალითი ორი კუბელი მხატვრის ცხოვრებიდან, რომლებსაც სრულიად სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ ხელოვნებაზე, მაგრამ შემდეგ დაიღუპნენ ერთ სანგარში, როცა რევოლუციისათვის იბრძოდნენ. ასეთი ფაქტი ცხოვრებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორც კერძო შემთხვევა.

შეიძლება მოვიყვანოთ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის მაგალითი. სამოქალაქო ომის შემდეგ ქალაქ არტემოვსკში, უკრაინაში, აშენდა მახინჯი ფორმალისტური ძეგლი, რომლის ავტორი იყო მოქანდაკე კუბისტი კავალერიძე. ეს საშინელი სანახაობა იყო, კუბისტები კი აღტაცებულნი იყვნენ (ომის წლებში ძეგლი დაინგრა). ფორმალისტური ძეგლის ავტორი ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა და ულირსად იქცეოდა. ასე რომ ამხ. ევტუშენკოს მიერ მოყვანილი მაგალითი მის შეხედულებათა სერიოზულ არგუმენტად არ გამოდგება.

ამხ. ევტუშენკოს პოზიცია აბსტრაქციონიზმის მიმართ არსებითად ემთხვევა შეხედულებებს, რომლებსაც ამხ. ერენბურგი იცავს. პოეტს, ჯერ ახალგაზრდა კაცს, ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ესმის ჩვენი პარტიის პოლიტიკაში, მერყევი და ცვალებადი შეხედულებები აქვს ხელოვნების საკითხებზე. მაგრამ მისი გამოსვლა იდეოლოგიური კომისიის სხდომაზე გვარწმუნებს, რომ იგი შეძლებს გადალახოს ეს მერყეობა. მინდა ვურჩიო ამხ. ევტუშენკოს და სხვა ახალგაზრდა ლიტერატორებს გაუფრთხილდნენ მასების ნდობას, ნუ გამოეკიდებიან იაფფასიან სენსაციას. ნუ შეეგუებიან იზიარებელთა განწყობილებებსა და გემოვნებას. (ხანგრძლივი ტაში). ნუ შეგრცხვებათ, ამხ. ევტუშენკო, აღიაროთ თქვენი შეცდომები. ნუ შეშინდებით იმის გამო, თუ რას იტყვიან თქვენზე მტრები. თქვენ ნათ-

ლად უნდა შეიგნოთ, რომ თუ ჩვენ გაკრიტიკებთ პრინციპული პოზიციებიდან გადახვევისათვის, მოწინააღმდეგენი თქვენს ქებას იწყებენ. თუ ჩვენი საქმის მოწინააღმდეგენი გაქებ-გადიდებენ მათთვის სასურველი ნაწარმოებისათვის, ხალხი სამართლიანად გაგაკრიტიკებთ. მაშ აირჩიეთ, რა გირჩევნიათ. (ტაში).

კომუნისტური პარტია იბრძვის და იბრძოლებს აბსტრაქციონიზმისა და ყოველგვარი სხვა ფორმალისტური სიმახინჯის წინააღმდეგ ხელოვნებაში. ჩვენ ნეიტრალური ვერ ვიქნებით ფორმალიზმის მიმართ. როცა ამერიკაში ვიყავი, ვიღაცა მხატვრებმა — არ ვიცი, ცნობილი არიან თუ არაცნობილი, — მაჩუქეს სურათი. გუშინ გაჩვენეთ ეს ნათხუპნი. როგორც ჩანს, ეს ხალხი ჩემი მტრები არ არიან, თორემ არ მომიძღვნიდნენ თავიანთი შრომის ნაყოფს. მაგრამ მე ამ პირობებშიც კი ვერ ვიტყვი, რომ მოძღვნილი საჩუქარი სახვითი ხელოვნების უმაღლესი შედევრი ან საერთოდ შედევრი იყოს.

მითხარით, რა არის აქ გამოსახული? ამბობენ, ხიდიდან ქალაქის ხედია დახატულიო. როგორც უნდა დააკვირდე, ვერაფერს დაინახავ, გარდა სხვადასხვა ფერის ზოლებისა. და ამ ნათხუპნს სურათს უწოდებენ!

კიდევ ერთი ასეთი „შედევრი". ჩანს ოთხი თვალი, შეიძლება მეტიც იყოს. ამბობენ, ეს სურათი საშინელებას, შიშს გამოხატავსო. რა სიმახინჯემდე მიჰყავთ ხელოვნება აბსტრაქციონისტებს! ეს ამერიკული ფერწერის ნიმუშებია.

აი რამდენიმე შემთხვევა ჩვენი არქიტექტურული ხელოვნების დარგიდან. მოსკოვში, სოკოლნიკში, არის რუსაკოვის სახელობის კლუბი, რომელიც აშენებულია არქიტექტორის ამხანაგ მელნიკოვის პროექტით. ეს მახინჯი, მოუხერხებელი, რაღაც ეშმაკეული ნაგებობაა. (გამოცოცხლება დარბაზში). მაგრამ თავის დროზე მას გვთავაზობდნენ როგორც პროგრესულ სიახლეს.

არქიტექტურაში ფორმით უგუნური გატაცების ნიმუშია მოსკოვის საბჭოთა არმიის თეატრიც, რომელიც აგებულია არქიტექტორების ალაბიანისა და სიმბირცევის პროექტით. კაგანოვიჩმა არქიტექტორებს თავს მოახვია სულელური იდეა აეშენებინათ თეატრი ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით. ერთია ხუთქიმიანი ვარსკვლავი, როგორც სიმბოლო, როგორც ემბლემა, სხვა რამეა პრაქტიკული დანიშნულების შენობა, რომელიც აგებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით. რამდენია აქ უმაქნისი კუთხე, უსარგებლო ფართობი!

საბჭოთა არმიის თეატრი, როგორც ჩანს, ყველაზე უგუნურად აშენებული ნაგებობაა. საქმე ასე იყო: კაგანოვიჩმა თავისი იდეა სტალინს გააცნო, იგი მას მოეწონა და გადაწყდა ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახის შენობის აგება. ამ ვარსკლავს ვერავინ ვერ ხედავს და ვერც დაინახავს: მას უნდა ციდან შეხედოთ. (სიცილი დარბაზში). სულელური იდეაა. ეს ხელოვნებასა და ცხოვრებაში სილამაზის და გონიერების უმწიფარი წარმოდგენების ნაყოფია.

ყოვლად გაუგებარია, რატომ, რისთვის სულელობენ, იმანჭებიან გონიერი, განათლებული ადამიანები და ხელოვნების ნაწარმოებად ასაღებენ უაზრო ნაკეთობებს. მათი გარემო ცხოვრება კი აღსავსეა ბუნებრივი, მომხიბლავი სილამაზით.

ახალი წლის წინა დღეს ქალაქგარეთ ვიყავი და მოსკოვში ვბრუნდებოდი. 31 დეკემბერს დილიდან მთელი დღე ტყეში გავატარე. ეს პოეტური დღე, რუსული ზამთრის ულამაზესი დღე იყო, სწორედ რუსული ზამთრისა, იმიტომ რომ ყველგან როდი იცის ისეთი ზამთარი, როგორიც ჩვენში, რუსეთში. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნული კი არა, კლიმატური, ბუნებრივი მოვლენაა, ისე რომ გთხოვთ სწორად გაიგოთ ჩემი სიტყვები. (სიცილი დარბაზში, ტაში).

ძალიან ლამაზი იყო იმ დღეს ტყე. მის სილამაზეს ის შეადგენდა, რომ ტყე დათრთვილული იყო. მახსოვს, სიჭაბუკეში ჟურნალ „ოგონიოკში" წავიკითხე რაღაც მოთხრობა, ვერ გავიხსენე ამ მოთხრობის ავტორი, მოთხრობაში იყო ასეთი სიტყვები: „მშვენიერი ვერცხლისფრად მბზინავი ჩრდილები". ავტორი აღწერდა ზამ-

თრის სამკაულით შემოსილ ბალს. მოთხრობა, ეტყობა, კარგად იყო დაწერილი, ან შეიძლება მაშინ მე უფრო ნაკლებად მომთხოვნელი ვიყავი ლიტერატურისადმი, მაგრამ მოთხრობა მომეწონა და ახლაც კარგად მახსოვს შთაბეჭდილება, რაც მან ჩემზე მოახდინა. განსაკუთრებით მომეწონა დათოვლილი ხეების აღწერა.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ზამთრის ტყემ ახალი წლის წინა დღეს, იმდენად მშვენიერი იყო იგი. შეიძლება, ჩრდილები ვერცხლისფრად არც კი ბზინავდა, მე სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვთქვა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ტყემ მოახდინა. მე ვხედავდი მზის ამოსვლას, თრთვილით დაფარულ ტყეს. ამ სილამაზეს მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ტყეში და უნახავს ასეთი ცოცხალი სურათები. მხატვრის უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მას შეუძლია თვითონ წარმოსახოს მომხიბლავი სურათები, მაგრამ ეს ნიჭი ყველას როდი აქვს მომადლებული.

მე თანამგზავრებს ვუთხარი: შეხედეთ ამ ნაძვებს, მათს სამკაულს, ამ ფიფქებს, რომლებიც ციმციმებდნენ და ბრჭყვიალებდნენ მზის სხივებზე, რა საოცრად ლამაზია! და აი მოდერნისტებს, აბსტრაქციონისტებს სურთ ეს ნაძვები თავდაყირა დახატონ და ამბობენ, ეს ხელოვნებაში ახალი პროგრესული მოვლენაა.

შეუძლებელია, რომ ასეთი ხელოვნება ოდესმე აღიარონ ნორმალურმა ადამიანებმა, რომ ადამიანები მოკლებული იყონ შესაძლებლობას დატკბნენ ბუნების წარმტაცი სურათებით, რომლებიც წარმოსახულია მხატვართა ქმნილებებში, ჩვენს კლუბებს, კულტურის სახლებსა და ბინებს რომ ამშვენებენ.

შეიძლება ზოგიერთმა თქვას, ხრუშჩოვი ხელოვნებაში ფოტოგრაფიზმისაკენ, ნატურალიზმისაკენ მოგვიწოდებსო. არა, ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ მკაფიო მხატვრული შემოქმედებისაკენ, რომელიც სიმართლით წარმოსახავს რეალურ სამყაროს, მთელ მის მრავალფეროვნებას. მხოლოდ ასეთი ხელოვნება გაახარებს და დაატკბობს ადამიანებს. ადამიანი არასოდეს არ დაკარგავს მშვენიერების შეგრძნების უნარს და არ შეურიგდება, რომ ხელოვნების ნაწარმოებად შეატყუონ ბინძური ნათხუპნი, რომელიც ყოველ ვირს შეუძლია შეთითხნოს თავისი კუდით. (ტაში).

უეჭველია, ხალხი თავის წიაღში პპოვებს ძალას საკადრისი პასუხი გასცეს ამგვარ „ნოვატორებს". და ისინი მათგან, ვისაც გონება არ დაუკარგავს, ჭკუაზე მოვლენ და ხალხისადმი სამსახურის გზას დაადგებიან, შექმნიან სიხარულით აღსავსე მხატვრულ ტილოებს, რომლებიც შრომისათვის მოგვიწოდებენ.

გაუგებარია, რატომ ნათლავენ ფორმალიზმის, აბსტრაქციონიზმის მომხრენი კონსერვატორებად ხელოვნების იმ მუშაკებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგანან, ხოლო რატომ მიაჩნიათ აბსტრაქციონისტები ხელოვნებაში მოწინავის წარმომადგენლებად. არის თუ არა ამის საფუძველი? ვფიქრობ, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არის, და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ფორმალიზმი და აბსტრაქციონისტული ჯამბაზობა უცხო და გაუგებარია ხალხისათვის. ხოლო ყველაფერი, რაც უცხოა ხალხისათვის, რასაც მხარს არ უჭერს ხალხი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მოწინავე იყოს!

ამას წინათ მხატვარმა ა. ი. ლაქტიონოვმა „პრავდაში" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გამოხატა თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება აბსტრაქციონისტული ხელოვნებისადმი. აბსტრაქციონისტებმა და მათმა მფარველებმა გალანძღეს ეს სტატია იმისათვის, რომ თითქოს იგი მიძღვნილია კონსერვატიული მიმართულებისადმი ხელოვნებაში. და ეს ადამიანები აუგად იგდებენ ამხ. ლაქტიონოვის ფერწერას, როგორც ნატურალისტურს.

მოდით შევადაროთ ფერწერის ორი ნაწარმოები — ა. ლაქტიონოვის ავტოპორტრეტი და ბ. ჟუტოვსკის ავტოპორტრეტი. რასაც უნდა ფიქრობდნენ და რასაც უნდა ამბობდნენ ზოგნი ამის შესახებ, ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი-

სათვის, რომელსაც გაფუჭებული არა აქვს გემოვნება, ცხადია, რომ მხატვარ ლაქტიონოვის სურათი გვიზიდავს თავისი ადამიანურობით და იწვევს პატივისცემას ადამიანისადმი. ამ სურათს რომ უყურებ, მზერით ტკბები და ხარობ ადამიანისათვის.

ხოლო ვინ წარმოსახა ბ. ჟუტოვსკიმ? მახინჯი! ამ ავტოპორტრეტს რომ ნახავთ, შეიძლება შეშინდეთ. როგორ არ რცხვენია ადამიანს ხარჯოს თავისი ძალღონე ასეთი უმსგავსოებისათვის! ეს როგორ, ადამიანმა დაამთავრა საბჭოთა საშუალო სკოლა, ინსტიტუტი, მასზე ხალხის ფული დაიხარჯა, იგი ხალხის პურს ჭამს. მერე რით უხდის სამაგიეროს ხალხს, მუშებსა და გლეხებს იმ სახსრებისათვის, რაც მათ დახარჯეს მისი განათლებისათვის, იმ სიკეთისათვის, რასაც ისინი აძლევენ მას ამჟამად, — აი ასეთი ავტოპორტრეტით, ამ სისაძაგლითა და საშინელებით? ზიზღს იწვევს ასეთი ბინძური ნათხზანი და ზიზღს იწვევენ ისინი, ვინც ამას იცავს.

რა საგინებელი სიტყვითაც უნდა იხსენიებდნენ იმ მხატვართა შემოქმედებას, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგანან, და როგორადაც უნდა აქებ-ადიდებდნენ აბსტრაქციონისტებსა და ყველა სხვა ფორმალისტებს,— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ნათლად ესმის, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნამდვილ მხატვრებთან, ნამდვილ ხელოვნებასთან, მეორე შემთხვევაში კი — დამახინჯებულ ადამიანებთან, რომლებსაც როგორც იტყვიან, ტვინი აქვთ შეძრწობი, უხამს ხალტურასთან, რომელიც შეურაცხყოფს ადამიანთა გრძნობებს. (ტაში).

საბჭოთა საზოგადოება იშორებს ყოველივე მკვდრადშობილს ხელოვნებაში, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი იშორებს ხოლმე გარდაცვლილ, მკვდარ უჯრედებს.

ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება მუსიკალური შემოქმედების მიზანდასახულობის შესახებ. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ რაიმე განმსჯელნი ან ვიდგეთ პულტთან და ვდირიჟორობდეთ კომპოზიტორებს.

მუსიკაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, ბევრი სხვადასხვა ჟანრი, სტილი, ფორმაა. არავინ სრულებითაც არ კრძალავს რომელიმე ამ სტილს და ჟანრს. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დამოკიდებულება მუსიკისადმი, მისი ამოცანებისადმი და მუსიკალური შემოქმედების მიზანდასახულობისადმი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა მელოდიური, შინაარსიანი მუსიკა, რომელიც აღაფრთოვანებს ადამიანებს, წარმოშობს მძლავრ გრძნობებს, და ვიბრძვით ყოველნაირი კაკოფონიის წინააღმდეგ.

ვინ არ იცის სიმღერები ბუდიონის არმიაზე! ბევრი კარგი სიმღერა დაწერეს კომპოზიტორებმა — ძმებმა პოკრასებმა. მე ძალიან მომწონს მათი სიმღერა მოსკოვზე, რომელიც, გალიარებ, დაწერილია ჩვენი შეკვეთით, როცა მე პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი ვიყავი. მახსოვს, შევიკრიბეთ მოსკოვის კომიტეტში, და ერთ-ერთმა მათგანმა პირველად გვიმღერა ეს სიმღერა. იგი კარგი მომღერალი ვერ არის, მაგრამ მუსიკა ძმებმა პოკრასებმა კარგი დაწერეს.

ანდა როგორ გვაღელვებს ძველი რევოლუციური სიმღერები, ისეთები, როგორიც არის „Замучен тяжелой неволей", „ვარშავიანკა"! ვინ არ იცის „ინტერნაციონალი"? რამდენი წელია ვმღერით ამ სიმღერას, იგი მუშათა კლასის საერთაშორისო ჰიმნი გახდა. რა რევოლუციურ აზრებსა და გრძნობებს გვიღვიძებს იგი, აღანთებს ადამიანს, რაზმავს მას მშრომელთა მტრების წინააღმდეგ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა გლინკას მუსიკას ვუსმენ, ყოველთვის სიხარულის ცრემლი მომდის თვალზე.

შეიძლება, ეს არ არის მოდური, ძველებურია, მე კი ასაკით ახალგაზრდა აღარა ვარ, მაგრამ მომწონს, როცა დავით ოისტრახი უკრავს ვიოლინოს; ძალიან მომწონს აგრეთვე, როცა გამოდის დიდი თეატრის მევიოლინეთა კოლექტივი, მე არ ვიცი, რა ჰქვია ამ კოლექტივს პროფესიულ ენაზე. ბევრჯერ მომისმენია მისი გამოსვლები და ყოველთვის დიდი სიამოვნება მიგრძვნია.

რასაკვირველია, არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ მუსიკის ჩემეული აღქმა რაიმე ნორმა გახდეს ყველასათვის. მაგრამ ხომ არ შეგვიძლია წავაქეზოთ ის, ვინც ბგერების კაკოფონიას ნამდვილ მუსიკად ასაღებს, ხალხის საყვარელ მუსიკას კი ზოგნი აბუჩად იგდებენ, როგორც მოძველებულს.

ყოველ ხალხს აქვს თავისი ტრადიცია მუსიკაში და უყვარს თავისი ეროვნული, ხალხური მელოდიები და სიმღერები. მე რუსულ სოფელში დავიბადე, რუსულ და უკრაინულ ხალხურ მუსიკაზე, მის მელოდიებსა და ხალხურ სიმღერებზე აღვიზარდე. დიდ სიამოვნებას განვიცდი, როცა ვისმენ სოლოვიოვ-სედოის სიმღერებს, კომპოზიტორ კოლმანოვსკის სიმღერას „უნდათ თუ არა რუსებს ომი", რომლის ტექსტი პოეტ ევტუშენკოს ეკუთვნის. ძალიან მომწონს უკრაინული სიმღერებიც; მიყვარს სიმღერა „რუშნიჩოკი", რომელიც ანდრია მალიშკოს ტექსტის მიხედვით დაწერა კომპოზიტორმა პ. მაიბოროდამ. ისმენ ამ სიმღერას და გინდა კიდევ მოისმინო. ჩვენში ბევრია კარგი კომპოზიტორი, და ბევრი კარგი სიმღერა დაგვიწერეს, მაგრამ მე, როგორც გაიგებთ, არ შემიძლია ყველა ჩამოვთვალო ჩემს გამოსვლაში.

მუსიკალურ შემოქმედებაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ჯაზური მუსიკითა და ჯაზებით გატაცება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი მუსიკისა ჯაზებისათვის. სხვადასხვაგვარი არის ხოლმე ჯაზები და სხვადასხვაგვარია მათი მუსიკა. დუნაევსკი ჯაზებისთვისაც კარგ მუსიკას წერდა. მე მომწონს ზოგიერთი სიმღერა იმ ჯაზის შესრულებით, რომელსაც ლეონიდ უტიოსოვი ხელმძღვანელობს. მაგრამ არის ისეთი მუსიკაც, რომელიც გულ-ღვიძლს გირევს.

რესპუბლიკის სფსრ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის შემდეგ ამხანაგმა შოსტაკოვიჩმა მიგვიწვია კონცერტზე კრემლის თეატრში. თუმცა ჩვენ ძალიან მოუცლელი ვიყავით, მაგრამ წავედით მუსიკის მოსასმენად. გვითხრეს, კონცერტი საინტერესო იქნებაო. და იქ მართლაც, როგორც დავრწმუნდით, იყო საინტერესო ნომრები. მაგრამ შემდეგ რატომღაც გამოუშვეს ერთი ჯაზი, მეორე, მესამე, შემდეგ სამივე ერთად. ჯერ კარგიც რომ იყოს, თუ ბევრია, ძნელი მოსასმენი ხდება, ხოლო ჯაზური მუსიკის ასეთი ნიაღვარი მთლად აუტანელი იყო. დაიმალებოდი, მაგრამ სად.

მუსიკა, რომელშიც არ არის მელოდიები, გაღიზიანების გარდა არაფერს არ იწვევს. ამბობენ, ეს იმიტომ ხდება, რომ არ გესმითო. მართლაც, არის ხოლმე ისეთი ჯაზური მუსიკა, რომ მისი გაგება არ შეიძლება და მოსასმენადაც საზიზღარია.

აღშფოთების გრძნობას იწვევს ზოგიერთი ეგრეთწოდებული თანამედროვე ცეკვა, რომელიც დასავლეთიდან შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში. ბევრი მიმოგზაურია ჩვენს ქვეყანაში. მინახავს რუსული, უკრაინული, ყაზახური, უზბეკური, სომხური, ქართული და სხვა ცეკვები. ეს ლამაზი ცეკვებია, სასიამოვნოა მათი ყურება. ის კი, რასაც თანამედროვე მოდურ ცეკვებს უწოდებენ, პირდაპირ რაღაც უხამსობა, გაშმაგებაა, ეშმაკმა უწყის, რა არის! ამბობენ, ასეთ უხამსობას მარტო ტრიასუნების სექტებში თუ ნახავო. არ შემიძლია დავადასტურო, ვინაიდან

თვითონ არასოდეს არ ვყოფილვარ ტრიასუნების თაყვრილობაზე. (სიცილი დარბაზში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე, შემოქმედებით მუშაკთა შორის არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც საგულდაგულოდ ასაბუთებენ, თითქოს მელოდიამ მუსიკაშიც არსებობის უფლება დაკარგა და იგი უნდა შეცვალოს „ახალმა" მუსიკამ — „დოდეკაფონიამ", ჩქამების მუსიკამ. ნორმალური ადამიანისათვის ძნელია გაიგოს, რას გულისხმობენ სიტყვა „დოდეკაფონიით", მაგრამ ალბათ ეს იმასვე ნიშნავს, რასაც სიტყვა „კაკოფონია". აი სწორედ ამ კაკოფონიას მუსიკაში პირწმინდად უარვყოფთ. ჩვენს ხალხს არ შეუძლია გამოიყენოს ეს ნაგავი თავის იდეური შეიარაღებისათვის.

შეძახილები: სწორია! (ტაში).

ჩვენ გვინდა შთამაგონებელი მუსიკა, რომელიც მოგვიწოდებს მხედრული გმირობისა და შრომისათვის. ჯარისკაცი, როცა საბრძოლველად მიდის, იღებს იმას, რაც სჭირდება, და ორკესტრს არასოდეს არ ტოვებს. ლაშქრობაში ორკესტრი ალაფრთოვანებს ადამიანებს. ასეთი ორკესტრებისათვის მუსიკის შექმნა შეუძლიათ და კიდევაც ქმნიან კომპოზიტორები, რომლებიც დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, არ სწყდებიან ცხოვრებას, ხალხის ბრძოლას, და რომლებსაც მხარს უჭერს ხალხი.

ჩვენი პოლიტიკა ხელოვნებაში, პოლიტიკა შეურიგებლობისა აბსტრაქციონიზმისადმი, ფორმალიზმისა და ყველა სხვა ბურჟუაზიული დამახინჯებისადმი ლენინური პოლიტიკაა, რომელსაც ჩვენ განუხრელად ვახორციელებდით, ვახორციელებთ და განვახორციელებთ. (ტაში).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ხალხის ინტერესებს.

ეგრეთწოდებულ მემარცხენე ხელოვნებას, რომელსაც ზოგიერთნი ხოტბას ასხამენ, ვლადიმერ ილიას-ძე ყოვლად უაზრო მანჭვა-გრეხას, ზებუნებრივსა და შეუსაბამოს უწოდებდა. ახლა ვრცელდება მითი, ვითომ ლენინი შეწყნარებითა და თანაგრძნობითაც კი ეკიდებოდა ფორმალისტურ ვარჯიშს ხელოვნებაში. ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებათა შესახებ სიცრუის გავრცელების მონაწილეა, სამწუხაროდ, ამხ. ერენბურგიც. თავის მემუარებში იგი წერს: „ა. ვ. ლუნაჩარსკი მიამბობდა, რომ, როცა მან ჰკითხა ლენინს, შეიძლება თუ არა მივანდოთ „მემარცხენე" მხატვრებს წითელი მოედნის მორთვა საპირველმაისოდ, ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა: „მე ამის სპეციალისტი არა ვარ, არ მინდა თავს მოვახვიო სხვებს ჩემი გემოვნება".

აქ ამხ. ერენბურგი აგრძნობინებს მკითხველს, თითქოს ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა სხვადასხვა იდეური მიმართულების თანაარსებობა საბჭოთა ხელოვნებაში.

სწორი არ არის ეს, ამხანაგო ერენბურგო! თქვენ კარგად იცით, რომ სწორედ ლენინმა წამოაყენა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურობისა და პარტიულობის პრინციპი. შემდეგ ამას მხურვალედ დაუჭირეს მხარი გორკიმ და სხვა მწერლებმა, რომლებიც მტკიცედ დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პოზიციაზე, მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის პოზიციაზე, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პოზიციაზე.

პარტიულობისათვის, იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი დიდად აფასებდა მაქსიმ გორკის მოთხრობა „დედას".

მხატვრულ ნაწარმოებთა ძალა მხატვრული ოსტატობა, იდეური პოზიციების სიცხადე და გარკვეულობაა, მაგრამ თურმე ეს ყველას როდი მოსწონს. ზოგჯერ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ სიცხადეზე იერიში მიაქვთ რიტორიკულობისა და დამრიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მომიზეზე-

ბით. ყველაზე აშკარა ფორმით ასეთი განწყობილებანი გამოვლინდა ნეკრასოვის წერილებში „ოკეანის ორივე მხარეს", რომლებიც ჟურნალ „ნოვი მირში" დაიბეჭდა. აფასებს რა ფილმ „ილიჩის საგუშაგოს", რომელიც ეკრანზე ჯერ კიდევ არ გამოსულა, იგი წერს: „უსაზღვროდ მადლობელი ვარ ხუციევის და შპალიკოვისა, რომ მათ ჭაღარა ულვაშით არ გამოატრიეს ეკრანზე ყოვლისმცოდნე, ყველაფერზე ზუსტი, გარკვეული პასუხის გამცემი ძველი მუშა. ის რომ ასეთი მკუისდამრიგებელი სიტყვებით გამოჩენილიყო, სურათი დაიღუპებოდა".

შეძახილები: სირცხვილია!

და ამას წერს საბჭოთა მწერალი საბჭოთა ჟურნალში! არ შეიძლება აღუშფოთებლად წაიკითხოთ ძველ მუშაზე ასეთი რამ, რაც დაწერილია ბატონ-კაცური აგდებული ტონით. ვფიქრობ, რომ ამგვარი საუბრის ტონი სრულიად დაუშვებელია საბჭოთა მწერლისათვის.

თანაც ჩემს მიერ დასახელებულ წერილებში გამოხატულია დამოკიდებულება არა მარტო ხელოვნების კერძო შემთხვევისადმი, არამედ გამოცხადებულია ჩვენი ხელოვნებისათვის სრულიად მიუღებელი პრინციპი. და არ შეიძლება გადაჭრით არ უარვყოთ ეს.

## ლენინური პარტიის ხელმძღვანელობა ყველა ჩვენი წარმატების საწინდარია

ცალკეულ მუშაკებს შორის შეიძლება გაიგონოთ ლაპარაკი პიროვნების რაღაც აბსოლუტურ თავისუფლებაზე. არ ვიცი, რას გულისხმობენ აქ. მაგრამ მიმაჩნია, რომ პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება არასოდეს, კომუნიზმის დროსაც კი არ იქნება. „ჩვენ „აბსოლუტები" არა გვწამს", — უპასუხებდა თავის დროზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი „აბსოლუტური თავისუფლების" მომხრეებს (თხზ., ტომი 32, გვ. 644). კომუნიზმის დროსაც ერთი ადამიანის ნება უნდა ემორჩილებოდეს მთელი კოლექტივის ნებას. თუ ეს არ იქნა, მაშინ ანარქიული თავნებობა არეულდარევასა და დეზორგანიზაციას შეიტანს საზოგადოების ცხოვრებაში. თუ არ არის ორგანიზაციული, წარმმართველი საწყისი, ისე ვერ იარსებებს არა მარტო სოციალისტური საზოგადოება, არამედ ვერავითარი საზოგადოებაც, ვერავითარი საზოგადოებრივი სისტემა, ადამიანთა თუნდაც სულ მცირე კოლექტივი.

მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე, პირველყოფილი მდგომარეობით დაწყებული, ადამიანები, ცხოვრების კახსრები რომ ეშოვნათ, კოლექტივებად ერთიანდებოდნენ. ჩვენს დროში კი, ატომის, ელექტრონიკისა და კიბერნეტიკის, ავტომატიკის, ნაკადური ხაზების დროში, მით უფრო საჭიროა საზოგადოებრივი სისტემის ყველა რგოლის სიზუსტე, იდეალური გამართულობა და ორგანიზებულობა როგორც მატერიალური წარმოების სფეროში, ისე სულიერი ცხოვრების დარგში. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ვსარგებლობდეთ მეცნიერების ყველა სიკეთით, რომლებიც ადამიანს შეუქმნია, და ჩავაყენოთ ისინი ჩვენს სამსახურში.

შეიძლება თუ არა ხდებოდეს კომუნიზმის დროს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, კოლექტივის ნებისაგან გადახვევა? შეიძლება. მაგრამ ალბათ როგორც ეროეული ფაქტები. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამორიცხული იქნება ფსიქიური დაავადების შემთხვევები და რომ სულით ავადმყოფი ადამიანები არ შეიძლება გახდნენ საერთო ცხოვრების წესების დამრღვევნი. არ ვიცი, როგორი, მაგრამ ალბათ რაღაც საშუალებები იქნება გიჟების საქციელის წინააღმდეგ. ახლაც ხომ არსებობს დამამშვიდებელი პერანგი, რომელსაც გიჟებს აცმევენ და ამით უსამო-

ბენ მათ საშუალებას შფოთი ატეხონ და ზიანი მიაყენონ თავიანთ თავსა და გარშემო მყოფთ.

ეროვნული

თანამედროვე პირობებში ჩვენ გვიხდება შეუპოვარი ბრძოლა [illegible] წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და ვიგერიებდეთ ორგანიზებული კლასობრივი მტრის იერიშებს საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ უფლება არა გვაქვს თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ეს. ზოგი ვინმე კი ცდილობს დაგვაყენოს მშვიდობიანი იდეოლოგიური თანაარსებობის გზაზე, მოგვიგდოს „აბსოლუტური თავისუფლების" დამყაყებული იდეა. თვითეულმა ადამიანმა საზოგადოებას ყველასათვის სავალდებულო წესად რომ მოახვიოს თავს თავისი სუბიექტივისტური შეხედულებანი და ეცადოს განახორციელოს ისინი სოციალისტური საზოგადოების საერთოდ მიღებული ნორმების საწინააღმდეგოდ, ეს გარდუვალად გამოიწვევს ადამიანთა ნორმალური ცხოვრების, საზოგადოების საქმიანობის დეზორგანიზაციას. საზოგადოება ვერ დაუშვებს ანარქიასა და თავნებობას ვის მხრივაც უნდა იყოს.

სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, და ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლა მისი საქმიანობის მიზანს შეადგენს. პარტია სარგებლობს ხალხის ნდობით, რომელიც მან თავისი ბრძოლით, თავისი სისხლით მოიხვეჭა და იხვეჭს. და ყველაფერს, რაც ხელს უშლის ხალხის ინტერესებს, პარტია მოიშორებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. (ხანგრძლივი ტაში).

საჭიროა გავერკვეთ ჰუმანიზმის საკითხში, იმაში, თუ ვისთვის რაა კარგი და ვისთვის რაა ცუდი. აქ, ისევე როგორც ყველაფერში, ჩვენ საქმეს ვუდგებით კლასობრივი თვალსაზრისით, მშრომელთა ინტერესების დაცვის პოზიციებიდან. ცხოვრებაში არაფერია აბსოლუტურად კარგი, სანამ დედამიწაზე არსებობენ კლასები. რაც კარგია ბურჟუაზიისათვის, იმპერიალიზმისათვის, ის უბედურებაა მუშათა კლასისათვის და, პირიქით, რაც კარგია მშრომელებისათვის, მას იმპერიალისტები, ბურჟუაზია არ ცნობენ.

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი პრინციპები კარგად ესმოდეს ყველას, განსაკუთრებით იმათ, ვინც ცდილობს თავს მოგვახვიოს მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიის დარგში. პოლიტიკაში ხუმრობა არ შეიძლება. ვინც იდეოლოგიაში მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ქადაგებს, ის ობიექტურად ეშვება ანტიკომუნიზმის პოზიციებზე. კომუნიზმის მტრებს სურთ იდეურად განგვაიარაღონ. და ამ თავიანთი ვერაგული მიზნის მიღწევას ისინი ცდილობენ იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის პროპაგანდის მეშვეობით, ამ „ტროადის ცხენის" დახმარებით, რომელსაც სიამოვნებით შემოგვაპარებდნენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის მტრების ყოველგვარი ცდები, რომლებიც მიმართულია ჩვენი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაიმსხვრევა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის მონოლითურ იდეურ და პოლიტიკურ ერთიანობაზე. (მქუხარე ტაში).

პრესა და რადიო, ლიტერატურა, ფერწერა, მუსიკა, კინო, თეატრი ჩვენი პარტიის ბასრი იდეური იარაღია. და პარტია ზრუნავს იმისათვის, რომ მისი ეს იარაღი მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იყოს, მარჯვედ მუსრავდეს მტრებს. პარტია არავის არ დაანებებს დააჩლუნგოს იგი, შეასუსტოს მისი ზემოქმედების ძალა.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით ვითარდება. პარტიამ აღზარდა მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოსა და თეატრის მუშაკთა

შესანიშნავი, ნიჭიერი კადრები, რომლებმაც განუყრელად დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება, თავიანთი შემოქმედება ლენინურ პარტიას და ხალხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტია, ხალხი, ლენინი განუყოფელი არიან. ლენინის საქმე პარტიის და ხალხის საქმეა. ეს კარგად თქვა შესანიშნავმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

„ჩვენი პარტია და ლენინი
ტყუპნი არიან, —
ვის აშკობინებს
ისტორია
სიმართლის მჩენი?
ჩვენ ვამბობთ — ლენინ,
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას,
ვამბობთ —
პარტია,
და ვგულისხმობთ —
ლენინი ჩვენი".

ლენინური პარტია ხალხის მოწინავე ნაწილია, მისი მებრძოლი ნაცადი ავანგარდია.

ჩვენი ქვეყნის თვითეულ მოქალაქეს, ვინც უნდა იყოს იგი: მუშა თუ კოლმეურნე, მეცნიერი თუ მწერალი, მხატვარი თუ კომპოზიტორი — თავიანთი ხალხის შვილებს თავი ვერ წარმოუდგენიათ ხალხის ცხოვრების გარეშე, მისი შემოქმედებითი საქმიანობის გარეშე. პარტიულობა და ხალხურობა ხელოვნებაში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ!

იმ შემოქმედებითს მუშაკებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ასე ვერ გაუგიათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში, უნდა დავეხმაროთ, რომ კარგად გაიაზრონ ეს.

როგორც დირიჟორი ორკესტრში თვალყურს ადევნებს იმას, რომ ყველა საკრავი შეწყობილად და შეხმატკბილებულად ჟღერდეს, ისე პარტიაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა საბჭოთა ადამიანის ღონისძიებებს წარმართავს ერთიანი მიზნის მისაღწევად.

სოციალისტური საზოგადოება პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის შეშვეობით იშორებს დაბრკოლებებს, რომლებიც ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებას არღვევენ, და ქმნის საჭირო მატერიალურ-კულტურულ, იდეურ წინაპირობებს კომუნიზმის აშენებისათვის.

ფორმალისტურ დამახინჯებათა პარტიული კრიტიკა ხორციელდება ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტია მხარს უჭერს მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ხალხს შთააგონებენ და მის ძალებს რაზმავენ. საზოგადოებას უფლება აქვს დაგმოს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ ყველანი ხალხის მიერ შექმნილი სახსრებით ვცხოვრობთ, და ამისათვის მოვალენი ვართ მივუზღოთ ხალხს ჩვენი შრომით. თვითეული ადამიანი, როგორც ფუტკარი სკას, თავისი წვლილით უნდა შეავსებდეს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ არ ეთანხმებიან ამას, რომ ეს პიროვნების მიმართ ძალადობაა, წარსულ დროებაზე დაბრუნებაა. ამაზე მე ვუპასუხებ: ჩვენ ვცხოვრობთ ორგანიზებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც პიროვნების ინტერესები საზოგადოების ინტერესებს ეთანხმება, მათთან წინააღმდეგობაში არ იმყოფება.

პარტიის პოლიტიკა გამოხატავს საერთოდ მთელი საზოგადოების და, მაშასადამე, აგრეთვე ყოველი ცალკეული პიროვნების ინტერესებს, პარტიის პოლიტიკას კი ახორციელებს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც აღჭურვილია პარტიის ნდობით, არჩეულია მისი რწმუნებით პარტიული ყრილობის მიერ. (მქუხარე ტაში).

მხატვრული შემოქმედების საკითხებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყველასაგან — ლიტერატურისა და ხელოვნების ყველაზე დამსახურებული, ყველაზე ცნობილი მოღვაწისგანაც და ახალგაზრდა, დამწყები შემოქმედებითი მუშაკისგანაც — განუხრელად ახორციელებდეს პარტიულ ხაზს.

უკანასკნელ ხანს სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალებში დაიბეჭდა, აგრეთვე გამომცემლობებმა გამოუშვეს საკმაოდ ბევრი ნაწარმოები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაზე პიროვნების კულტის პერიოდში და ჩვენს დროს. მწერლების მისწრაფება გაერკვნენ წარსულის ძნელ და რთულ მოვლენებში, სავსებით კანონზომიერია. ცნობილია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთელ რიგ უაღრესად მწვავე კრიტიკულ ნაწარმოებებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამოდის ისეთი წიგნებიც, რომლებშიც, ჩვენი აზრით, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არაზუსტად, ხოლო უფრო სწორად თუ ვიტყვით, არასწორად, ცალმხრივად არის გაშუქებული პიროვნების კულტთან დაკავშირებული მოვლენები და ამბებიც და იმ პრინციპულ, ძირეულ ცვლილებათა არსიც, რომლებიც მოხდა და ხდება ხალხის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში პარტიის XX ყრილობის შემდეგ. ასეთი წიგნების რიცხვს მე მივაკუთვნებდი ამხ. ერენბურგის მოთხრობა „დათბობას".

დათბობის ცნებასთან დაკავშირებულია წარმოდგენა მერყეობის, ცვალებადობის, დაუმთავრებლობის, ბუნებაში ტემპერატურული რყევის დროზე, როცა ძნელია გაითვალისწინო, როგორ და რა მიმართულებით წარიმართება ამინდი. ასეთი ლიტერატურული სახის საშუალებით სწორ აზრს ვერ შეადგენ იმ პრინციპულ ცვლილებათა არსზე, რომლებიც სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხდა საბჭოთა საზოგადოების საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, საწარმოო და სულიერ ცხოვრებაში.

ჩვენი ხალხის წინაშე გადაიშალა კომუნისტური მომავლის ნათელი, გასხივოსნებული პერსპექტივა. იმის შეგნება, რომ უკვე ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს, საბჭოთა ადამიანების გულს ავსებს თავიანთი ქვეყნისათვის სიამაყის გრძნობით, აღაფრთოვანებს მათ შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის განსახორციელებლად. ახლა ჩვენს ქვეყანაში ყველა თავისუფლად სუნთქავს, ნდობით, უეჭველად ეკიდება ერთმანეთს, დამშვიდებულია თავისი აწმყოსა და მომავლისათვის, რომელიც მათთვის გარანტირებულია ცხოვრების მთელი წყობით.

სტალინის პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაცია რომ მოახდინა, კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა ყველა დაბრკოლება, რომლებიც მშრომელთა ინიციატივასა და აქტივობას ბოჭავდა, და შექმნა ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარების ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

დადგა ახალი პერიოდი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. ძლევს რა პიროვნების კულტის მავნე შედეგებს, პარტია ახორციელებდა და ახორციელებს პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის საწარმოებლად მთელი ძალების მობილიზაციის მტკიცე კურსს. (ხანგრძლივი ტაში).

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ახლა პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ დადგა თვითდინების ხანა, რომ თითქოს შესუსტებულია მართვის სადავეები, საზოგადოებრივი ხომალდი ტალღების ნებაზე მიდის და თვითეულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლია თავნებობდეს, ისე იქცეოდეს, როგორც მოეპრიანება. არა, პარტია ახორციელებდა და კვლავაც თანმიმდევრულად და მტკიცედ განახორციელებს მის მიერ შემუშავებულ ლენინურ კურსს. შეურიგებლად გაილაშქრებს ყოველგვარი იდეური მერყეობის წინააღმდეგ, იმის ცდების წინააღმდეგ, რომ დაარღვიონ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ნორმები.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურაში პიროვნების კულტის პერიოდის გაშუქებასთან. ამბობენ, რომ ჟურნალებსა და გამომცემლობებს მიაწყდა ხელნაწერები გადასახლებაში, საპყრობილეებში, ბანაკებში ადამიანთა ცხოვრებაზე.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს ძალიან საშიში თემა და ძნელი მასალაა. რაც უფრო ნაკლებია ადამიანის პასუხისმგებლობა ჩვენი დღევანდელი დღისათვის და ჩვენი ქვეყნისა და პარტიის მომავლისათვის, მით უფრო ადვილად ეტანებიან ამ მასალას სენსაციების მოყვარულნი, „შემწვარ-მოხრაკულის" მოყვარულნი.

შეძახილები: სწორია! (ტაში).

თქვენ შეთხზავთ სენსაციას, დაამზადებთ ამ „შემწვარ-მოხრაკულს", მაგრამ ვინ მიაწყდება მას? ასეთ „შემწვარ-მოხრაკულს", როგორც ლეშს, მიესევიან ბუზები, უზარმაზარი მსუქანი ბუზები, აფუთფუთდება ყოველნაირი ბურჟუაზიული სიბილწე საზღვარგარეთიდან.

ვისაც სურს აამოს ჩვენს მტრებს, მას შეუძლია ადვილად გაუწიოს მათ სამსახური. ვისაც სურს ემსახუროს ჩვენი ხალხის საქმეს, ჩვენი პარტიის საქმეს — იგი აიღებს ასეთ თემას, დახედავს, აწონ-დაწონის მას და თუ გრძნობს ძალას, რომ ამ მასალას დაძლევს, დაწერს ხალხისათვის საჭირო ნაწარმოებს, ისე მოგვაწვდის მასალას, რომ იგი ძალებს განუმტკიცებს ხალხს, დაეხმარება ჩვენს პარტიას დარაზმოს ხალხი და დააჩქაროს მისი წინსვლა დიადი მიზნისაკენ. მაგრამ ყველას როდი შეუძლია დაძლიოს ასეთი ამოცანა, თუმცა როგორც ჩანს, ბევრნი ეტანებიან ამ მასალას.

აქ ზომაა საჭირო. ყველა მწერალმა რომ მარტო ამ თემებზე დაიწყოს წერა, ეს რა ლიტერატურა იქნება!

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოდის წერილები, რომლებშიც გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ლიტერატურის, მუსიკის ზოგიერთ ნაწარმოებში და ცალკეულ სპექტაკლებში დამახინჯებულად არის ასახული ებრაელთა მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. ბურჟუაზიულ პრესაში, როგორც ინგლისელ ფილოსოფოს რასელსა და ჩემ შორის წერილების გაცვლიდან იცით, ცილისმწამებლური კამპანიაც კი წარმოებს ჩვენს წინააღმდეგ.

დეკემბერში ჩვენი შეხვედრის დროს უკვე შევეხეთ ამ საკითხს ევგენი ევტუშენკოს ლექსის „ბაბი იარის" და დიმიტრი დიმიტრის-ძე შოსტაკოვიჩის ახალი სიმფონიის გამო, რომელშიც გამოყენებულია ეს ლექსი. გარემოებები მოითხოვს დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

რისთვის აკრიტიკებენ ამხანაგ ევტუშენკოს ამ ლექსს? იმისათვის, რომ ავტორმა ვერ შეძლო „ბაბი იარში" სიმართლით ეჩვენებინა და დაეგმო ფაშისტი დამნაშავენი, სწორედ ფაშისტი დამნაშავენი მათ მიერ ჩადენილ მასობრივ მკვლელობათათვის. ლექსში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ფაშისტების ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი მხოლოდ ებრაელი მოსახლეობა იყო, მაშინ როცა ჰიტლერელი ჯალათების ხელით იქ დაიღუპა ბევრი რუსი, უკრაინელი და სხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანი. ამ ლექსიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა პოლიტიკური სიმწიფე ვერ გამოიჩინა და ისტორიული ფაქტების უცოდინარობა გამოამჟღავნა.

ვის და რისთვის დასჭირდა ისე წარმოედგინა საქმე, თითქოს ებრაელი ეროვნების მოსახლეობას ჩვენს ქვეყანაში ვიღაც ჩაგრავს. ეს მართალი არ არის. ოქ-

ტომბრის რევოლუციის დღიდან ჩვენს ქვეყანაში ებრაელები სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხთან ყოველმხრივ თანასწორ მდგომარეობაში არიან. ჩვენში ებრაელთა საკითხი არ არსებობს, ხოლო ის, ვინც მას იგონებს, სხვის ჰანგებს აჰყოლია.

რაც შეეხება რუსეთის მუშათა კლასს, იგი რევოლუციამდეც შეურიგებელი მტერი იყო ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა, მათ შორის ანტისემიტიზმისაც.

რევოლუციამდელ დროს მე მეშახტეთა შორის ვცხოვრობდი. მუშები გმობდნენ იმათ, ვინც ებრაელთა რბევაში მონაწილეობდა. რბევის შთამაგონებლები თვითმპყრობელი მთავრობა, კაპიტალისტები, მემამულეები და ბურჟუაზია იყვნენ. მათ რბევა სჭირდებოდათ როგორც იმის საშუალება, რომ მშრომელები ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლისათვის. რბევის ორგანიზატორები იყვნენ პოლიცია, ჟანდარმერია, შავრაზმელები, რომლებიც დამრბევებს აგროვებდნენ საზოგადოების ნაძირალებში, დეკლასირებულ ელემენტებში. ქალაქებში მათი აგენტურა ბევრი მეეზოვე იყო.

აი, მაგალითად, ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი ამხ. ბაუმანი, რომელიც ებრაელი არ ყოფილა, მოსკოვში მოკლა მეეზოვემ ჟანდარმერიის დავალებით.

გორკის შესანიშნავ მოთხრობა „დედაში" ჩინებულად ნაჩვენებია რუსეთის მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი. რევოლუციონერი მუშების რიგებში არიან სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. გაიხსენეთ თუნდაც რუსი მუშა პაველ ვლასოვი და უკრაინელი ანდრია ნახოდკა.

მე ბავშვობა და ყრმობა გავატარე იუზოვკაში, რომელშიც მაშინ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ქარხანაში ერთხანს ვმუშაობდი ზეინკალ იაკობ ისააკის-ძე კუტიკოვის თანაშემწედ. იგი კვალიფიციური მუშა იყო. ქარხნის მუშებს შორის სხვა ებრაელებიც იყვნენ. მახსოვს, რომ სპილენძის მსხმელად მუშაობდა ებრაელი, ეს კი მაშინ ძალიან მაღალ კვალიფიკაციად ითვლებოდა. მე ხშირად ვხედავდი ამ მსხმელს, ის ალბათ მორწმუნე ადამიანი იყო და შაბათობით არ მუშაობდა, მაგრამ რადგან ყველა უკრაინელი, რუსი და სხვები მუშაობდნენ, ისიც მოდიოდა სამსხმელოში და იქ მთელ დღეს ატარებდა, თუმცა მონაწილეობას არ იღებდა მუშაობაში. (სიცილი დარბაზში).

ქარხანაში მუშაობდნენ რუსები, უკრაინელები, ებრაელები, პოლონელები, ლატვიელები, ესტონელები და სხვები. ზოგჯერ არავინაც არ იცოდა, რა ეროვნებისა იყო ესა თუ ის მუშა. ყველა ეროვნების მუშებს შორის ურთიერთობა ამხანაგური იყო.

აი სწორედ ეს არის კლასობრივი ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

როცა მე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი და მანქანით ლოს-ანჯელოსში მივდიოდი, მანქანაში ჩაგვიჯდა, როგორც თვითონ გაგვეცნო, ქალაქის მერის მოადგილე. იგი რუსულად ლაპარაკობდა, თუმცა მთლად ვერა, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად. მე მას შევხედე და ვკითხე:

— საიდან იცით რუსული ენა?

— როგორ არ უნდა ვიცოდე, როსტოვში ვცხოვრობდი, მამაჩემი მეორე გილდიის ვაჭარი იყო.

ასეთები პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ყველგანაც, სადაც უნდოდათ.

როგორც ხედავთ, თურმე ებრაელ კუტიკოვს, რომელთანაც მე ქარხანაში ვმუშაობდი, მეფის დროს არ შეეძლო ეცხოვრა იქ, სადაც უნდოდა, ისეთ ებრაელს კი, როგორიც ქალაქ ლოს-ანჯელოსის მერის მოადგილის მამა იყო, შეეძლო ეცხოვრა, სადაც უნდოდა.

მეფის მთავრობა ასე უყურებდა ეროვნულ საკითხს; ისიც კლასობრივი თვალსაზრისით უდგებოდა მას. ამიტომ ებრაელებს — მსხვილ ვაჭრებს, კაპიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტებს უფლება ჰქონდათ ეცხოვრათ ყველგან, ღარიბი ებრაელების ხვედრი კი ისეთივე იყო, როგორიც რუსი, უკრაინელი და სხვა მუშებისა; მათ უნდა ეშრო-მათ, ეცხოვრათ ქოხმახებში და ეზიდათ მონური შრომის ტვირთი, როგორც მეფის რუსეთის ყველა ხალხს.

სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვანაირად იქცეოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პერიოდშიც. იმ ხანებში ადამიანები საკმაოდ ბევრ გმირობას იჩენდნენ, მათ შორის ებრაელებიც. მათ შორის დამსახურებულებს მიე-ნიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ბევრი დაჯილდოებულ იქნა ორდენე-ბითა და მედლებით. მაგალითისათვის დავასახელებ საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ კრეიზერს. იგი იყო მეორე გვარდიული არმიის სარდლის მოადგილე ვოლგაზე დიდი ბრძოლის დროს, მონაწილეობდა დონბასის და ყირიმის განთა-ვისუფლებისათვის ბრძოლებში. ახლა გენერალი კრეიზერი ჯარების სარდალია შორეულ აღმოსავლეთში.

იყო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მხრივ გამცემლობის შემთხვევებიც. შემიძლია მოვიყვანო ასეთი ფაქტი. როცა პაულიუსის დაჯგუფება გარშემორტყ-მულ და შემდეგ განადგურებულ იქნა, — პაულიუსის შტაბის დატყვევებაში მო-ნაწილეობას იღებდა 64-ე არმია, რომელსაც სარდლობდა გენერალი შუმილოვი, ხოლო სამხედრო საბჭოს წევრი იყო გენერალი სერდიუკი. მან დამირეკა და მი-თხრა, პაულიუსის შტაბთან ერთად ხელში ჩაგდებულ ტყვეებს შორის კიევის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ყოფილი ინსტრუქტორი კოგანი აღმოჩნდაო. ვეკითხები:

— როგორ შეეძლო იქ მოხვედრილიყო, ხომ არ შეცდით?

— არა, არ შევმცდარვარ, — მითხრა ამხ. სერდიუკმა. — ეს კოგანი თარჯიმ-ნად იყო პაულიუსის შტაბთან.

პაულიუსის დატყვევებაში მონაწილეობდა მექანიზებული ბრიგადა, რომ-ლის მეთაური იყო პოლკოვნიკი ბურმაკოვი, ხოლო ამ ბრიგადის კომისარი იყო ამხ. ვინოკური, ეროვნებით ებრაელი. ვინოკურს ვიცნობდი ჯერ კიდევ 1931 წლი-დან, როცა პარტიის მოსკოვის ბაუმანის რაიკომის მდივნად ვმუშაობდი, ის კი პარტიული უჯრედის მდივანი იყო კარაქ-რძის ქარხანაში.

გამოდის ასე: ერთი ებრაელი მსახურობს თარჯიმნად პაულიუსის შტაბთან, მეორე ებრაელი კი ჩვენი ჯარების შემადგენლობაში მონაწილეობს პაულიუსისა და მისი თარჯიმნის დატყვევებაში.

ადამიანთა საქციელს აფასებენ არა ეროვნული, არამედ კლასობრივი თვალ-საზრისით.

ჩვენი საქმის ინტერესს როდი შეადგენს ვეძებდეთ წარსულის სანაგვე ორ-მოებში სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის უთანხმოების მაგალითებს. მათ როდი აკისრიათ პასუხისმგებლობა ეროვნული შუღლის გაღვივებისა და ეროვ-ნული ჩაგვრისათვის. ეს ექსპლოატატორული კლასების ნახელავია, ხოლო რაც შეეხება რევოლუციის ინტერესების გამცემლებს, ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დაქირავებული მსახურნი ყველგან აგროვებდნენ მათ და პოულობ-დნენ მოღალატეებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის.

უაზრობაა ბრალად დავდოთ რუს ხალხს შავრაზმელთა ბინძური პროვოკაცი-ები, მაგრამ აგრეთვე უაზრობა იქნებოდა მთელი ებრაელი ხალხისათვის დაგვე-კისრებინა პასუხისმგებლობა „ბუნდის" ნაციონალიზმისა და სიონიზმისათვის, აზეფისა და ქიტომირსკის („ოტცოვის") პროვოკატორობისათვის, ებრაელთა სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავის დროზე დაკავშირებული იყვნენ „ზუბატოველებთან" და მეფის ოხრანკასთან.

ჩვენი ლენინური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა ხალხს შორის მეგობრობის პოლიტიკას, ზრდის საბჭოთა ადამიანებს ინტერნაციონა-

ლიზმის სულისკვეთებით, რასობრივი დისკრიმინაციის, ეროვნული შუღლის ყველა და ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობის მაღალ და კეთილშობილურ იდეალებს ამკვიდრებს ჩვენი ხელოვნება.

დიდმნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი შემოქმედებითი მუშაკების გამგზავრება საზღვარგარეთის ქვეყნებში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთ გამგზავრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საჭიროა, რომ საბჭოთა მწერლებს შეეძლოთ თავიანთი თვალით ნახონ სხვადასხვა ქვეყნის ხალხების ცხოვრება, რომ ისინი ქმნიდნენ ნაწარმოებებს მშრომელთა ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებნი, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულნი, სიმართლით აშუქებდნენ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრებასა და ბრძოლას.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა საზღვარგარეთის ქვეყნებში ლიტერატორების გამგზავრებას არათუ სარგებლობა არ მოაქვს, არამედ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ შებრუნდება ხოლმე.

ეცნობი მასალებს საზღვარგარეთ ზოგიერთი საბჭოთა მწერლის გამოსვლის შესახებ და ვერ გაგიგია, რაზე ზრუნავენ ისინი, იმაზე, რომ სიმართლე უამბონ საბჭოთა ხალხის წარმატებებზე, თუ იმაზე, რომ თავი მოაწონონ საზღვარგარეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებას რადაც უნდა დაუჯდეთ. ასეთი „ტურისტები" მარჯვნივ და მარცხნივ ურიგებენ თავიანთ ინტერვიუებს სხვადასხვა ბურჟუაზიულ, მათ შორის აგრეთვე ყველაზე რეაქციულ გაზეთებს, ჟურნალებსა და საინფორმაციო სააგენტოებს, რომლებშიც საოცარი უპასუხისმგებლობით ავრცელებენ ზღაპრებს მშობლიური ქვეყნის ცხოვრების შესახებ.

არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მწერლების ვ. ნეკრასოვის, კ. პაუსტოვსკისა და ა. ვოზნესენსკის საფრანგეთში მოგზაურობამ. წინდაუხედავი იყო თავის განცხადებებში ვ. კატაევი ამერიკაში მოგზაურობის დროს.

საზღვარგარეთ შეაქებენ მერყევ ადამიანს, უწოდებენ მას „ახალი ეპოქის სიმბოლოს" ან კიდევ სხვა რამ ამის მსგავსს, და მას დაავიწყდება, საიდან, სად და რატომ ჩავიდა, და მოჰყვება აბდაუბდის როშვას.

ამ ცოტა ხნის წინათ პოეტმა ევგენი ევტუშენკომ იმოგზაურა დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთში. იგი ეს არის დაბრუნდა პარიზიდან, სადაც გამოვიდა მუშათა, სტუდენტთა, საბჭოთა კავშირის მეგობართა მრავალათასიანი აუდიტორიების წინაშე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამხ. ევტუშენკოს ამ მოგზაურობის დროს ღირსეულად ეჭირა თავი. მაგრამ იმანაც, თუ დავუჯერებთ ჟურნალ „ლეტრ ფრანსეზს", ვერ გაუძლო ცდუნებას დაემსახურებინა ბურჟუაზიული საზოგადოების ქება.

პოეტმა უცნაური ინფორმაცია მისცა თავის მსმენელებს იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებიან ჩვენს ქვეყანაში მის ლექსს „ბაბი იარს", და განუცხადა, რომ ხალხმა მიიღო მისი ლექსი, ხოლო გააკრიტიკეს დოგმატიკოსებმა. მაგრამ ხომ ფართოდ არის ცნობილი, რომ ამხ. ევტუშენკოს ლექსი გააკრიტიკეს კომუნისტებმა. როგორ შეიძლება დაგავიწყდეს ეს და აქედან შენთვის დასკვნები არ გააკეთო?

ბურჟუაზიული პრესა ზოგჯერ აქებს ზოგიერთ ჩვენს ხელოვნების მუშაკს იმისათვის, რომ ისინი არ ცდილობენ, როგორც ეს პრესა ამტკიცებს, „დიალექტიკური ფანდების ცეცხლს ამოფარებით დაიწყონ უკანდახევა", როცა მათი დაკვირვებანი „პარტიულ დოქტრინას" არ შეესაბამება.

ასეთი ქება საწყენია საბჭოთა ადამიანისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს უყვარდა მოყვანა პოეტ ნეკრასოვის შესანიშნავი სიტყვებისა:

არა ხოტბათა მოტკბო დრტვინვაში, —
იგი პოულობს მოწონების ხმას
გაბოროტების ველურ ძახილში.

ეს დაწერა ამხანაგმა ნეკრასოვმა, მაგრამ არა ამ ნეკრასოვმა, არამედ იმ ნეკრასოვმა, რომელსაც ყველა იცნობს. (სიცილი დარბაზში. ტაში).

საჭიროა ყველას ესმოდეს დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. ახლა სოციალიზმის საზღვრები ფართოდ არის გაწეული. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელთა არმია თავის რიგებში მილიარდზე მეტ კაცს ითვლის. დედამიწაზე კი სამ მილიარდზე მეტი კაცი ცხოვრობს.

თუ ჩვენი ძალები იზრდება, მტერსაც არა სძინავს. სოციალიზმის მზარდი ძალის წინაშე შიშით შეპყრობილი, იგი გაბოროტებით ლესავს თავის იარაღს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის, რომელსაც ამზადებს. კომუნიზმის მტრები იმედს სოციალისტურ ქვეყნებში ამყარებენ იდეოლოგიურ დივერსიებზე. მუდამ გახსოვდეთ ეს, ამხანაგებო, და თქვენი იარაღი სავსებით წესიერად, ბრძოლებისათვის მზად გქონდეთ. (ხანგრძლივი ტაში).

*

ამხანაგებო! ჩვენ განვიხილეთ ჩვენი სახელმწიფოსათვის, პარტიის იდეოლოგიური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხთა დიდი წრე. იმით, რომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით ამხანაგურ წრეში, ერთად განვიხილავთ ყველა პრობლემას, რომლებიც ჩვენ გვაღელვებს, — გამოხატულებას პოულობს ახალი ვითარება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შეიქმნა.

ხალხი და პარტია უაღრესად დაინტერესებული არიან იმით, რომ მხატვრული შემოქმედება ჩვენში სწორი მიმართულებით ვითარდებოდეს. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ხაზი განსაზღვრულია პარტიის პროგრამით, რომელიც საყოველთაო-სახალხოდ იქნა განხილული და რომელმაც მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის საყოველთაო მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა.

ხოლო უფრო კარგად და სწორად როგორ უნდა განხორციელდეს ეს ხაზი მხატვრულ შემოქმედებაში, ამას წყვეტს თვითეული თქვენგანი ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებისა და თავისი ნიჭის, თავისი მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებათა შესაბამისად.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, ნაკლოვანებათა კრიტიკა, იმ ამოცანების ურთიერთ განსაზღვრა, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, გულახდილი საუბრები, რომლებიც ასეთ შეხვედრათა დროს ხდება — ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ერთსულოვანი ვართ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებათა და ნაკლოვანებათა შეფასებაში. ვფიქრობ, რომ აზრთა დღევანდელ გაცვლასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიის ერთგულ თანაშემწეებს, კიდევ უფრო შეამჭიდროონ თავიანთი რიგები და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმართონ თავიანთი ღონისძიებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ

საქართველოს კომკავშირის
ცენტრალური კომიტეტის მდივანი

# ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ

Коммунизм,
это — молодость мира,
и его
возводить,
молодым.
**В. Маяковский**

თანამედროვე პირობებში, როცა პარტიის მიერ განსაზღვრულია კომუნიზმის აშენების ძირითადი ვადები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის ტემპები შეფარდებულია ამ ვადებთან, განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭება საზოგადოების ყოველი წევრის იდეურ წრთობას. პარტიის პროგრამის ცხოვრებაში გატარების ყოველი ეტაპი ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ადამიანებს, მათს პოლიტიკურ, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ დონეს, მათს საზოგადოებრივ აქტიურობას.

საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი, რომელმაც მოგვცა სამეურნეო მშენებლობის მთელი გამოცდილების მეცნიერული ანალიზი.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლამ ახალი ამოცანები დაუსახა სამეურნეო მუშაობას და ფართო გასაქანი მისცა მას. ნ. ს. ხრუშჩოვმა პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ ჩვენი ეკონომიკის ახალმა შინაარსმა, განვითარების ახალმა დონემ მოითხოვა სრულვყოთ აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ფორმები. პლენუმმა ფართო გზა გადაუშალა მშრომელთა ინიციატივას. პარტიამ აღადგინა ერთიანი პარტიული კონტროლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მთელი მსვლელობა და მისი გადაწყვეტილებები დამაჯერებლად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ჩვენი პარტია მხარს უჭერს და ავითარებს ახალს, პროგრესულს, თავიდან იშორებს ყოველივე დრომოჭმულს და მტკიცედ და თანმიმდევრულად მიდის წინ ლენინური გზით.

თანამედროვეობის დიდ ძვრებსა და მომავლის დიდ ამოცანებს ერთხელ კიდევ მიაქცია ყურადღება ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1962 წლის 12 დეკემბერს.

„საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების შინაგანი განვითა-

რების პროცესები — აღნიშნავს ამხ. ხრუშჩოვი — დამაჯერებლად უჩვენებენ ყველა ხალხს, რომ სოციალიზმის ქვეყნები ეწევიან დიდ შემოქმედებითს შრომას მშვიდობისათვის, ადამიანის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის". ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს წარმოადგენს. ამიტომ მათთან მეტად სერიოზული და ფაქიზი აღმზრდელობითი მუშაობაა საჭირო.

ამჟამად ჩვენში ყოველგვარი პირობაა შექმნილი იდეოლოგიური ფრონტის ამოცანების წარმატებით გადაჭრის, ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. პარტიის მიერ პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციამ ახალი ენერგია შთაბერა ახალგაზრდობას მისი შესაძლებლობების, თვითშემოქმედებისა და ინიციატივის უფრო ფართოდ გასაშლელად.

ცხოვრება ამტკიცებს, რომ აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა. შრომითი აღზრდისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მისწრაფება იმისაკენ, რომ თვითეულმა ახალგაზრდამ იცოდეს თავისი ადგილი კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ქართველი ახალგაზრდობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავდადებული შრომითა და შესანიშნავი წარმატებებით მათ დაადასტურეს სოციალისტური სამშობლოს ერთგულება. სრული უფლება გვაქვს ვიამაყოთ ახალგაზრდა ქართველი მეჩაიეებით, რომლებმაც შარშან მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 110 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, მევენახეებით, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის ალების გეგმები და ვალდებულებები.

სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი რესპუბლიკის მუშა-ახალგაზრდობის წარმატებებს, რომლებმაც სამშობლოს ზეგეგმით მისცეს 3 ათასი ტონა თუჯი, 9 ათასი ტონა ფოლადი, 25 ათასი ტონა მარგანეცი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობა მეტწილად საშუალო განათლებითაა, ხოლო მათი უმრავლესობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა დადებითი გავლენა არ მოეხდინა წარმოების კულტურის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვაზე.

ბრძოლა თვითეული ახალგაზრდის შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ საქმისათვის უნდა გამოვიყენოთ ზემოქმედების ყოველგვარი საშუალება — დარწმუნება, ახსნა-განმარტება, კოლექტივისა და ამხანაგების, მთელი საზოგადოებრიობის აზრი.

ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში ხაზგასმითაა ნათქვამი: „კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია არ შრომობდეს, ამის ნებას არ მისცემს არც თავისი შეგნება, არც საზოგადოებრივი აზრი. შრომა უნარის მიხედვით გახდება საზოგადოების ყველა წევრის ჩვევა, პირველი სასიცოცხლო მოთხოვნა". ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ჩვენს რიგებში არ გვყავდეს უსაქმურნი, ზარმაცნი და მუქთახორები. ხოლო ეს რომ განხორციელდეს, საჭიროა მთელი საზოგადოებრიობა იყოს ბრძოლისუნარიანი, ჯანსაღი, იმდენად ძლიერი და გავლენიანი, რომ არ დაუშვას არც ერთი ასეთი ფაქტი.

შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება დიდი ბოროტებაა, ამის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა პატიოსანი მშრომელის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. შემთხვევითი როდია, რომ

---

როინ მეტრეველი

ახალგაზრდობის შემოქმედება მაღალ იდეალებს უნდა ემსახურებოდეს

ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას სტატიამ — „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას“ და ლეონოვის წერილმა — „საბჭოთა მუშის კარგი სახელი“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდებში. მუქთახორებს, ზარმაცებს, პარაზიტებს, რომლებიც არ თაკილობენ იცხოვრონ სხვისი შრომით, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს შორის. არც ერთი უქნარა და უსაქმური ჩვენს რიგებში! — აი დევიზი, რომელსაც ყოველი ახალგაზრდული კოლექტივი მტკიცედ უნდა ახორციელებდეს.

პიროვნებისა და კოლექტივის დამოკიდებულებამ მიიღო ახალი ფორმა, ახალი შინაარსი. „ერთი ყველასათვის — ყველა ერთისათვის“ — აი კომუნისტური მოძრაობის დევიზი.

ამ მოძრაობის დამახასიათებელი თვისებაა ბრძოლა არა მარტო შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, არამედ მომავლის ადამიანის აღზრდისათვის. ეს ორი საკითხი მტკიცედაა ურთიერთდაკავშირებული. მტკიცედ უნდა ჩავუნერგოთ ახალგაზრდებს, რომ მოწინავედ ყოფნა არ ნიშნავს მხოლოდ კარგ საწარმოო მაჩვენებლებს. მოწინავე, ნოვატორი თავისი ბუნებით აქტიური მებრძოლია ყოველგვარი დამახინჯების, ბიუროკრატიზმის, თვალისახვევისა და ყოველგვარ მავნე გამოვლენათა წინააღმდეგ. იგი თავისი ქცევით, შინაგანი ბუნებით, კულტურითა და განათლებით უნდა პასუხობდეს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივ პრინციპებს.

სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთანაც. ცხადია, მომავალი სპეციალისტები, მეცნიერები, წარმოების ხელმძღვანელები კარგად უნდა ერკვეოდნენ საზოგადოების განვითარების კანონებში; დღევანდელი პირობები მოითხოვს სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების მკვეთრ გაუმჯობესებას, გარდაქმნას. სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში არ შეიძლება მხოლოდ ლექციებითა და სემინარებით შემოფარგვლა. ფართოდ უნდა დავნერგოთ თანამედროვეობის [illegible]ძო საკითხებზე თეორიული კონფერენციების ჩატარება და მოვიზიდოთ ამ მუშაობაში გამოცდილი სპეციალისტები.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭიროა სტუდენტთა საზოგადოებრივი საქმიანობის გატანა უმაღლესი სასწავლებლის გარეთ. ეს უფრო მეტად არის შესაძლებელი დღეს, როცა უმაღლეს სასწავლებლებში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელსაც გარკვეული ცხოვრებისეული წრთობა აქვს მიღებული. ეს ხელშემწყობი პირობაა იმისათვის, რომ სტუდენტი-ახალგაზრდობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩავაბათ, მით უმეტეს, რომ ამის დიდებითი მაგალითებიც მოგვეპოვება. საკმარისია მოვიგონოთ, თუ რაოდენ სასარგებლო იყო სტუდენტების აღზრდის საქმისათვის მათი შრომა ყამირზე: ბევრისათვის ეს იყო დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი ნაბიჯები, რომელმაც ჩაუნერგა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობათა რწმენა.

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლების საკითხი. ცხოვრება დღითიდღე გვკარნახობს მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. კულტურის დარგში სულ უფრო მკვიდრდება თვითმმართველობის საზოგადოებრივი ფორმები, შექმნილია თვითმოქმედი კლუბები, სტუდიები და სხვ. ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეუფლება საზოგადოებრივ პროფესიებს.

დღეს ინტელექტუალური ადამიანი თავის სულიერ მოთხოვნილებებს ვერ დაიკმაყოფილებს მხოლოდ და მხოლოდ სპეციალობის ღრმა შესწავლით; მისთვის ასევე საჭიროა წიგნი, თეატრი, კინო, ამხანაგების კოლექტივი, აქტიური დასვენება, ფიზკულტურა და სპორტი. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა თვითმოქმედი წრეებისა და კოლექტივების რაოდენობა. შემოქმედებით წარმატებებს აღწევენ სახალხო თეატრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი გასაქანი ეძლევათ კულტურის სახალხო უნივერსიტეტებს და სხვ.

ახალგაზრდობის კულტურული დასვენებისა და აღზრდის საქმეში დიდი როლი ენიჭებათ საკლუბო დაწესებულებებს. აქ ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით საინტერესოდ, შემოქმედებითად წარიმართოს მუშაობა. სამწუხაროდ, რესპუბლიკის კლუბებისა და კულტურის სახლების უმრავლესობა მოუქნელად და უშინაარსოდ მუშაობს. საკლუბო დაწესებულებების მუშაობის ფორმები და მეთოდები ძალზედ ჩამორჩა თანამედროვეობის მოთხოვნილებას. ამიტომ გასაკვირი სრულებითაც არ არის, რომ ახალგაზრდობა იშვიათად დაიარება კლუბებსა და კულტურის სახლებში, არ ერთიანდება წრეებში — აქ ვერაფერს ხედავს მიმზიდველს, საინტერესოს და ხშირად გარეთ, ქუჩებში ხეტიალს ამჯობინებს. კლუბების შემოსავლით გატაცებული ხელმძღვანელები როდი ცდილობენ მუშაობაში ახალი ფორმების დანერგვას და ახალგაზრდობის მიზიდვას. ახალგაზრდობამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს კლუბები, სპორტული დარბაზები და ნაგებობანი, მოედნები, კულტურისა და დასვენების პარკები.

კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულიერი ფორმირება ჩვენი ლიტერატურის საპატიო ამოცანაა. უკანასკნელი წლების მანძილზე მწერლობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ცხოვრებას, ცდილობს ღრმად ჩაწვდეს მიმდინარე პროცესის არსს, უკეთ შეიცნობს და გამოხატოს იგი. სასიამოვნო და სასიხარულოა იმის აღნიშვნა, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ჩვენს ლიტერატურაში გაბედულად მოსულ ახალგაზრდა მწერალთა დიდი ნაწილი გამოირჩევა მაღალნიჭიერებით, პროფესიული ოსტატობით და დახვეწილი გემოვნებით. მათ რიცხვს ეკუთვნის მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ დუმბაძე, ოტია იოსელიანი, თამაზ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭილაძე, რევაზ ჭეიშვილი, მედეა კახიძე, გივი გეგეჭკორი, ტარიელ ჭანტურია, ზაურ ბოლქვაძე და სხვები.

ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს დაინტერესებას იჩენს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი.

ამხ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან სიტყვაში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრაზე ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეებთან ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზები, პარტიის დამოკიდებულება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან სხვადასხვა გადახვევათა და ფორმალისტურ გამოვლენათა მიმართ.

პარტიის მიერ პიროვნების კულტის პირუთვნელმა კრიტიკამ, მის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ნაყოფიერი გავლენა იქონია ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაზე. პარტიის მეოცე და ოცდამეორე ყრილობათა გადაწყვეტილებებმა ახალი ძალები შთაუნერგა შემოქმედებითს ინტელიგენციას, უფრო ფართოდ გაშალა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შესაძლებლობანი.

პარტიამ ნიღაბი ახადა უპარტიო ხელოვნების მიმდევრებს და გამოააშკარავა მათი ბურჟუაზიული ბუნება. მართლაც, როდესაც ვლაპარაკობთ აბსტრაქციონიზმზე, აქ საქმე ეხება არა ფერებსა და გემოვნებას, არამედ უფრო მნიშვნელოვანს, უფრო დიდს — დამოკიდებულებას სამყაროსთან, განსაზღვრულ სოციალურ ფილოსოფიას. თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში აბსტრაქციონიზმის უაზრობას თავისი გამოკვეთილი სოციალური სიუჟეტი, საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. აბსტრაქციონიზმი — ეს გამოხატულებაა ტვინნაღრძობი ინდივიდის ფსიქოლოგიისა, ეს დარღვევაა საერთოდ მიღებული კანონებისა.

ეს სინამდვილიდან გაქცევის ფილოსოფიაა, უარყოფაა ჰუმანიზმის, აზრის, მშვენიერების. და რა საერთო აქვს ჩვენთან, კომუნიზმის მშენებელ თაობასთან, აბსტრაქციონიზმსა და მსგავს მიმდინარეობებს. ჩვენში ხომ ადამიანის ბედნიერება, მასზე ზრუნვა უპირველესი და უმთავრესი მიზანია. აბსტრაქციონიზმი ესაა ბურჟუაზიული იდეოლოგიის დივერსია საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ესაა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის უარყოფის ცდა. პარტია ყოველთვის იდგა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის პოზიციებზე. თავის სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ „ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა პარტიულობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი მიესალმება ყველას — ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც მოხუც, ისე ახალგაზრდა მოღვაწეებს, პარტიულებსა და უპარტიოებს, რომლებიც მტკიცედ ადგანან კომუნისტური იდეურობის პოზიციებს მხატვრული შემოქმედების საკითხებში. ისინი პარტიის დასაყრდენი, მისი ერთგული ჯარისკაცები არიან“. რესპუბლიკის შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების დროულ გადაწყვეტილებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ქ. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ჯგუფის წერილი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციაში, სადაც წერდნენ: „ჩვენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ღრმა კმაყოფილების გრძნობით შევხვდით პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს სოციალისტური კულტურის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია პოლო მოვეღოს ზოგიერთ მავნებლურ გამოვლინებას, ხელოვნების ყალბი და გაკეთებული ფერებით შეღებვას, რასაც გვთავაზობენ აბსტრაქციონისტები და ფორმალისტები. ამიტომ ჩვენ ვამბობთ — ახალგაზრდებმა უნდა იბრძოლონ ნამდვილი ხელოვნებისათვის. ჩვენ დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობა გვაკისრია — ეს არის ქვეყნის მომავალი კულტურის ბედი“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოსული ახალგაზრდა მწერლების, პოეტების, კომპოზიტორებისა და მხატვრების დიდი ნაწილი გამოირჩევა თავისი ნიჭით, მაღალი, დახვეწილი გემოვნებით. მიუხედავად ნათლად გამოხატული წარმატებებისა, ჩვენ არ ვიქნებით მართალნი, თუ არ ვიტყვით ზოგიერთ ნაკლოვანებებსა და მცდარ ტენდენციებზე, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას. კერძოდ კი გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლებზე.

ლიტერატურის პარტიულობას, დადებითი გმირის მთელი სისრულით ჩვენებას, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ ჰუმანურობას ჩვენი ეპოქის განვითარების ყველა ეტაპზე შეუნელებელი ყურადღება ექცეოდა. სწორედ 30-იან თუ 40-იან წლებში შეიქმნა მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მაღალმხატვრული პროზის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე პოეზიის ნიმუშები. ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდა შემოქმედთა პროზაში გამოჩნდა ცხოველი ინტერესი — ეჩვენებინათ, ასე ვთქვათ, „პატარა“ ადამიანების სულიერი ცხოვრება. ასეთი მიმართულება ბევრს მოეწონა და პირობითად „ჰუმანურიც“ კი უწოდეს მას. პატარა თემებისა და პატარა ადამიანების ხატვამ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები თემების დაქუცმაცება-დანაწევრებამდე მიიყვანა. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი წიგნური თუ საკუთარი მცირე გამოცდილებით ცდილობს შექმნას გმირი, რომელიც

ვერ ადის ვერავითარი მხატვრული განზოგადების სიმაღლეზე და მართლა პატარა, უსისხლო და უფერული გამოდის. პროლეტარული მწერლობის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე წერდა: „როგორია საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანა? აღბეჭდოს ფერებში, სიტყვებში, ბგერებში, ფორმებში ის, რაც არის ადამიანში საუკეთესო, ლამაზი, პატიოსანი, კეთილშობილური. კერძოდ, ჩემი ამოცანაა გავუღვიძო ადამიანს თავისი სიამაყის გრძნობა, ვუთხრა მას, რომ იგია ცხოვრებაში ყველაზე კარგი, ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ძვირფასი, წმინდათა წმინდა, და მის გარეშე არაფერი არ არის ყურადღების ღირსი". ყველაზე მეტად ახალგაზრდა შემოქმედებს ჰირდებათ ცხოვრების საფუძვლიანად შესწავლა, სწორედ მათ უნდა შეიცნონ რაც შეიძლება კარგად ახლის, კაცობრიობის ისტორიაში პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ხალხი, რათა შეძლონ მისი უშრეტი მისწრაფებებისა და შეუნელებელი წინსვლის გადმოცემა.

ზოგჯერ ჩვენი გამომცემლობები, რედაქციები ზედმეტ ლმობიერებას იჩენენ და აქვეყნებენ მდარე ხარისხის ნაწარმოებებს, რითაც დათვურ სამსახურს უწევენ როგორც ავტორებს, ასევე მკითხველებსაც. მით უფრო სავალალოა ის ფაქტი, რომ მწერლობაზე პრეტენზიის მქონე ავტორები გვთავაზობენ უხამსსა და უიდეო, დაბალმხატვრულ ნაწარმოებებს. კარგი იქნებოდა, თუ ასეთი ნაწარმოებების დაბეჭდვისას გამომცემლობები მოიგონებდნენ ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს: „სწორად იქცევიან დედები, როცა უმალავენ ბავშვებს მჭრელ საგნებს, სანამ ისინი ისწავლიდნენ მჭრელი საგნების ხმარებას".

ახალგაზრდობა უფრო მეტად ყურადღებიანი უნდა იყოს ყოველგვარი ახლისა და ცხოვრებისეულის მიმართ. ის მძაფრად უნდა გრძნობდეს ახალს, ერკვეოდეს მოვლენებში, შეეძლოს ეპოქის დიდმნიშვნელოვანი ძვრების ასახვა და მხატვრული ფორმებით გადმოცემა. მისი შემოქმედება უნდა იყოს ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედების მართალი მატიანე. ჩვენი დიადი დრო სავსეა ამოუწურავი თემებითა და შესაძლებლობებით. საჭიროა მხოლოდ დაკვირვება, ცოდნა და საქმის სიყვარული. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ იდეურობისა და ოსტატობის მყარი ქვაკუთხედის გარეშე არ შექმნილა და არც შეიქმნება ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი და ხალხის საყვარელი წიგნი.

ამ ბოლო ხანებში შემოქმედებითს სარბიელზე გამოვიდა ახალგაზრდა კომპოზიტორთა მთელი პლეადა. ესენია: ბ. კვერნაძე, ო. გორდელი, ს. ნასიძე, ი. გეჯაძე, ფ. ღლონტი, რ. ქარუხნიშვილი, ი. ბობოხიძე, ნ. ვაწაძე, ნ. გიგაური, ვ. აზარაშვილი, გ. ყანჩელი. ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს მათ. აღსანიშნავია, რომ ექვსი ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი — ო. გორდელი, ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე, ვ. აზარაშვილი, გ. ყანჩელი და ნ. ვაწაძე კომპოზიტორთა შემოქმედების საკავშირო დათვალიერების ლაურეატი გახდა. მაგრამ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ისინი ნაკლებად ქმნიან სიმღერებს თანამედროვეობაზე, ახალგაზრდობაზე, რომლებშიც აისახებოდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჰეროიკა. ახალგაზრდობას სჭირდება სიმღერები, რომლებიც მის განწყობილებაზე დადებითად იმოქმედებენ, გაამხნევებენ და დაეხმარებიან. ამ მნიშვნელოვან საკითხზე უნდა იფიქრონ ჩვენმა კომპოზიტორებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა.

ჩვენ გვყავს უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრები: მერაბ მერაბიშვილი, დინარა ნოდია, გოგი თოთიბაძე, მერაბ ბერძენიშვილი, კოკი მახარაძე, გურამ გელოვანი და სხვები. მაგრამ აქვე

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა მხატვართა ერთ ნაწილში ნაკლებად იგრძნობა თანამედროვე თემატიკით დაინტერესება.

საჭიროა მთელი ძალით ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდა შემოქმედებში აღვზარდოთ საკუთარი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

საჭიროა ახალგაზრდა შემოქმედებით მუშაკებს დავეხმაროთ ისეთი ნაწარმოებების შექმნაში, რომლებშიაც ასახული იქნება კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ცხოვრება.

ჩვენი აზრით, უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ახალგაზრდა შემოქმედებითს ძალებთან მათი შემოქმედებითი ზრდისა და იდეური წრთობის მიზნით. ახალგაზრდა მწერალსა და მხატვარს ისევე მოეთხოვება, როგორც მხცოვან მოღვაწეს, და თუ ვინმე ხელოვნურად ზღვარს ატარებს თაობათა შორის, მას არ ესმის, რომ ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს „მამებისა“ და „შვილების“ პრობლემა, რადგან არ შეიძლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ისინი, ვინც რევოლუციისათვის იბრძოდა და შემდეგ სოციალიზმს აშენებდა, და ისინი, ვინც დღეს კომუნიზმის მშენებელი თაობაა. ახალგაზრდობა ყოველთვის პატივს სცემს ჩვენი მამების მიერ ბრძოლებით განვლილ გზას.

სკკპ XXII ყრილობაზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ „ხელოვნებამ უნდა აღზარდოს ადამიანები, უწინარეს ყოვლისა ცხოვრების [illegible] მაგალითებით, აღზარდოს ადამიანები კომუნისტური სულისკვეთებით. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ძალაა სინამდვილეში მთავარისა და გადამწყვეტის სიმართლით ასახვა“.

ჩვენც ამიტომ მოვითხოვთ ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალგაზრდა წარმომადგენლებისაგან, რომ მათს ნაწარმოებებში სრულყოფილად აისახოს ჩვენი ხალხის მრავალფეროვანი ცხოვრება, ცხოვრება იმ ადამიანებისა, რომლებიც ყამირს ტეხენ, უდაბნოებს აყვავებენ, გიგანტურ პესებს აშენებენ, კოსმოსს იპყრობენ, ადამიანებისა, რომელთაც ფართო მკერდი და ცხელი გული, მაგარი კუნთები და მაღალი ზნეობრივი იდეალები აქვთ.

ახალგაზრდობის წინ უდიდესი შესაძლებლობები და პერსპექტივებია გადაშლილი — ახალგაზრდობა უნდა იდგეს ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე რიგებში, თავისი ახალგაზრდული სულითა და შემართებით ამხნევებდეს და ახალისებდეს ხალხს, რაზმავდეს, ხელს უწყობდეს შრომასა და გართობაში. ჩვენმა მოწინავე შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საქმით უპასუხოს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას.

მუხრან მაჭავარიანი

# ნათელი გზით

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ამბობს: „არ შეიძლება მიგაჩნდეს თავი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად, იდგე მებრძოლ მხარეთა შორის გზაჯვარედინზე და „გულგრილად ეკიდებოდე კეთილსა და ბოროტს"... რევოლუციისათვის ბრძოლა საჭიროა არა მარტო რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის მონაპოვართა განმტკიცების პერიოდშიც კომუნიზმის საბოლოო აშენებამდე. აქ არ კმარა მარტოოდენ რეფერატები, ლექციები, მოხსენებები, საჭიროა სროლაში მონაწილეობაც, როცა ამას გარემოება მოითხოვს".

ქართული ლიტერატურის საფუძველი ყოველთვის იყო პარტიულობა, ხალხის სამსახური და ადამიანის კეთილდღეობისათვის აქტიური ბრძოლა.

პიროვნების კულტის მხილებისა და დაგმობის პერიოდში დაშვებული ზოგი შეცდომა ახლა სააშკარაოზეა გამოტანილი და პარტიამ ერთხელ კიდევ შეახსენა მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს, რომ მათი მოქალაქეობრივი ვალი კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში დგომაა, რომ მათ აკისრიათ საპასუხისმგებლო საქმე — საბჭოთა ადამიანის „სულის მჭედლობა".

ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა დაშვებული ისეთი უხეში შეცდომები, როგორსაც ზოგიერთი რუსი მწერლის შემოქმედებაში აქვს ადგილი. და თუკი მსგავსი რამ შემდგომში იყო მოსალოდნელი, ამ საპროგრამო სიტყვის შემდეგ, ცხადია, ამის მოლოდინი აღარ უნდა გვქონდეს.

ხოლო იმის მიზეზი, რომ ქართულ ლიტერატურაშიც შიგადაშიგ მაინც არსებობს ზოგიერთი ბუნდოვანი ნაწარმოები, არის არა ფორმალიზმითა და აბსტრაქციონიზმით გატაცება, არამედ ამ ნაწარმოებთა ავტორების შემოქმედებითი დაუდევრობა, ზოგ შემთხვევაში უცხოური ლიტერატურის გავლენით აზრის ხელოვნური გაბუნდოვანება, ან სუსტი ნებისყოფა, სათქმელის უქონლობა, ხშირად კი ქართული ენის უცოდინარობა, ლექსიკის სიღარიბე და სიტყვისადმი უპატივცემლობა.

ზოგი ახალგაზრდა შემოქმედი კარგად არ იცნობს მშობლიურ ლიტერატურას და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ეძებს იმას (იქნება ეს თემა, მეთოდი თუ სტილი), რაც ქართულ ლიტერატურაში დიდი ხნის წინათ შეიქმნა და რის ბრწყინვალე ნიმუშებიც ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებაში და ძველ დამწერლობაში უხვად არსებობს.

ყოველი ჩვენთაგანი დიდი გულისყურით გაეცნო ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვას. ამ ისტორიულ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი. საქმე შემდეგშია:

გრძნობს რა, რომ შეიძლება ზოგიერთმა ნაკლებ ნიჭიერმა მწერალმა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს პარტიის მოწოდება, ამხანაგი ხრუშჩოვი საგანგებოდ შენიშნავს: „შეიძლება ზოგიერთმა თქვას, ხრუშჩოვი ხელოვნებაში ფოტოგრაფიზმისკენ, ნატურალიზმისკენ მოგვიწოდებსო. არა, ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ მკაფიო მხატვრული შემოქმედებისაკენ, რომელიც სიმართლით წარმოსახავს რეალურ სამყაროს, მთელ მის მრავალფეროვნებას".

პარტია ჩვენ მოგვიწოდებს მაღალიდეური და მაღალმხატვრული ლიტერატურისაკენ და დაე, ნურცერთი დარგის „ფოტოგრაფი" ნუ იფიქრებს, რომ მისი დრო დადგა, რომ ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება შეიძლება დაბალხარისხოვანი მაკულატურით შეიცვალოს და გარდა ამისა, წინასწარი განზრახვით იქ ნუ დავიწყებთ იმის ძებნას, სადაც ის (აბსტრაქციონიზმი თუ ფორმალიზმი) არ არის, ანდა თუ არის ერთგვარი ფორმალისტური რეციდივები, ერთობ უმნიშვნელოა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვემართება იგივე ამბავი, რასაც ასე სამართლიანად საყვედურობს ზოგიერთ მწერალს ამხანაგი ხრუშჩოვი: „თვითეულ, ყველაზე კარგ საქმესაც კი აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეები. ულამაზეს კაცსაც კი შეიძლება ჰქონდეს ნაკლოვანებანი, მთელი საქმე ის არის, როგორ მივუდგებით ცხოვრების მოვლენებს და რა პოზიციებიდან შევაფასებთ მათ, როგორც იტყვიან, რასაც ეძებ, იმას ნახავ".

კარგი იქნება, თუ ამხანაგ ხრუშჩოვის ამ სიტყვების აზრს ქართული ლიტერატურული კრიტიკაც გაითვალისწინებს.

ამხანაგი ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში, ეხება რა თაობათა ურთიერთობის საკითხს, აღნიშნავს: „ჩვენს დროში მამებისა და შვილების პრობლემა როდი დგას ისე, როგორც ტურგენევის დროს იყო, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ სულ სხვა ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ადამიანთა სხვა ურთიერთობაც. საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის თაობათა წინააღმდეგობანი".

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ" დაბეჭდა მიხეილ ქვლივიძის ლექსი „თაობის სახელით", რაც, ჩვენი აზრით, ავტორისა და რედაქციის უხეში შეცდომაა. პოეტი მიხეილ ქვლივიძე ცდილობს დაუპირისპიროს ერთმანეთს თაობები, შექმნას ხელოვნური წინააღმდეგობა, თვითონ გადადის „მამების" რეალურად არარსებულ ბანაკში (ასეთი ბანაკი კიდეც რომ არსებობდეს, ქვლივიძეს ჯერჯერობით არც თავისი შემოქმედებით და არც ხნოვანებით არ დაუმსახურებია მისი „წევრობა") და იქიდან უსაფუძვლოდ დებს ბრალს „ახალგაზრდა პოეტების ერთ ნაწილს" „კრაზანებივით ზუზუნში" და „ფაფხურში".

მიხეილ ქვლივიძეს სწორად ვერ გაუგია, თუ რა პოზიციიდან აკრიტიკებს ამხანაგი ხრუშჩოვი ხუციევის ფილმს „ილიჩის საგუშაგოზე". ამხანაგი ხრუშჩოვი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მსგავსი დაპირისპირება საფუძველს მოკლებულია და არ გამოხატავს თაობათა ურთიერთობას ჩვენს სინამდვილეში.

მიხეილ ქვლივიძეს არ ესმის ტრადიციისა და მემკვიდრეობის საკითხიც.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდა მწერლებით, რომელთა საუკეთესო ნაწილიც ქართული ლიტერატურის ტრადიციებზეა აღზრდილი, რომელთაც ღრმად აქვთ შეგნებული, რომ „რევოლუციისათვის ბრძოლა საჭიროა არა მარტო რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის მონაპოვართა განმტკიცების პერიოდშიც კომუნიზმის საბოლოოდ აშენებამდე": ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდობით, რომელთაც დაიპყრეს კოსმოსის სივრცეები, დააგუბეს წყალუხვი მდინარეები და ააშენეს ჰესები, რომელთაც გატეხეს ყამირი, უმღერეს ხალხის დიად მომავალს, და არავითარი უფლება არა აქვს „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული ლექსის ავტორს თაობის სახელით ასე მიმართოს ახალგაზრდობას:

„დარბაზის კედლებს ახანზარებს სტვენა და ტაში;
ახალგაზრდები
შესევიან
მწერალთა კავშირს...
შეძრწუნებულნი
მათი ხილვით, მათი მოსმენით,
კედლებზე სდუმან
წარბშეკრული კლასიკოსები".

შესაძლოა ჩვენი ახალგაზრდების შემოქმედებაში შეიმჩნეოდეს ზოგი ხელოვნური გატაცება, რის გამოსწორებაც არ არის ძნელი, მაგრამ არც მათ შემოქმედებაში და არც მათ ყოფაში არ არის არაფერი ისეთი, რასაც შეუძლია „წარბშეკრული კლასიკოსების შეძრწუნება" გამოიწვიოს.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვაში, ამ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტში, დასახულია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარების გზები. ქართველი მწერლები, რომელთაც ყოველთვის შეგნებული ჰქონდათ თავიანთი შემოქმედების მაღალი დანიშნულება, კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურებიან ხალხს, მის ნათელ მომავალს, ემსახურებიან კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა ნიშნიანიძე

◙

მიყვარს სიჩუმე ჩრდილის და ტყისა,
სიჩუმე მზისა,
ფრესკის და
ხავსის.
ბედნიერია ძე ადამისა,
ვინც იცის დიდი სიჩუმის ფასი.

მიყვარს სიჩუმე გარდასულ ჟამის.
დიდი, ყვითელი და სავსე მთვარის,
მრავალი დღე და მრავალი ღამე
მეცა ვყოფილვარ სიჩუმით მთვრალი.

სულს მინედლებს და მიაბრეშუმებს
და მიასკეცებს, რაც რომ მებადა, —
ეკლესიათა, ქანდაკებათა
მრავლისმეტყველი დიდი სიჩუმე.
სიჩუმე — რაც თვლემს ქვაში სიფიცხედ,
შენახულ სითბოდ,
ნაპერწკლის ჟრჟოლად.
რაიც გალღობილ თესლში ილვიძებს,
როგორც სიცოცხლის ჟინი და ლტოლვა.

მიყვარს სიჩუმე, სიჩუმე სრული,
სიჩუმე არა მოშვერილ ლულის,
სიჩუმე, როგორც დიდი სიკეთე,
დიდი სიმშვიდე და სიმყუდროვე.
სიჩუმე ჩიტის,
თავს რომ იმეტებს,
ბუდეში ბარტყს რომ საზრდოს უტოვებს.

მიყვარს სიჩუმე ნასურვილევი,
დიდი სიჩუმე ფიქრის დობილი,
როცა ზღვისპირად ტანგახდილები
ვზივართ მე და მზე ზურგმიყრდნობილნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედაბუნებავ, სიჩუმე მასვი
ლურჯ სიზმარივით დასაბურავი,
მეც ვიცი ჩუმი ღიმილის ფასი,
ჩუმი ცრემლების და სამდურავის.
ვილებ სიჩუმეს შენი თმებივით,
ვიჭერ სიჩუმეს მაგ თითებივით,
ეს სიჩუმეა, რომ განებივრებს.
სიჩუმე
არაჩვეულებრივი;
ზოგჯერ ხელიდან რომ მივარდება
შენი სიჩუმე — თრთოლვა ცისკრისა
და რომ იმსხვრევა ზოგჯერ ტირილად
და რომ წკრიალებს ზოგჯერ კისკისად.
სიჩუმე სავსე ფოთლის ექოთი,
ვით შემოდგომით ავსილი კაბა
სულში ხალისის ტალღად შემოდის
და ხმებს აგროვებს სიმღერის ლამბად.

ო, ცაო, ცაო, ნუ დაიშურებ —
საზრდოდ მომეცი დიდი სიჩუმე,
სიჩუმე ჭვრეტის,
ფიქრის,
ამოხსნის,
სიჩუმე შექმნის და მოლოდინის...
მე, როგორც მიწა მწვანე სამოსით,
დიდი სიჩუმით ვარ გაფოთლილი...

☆

## პოეტი

### 1

გადავშლი შენს წიგნს... კურთხეულ იყოს,
თითქო ბუნების კარი შევაღე.
ბილიკებივით დავყვები სტრიქონს,
დავივლი შენი სულის ვენახებს.

აჯეჯილებულ ბწკარებში ვყვინთავ,
სტუმარიცა ვარ და მასპინძელიც.
მთვრალი ვარ შენი ფერით და ხმითა,
რომ სული მქონდეს უფრო ფხიზელი.

თითქო ფუტკრები ფხაჭნიან დუმილს, —
მკბენს გამწარებით სიტყვა ფუსფუსა.
წამოიშლება ასოთა მუმლი
და შემესევა ტანზე ბუსუსად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოველი ბგერა არი ნათელი
და წყლის წვეთივით ფერებს იტაცებს.
თითქო აყვავდა რტო ცისარტყელის
და შენ ჩამოგაქვს ქართლის მიწაზე.

მომეჩვენება მცხეთა, არმაზი —
ხან ზმანება და ხან სინამდვილე...
ოდიშის ქალა, ველი ალაზნის,
შენ ხან მწირი ხარ, ხან მონადირე.

ხელში გიჭირავს უცხო ლერწამი
ხმებით, თითებით გასალეწავი.

ასეთი სიზმრად თუ შემხვედრია,
სად მოგიჭრია, სადაურია?
ხან ჭოგრიტია,
ხანაც კვერთხია,
ხან ჯადოსნური სალამურია.

ჭოგრიტში მოჩანს, როგორც სიზმარი,
ჩვენი წარსული და მომავალი.
კვერთხში კი წვანან გზები სავალი
და სალამურში — ხმები მძინარი.

2

მისნური მზერა მთებს მიათოვა
და შორს ბუხრებზე კვამლად დაჰკიდა,
სათოფურებში სხივად ჩატოვა
და მიამძივა ხატს იაკინთად;

კუნელის მარცვალს შეახო ხელი
და გარდასახა ჭიამაიად.
ლორთქოდ აქცია ბალახი ხმელი
და პეპლად ქცევა ეამა იას.

მერე კენჭები ათასფერები,
აცოცა, როგორც ლოფორთქინები,
მომცა ნიჟარის საფერფლეები,
მზითა და მთვარით მოფოთლილები.

გადამიშალა, მანახა წამით
მარადიული ბუნების წიგნი,
სადაც ელაგა დღეთა და ღამეთ
თეთრი და შავი ფურცლები შიგნით...

და მცხეთის ფრესკას, ნახევრად წაშლილს
და სერაფიტას დაფერფლილ აჩრდილს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მან დააკერა სიტყვა წამწამად
და მოახვია ფიქრი დალალად...

გურამიშვილის ცეცხლით გვაწამა
და მისი ბედით ჩვენც გვავალალა.

3

ძველი იყალთო, გრემი, გელათი,
არმაზი, მცხეთა და საფურცლია
დრომ მოიყუდა ხელადებივით...
შეუსვამს...
                    მაგრამ ვერ დაუცლია.

ვერც ვერვინ დაგვცლის, ვერ ამოგვხაპავს —
ვართ მემკვიდრენი შესაფერისი,
წავალთ და მოვალთ ლეგენდად, ზღაპრად
დიდი წარსულით, დიდი მერმისით...

4

მერე ქალაქში რომ შემოვიდა,
მოჰყვა სურნელი მინდვრის, ხეობის,
თითქო მობრუნდა ნადირობიდან
დაღლილი, მაგრამ სავსე მხნეობით.

არ იყო ის დღე ჩვეულებრივი
და მე ვხედავდი თვალგაცეცებით —
უხილავ მწევარ-მეძებრებივით
წკავწკავით როგორ მოჰყვნენ ლექსები.

მონადირეა ყველა პოეტი
და ერთს ეპწრაფვის სულის მილევით,
მისთვის სიტყვაა და მხოლოდ სიტყვა:
თოფიც,
        მიზანიც,
                ნანადირევიც.

5

იდუმალების და ფიქრის ჭაო,
ამივსე მწყურვალს სასმელი დოქი.
მე შენი სულის სიღრმესთან ვდაობ,
ვერ მოგწვდი ჩემი სტრიქონის თოკით.

სიმღერის გზაზე ვინც მოიკოჭლებს,
სხვის კალამს ხმარობს ყავარჯენივით...
მე — მხოლოდ ჩემი ლერწამი მოვჭერ,
ვარ ცდუნებისგან გადარჩენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ კალმის წვერით ტანზე ამცერი, —
სალამურივით ვარ დადალული.
მოდი, მიკურთხე უცხო ნაწერი
და ამიხდინე სიზმრად ნახული.

არ ვარ უბრალო დიდგულის ღერი,
შთამბერე სული და ამამღერე.
სახსრებს მილეწავს სანამ სურვილი,
სანამ მყუდრო მაქვს საჩრდილობელი.
დე, ღვთაებრივი სალამურივით
შიდგან გამეხსნას ნაჭრილობევი...



სინათლე მთებში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზის მშვენებლობა

ჩანართის მესამე გვერდზე —
სვანი ქალები

**ჩანართის მეოთხე გვერდზე —**
ქარხნის სასადილოში





## გრიგოლ აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ღამე*

რომანი

ახალდაბასა და თბილისს, თორსა და ახალციხეს არასოდეს გაცილებოდა ცაგო და არ ეგონა, თუ ქვეყანა ასე დიდი იქნებოდა. მიდიოდნენ და მიდიოდნენ... გზას ბოლო არ უჩანდა, ქვეყანას — ნაპირი და დასასრული.

აღარ ახსოვდა რამდენჯერ დაღამდა და გათენდა. სიცხემ თანდათან უმატა და გზა გაძნელდა. სულისჩამბრუნებელი ნიავის მაგივრად ცხელი უდაბნოს ხორშაკი უბერავდა და საქართველოს ღრუბელი თანდათან თვალს ეფარებოდა.

ტყვეებმა ოხვრა გაახშირეს, ტირილსა და მოთქმას უმატეს.

ღამით რომელიღაც მდინარის პირას შეჩერდნენ. იმ მდინარეს ხშირი ტყე ეკრა და სიცხით დაოსებულმა ტყვეებმა სული მოითქვეს.

ტყვეთა ქარავნის გამცილებელ რაზმს თავი სამშვიდობოს ეგულებოდა და აღარ ფრთხილობდა. იარაღი აიხსნეს და დაღლილებმა კარგად გამოძინება მოინდომეს.

გრძელი გზით დაღლილ ცაგოს ძილში თავისი სახელი ჩაესმა. თურმანის ხმას მიამსგავსა, სიხარულისაგან შეხტა და მაშინვე გაეღვიძა. irგვლივ ყველას ეძინა და გუშაგების გაბმული ფშვინვა ისმოდა. ცაგო გაინაბა, ყური მიუგდო, საიდანღაც თითქოს ფეხის ხმა ახლოვდებოდა. სადღაც ცხენმა გაიფრუტუნა და ჩურჩულის ხმა მისწვდა. ცაგომ თავი წამოსწია. უცებ ისეთი ხმაური მოესმა, შეგუბებული წყალი რომ ჯებირს გაანგრევს და ღვარი ზათქით წამოვა. ღამის უკუნი ქინძლილების შუქმა გასჭრა და ცხენების თქარათქურმა იქაურობა დააყრუა.

— ჰკა მაგას! — გაისმა ომახიანი ყიჟილი და ქართველი თავდამსხმელები ქორებივით მიეტივნენ ფეხზე წამოცვენილ, ჯერ კიდევ გამოუფხიზლებელ

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 1, 2.

ხვარაზმელებს. ქართველმა მდევრებმა წინააღმდეგობის გამწევებს თავები დააყრევინეს, ხვარაზმელთა ნადავლს დაეპატრონენ და ტყვეებს ხელ-ფეხი გაუხსნეს.

— თავს უშველეთ, ვისაც საით სურს, იქით წავიდეს! — ჩაესმა ცაგოს ნაცნობი ხმა, ტახტრევნიდან წამოიწია და ქინძლილების შუქზე ხმალშემართული ბუმბერაზი, ცხენზე ამხედრებული გოჩი მუხასძე გაარჩია.

— გოჩი! ძმაო, გოჩი! — სუსტი ხმით გასძახა ცაგომ და ქვითინი წასკდა.

მუხასძემ ცხენი იქით მიაგდო და ქინძლილი ტახტრევანში შეანათა.

— ცაგო! აქ საიდან, ბეჩავო?! — მოუწყლიანდა თვალი გოჩის, უნაგირიდან გადმოიწია, ცაგოს წელზე ხელი მოხვია, ბურთივით აიტაცა და ცხენის გავაზე შემოიგდო.

— სად გინდა წაგიყვანო? — შეეკითხა თავმოუბრუნებლად წელზე ვაზივით მოხვეულ ცაგოს.

— სადღა წამესვლება, სახლი მე აღარ გამაჩნია და ოჯახი... სადაც თქვენ, იქ მეც...

— ეგ მერე ვნახოთ, ახლა დრო არ არის, უნდა ვიჩქაროთ! — თქვა გოჩიმ და ცხენი დასძრა.

გოჩის რაზმელებმა ალაფი დახოცილი ხვარაზმელების ცხენებსვე აჰკიდეს. ვინც მათთან წასვლა ისურვა, იმათაც ხვარაზმელთა იარაღი აისხეს, ცხენებს მოახტნენ და ღამეში გაჰქუსლეს. დანარჩენები გაიფანტნენ და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ჭენებით მიჰქროდნენ ტყვეთა დამხსნელები. გზად მტრის გადაყრას უფრთხოდნენ და შარაზე გასვლას ერიდებოდნენ, უფრო ტყე-ტყე და ბილიკ-ბილიკ სვლას არჩევდნენ, უგზოზე ქაჯებივით მიაქროლებდნენ ცხენებს და უფსკრულის პირზე ჰინკებივით ახტუნებდნენ მთებში ნაჩვევ ზერდაგებს.

— ვაი, შვილო! — დაიგმინა უცებ ცაგომ და ცოტახნის მერე ხმის კანკალით იკითხა: — გადარჩებოდნენ ნეტავ შალვა და პავლია?

— გადარჩებოდნენ, ღმერთი მოწყალეა! — თავმოუბრუნებლად დაუმოწმა მუხასძემ, თუმცა თავადაც არ სჯეროდა, თბილისში დარჩენილთაგან თუ ვინმე გადარჩებოდა.

ცაგო ორივე ხელით შემოსალტვოდა წელზე მუხასძეს, მკერდით მის ზურგს მიჰკროდა და თავი მის მხრებში ჩაემალა. პირველად არ უგრძვნია ვაჟკაცს ქალის ეგეთი სიახლოვე, მაგრამ ცოტა რომ გაიარეს, ზურგი თანდათან გაუხურდა და მხრები ქალის სუნთქვამ გაუთბო. ცეცხლი მოეკიდა, აირია და წონასწორობა კინაღამ დაჰკარგა ვაჟკაცმა.

სხვა ვერაფერი ილონა, ცხენს მათრახი უჰირა და, ისედაც ოთხზე გადასული, მთლად მიწას გააკრა.

რაც უფრო ჩქარა მიჰქროდნენ და რაც უფრო ძნელ გზებზე უხდებოდათ, გავლა, მით უფრო ემატებოდა ცაგოს შიში, უფრო ძლიერ ეკვროდა გოჩის და თანაც მთელი ტანით ცახცახებდა.

მუხასძე გრძნობდა, რომ თვალებში სისხლი აწვებოდა და გონებაც თანდათან უბნელდებოდა. ქალის შემოსალტული ხელების მოშორება უნდოდა, მაგრამ ეს უფრო გასცემდა მის მღელვარებას. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და უცებ სიმღერა წამოიწყო. რაზმი გუგუნით აჰყვა მეთაურს და წუთით ისევ გაუნათდა გოჩის გონება.

ცაგო ზედ დამკვდარივით გატრუნულიყო მუხასძის ვეებერთელა სხეულზე. უცებ ცხენმა წაიფორხილა და ქალის ხელების მჭიდრო სალტემ წელიდან მკერდისკენ გადაინაცვლა.

ქალმა იგრძნო თავის ხელქვეშ ვაჟკაცის გულის უჩვეულო ბაგა-ბუგი. კაცმა უნებურად სიმღერა შესწყვიტა და წამით მასაც ისე მოეჩვენა, თითქოს მისი ამოვარდნილი გული ცაგოს ეჭირა ხელში და მის ნაზ თითებში გაჰქონდა ფართხალი.

ქალმა ხელები ცივად დაუშვა და მხედარიც უცებ გამოერკვა. სამინლად შერცხვა თავისი თავისა და ცაგოსიც.

— მომხვიე, არ გადავარდე! — წაიდუდუნა გოჩიმ და ცაგოს მკლავი თავადვე შემოირტყა წელზე.

ქალიც ანგარიშმიუცემლად მისდევდა, წინანდელზე უფრო მეტად მიეკრა ვაჟკაცის ტანს და ცრემლი ღაპაღუპით წასკდა.

მუხასძემ იგრძნო მხრების დასველება.

— სტირი, განა, ბეჩავო? — დათვივით წაიბურდღუნა გოჩიმ და თავადაც გული ამოუჯდა.

შეკავებული სლუკუნით ტიროდა ორი გულჩამკვდარი ადამიანი, ოთხსმით მიჰქროდნენ მიწასგაკრული ბედაურები და მძლავრ გუგუნად ისმოდა ახლა მტირალი ვაჟკაცის მიერ წუთის წინ დაწყებული ლაშქრული.

მუხასძის რაზმი ტყეში გასულ დანარჩენ ქართველებთან შესაერთებლად იჩქაროდა.

შორ-შორს მოვლით, ტყე-ტყე და მთა-მთა სიარულით გოჩიმ ცაგო ახალდაბის გზაზე დააყენა და გამოემშვიდობა.

სოფლის გზაზე კაცის ჭაჭანება არსად იყო. მინდორში ნახირი არ ჩანდა და ბუხრებიდან კვამლი არსად ამოდიოდა. ეზოებს ლობეები მორღვეოდა და ალაგალაგ ნახანძრალი სახლები დაქცეული მღვიმეებივით დაყუდებულიყვნენ.

ვაჩეს სახლს მიუახლოვდა ცაგო. ჭიშკართან პატარა გოგონა იდგა და ხმამაღლა ზლუქუნებდა. ცაგოს დანახვაზე შეკრთა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ისევ შეჩერდა და მისკენ მიმავალს დააკვირდა.

ცაგომ იცნო ვაჩეს ბალღი, მიუახლოვდა. ბავშვმა ტირილს უმატა, სახლისკენ წავიდა და თან უკან-უკან იყურებოდა, მომყვება თუ არა უცხო ქალიო.

ცაგო ჭიშკარში შევიდა და ბალღს მიჰყვა.

ამ პატარა კიბეზე სანამ ავიდოდა, გული კინაღამ ამოუვარდა. რამდენჯერ აურბენია ეს კიბე თავის ბავშვობაში. მაგრამ არასოდეს მსგავსი ღელვა და გულის ტრიალი არ უგრძვნია. ჩაბნელებულ ოთახში ლოგინთან იდგა ატირებული გოგონა. ლოგინში ვაჩეს დედა იწვა სიცხიანი და სახეწამონთებული. გამხდარი დედაკაცი თვალებს უმწეოდ ატრიალებდა, შფოთავდა და კვნესოდა. უცებ სიცხიანმა სიმღერა წამოიწყო, რაღაც გაურკვეველი ჩაიმღერა, მერე ისევ თავი გადაიგდო, ოხვრას მოჰყვა და ტირილიც მოაყოლა:

—ვაი, შენს დედას, შვილო! ვაი, შენი კარგი თვალების დამლამებელს...

ცაგო ჟრჟოლამ აიტანა. რაღაც საშინელის მოლოდინში სნეულს მიაშტერდა.

— მიწა გაეთხაროს შენი თვალის დამთხრელს, შვილო, ვაჩე!.. — მოთქმით გააბა ავადმყოფმა, სუნთქვა გაახშირა და შფოთვას უმატა.

ერთხანს ასე იფორიაქა და იომა სნეულმა. მერე თანდათან მოწყდა და მოეშვა, მარჯვენა ხელის სამი თითი ერთიმეორესთან მიიტანა, მაგრამ ხელი ველარ ასწია. გახურებული ტუჩებიდან რაღაც გაურკვევლად ამოიჩიფჩიფა, ერთი გაიზმორა, გაიჭიმა და სუნთქვაც გაათავა.

ბავშვმა იგრძნო, რომ რაღაც დიდი უბედურება მოხდა, ლოგინს შეშინებული მოცილდა და წინანდელზე უფრო ხმამაღლა ატირდა. ახლაღა გამოერკვა ამდენხანს გაქვავებული ცაგო, ვაჩეს დედასთან მივიდა, შეშინებული ხმით ჩასძახა და შუბლზე ხელი დაადო. მიცვალებული ცივი იყო და უგრძნობელი. ცაგომ მიმოიხედა, გამამხნევებელი და იმედის მიმცემი რომ ვერავინ იპოვნა, ბავშვს ხელი ჩაჰკიდა და სირბილით გამოიყვანა. ტირილით გაირბინეს ეზო.

ცაგომ თავის სახლ-კარს მიაშურა.

არც მის კარმიდამოში იყო სულიერის ჭაჭანება. კიბეზე აიჭრა და გულგახეთქილმა კარი რომ შეაღო, მუხლი მოეკვეთა: ლოგინზე დედა იყო წამომჯდარი, პირზე დოქი მოეყუდებინა და წყალს სულმოუთქმელად სვამდა.

ხმაურზე დოქი მოიშორა. ცაგო რომ დაინახა, სახე გაუნათდა:

— ცაგო! ცოცხალი ხარ, შვილო?!.

— ცოცხალი ვარ, დედა! — ამოიტირა ცაგომ და დედის მოსახვევად გაექანა.

— არ მომეკარო, ახლო არ მოხვიდე... სახადი მაქვს... შენც გადაგედება... — იძახდა და ხელით იგერიებდა, მაგრამ ცაგოს მისი აღარ ესმოდა, გულში ეკვროდა, ეხვეოდა და კოცნიდა.

ტირილითა და ალერსით გაძღნენ.

— რად მომეკარე, შენც ავად გახდები!

— მე რა მიშავს, დედა. დიდი ხანია, ავადა ხარ?!

— ორი კვირა იქნება, რაც მტერმა სოფელი აიკლო. რისი წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, პირუტყვი გაირეკეს, სარჩო-საბადებელი წაგვართვეს, დაგვაქციეს და წავიდნენ. სოფელში კაცი აღარავინ არი, მარტო ქალები რას გავაწყობდით. დაიმშა დიდი და პატარა, მაგრამ შიმშილს კიდევ გავუძლებდით, ეს სახადი რომ არ გაჩენილიყო. დღე არ გავა, ორი-სამი სული არ შეიწიროს. დამმარხავიც აღარავინ არი და აყროლდა სოფელი. უბედური ვაჩეს დედაც სახადით კვდება, გუშინდლამდე მე ვუვლიდი. ახლა მეც დამაგდო სიცხემ და აღარც მისი ამბავი ვიცი.

— მოკვდა ვაჩეს დედა, ახლახან მოკვდა, — ტირილით თქვა ცაგომ.

— ღმერთმა აცხონოს უბედური, მაინც სიკვდილს ნატრობდა, თავმოჭრელებულს სიცოცხლე აღარ უნდოდა, რაც ვაჩეს თვალის დათხრის ამბავი გაიგო.

— თვალი დათხარესო? ვინ? როდის? — შეიცხადა ცაგომ.

— ჰო, შვილო, წყეულ ჯალალედინს თავისი ხელით დაუთხრია თვალი. იმ უბედურს მეფის პალატებში ლამაზი ქალი დაუხატავს. ჯალალედინს იმ ქალის მოყვანა უბრძანებია ვაჩესთვის, ნახატს როგორ მოუყვანდა, უარზე დამდგარა, სულტანი განრისხებულა და თვალი დაუთხრია.

ცაგოს წამით თვალი გაუშტერდა. ფიქრით რუსუდანის პალატებში გადავიდა და თვალწინ ვაჩეს ნახატი დაუდგა. ჩემი მიყვანა უბრძანებია ჯალალედინს, ჩემს გამო დაუბნელებიათ მზე ვაჩესათვის, ჩემი ტრფობის წერა გადხდარაო, გაიფიქრა და ვაჩეს წინაშე თავი დამნაშავედ იგრძნო.

— საწყალო, ვაჩე! უბედურო, ვაჩე! — ამოიკვნესა ცაგომ, ლოგინს დაემხო და გულამომჯდარი ატირდა.

ადარბადაგანსა და საქართველოს რომ იპყრობდა, ჯალალედინს თვალი და ყური ირანისაკენ ჰქონდა. იქ დღედღეზე მონგოლების გამოჩენას ელოდა და სანამ ჩრდილოეთით საკმაო ჯარსა და სიმდიდრეს არ შეაგროვებდა, სამხრეთით ძლიერ ომში ვერ ჩაებმებოდა. ჩრდილოეთით სულტნის ლაშქრობა სამხრეთის სიმშვიდეს ეყრდნობოდა. ამიტომ სამხრეთის მცირე შფოთიც ჯალალედინს მოსვენებას უკარგავდა და აბელებდა.

ირანში მყუდროების ოდნავ დარღვევას, ხვარაზმელი სულტნის წინააღმდეგ ამბოხებას ან შეთქმულებას ჯალალედინი ზურგში ჩასაცემად აწვდილი მახვილივით შორიდან გრძნობდა, მაშინვე ყველაფერს სტოვებდა და სამხრეთისაკენ გარბოდა მისთვის ესოდენ სახიფათო კერის ჩასაქრობად.

საქართველოს ძარცვითა და რბევით გართულ ჯალალედინს ერაყიდან აცნობეს: ქერმანს თათრები უახლოვდებიან, ქერმანის პატრონად დატოვებულმა ეჯიბმა ბორაყმა თათრებთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა და აჯანყებას აპირებსო. შეშფოთებულმა სულტანმა მაშინვე თავისი ძმა ყიასედინი აფრინა ექვსი ათასი ჯარისკაცითურთ. ყიასედინს ბორაყი მანამდე უნდა დაემორჩილებინა და გაენადგურებინა, ვიდრე აჯანყებას დაიწყებდა და თათრების ურდოს მოიშველიებდა. სულტანმა ყიასედინს საუკეთესო ჯარი გაატანა, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა — კარგად იცოდა თავისი ძმის დაუოკებელი ხასიათი. თავნება ყიასედინს კვირაში ორი პარასკევი ჰქონდა; იქ, შორეულ ქერმანში, მბრძა-

ნებელი ძმის შიში და რიდი რომ არ ექნებოდა, ვინ იცის, როგორ მოიქცეოდა! ქერმანის გადგომა და მონგოლების იქ მისვლა ჯალალედდინის დიდ გეგმებს ფუშავდა, მის ამდენ ბრძოლასა და წვალებას წყალში ჰყრიდა და საბოლოოდ დასაღუპავად გასწირავდა, რადგან მონგოლები ქერმანს არ დაჯერდებოდნენ და ეჯიბ ბორაყს ირანის სხვა მმართველთა შორისაც აღმოუჩნდებოდა მიმბაძველი და წამხედური.

ქართველები ჯერ კიდევ ძლიერნი იყვნენ. ჯალალედდინმა მსტოვრებისაგან იცოდა, რომ გურჯები ახალ დიდ ლაშქარს კრებდნენ და ხვარაზმელებთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ; ამასთან, არზრუმის, ხლათისა და იკონიის მუსულმან მმართველებთანაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდათ, ჯალალედდინის წინააღმდეგ ამხედრებდნენ და ხვარაზმელებთან ომში ჩასაბმელად აქეზებდნენ. თუ ქართველთა განზრახვა ხორცს შეისხამდა და ეჯიბ ბორაყის აჯანყებაც დაუსჯელი დარჩებოდა, ხვარაზმელი სულტანი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდებოდა. ამიტომ ჯალალედდინს დროზე უნდა ემოქმედა. სამხრეთით საფრთხე დასაწყისშივე უნდა მოესპო, რომ შემდეგ ჩრდილოეთით საქართველო საბოლოოდ გაენადგურებინა. საქართველოს დამხობა ჯალალედდინს მონგოლების წინააღმდეგ საომრად ხელ-ფეხს გაუხსნიდა, სამხრეთისაკენ მიბრუნებულს ზურგი უზრუნველყოფილი ექნებოდა. ყოყმანის დრო აღარ იყო.

სულტანი ფიცხლად აიყარა.

ყიასედდინი ჯერ კიდევ არ იქნებოდა ქერმანს ჩასული, რომ ჯალალედდინიც უკან გამოუდგა თავისი ლაშქრის საუკეთესო ნაწილით.

თბილისსა და საქართველოში სულტანმა ვაზირი შერეფ ელ მოლკი დასტოვა დიდძალი ჯარით.

წასვლისას სულტანმა ვაზირს ბრძანება დაუგდო: საქართველოსათვის სულის მოთქმა არ ეცლია, ქვეყნის განუწყვეტელი რბევა გაეგრძელებინა და თანაც თვალი და ყური საქართველოს მეზობელი სამუსულმანო სამეფოებისკენ ჰქონოდა, გურჯებთან მათი ძმური ურთიერთობიდან არაფერი გამოპარვოდა.

შერეფ ელ მოლკი ჯალალედდინისა და ყიასედდინის მიერ დარბეულ საქართველოს ერთხელ კიდევ აკლებასა და გაძარცვას არ დასჯერდა, ჯარი ჩაუყენა იმ სოფლებსა და ქალაქებს, სადაც მოსახლეობა ჯერ კიდევ ბედავდა წინააღმდეგობის გაწევას.

მთებსა და მიუვალ კლდეებში გადამალულს ვერ მისწვდა, მაგრამ დაპყრობილი ბარის სიმდიდრე ამოსწურა და ხარბმა ვაზირმა გამდიდრების ახალ წყაროზე დაიწყო ფიქრი.

სწორედ იმ დროს ჩაუვარდა ხელთ არზრუმის სულტნის საიდუმლო წერილი ქართველთა მეფისადმი. ტოღრილშა ქართველებს ჯალალედდინის შორს ყოფნასატყობინებდა, ხლათელებთან შუამავლობას კისრულობდა და საერთო ძალით ხვარაზმელების წინააღმდეგ ომის დაწყებას აჩქარებდა.

შერეფ ელ მოლკს ეს საბაბიღა უნდოდა. საქართველოს მაჰმადიან ყმადნაფიცთაგან ყველაზე სუსტი—არზრუმის სულტანი მაინც თვალში ჰყავდა ამოღებული და რაკი ხვარაზმელთა მიმართ მისი მტრობის უტყუარი საბუთი ხელთ ჰქონდა, რაღა შეაჩერებდა, დიდძალი ლაშქრით დაუყოვნებლივ არზრუმს შეესია. ტოღრილშას არც თავად ჰყავდა საკმაო ჯარი, ვერც მეზობლების მოშველიება მოასწრო, უეცრად შემოსეულ მტერს მოუმზადებელი დახვდა და დამარცხდა.

ხლათის მელიქი ელ აშრაფი სირიაში იყო და ნადირობასა და შექცევაში კლავდა დროს. ხლათს, ჩვეულებრივად, დედოფალი თამთა და სულტნის ერთგული ეჯიბი ჰისამადინი მართავდნენ. ხლათელებს ქართველებთან საიდუმლო კავშირი ჰქონდათ, ჯარს ჩუმად კრებდნენ და დღეს თუ ხვალ ხვარაზმელების

წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ.

არზრუმის დარბევის ამბავი რომ შეიტყვეს, ჯალალედინი შორს ეგულებოდათ. მამაცმა ჰისამადინმა, თამთას ჩაგონებით, ლაშქარი სწრაფად შეჰყარა და უკან შემობრუნებულ შერეფ ელ მოლკს მარჯვე ადგილას ჩაუსაფრდა.

არზრუმის სულტანზე იოლი გამარჯვებით გაამპარტავნებულ ხვარაზმშას ვაზირს მის წინააღმდეგ ხმლის ამღმართავი აღარავინ ეგულებოდა.

გალაღებულ შერეფ ელ მოლკს აურაცხელი ნადავლი ეგდო ხელთ, ულამაზესი ქალები თავისი ჰარემისათვის გადაერჩია, უამრავ ტყვეს მოერეკებოდა და უთვალავი სიმდიდრე მოჰქონდა. ხლათელების თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, ხვარაზმელებს წინააღმდეგობის გაწევაზე აღარც უფიქრიათ, ყოველივე მიატოვეს, ნადავლიცა და საკუთარიც, და გულგახეთქილებმა გაქცევით უშველეს თავს.

ლტოლვილი შერეფ ელ მოლკი დიდხანს გონს ვერ მოეგო. მას ეგონა, რომ ხლათისა და მისი ყველა მოკავშირის — შამისა, იკონიისა და ეგვიპტის გაერთიანებულმა ლაშქარმა გაუმართა ბრძოლა და ამიტომ იძლია. ჯალალედინთან მაცნეები აფრინა და ხლათელებთან პატარა შეტაკება დიდ ომად დაუხატა.

შერეფ ელ მოლკის დამარცხება და გაქცევა ქართველებს არ გამოჰპარვიათ. ციხეებში გამაგრებულმა მთავრებმა გარეთ გამოხდომა და მტერზე თავდასხმები გაახშირეს. ვარამ გაგელი იმდენად გათამამდა, რომ განძის მიმდგომ ქვეყანასაც მისწვდა და თავისი საპატრონო მხარის მტრისგან განთავისუფლება სცადა.

ხლათელებთან მარცხითა და ქართველების მოძალებით შეშინებული შერეფ ელ მოლკი შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდა, სულტანს დაჟინებით უკან იწვევდა და თანაც აფრთხილებდა, თუ დროზე არ მობრუნდები, ხლათელები და მისი მოკავშირეები აჯანყებულ საქართველოს მისცემენ მხარს და აქ მყოფ ხვარაზმელებს საერთო ძალით გაანადგურებენო.

შეშფოთებული ჯალალედინი ახლა სამხრეთიდან აიყარა და, [illegible] ელოდა, თბილისში გაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლათელების თავხედობამ მთლად გააცოფა მათს დედოფალზე ისედაც გაბრაზებული სულტანი. მაინც მიზეზს ეძებდა თამთას დასასჯელად და ახლა, რაკი საბაბი ჰქონდა, რაღა გააჩერებდა. ჯალალედინმა ხლათელებზე შურისძიება გადასწყვიტა და სამზადისსაც შეუდგა, მაგრამ მტრის მოსატყუებლად ისე მოქმედებდა, ვითომ მხოლოდ საქართველოს დაპყრობით იყო გართული. ჯერ ანისისა და კარის ციხეებს მიადგა. მიუდგომელი სიმაგრეები იერიშით ვერ აიღო, მანქანები მიუყენა და ალყა შემოარტყა. მეციხოვნენი თავგანწირვით იბრძოდნენ და მტერი ვერაფერს გახდა.

სულტანმა ხლათელების თვალისასახვევი ლაშქრობა უცებ შესწყვიტა და პირი სამხრეთისკენ იბრუნა. ჯალალედინი დარწმუნებული იყო, ხლათელები თავდასხმას არ მოელიან, მოუმზადებელნი დამხვდებიან და წინააღმდეგობის გაწევას ვერ შესძლებენო. მაგრამ ჯალალედინის საიდუმლო განზრახვა ვიღაცამ მისი ახლობლებიდანვე ოთხი დღით ადრე აცნობა ხლათელებს. ხლათელებმა მოასწრეს გამაგრება და ლაშქრის შეკრება.

სულტანი იოლ გამარჯვებას ელოდა და ქალაქ ხლათზე იერიში მიიტანა. ხლათელები გულმტკიცედ დაუხვდნენ მტერს და თავგანწირული ბრძოლა გაუმართეს.

ხლათის კედლებთან შეყოვნებული სულტანი გულს ასკდებოდა. ადარბადაგანში მოსვლის დღიდან მისი ლაშქრობა მით იყო იღბლიანი, რომ მტრისთვის მისი განზრახვა მუდამ გამოუცნობი რჩებოდა და თავს სწორედ მაშინ ესხმოდა, როცა მოწინააღმდეგე არ ელოდა. ახლა პირველად შეიტყო მტერმა ჯალალედინის საიდუმლო განზრახვა. მომზადებული დახვდა და თავდასხმის მოულოდნელობის უპირატესობა გაუქარწყლა. ვიღაც ახლობელმა, უაღრესად მისანდომ გასცა სულტნის საიდუმლო და მტერი წინასწარ გააფრთ-

ხილა. სულ სამმა კაცმა იცოდა სულტნის განზრახვა: შერეფ ელ მოლკმა, ორხანმა და ყარამელიქმა. ყარამელიქი ავად იყო რაღაც გადამდები სენით და კაცი ვერ ეკარებოდა ლოგინად ჩავარდნილს; ორხანი თან ახლდა სულტანს და გვერდით არ მოსცილებია. ერთადერთი, ვაზირი რჩებოდა ეჭვის მისატანად და შერეფ ელ მოლკის დაუძინარმა მტერმა არ დააყოვნა, სულტანს შეაპარა:

— ამბობენ, ფარული კავშირი აქვს ვაზირს ხლათის მელიქთანო. ამასწინათ საიდუმლო კაცი მოსულია დიდი ძღვენითა და წერილით.

ჯალალედინმა მრისხანედ მოხედა ორხანს და თვალი თვალში გაუყარა. ორხანმა თავი დახარა და დადუმდა.

ჯალალედინი კარგად იცნობდა შერეფ ელ მოლკს. იგი სულტნის უსაზღვროდ ერთგული იყო და სწორედ ამ ერთგულებამ აღამაღლა მის კარზე. შერეფ ელ მოლკი სულტნის თვალი და ყური იყო, მისი ახლობლებისა და დიდებულების ყოველი ნაბიჯი იცოდა და ჯალალედინი არა ერთხელ გადაურჩენია საფრთხისაგან. სულტანი თვითონაც კარგად გრძნობდა, რომ მისი ძმები და ზოგი სხვა დიდგვარიანი დიდებულები შურით უცქერდნენ მის ხელმწიფობას, ფარულად შეთქმულებას უწყობდნენ და აშკარადაც ყველაფერს აკეთებდნენ მის დასამხობად. სწორედ შერეფ ელ მოლკი იყო ის მფარველი ანგელოსი, რომელიც წინასწარ გრძნობდა ყველა საფრთხეს, სულტანს დროზე აფრთხილებდა და მის მტრებს პირში ჩალაგამოვლებულს სტოვებდა. რამდენჯერ გადაურჩენია სულტანი საწამლავისა და დამალული მკვლელის მახვილისაგან მისი საიდუმლო დაცვის უფროსს — უგვაროსა და უსახელო შერეფ ელ მოლკს! იგი სულტნის ყველაზე შეურიგებელ მტრებს დაუნდობლად ებრძოდა და სასტიკად უსწორდებოდა (ამ სისასტიკის იმედით დასტოვა საქართველოს მმართველადაც სულტანმა იგი).

მისდამი უზომო ნდობით გამსჭვალულმა სულტანმა დიდგვარიანთა საპირისპიროდ აღამაღლა შერეფ ელ მოლკი და ბოლოს თავის ვაზირად გამოაცხადა. სულტნის ამ უსაზღვრო ნდობამ გაუჩინა შერეფ ელ მოლკს უამრავი მტერი, მაგრამ გამჭრიახ ვაზირს ვერავინ ვერაფერს აკლებდა. იგი სულტანს თავის ერთგულებასა და დიდებულთა მუხანათობას სულ ახალ-ახალი საბუთებით უმტკიცებდა და შერეფ ელ მოლკის მტრები ფრთხილობდნენ, აშკარად მის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ ბედავდნენ და შესაფერის დროს უცდიდნენ მის დასამხობად. სულტნის ახლობელთაგან ყველაზე მისანდომ და გავლენიანმა ემირმა — ორხანმა თავიდანვე ცუდი თვალით შეხედა შერეფ ელ მოლკს. ჯალალედინის ამ უერთგულეს ნათესავსა და თანამებრძოლს შერეფ ელ მოლკი საეჭვო კაცად ეჩვენებოდა და მის ერთგულებას ანგარებით ხსნიდა. ორხანი აშკარად და ფარულად ეუბნებოდა სულტანს ვაზირის ძვირს. ჭკვიანი ვაზირი კი განზრახ მხოლოდ კარგს ეუბნებოდა სულტანს ორხანზე და ჯალალედინის გულს ამით კიდევ უფრო იგებდა.

ახლაც, ორხანმა რომ ვაზირის გამცემობის ეჭვი ჩააწვეთა, სულტანს არ ეამა, მაგრამ ეჭვს რაღაც საფუძველი ჰქონდა და ჯალალედინმა მოსვენება დაჰკარგა: სამთაგან ერთი მოღალატე იყო — ან თავად ორხანი, ან მომაკვდავი ყარამელიქი, ან შერეფ ელ მოლკი!

სულტანმა ეჭვი გულში დაიმარხა და სამთავეს საიდუმლოდ თვალყურის მდევნელები მიუჩინა.

თორელის ყურამდე მიაღწია თბილისისა და საქართველოს დიდი ნაწილის კლებისა და ოხრების ხმამ.

აქამდე კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ქართველები გარნისის მარცხის შემდეგაც შესძლებდნენ ღონის მოკრებასა და მტრის განდევნას. ამიტომ ტყვეობას იმდენად არ განიცდიდა, მით უფრო, რომ საპატიო სამუშაო ჰქონდა მინდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილი და გულისხმიერი, განათლებული პატრონი ამხნევებდა.

ჯალალედინისაგან საქართველოს ძლიერების დამხობისა და ქვეყნის მოოხრების ამბავი რომ უთხრეს, თორელი გატყდა, სამუშაოს გული ველარ დაუდო, დამუნჯდა და დაჯავრიანდა. სამშობლოსა და ცოლ-შვილის დარდმა ძილი და მოსვენება დაუკარგა. საჭმელს პირს აღარ აკარებდა, იჯდა კრიჭაშეკრული და ყელში მოწოლილი ცრემლი ახრჩობდა.

ნესევის მოახსენეს ქართველი ტყვის უზომო მწუხარების ამბავი. თორელი დაიბარა, სუფრასთან დაისვა და გაუმასპინძლდა.

— შენი დაღონების ამბავი მომიტანეს, თორელო. ჩემი სამშობლოს უბედურებამ მეც აგრე დამაღონა თავის დროზე და ამიტომ არ გამკვირვებია. პირიქით, ბუნებრივადაც მეჩვენა, რომ ვაჟკაცი და, მით უმეტეს მგოსანი, სამშობლოს ბედზე სწუხდეს. სამშობლოსათვის დარდი სასახელოცაა, მაგრამ ზედმეტი არაფერი არ ვარგა და სასოწარკვეთას არ უნდა მისცე თავი.

— ნეტავ მართალია, რასაც ამბობენ? — ხმის კანკალით ჰკითხა თორელმა.

— რას ამბობენ?

— საქართველო ერთიანად მოაოხრა სულტანმაო, ქალაქები გადასწვა და სოფლები აჰყარაო, მოხუცები და ბავშვები მთლად გაჟუჟა, ქალები ჯარისკაცებს მისცა გასაუპატიურებლად, ხოლო კაცები ტყვედ გამორეკაო.

— ზოგი რამ მართალი იქნება, რადგან ომს თავისი კანონები აქვს; შენ თვითონ ჯარისკაცი ხარ და ჩემზე კარგად იცი: სადაც დამპყრობელი ჯარი გაივლის, იქ სამართლიანობის დაცვა ყოველთვის არ ხერხდება. საქართველოს დაპყრობასაც მსხვერპლი ბევრი მოჰყვებოდა, მაგრამ ჩვენი სულტანი ჩინგიზყაენი როდია, რომ უმწეო ბავშვები და მოხუცები გააჟლეტინოს.

— შინ ცოლი და ჩვილი ყრმა მყავს, ვაითუ გახიზვნა ვერ მოასწრეს...

თორელს ცრემლი წასკდა და თვალებზე ხელი აიფარა.

— მაგისა ნუ გედარდება, კიდევ გიმეორებ, ჩვენი სულტანი სწორედ მაგგვარი ულმობლობისა და გამჭრიახობის გამო სწყევლის შეჩვენებულ ჩინგიზ-ყაენს და თავად როგორ დაახოცინებს უმწეო ბალღებსა და უღონო ქალებს.

მოჰამედ ნესევიმ თორელის დასამშვიდებლად თქვა ეს ტყუილი, თორემ სხვაზე კარგად იცოდა, რომ ჯალალედინი სისასტიკესა და ულმობლობაში თვით ჩინგიზსაც არ ჩამორჩებოდა.

— ღმერთმა ჰქნას, რომ ეგრე იყოს და სულტანი დაპყრობილი ქვეყნის მიმართ მისი მაღალკეთილშობილების შესაფერის დიდსულოვნებას გამოიჩენდეს, — ხელაპყრობით თქვა თორელმა. — თქვენს წმიდა წიგნში, ყურანში წერია, მფარველ ვექმნეთ უღონო მოხუცებსა და უმწეო ყრმებსო. სულტანი მაჰმადის მცნების დამცველია და ღმერთმა ჰქნას, საქართველოშიაც მტკიცედ დადგეს ამ მცნებაზე.

— ეგ აგრე იქნება, მაგრამ, როგორც გითხარი, დიდმა ომმა დიდი მსხვერპლი იცის. ქართველებს რომ გონიერება გამოეჩინათ, დამოყვრების მოსურნე სულტანს ხელს არ ჰკრავდნენ, თქვენს დედოფალს შერთავდნენ და ჩვენ შორის ზავი და მშვიდობა იქნებოდა.

— ეგ არ მოხდებოდა, წინდაწინვე ვიცოდი.

— ჰოდა, ახლა ქართველები თავიანთი წინდაუხედაობის ნაყოფს იმკიან. ჯალალედინს მოყვრობაზე უარი უთხრეს და ომის წელი კი არა ჰქონიათ. მაინც რა მალე იძლივნენ ქართველები, უფრო ძლიერები გვეგონა. თვითონ ჩვენი სულტანიც არ ელოდა ესოდენ სწრაფსა და იოლ გამარჯვებას. თქვენი ნაქები ძლიერებაც მოსაჩვენარი აღმოჩნდა, დიდებული ხვარაზმისა არ იყოს, საქართველოც თიხის ფეხებზე შემდგარი ბუმბერაზი ყოფილა — ერთი მძლავრი შემოკვრა ეყო, რომ დამსხვრეულიყო და ძირს დაცემულიყო.

— ქვეყანა ძლიერი მაშინ არის, როცა მეთაური ჰყავს ძლიერი. ქართველობას ხვარაზმელების გასამკლავებელი ძალა

როგორ არ ალმოაჩნდებოდა, ძლიერი და მტკიცე ნებისყოფიანი მეფე რომ ჰყოლოდა. სულ რამდენიმე წლის წინათ მონღოლების რჩეული ლაშქარი ვძლიეთ სასტიკ ბრძოლაში და ჩვენი ქვეყნიდან გავაქციეთ, მაგრამ მაშინ მეფე გვყავდა გულოვანი და შემმართებელი. ქართველი ხალხი თავის ძლიერებას მეფის ხასიათის სიმტკიცეში ხედავდა. ქართველობას ერთი პირი ჰქონდა და ღალატი და შინაგაცემა არ იცოდა. ახლა, როცა ქვეყანას სათავეში სუსტი ქალი უდგას, რომელსაც არც თავგასული მთავრების ალაგმვა შეუძლია და არც დამნაშავის დასჯა, ხალხი მისი ხასიათის სისუსტეში ხელისუფლების სისუსტეს ხედავს. იმის მაგივრად, რომ მთელი საქართველოს გადარჩენით გადაარჩინონ საკუთარი მამული, ჩვენი მთავრები თავთავიანთი სამფლობელოსათვის ზრუნავენ და ქვეყნის მტერს საქმეს უადვილებენ, სამშობლოსაც ღუპავენ და თავიანთ კეთილდღეობასაც.

— ქვეყნის ეს შინაგანი სისუსტე ყოველთვის ძლიერ მტერთან შეტაკებისას იჩენს ხოლმე თავს. ფუფუნება და უზრუნველი ცხოვრება ერის ღონეს შინაგანად ასუსტებს, წინააღმდეგობის გაწევის უნარს უდუნებს და უჩლუნგებს. საქმე მარტო მეფე როდია, ჩემო თურმან. მეფეები რომ განცხრომასა და ნებივრობას ეძლევიან, მთავრებიც მათ ბაძავენ, ისინიც უზრუნველ ცხოვრებას იწყებენ და ქვეყნის წინაშე თავიანთ ვალს ივიწყებენ. მეფესა და მთავრებს სხვა დიდებულები, დიდი და წვრილი აზნაურებიც არ ჩამორჩებიან და სათავეში ამღვრეული მდინარე ბოლომდე მღვრიედ მიედინება. ასე იყო ჩვენს ხორეზმში, ალბათ, ასე მოხდა თქვენს საქართველოშიც.

— ჭეშმარიტებას ბრძანებ, მოჰამედ ბატონო. ჩვენში იტყვიან, როგორიც ერი, ისეთი ბერიო. მეფეთა უზრუნველობამ ყმებსაც ხელი აალებინა ქვეყნისათვის ზრუნვაზე. სადავე რომ მიშვებული ნახეს, ყველამ თავ-თავისკენ გაიწია, ერთნებაობა დაიშალა და მხოლოდ სახელიღა შერჩა მეფეს მთელს საქართველოზე უკლებლივ მბრძანებლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველა უბედურების მიზეზი რომ მარტო მეფე იყოს, მაგას კიდევ ეშველებოდა. მაგრამ, როცა მთელი ერი სნეულდება უზრუნველობის სენით, მისი გადარჩენა უკვე ძნელია. ხვარაზმშა მუჰამედის სიკვდილმაც ველარ უშველა მის დიდ სამეფოს, რადგან უზრუნველობისა და თავკერძობის იმ ჭიას, რომელმაც მისი ტახტი გამოხრა, სამეფოს მთელი სხეული გამოეხრა თურმე. უბედურება ის არის, რომ ქვეყნის ზრუნვაზე ხელაღებული თაობა ვერა გრძნობს თავის დანაშაულს მომავალი თაობების წინაშე და არც ფიქრობს თავისი უდარდელობის იმ მწარე ნაყოფზე, მის შემდეგ უამრავმა თაობამ რომ უნდა სჭამოს. ასეთი თაობა თავის სახელს საუკუნოდ საწყევად უტოვებს შთამომავლობას.

— ვაი, რომ მეც ამ თაობას ვეკუთვნი, მაგრამ მე სხვაზე უბედური იმითაც ვარ, რომ კარგად მესმის მომავლის წინაშე ჩემი ვალი. თითქოს ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ შთამომავლობისათვის ჩემი სახელი წყევით მოსახსენებლად არ დამეტოვებინა. ვიცი, პაპის ნაჭამი ტყემალი შვილიშვილს მოჰკვეთს კბილს — ჩვენი თაობის მიერ ცუდად წარმართული ქვეყნის საქმე ჩვენს შთამომავლებს დაატყდებათ უბედურებად. მაინც უძლური აღმოვჩნდი, რაიმე გამეკეთებინა საქართველოს მომავლისათვის. როცა უმრავლესობა ჩარხს უკულმა აბრუნებს, უმცირესობას მისი წაღმა დატრიალება აღარ შესძლებია.

— ეგრეა, თორელო. მეც ჩემი ქვეყნის მაგ თაობას ვეკუთვნი და მეც ხელები დამაწყდა უკულმა დატრიალებული ბედის ჩარხთან ამაო ჭიდილში.

ხლათის ომი გაჭიანურდა. თბილისელთა მაგალითი ხლათელებს აიძულებდა თავი გადაედოთ, სულ ერთია-

ნად გამწყდარიყვნენ და სასტიკი მტერი კი ქალაქში არ შეეშვათ. ჯალალედდინი არ ელოდა ხლათელებთან ომის ასე გაგრძელებას, გაავთრებული აწყდებოდა ქალაქის ზღუდეებს, იერიში იერიშზე მიჰქონდა.

ჯალალედდინი რომ ხლათის დაპყრობის ამაო ცდით იყო გართული, ქართველებს თბილისელ მაჰმადიანთაგან მოციქული მოუვიდათ. ხვარაზმელთა ვერაგობითა და სისასტიკით გაბრაზებული მუსულმანები თავიანთ ღალატს ნანობდნენ და ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდნენ, რომ ქართველებს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგომოდნენ.

ჯალალედდინი ხლათის კედლებს აწყვეტდა თავის რჩეულ ლაშქარს. თბილისის დასაცავად დატოვებული ჯარი მცირე იყო.

თბილისელი მაჰმადიანები ქართველებს თხოვდნენ, ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით, — თბილისს თავს დასხმოდნენ და დედაქალაქი მტრის ხელიდან გამოეგლიჯათ. თბილისელმა მუსულმანებმა ჯალალედდინის მიერ შეპყრობილი მოლასედინის გაპარება მოახერხეს. ქართველთა დედოფლის ქმარყოფილმა და უფლისწულების მამამ თბილისელ მუსულმანთა შემონათვალის სიმართლე ხატზე ფიცით დაადასტურა და ქართველები თბილისის ალების სიადვილეში დაარწმუნა. ქართველებმა საკმაო ჯარი შეკრიბეს, ანისისა და კარის მეციხოვნეთა ნაწილიც მოიშველიეს და გოჩი მუხასძის სარდლობით მოულოდნელად მტერს თავს დაესხნენ.

შერეფ ელ მოლკი განძაში იყო და თბილისის მცველ ხვარაზმელთა ჯარს ყარამელიქი სარდლობდა. ქართველების გაავთრებულ შეტევას და ქალაქის შიგნით აჯანყებულ მაჰმადიან მოსახლეობას ხვარაზმელები ვერ გაუმკლავდნენ. ქალაქი ქართველებმა იგდეს ხელთ. თბილისელმა მაჰმადიანებმა თვითონ შეიპყრეს ის მოღალატეები, რომელთაც ქალაქი მისცეს ჯალალედდინს, ქართველთა სარდლობას წარუდგინეს და მათი სასტიკი დასჯა თვითონვე ითხოვეს. ქართველთა რისხვით შეშინებული მუსულმანები ერთიმეორეს ამხილებდნენ და თბილისის დაცემის თითქმის ყველა მონაწილე ხელთ უგდეს ქალაქის გამათავისუფლებლებს. გოჩი მუხასძემ ქალაქის მოედანზე ძელები აღამართვინა, ყველა დამნაშავე ზედ სათითაოდ ჩამოჰკიდა და მათი სახლ-კარიც მიწასთან გაასწორებინა.

ლტოლვილმა ხვარაზმელებმა პირველად განძაში ჩაიტანეს ქართველთა გამარჯვების ამბავი. შერეფ ელ მოლკი შეშინდა. რაკი ჯალალედდინი შორს ეგულებათ, ქართველები ჩემზე შურისსაძიებლად იქნებ განძასაც შემოადგნენო. მაშინვე სულტანთან შიკრიკები აფრინა.

ამასობაში ზამთარმა მოუსწრო ჯალალედდინს. სიცივე დაიჭირა და თოვლიც დასდო. ხლათის კედლებთან დგომას აზრი აღარ ჰქონდა. მით უფრო, რომ საქართველოდან ერთიმეორეზე ცუდი ამბები მოდიოდა.

თბილისის დაკარგვით შეშფოთებული ჯალალედდინი სწრაფად აიყარა და ისევ საქართველოსკენ წამოემართა.

ჯალალედდინის უზარმაზარი ლაშქრის პირისპირ შებმა და თბილისში გამაგრება ქართველთა მცირერიცხოვან ჯარს არ შეეძლო. მაგრამ არც ის უნდოდათ, მტერს რომ ბინა თბილისში დაედო და დანარჩენი საქართველო იქიდან ერბია. ამიტომ ქართველმა მთავარმა სარდლობამ თბილისის დაცლის გადაწყვეტილებასთან ერთად მეორე, უფრო მძიმე, გადაწყვეტილებაც მიიღო: თბილისი თვითონვე უნდა დაეწვათ ქართველებს! ეს იყო სასოწარკვეთის საშინელი გამოხატულება. რაკი ქართველებს ბრძოლის ველზე არ გაუმართლდათ და დამპყრობლები თავიანთი ქვეყნიდან ვერ განდევნეს, ახლა უკიდურეს ნაბიჯს დგამდნენ. ამიერიდან თვითონვე უნდა გადაებუგათ და გაენადგურებინათ ის ქალაქები და სოფლები, რომლებსაც მანამდე მტერი სწვავდა და ანადგურებდა. თვითონვე უნდა მოესპოთ თავიანთი საცხოვრებ-

ლი, რომ იქ მტერს ფეხი ვეღარ მოედგა, სარჩო ვეღარ ეშოვნა და ვეღარ ეცხოვრა.

მთავარსარდლობისა და მეფის ეს გადაწყვეტილება თბილისში გოჩი მუხასძეს უნდა აესრულებინა. თბილისის მშენებელსა და კარის ხუროთმოძღვარს სიკვდილი ერჩივნა ამ ბრძანების ასრულებას: ხვარაზმელთაგან დანთებულ ხანძრებს კიდევ ბევრი გადარჩენოდა, ქალაქის აღდგენა არც ისე ძნელი იქნებოდა, რადგან უმთავრესი და ულამაზესი ნაგებობანი ძლიერ არ იყვნენ დაზიანებულნი. რუსუდანის პალატებს ცეცხლი არც შეხებოდა, ისინი ისევ ამაყად იდგნენ მტკვრის პირას აზიდულ კლდეზე და მნახველს შორიდანვე ხიბლავდნენ საოცარი სიტურფით.

იმ უილბლო ქართველთაგან, რომელთაც თბილისი უნდა გადაეწვათ და დაეტოვებინათ, ყველაზე უბედური მათი სარდალი, რუსუდანის სასახლის მშენებელი გოჩი მუხასძე იყო. მუხასძე ჯარისკაცი იყო და სარდლობის ბრძანება უყოყმანოდ უნდა აესრულებინა. მაგრამ გოჩი თბილისელი მოქალაქეც იყო, იქ დაბადებული და გაზრდილი, და განა უბრალო მოქალაქე—თბილისის პირველი მშენებელი, მისთვის თავდადებული და მასზე შეყვარებული.

სიყვარულში უილბლო ვაჟკაცმა თავის დროზე ოჯახისა და ცოლ-შვილისათვის არ იზრუნა, მთელი სიცოცხლე თბილისის შენებას გადააგო. თბილისის გამშვენება, მისი უფრო გალამაზება და გაბრწყინება იყო მისი ოცნება და შთაგონება. დიდმა შრომამ ნაყოფი გამოიღო — ქალაქს მისი ნიჭისა და მონდომების კვალი დაეტყო. ბოლოს უთვალავ ლამაზსა და ნატიფ შენობებს შორის მისი ახალი ქმნილება—რუსუდანის სასახლე აღიმართა. ამ სასახლემ ქალაქს სულ სხვა იერი შეჰმატა, იგი მის მშვენებად და სიამაყედ იქცა.

და ახლა, როცა თბილისის სიტურფის სახელი მთელს ქვეყანას მისწვდა და საზღაპრო გახდა, იგი უნდა დამწვარიყო, მისი განუმეორებელი სილამაზე ცეცხლს უნდა ჩაენთქა და დაეფერფლა.

მეფისა და უმაღლესი სარდლობის ბრძანება რომ მიიღო, მუხასძე გაშრა, ენა ჩაუვარდა და რეტი დაესხა. გონს რომ მოეგო, ჯარის მეთაურები მოიხმო და უმაღლესი ბრძანება გააცნო.

მეთაურებიც მკვდრებივით სდუმდნენ ერთხანს, მერე მათგან უფრო ფიცხებმა და ახალგაზრდებმა სარდალს გადაჭრით უთხრეს: თბილისის უომრად დატოვება და მისი გადაწვა ჩვენთვის მაინც სიკვდილი იქნება, მტერს აქ დავხვდეთ და ყველანი ვაჟკაცურ ბრძოლაში გავიყლიტოთო.

მუხასძემ წარბები შეჰყარა და მეთაურებს სამხედრო კანონი გაახსენა:

— ვინც მეფისა და უმაღლესი სარდლობის ბრძანებას არ დაემორჩილება, მათ თვითონ მე დავსჯი სიკვდილით! — განუცხადა და ყველას სათითაოდ თვალი თვალში გაუყარა. მეთაურები გატყდნენ. სარდალმა მაგიდასთან მიიხმო, ყველას თავ-თავისი გადასაწვავი უბანი მიუჩინა და დაითხოვა, რათა ხანძრის ასაგზნებ თადარიგს შედგომოდნენ.

ცოცხალ-მკვდრები გავიდნენ სარდლის სამყოფელიდან ჯარის მეთაურები. თავად სარდალმა კი არნახული სიმტკიცე გამოიჩინა: ძალა მოიკრიბა, ჯარის ნაწილი გაიყოლა, ქალაქში გავიდა და მოსახლეობის გახიზვნის დასაჩქარებლად უბნებში რაზმები დაგზავნა. ცხენზე მჯდარი მუხასძე ბრძანებებს მოკლედ და ცივად იძლეოდა. მტერი ახლო იყო და სარდალს დროზე უნდა მოესწრო მოსახლეობის გახიზვნაცა და ქალაქის გადაწვაც.

აგერ ტირილითა და ბღავილით დაიძრნენ თბილისელები. მიდიან და თან ათასგვარ ნივთსა და საგანს მიათრევენ განწირულები. ხვარაზმელთა განუწყვეტელი ძარცვისაგან გადარჩენილ ნოხის ნაგლეჯებს, ჭურჭელსა თუ უმნიშვნელო ხარახურას ეზიდებიან და თავადაც არ იციან, რაღა ოხრად უნდათ.

ხიდთან შეჩერდნენ გაწამებული ლტოლვილები, ხიდის თავში ცხენოს-

ნები გამოჩნდნენ. წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული ბუმბერაზი მოუძღოდათ. ლტოლვილების ტალღა ხიდს შემოადგა. გოჩი შეჩერდა, მხლებლებს რაღაც უთხრა, რამდენიმემ დაიქვეითა, ხიდზე შედგნენ და წესრიგის დამყარება სცადეს.

ლტოლვილებმა მეხასძისკენ იბრუნეს პირი, ქალებმა ხელაპყრობით შესტირეს და ასე გაწირვისათვის წყევლა-კრულვა დააყარეს. მეხასძეს გული ჩასწყდა, უცებ შეირყა და კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა, ტკივილი დაიოკა, ტუჩების კვნეტით ცხენი უკან შემობრუნა და ხიდს გაშორდა. მიდიოდა და თან ლტოლვილების წყევლა მიჰყვებოდა. ხალხისა და სამშობლოს სამსახურის დავიწყებისთვის, მარტო თავის გადარჩენაზე ზრუნვისათვის, უბრძოლველად მტრის შემოშვებისთვის სწყევლიდნენ გამწარებული ლტოლვილები მტყუანსა და მართალს, უდანაშაულოსა და დამნაშავეს, განურჩევლად ყველას, ვისაც იარაღის ტარება და ხმლის მოქნევა, ცხენზე ჯდომა და მტრის დახვედრა შეეძლო.

გოჩიმ ყურებში ხელი დაიცო, რომ განწირულთა ეს ზრიალი არ გაეგონა, მაგრამ ხმაურმა უფრო იმატა და თითქო შიგნიდან მოაწყდა, საფეთქლებში დაუშინა და თავის ქალას მოაწვა.

ხელები უმწეოდ ჩამოუშვა და ცრემლი წასკდა ამოდენა ვაჟკაცს.

ვიწრო ქუჩაში ლტოლვილების ახალ ჯგუფს შეეყარა. ვიღაცას ძალით მიათრევდნენ და წინ ჯოხის კაკუნით გზას მიიკვლევდა. — ეტყობოდა, ბრმა იყო.

— მე რაღა გასახიზნი ვარ, ღვთის მადლმა აქ დამტოვეთ, ბრმას ვინ რას მერჩის... — იხვეწებოდა უსინათლო და გოჩის ხმა ეცნაურა, დაიქვეითა და ბრმას რომ დააკვირდა, ძლივს იცნო თმაწვერმოშვებული, უსინათლო ვაჩე.

— ვაჩე! უბედურო ვაჩე!— გადაეხვია გოჩი და ქვითინი აუვარდა.

— რომელი ხარ? ვინა ხარ?—კითხულობდა ბრმა და ხელების ფათურით ცდილობდა გამოეცნო მის მკერდზე აქვითინებული კაცი.

— გოჩი ვარ... გოჩი მეხასძე...— შეჰბღავლა ვაჟკაცმა და გულმა კიდევ უფრო ამოუჯდა.

— გოჩი... ძმაო გოჩი! — ახლა უსინათლო ატირდა. — ხომ მხედავ, რა დღეში ვარ, გოჩი, დღის სინათლეს, ქვეყანას ველარ ვხედავ.

გოჩიმ ცრემლები მოიწმინდა, ბრმა მეგობრის უაზროდ დაჭყეტილ ცარიელ თვალთა უპეებს შეხედა, მერე ლტოლვილების გრძელ ქარავანს გახედა და ცრემლმომდგარმა ფშლუკუნით უთხრა:

— იქნებ ეგა სჯობდეს, რომ ვერა ხედავ, ვაჩე, ჩვენს შერცხვენასა და დამცირებას, სამშობლოს უბედურებასა და საქართველოს ვაებას...

— გოჩი... სულ შენზე ვფიქრობდი, შენს ნახვას ვნატრობდი, რომ მეამბნა: შენი პალატებიდან, რუსუდანის ახალი სასახლიდან ანგელოზის გადმოფრენა ვნახე...

გოჩიმ გაოცებით შეხედა, ეჭვის თვალით დააკვირდა.

— მაღალი სარკმლიდან გადმოფრინდა ანგელოზი, მტკვარში დაეშვა და გაუჩინარდა... ნეტავი შენც იქ ყოფილიყავი და გენახა...

„გაგიჟებულა უბედური!“ — გაიფიქრა გოჩიმ და სიბრალულით მიაჩერდა უსინათლოს...

— რა ლამაზი იყო, გოჩი, ჩვენ რომ ანგელოზებს ვხატავთ, იმათ რა უნდა მაგასთან!.. ნახევრადშიშველი, თმებგაშლილი გადმოეშვა და ფრთებმოკეცილი წამოვიდა! — ვაჩე აღგზნებული ლაპარაკობდა, თითქოს ისევ თვალწინ დგომოდეს ის ფრთებდაკეცილი ანგელოზი.

„თუმცა უბედური კი არა, ბედნიერია, რომ ამ ქვეყნის აღარც აღარაფერი ეკითხება, ვეღარც ვეღარაფერს ხედავს“, — დაასკვნა თავისთვის გოჩიმ და მეგობარს ერთხელ კიდევ მოეხვია. — წადი, ვაჩე... წადი... მეც მალე დაგეწევი... — უთხრა და აქეთ გამობრუნდა.

— ნეტავი შენც გენახა, რა ლამაზი იყო! — მოსძახოდა მზებნელი ვაჩე და ჯოხის კაკუნით გზას მიიკვლევდა.

გორჩიმ ლტოლვილები გაატარა და ისევ ცხენზე შეჯდა. მოსახვევთან ჯარისკაცებს გადაეყარა—სახლების ოდენა ბულულებს მიათრევდნენ. თივის დანახვამ მუხასძეს წამით დავიწყებული სატკივარი გაახსენა: მალე ცეცხლის წაკიდების ბრძანება უნდა გაეცა და თავისი საყვარელი ქალაქი უნდა გადაეწვა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა და შუბლზე ცივი ოფლი დაასხა.

ცრემლიანი თვალი მტკვარს გააყოლა. წყლის ნელმა დინებამ მარტო თვალი კი არა, გული და ფიქრიც აიყოლია და თანდათან სიმშვიდე დაუბრუნა. ძველი დროის რომელიღაც ქართველი მეფე თუ უფლისწული გაახსენდა: მტერი მოსაკლავად მოსდევდა თურმე, სატრფო ცხენზე შემოესვა და ვაჟკაცი თავის გადარჩენაზე მეტად სატრფოს ხსნაზე ფიქრობდა. ცხენს გამეტებით მოაჰენებდა ლტოლვილი. მდინარისთვის რომ მიუტანებია, დარწმუნებულა, მტერს ველარ წავუვალო. სატრფო რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელთ, უფლისწულს სატევარი უძგერია და თავისი ხელით მოუკლავს ის, ვინც თავსა და ქვეყანას ერჩია.

ვაჟკაცები თავიანთ უსაყვარლეს ადამიანებს მტერს არ აძლევენ შესაგინებლად, თავისი ხელით კლავენ და მერე... მერე, ალბათ, თავსაც იკლავენ.

გორჩი გამოფხიზლდა, თითქოს თავისი მოქმედების გზა და ახსნა იპოვაო. სახეზე ღიმილი გადაეფინა და ცხენს სადავე მოსწია. ეს ღიმილი რომ ვისმე დაენახა, ალბათ, ისიც გიჟად მოეჩვენებოდა, რადგან ვერავინ გაიგებდა, თუ რას ულიმოდა თავის გულში გორჩი მუხასძე — თბილისის უილბლო მშენებელი, შემდეგ მტრისგან მისი გამომხსნელი და ბოლოს თავისივე ხელით ნაშენების ხანძარში დამნთქმელი.

ქალაქი იცლებოდა. მოსახლეობა გაიხიზნა, შემდეგ ჯარიც დაიძრა. მუხასძემ ცეცხლის აღგზნება ბრძანა და ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ალი ავარდა.

სარდალმა ქალაქიდან გასულ ჯარს თავისი ნაცვალი უთავა, რაღაც საქმე მოიმიზეზა, მალე დაგეწევითო, უთხრა და რუსუდანის პალატებისაკენ გაემართა. მაღლა ავიდა და სარკმელი გამოაღო.

მზე ჩადიოდა. მთებიდან წამოსული ბინდი თანდათან ხანძრის ალით წითლდებოდა და ქალაქი უზარმაზარი შუქჩრდილის ზღაპრულ თამაშში იძირებოდა.

თბილისიდან მისი დროებით გამოთავისუფლებლების უკანასკნელი რაზმები გადიოდნენ. გორჩი გრძნობდა, რა გულითაც სტოვებდნენ საყვარელ ქალაქს უბრძოლველად მიმავალი ჯარისკაცები. იქნებ მართლა სჯობდა, მათთვის დაეჯერებინა, ქალაქი დაეცვა და მტერს მათთან ერთად შეჰკვდომოდა.

ალმა იმატა, თანდათან გამძვინვარდა, ქალაქზე დამდგარი ბოლის სქელი ღრუბელი გასჭრა და ცისაკენ უზარმაზარი სვეტები აღმართა.

ლტოლვილები ქალაქიდან მოშორებით მთაზე შეჩერდნენ და თბილისს მოხედეს. მათმა ზრიალმა და ბღავილმა მუხასძის ყურამდე მოაღწია. ამდენ ხანს გაკერპებულმა ვაჟკაცმა მწარე ტკივილისაგან დაიგმინა.

ცეცხლის ალი რუსუდანის პალატებშიც ავარდა და დატრიალდა. ჯერ საშინლად დაცხა, მერე კვამლი ეცა გორჩის თვალსა და პირში. მუხასძემ ტკივილისაგან თვალები დახუჭა.

სარკმელს გადაეყრდნო მუხასძე, დაბლა გადაიხედა: მეტეხის კლდესთან მტკვარი შავად ბრუნავდა. ცეცხლმოდებული და უკვე დანახშირებული, წყალში ჩაცვივნული სახლების ნანგრევები მოჰქონდა მტკვარს. ქალაქის ოთხივ მხრიდან კვამლი იძროდა და ალი იფოფრებოდა. დროდადრო ნიავი დაუბერავდა, შავი ბოლი კიდევ უფრო დატრიალდებოდა და ცაში შადრევნებად ადიოდა ურიცხვი ნაპერწკალი.

იწვოდა თბილისი.

აგერ ას წელზე მეტი გასულიყო, რაც საქართველოს დედაქალაქს ცეცხ-

ლი აღარ ენახა. მოსვენებული და მოშენებული მხრებს შლიდა, მაღლდებოდა და ლამაზდებოდა. თბილისის ამ სილამაზეში თავისი წვლილი შეჰქონდა იმ კაცსაც, რამდენიმე წუთის წინ ქალაქის დაწვის ბრძანება რომ გასცა და ახლა პირმოკუმული, ენაჩავარდნილი გაჰყურებდა ასეული წლობით, რამდენიმე თაობის მიერ გულმოდგინედ და სიყვარულით ნაშენის ცეცხლში დანთქმასა და დანაცრებას.

ამის ჩამდენმა კაცმა, ყველაზე საყვარელის მომსპობმა კაცმა აღარ უნდა იცოცხლოს!

გოჩიმ დავით აღმაშენებლისა და თამარის ცეცხლმოდებულ პალატებისკენ გაიხედა, მერე ისევ თავის ახალ სასახლეს მოხედა და გული ჩასწყდა: რუსუდანის სასახლის ოქროსფერი ქვის პერანგი კვამლისაგან ჩაშავებულიყო, ფანჯრებიდან თმაგაწეწილი ალი მოიწევდა და უკვე დამწვარი ბანების ჩუქურთმებიანი სვეტის თავები ძირს მოცვიოდა. არა, აღარ უნდა იცოცხლოს გოჩიმ. ის, ვინც ყველაზე საყვარელ არსებას თავისი ხელით ჰკლავს, შემდეგ თავსაც იკლავს და აღარ ცოცხლობს!

გოჩიმ ღრმად ამოიოხრა, იქაურობას ერთხელ კიდევ მოავლო ცრემლიანი თვალი.

უცებ რეტი დაესხათ თუ ყველაფერი დატრიალდა და დაბარბაცდა — შუა სვეტი გადმოიზნიქა და წასაქცევად წამოვიდა. მეხასძემ მკლავები გაშალა და, თითქოს სატრფოს იკრავს გულში, უზარმაზარ სვეტს მკერდი შეაგება, წამით ჩაეხვია; მაგრამ თავადაც უმალვე გადაიზნიქა და, სვეტს შემოჰდობილი, მოჭრილივით დაეცა ძირს. საყრდენგამოცლილმა ჭერმა იზრიალა, ქვა და კირი, ცეცხლი და ნახშირი ჩამოშვავდა და სვეტიცა და კაციც ერთად დამარხა.

ქალაქგარეთ შემდგარ ლტოლვილთა შორის ვიღაცამ შეჰკივლა:

— რუსუდანის პალატები იწვის!

— რას ამბობ? — შესძახა ვაჩემ და თვალთა ცარიელი ბუდეებით სადღაც შორეულ ბნელ წერტილს მიაცივდა. ხანძრის მონაბერი სითბო და ალის შუქი ლტოლვილებამდე აღწევდა და მწუხარებისაგან დათეთქვილ სახეებსა და ჩაღამებულ თვალებს უცნაური ნათელით უნათებდა, ისე, როგორც მკვდრის მზემ იცის ხოლმე ჩუმი და მიმკვდარი შუქით განათება.

— სასახლე იწვის, მეფის ახალი სასახლე! — ქვითინით თქვა ვიღაცამ.

— ისიც დასწვეს? ნუთუ ისიც დასწვეს?! — ამოუჯდა გული ვაჩეს და ძირს ჩაიკეცა. — ეგ როგორღა გაიმეტეს დასაწვავად, ანგელოსების სამყოფელი!.. — ხრიალით თქვა ბრმამ, მიწას დაემხო და დასაკლავი ხარივით ჩაჰღმუვლა.

ქართველებისაგან თბილისის აღებამ და შემდეგ გადაწვამ საშინლად განარისხა ჯალალედინი.

დაპყრობილი ქვეყნის შფოთითა და ურჩობით გახელებულმა სულტანმა გადასწყვიტა საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ გაეტეხა; უკანასკნელად დატრიალებულმა ამბებმა იგი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მხოლოდ საქართველოს დაჩოქება გაუხსნიდა ხელ-ფეხს ჯალალედინს სამხრეთისაკენ თავისუფალი მოქმედებისათვის.

ჯალალედინი კარგად ხედავდა ხვარაზმელთა წინააღმდეგ საქართველოსა და მისი მეზობელი სამუსულმანო ქვეყნების სამხედრო გაერთიანების ჩანასახს. ეს წამოწყება ძირშივე უნდა აღეკვეთა, რომ შემდეგ იგი მრისხანე ძალად არ გადაქცეულიყო.

ხვარაზმშამ ჯერ ვარამ გაგელის დასჯა გადასწყვიტა იმ შეჭირვების სამაგიეროდ, რაც მას განძის მიმდგომი ქვეყნისათვის მიეყენებინა. ღამით მოულოდნელად შეესია გაგელის სამთავროს, აიკლო, გადასწვა და თან ურიცხვი ტყვე წამოასხა.

გაგიდან ხვარაზმელები თამთა დედოფლის საპატრონო ქალაქებსა და სოფლებს მიადგნენ.

ჯალალედინმა თამთას ჯავრის ამოსაყრელად საქართველოში კუთვნილი მისი მამულები მოაოხრა, ალიაბადის

ციხე აიღო, მეციხოვნენი გასწყვიტა და ქალაქი აიკლო. ალიაბადის შემდეგ სულტანი კაკისა და ყვარლის ციხეებს შემოეწყო, იერიშით ვერაფერი დააკლო და ალყა შემოარტყა.

ალყა გაგრძელდა. ჯალალედინს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა; თბილისიდან ვაზირი ატყობინებდა, ქართველთა მეფე ლიხთიმერეთში დიდ ჯარს კრებს, დარიალიდან ყივჩაღები გადმოჰყავს და თუ დროზე არ მობრუნდი, საქმე ცუდად წავაო.

ჯალალედინმა ვაზირის ცნობა ანგარიშგასაწევად ჩათვალა. მთებით შემორტყმულ ციხეებთან უქმად დგომა მაინც არაფერს აძლევდა. მიუვალ კლდეებსა და მთებს მინდობილი ქართველები გაუვალ ბილიკებსა და უგზო გზებზე ისე დაჰქროდნენ, თითქოს ტრიალ მინდორზე ყოფილიყვნენ. ბარსა და ვაკე გზებს ნაჩვევ ხვარაზმელებს მთებში გასვლა უჭირდათ, მათ ფეხქვეშ მიწაც იწვოდა და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული მტრის ისრით სიკვდილი ელოდათ. ყვარლისა და კაკის ციხის აღებას არც იმდენი მნიშვნელობა ჰქონდა ხვარაზმელთათვის, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველო ახალ დიდ ჯარს აგროვებდა და მტერზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. ჯალალედინს კვლავაც უნდა დაესწრო, ქართველთა მთავარი სამხედრო ძალა მანამდე უნდა გაენადგურებინა, სანამ ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა და მთიელთა ლაშქარს მოირთავდნენ.

სულტანს კარგა ხანია თვალი ეჭირა ლიხთიმერეთისკენ. იქ, ხვამლისა და სვანეთის მთებში, ქართველთა უმთავრესი განძი იყო გახიზნული და გადამალული. ლიხთიმერეთის დაპყრობა არა მარტო ქართველთა სამხედრო ძალას მოშლიდა საბოლოოდ, სულტანს ახალ დიდ სიმდიდრესაც ჩაუგდებდა ხელთ, ისეთ საზღაპრო სიმდიდრეს, რომელთან შედარებითაც თბილისის აღებისას დარჩენილი დავლა სახსენებელიც არ იქნებოდა.

მერე როგორ სჭიროდა ახლა ჯალალედინს ქართველთა ის განძი, რომლის მრავალრიცხოვნების გამო მთელს დუნიაზე ზღაპრები დადიოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალალედინმა კახეთის ციხეებს ალყა მოხსნა და სწრაფად თბილისს დაბრუნდა. თბილისში ხმა დაჰყარა, ისევ ერაყს მივდივარო, ქალაქიდან ღამით გავიდა და ლაშქარი ლიხთიმერეთისკენ დასძრა.

ხვარაზმელთა ლაშქარი კვლავაც უთვალავი იყო, მაგრამ ამჟამად მსუბუქად შეიარაღებული მიემართებოდა, რათა ძნელ გზებსა და ვიწრო ხეობებში თავისუფლად ემოძრავნა. თავად ჯალალედინი ლაშქარს შორიახლოს მიჰყვებოდა, მზვერავთა რაზმებს შორს გზავნიდა და წინ ნელ-ნელა მიიწევდა.

ქართველთა სარდლობამ მტრის განზრახვა დროზე შეიტყო, მისი ყოველი ნაბიჯი იცოდა და ბრძოლისთვის ემზადებოდა. ოვსთა და ჯიქთა მოშველება აღარ მოესწრებოდა, ყივჩაღების გადმოსხმაზე ხომ ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ქართველები მხოლოდ თავისი ძალით უნდა დახვედროდნენ რიცხობრივად დიდად ჭარბ მტერს.

ბრძოლა ძნელი და უთანასწორო იქნებოდა, მაგრამ თუ იგი დამხდურთა გეგმით წარიმართებოდა, გამარჯვება მათ უნდა დარჩენოდათ; ქართველთა გეგმა მტრის მთავარი ლაშქრის უღელტეხილის ვიწროებში შეტყუება იყო. იქ მრავალრიცხოვანი ჯარი ვერ გაიშლებოდა, ადვილად ვერ იმოძრავებდა და მარჯვე ადგილებში ჩასაფრებული მცირერიცხოვანი ქართველების მოულოდნელ თავდასხმას ვერ გაუმკლავდებოდა.

მთავარსარდლობამ აღმოსავლეთ საქართველოს მთავრებს დროზე აცნობა მტრის განზრახვა და ვისაც ღონე ჰქონდა, მტრის ზურგში მოქმედება დააკისრა. ავაგ მხარგრძელი ქართლის ერისთავი, ვარამ გაგელი და ეგარსლან ბაკურციხელი თავიანთი ჯარებით ჯალალედინის კვალს ჩაუდგნენ და ჩუმად წარმოემართნენ. დიდი და პატარა მათი

მზვერავი და მეგზური იყო, მტრის ფეხის ყოველი გადადგმა მაშინვე იცოდნენ და თავიანთ ყოველ ნაბიჯს მას უფარდებდნენ.

ცაგოს დედას მომკლობინება დაეტყო. თავად ცაგო რაღაც სასწაულმა გადაარჩინა; სნეულს მოუცილებლად თავს ადგა, მაგრამ სახადი არ დაემართა. დედამ რომ ფეხზე წამოდგომა იწყო, ცაგომაც გაბედა შინიდან გასვლა. ჯერ თბილისიდან გამოხიზნული ლტოლვილები მოიძია და მოინახულა. შვილისა და ძმისა ჰორადაც ვერავინ უთხრა რა. გამწარებულ ცაგოს კიდევ ერთი იმედი ჰქონდა, ეგებ პავლია კუტის მონასტერში იცოდნენ რაიმე თავიანთი წინამძღვრისათ.

მონასტერი შორს იყო, იმ მხარეს მტრის ჯარები იდგნენ და გზად შეიძლებოდა ბევრ ხიფათს გადაჰყროდა. მაგრამ ცაგოს აღარაფრისა აღარ ეშინოდა, შორი გზის მოვლით, სოფელ-სოფელ ღამ-ღამ სიარულით გაუდგა იმ მონასტრის გზას.

მონასტერში ბალღის ვერაფერი უთხრეს, მაგრამ ლიხთიმერეთიდან საიდუმლოდ გადმოგზავნილი წინამძღვრის წერილი აჩვენეს და პავლია კუტი რომ ცოცხალი იყო, დანამდვილებით დაარწმუნეს.

ფრთაშესხმული დაბრუნდა ახალდაბას ცაგო. რაკი პავლია თბილისის აღებისას ცოცხალი გადარჩენილა და საპყარს ცეცხლმოდებული ქალაქიდან გახიზვნა მოუხერხებია, შალვაც მასთან იქნება, ცოცხალი და უვნებელი. ისევ მოუბრუნდა ცაგოს სიცოცხლეს აზრი და მიზანი, ისევ ამღერდა ჩამქვდარი გული და ისევ აკიაფდა თურმანთან შეხვედრის იმედის შუქი.

ცაგო მეზობლებში მიდგა-მოდგა, ცოტა ფული და საგზალი იშოვა და ლიხთიმერეთის გრძელ გზას დაადგა.

მოკლე საცალფეხო გზებით მიდიოდა ცაგო. დაცარიელებულ ქართლის სოფლებში თავშესაფარსაც ველარსად პოულობდა და ტანმორჩილი ცხენით ნელ-ნელა კეცავდა ძნელსა და გრძელ გზას.

განთიადისას ქართველ ცხენოსნებს გადაეყარა. დანდობილად მიმავალს ვილაცამ აღვირში უტაცა ხელი.

— ვინა ხარ და საით მიდიხარ? — მკაცრად ჰკითხა წინ გადამდგარმა რაზმის უფროსმა.

— ქართველი ვარ, ქრისტიანი. შვილის საძებრად მივდივარ ლიხთიმერეთს! — მშვიდად უპასუხა ცაგომ.

რაზმელებმა ერთიმეორეს რაღაც უთხრეს ჩუმად.

— მოგვყე! — უბრძანეს ცაგოს და უკან შემოაბრუნეს. ეჭვით დაკავებული ქალი უფროსებს წარუდგინეს.

ავაგ მხარგრძელმა და ვარამ გაგელმა მაშინვე იცნეს თორელის ცოლი.

— აქ რა გინდა, ცაგო, მტრის ტყვეობას ერთხელ ძლივს გადარჩი და მეორედ შენითვე ვარდები ლომის ხახაში? — გაიოცა გაგელმა.

— ლიხთიმერეთს მივდივარ, ბალღის საძებრად, — აუხსნა ცაგომ.

— მერე განა არ იცი, რომ ლიხთიმერეთის გადასასვლელებთან ახლა ჯალალედინი დგას და ცოტაც რომ გაიარო, ხვარაზმელებს ზედ წაადგები?!

— საიდან მეცოდინება, მე უბედურს. — დაიკვნესა ცაგომ, მხედრებს თვალი მოავლო და ჩურჩულით იკითხა, — მტერი თუ აგრე ახლოა, თქვენ რაღამ მოგიყვანათ აქ?

— ჩვენ აქ დიდი ომი მოგველის. შენ საფრთხეში იქნები. საიმედო კაცს გაგატანთ და უკან მშვიდობით გაგისტუმრებთ.

— უკან რა დამრჩენია, მე უბედურს. სადაც თქვენ, იქ მეც; ან თქვენთან ერთად დავიღუპები, ან თუ გაიმარჯვებთ, ლიხთიმერეთში თქვენთან ერთად წავალ. მეც რამეში გამოგადგებით, დაჭრილებს მივხედავ.

შეევედრა ცაგო სარდლებს და საომრად მიმავალ ჯართან დარჩა.

გაგრძელება იქნება

გიორგი ქავთარაძე

# ტყვეობის ხანძრები

ნაწილი ბადრაგისა შენაცვლებით მორიგეობდა; გაშორდებოდნენ ველად მოფენილ ტყვეებს, მაღალ ადგილს ირჩევდნენ, სახლების სახურავებზე, ხანაც მაღალ ხეებზე ადიოდნენ და იქიდან უთვალთვალებდნენ, რომ არავინ გაქცეულიყო.

ერთი ახალგაზრდა გერმანელი, სახელად ადოლფი (გვარი არც მაშინ ვიცოდი მისი), არასოდეს არ ისვენებდა. სამხედრო წოდებით სერჟანტი იყო. ხანშიშესულ თუ მის ტოლ სხვა გერმანელ გულცივ მხეცებთან შედარებით ნამდვილი აფთარი იყო. მოუსვენრად დარბოდა, თითქო მშიერია და ადამიანის მოკვლა ჰშიაო; ჰკლავდა და ვერ ძღებოდა.

ადამიანის მოკვლა ჰიტლერელებს საკალდებულოდ მიაჩნდათ, მაშინაც კი, როდესაც უამისობა შეიძლებოდა. ბევრ მათგანს სიაც კი ჰქონდა შედგენილი, თუ რამდენი ქვეყნის რამდენი კაცი ჰყავდა მოკლული. ყველაზე მეტად რუსების მოკვლის ჟინი ჰქონდათ. ისინი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხს რუსებს უწოდებდნენ, ასე რომ უკრაინელს მოჰკლავდნენ, ქართველს, უზბეკს თუ ყირგიზს, მოკლულთა სიას რუსად ემატებოდა.

ისინი ფრონტზედაც განთქმული მაროდიორები იყვნენ და ტყვეების მიმართ ხომ რაღა საკითხავია. მოკლულ მსხვერპლს ღილებსაც კი აგლეჯდნენ, ქუდებიდან ვარსკვლავებს აცლიდნენ. კრიალოსნებივით ეჭირათ ხელში თოკზე ასხმული ვარსკვლავებიანი ღილები და ერთობოდნენ.

ტყვეების გამყოლი გერმანელები რომ ყოველი ფეხის გადადგმაზე ხოცავდნენ ტყვეებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გეგმას ასრულებდნენ, თითქოს ყველა სამხედრო ტყვე უნდა დაეხოცათ ადრე თუ გვიან.

ის ახალგაზრდა გერმანელი სერჟანტი კი განსაკუთრებული ვინმე იყო, ნამდვილი მხეცი. კაცის მოკვლის შემდეგ იგი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. როგორც ტიპიური სადისტი, მუდამ თავჩაქინდრული და პირქუში, მხოლოდ ვისმეს მოკვლის შემდეგ გაივლიდა გაღიმებული და თავაწეული. მაგრამ მას კაცის მოკვლა იმდენ ხანს ჰყოფნიდა,

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 2.

რამდენ ხანსაც პაპიროსის მწეველს ჰყოფნის ერთი ცალი პაპიროსი.

ყველა ადამიანი ერთნაირი გარეგნობის არაა, — ზოგი კარგი შესახედავია, ზოგი საშუალო, ზოგი შესაძლებელია უშნოც იყოს. ის არჩევდა განსაკუთრებით კარგი გარეგნობის ტყვეებს და მათ ჰკლავდა, სულ ერთი იყო მისთვის, რომელი ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდაც კი მოსწონებოდა მოსაკლავად. ეს არ იყო მარტო ჩემი აზრი, ასე სჯეროდა ყველას, ვინც კი მის საქციელს თვალყურს ადევნებდა.

თუ, ახლოს იყო მსხვერპლი, ჯერ ხელით ეცემოდა, შემდეგ უკან დაიხევდა, მაგრამ ჩვეულებრივად, ბუნებრივად კი არა, მის უკანდახევაში იყო რაღაც პოზიორული, რომ უფრო მეტი ეშხი მიეცა მკვლელობისთვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი „ეტრფოდა“ მომავალ სიამოვნებას, დაიხევდა უკან და ისე დაახლიდა ტყვეს. მან რამდენიმე მოკლულ მსხვერპლს ფოტოსურათიც კი გადაუღო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცივი იარაღით სიკვდილი უფრო შემაძრწუნებელია; ხანდახან იგი ცივ იარაღსაც ხმარობდა. ო, როგორ მიჭირს მოგონება მისი შიშველი ცივი იარაღისა, რადგან ადამიანს მაძულებს, სიცოცხლეს მაძულებს, ყველაფერს მაძულებს ამ ქვეყნად. იგი მაინც ერთი მრავალთაგანი იყო. მიჭირს მოგონება იმისა, თუ როგორ იშიშვლებდა ხოლმე ცივ იარაღს, ხანჯლისებურ დანას. ასეთი დანა ყველა ჰიტლერელს მხარმარცხნივ ეკიდა. იშიშვლებდა და ჩასცემდა გულში ან სადაც მოხვდებოდა, გაუშვებდა დანას ხელს და როდესაც მსხვერპლი დაეცემოდა, შემდეგ ამოიღებდა დანას ჭრილობიდან, ფაქიზად გაწმენდდა ცხვირსახოცით და კი არ ჩააგებდა ქარქაშში, ასე, დამუქრებულივით ივლიდა ერთ ხანს. თვალებს გვიბნელებდა მისი სისხლიანი ცხვირსახოცის ფრიალი. ვცდილობდი აღარ შემეხედა, მაგრამ რამდენჯერ შეიძლებოდა თვალის არიდება? თვალის არიდებაც რომ ძნელი გახდა, ვფიქრობდი, ხომ არ [illegible]მეთქი და ეს ფიქრი მაშინებდა.

დიდხანს უთვალთვალებდა ეს მხეცი ერთ ახოვან ქართველ ახალგაზრდას. შესაფერის შემთხვევას ეძებდა ის სოცარი მკვლელი. ახალგაზრდა ქართველი კაცი აშკარად გრძნობდა კარზე მომდგარ სიკვდილს, მაგრამ ოდნავაც ვერ ვამჩნევდით არამც თუ შიშს, უბრალო ღელვასაც კი.

ბოლოს იპოვნა მიზეზი მკვლელმა: ქართველ ტყვეს წალის ზონარი შეეხსნა, შებნევა ეწადა და უკან ჩამორჩა; მივარდა მკვლელი და უბრძანა, გაუტიეო. ქართველმა კაცმა ზონარი რომ შეიკრა, მერე გაიმართა წელში და ზვიადად გადახედა გერმანელს. კიდევ უბრძანა სერჟანტმა ყვირილით, გაუტიეო და დანა იძრო. ტყვე არ გაქცეულა, ჯერ უტეხად მიაჩერდა, შემდეგ ხელი შეაშველა და დანიანი მარჯვენა ხელით დაუჭირა. მკვლელი დაფრთხა, მოატყუა ტყვე, წადი, არას გერჩიო, და როგორც კი მის მაჯას ქართველმა ხელი უშვა, გერმანელმა მოუქნია დანა; ბიჭი გვერდზე გახტა, აიცდინა მოქნეული დანა და იქვე დაგდებულ რკინის ნაჭერს დასწვდა. ისე შეშინდა გერმანელი, იარაღის ხმარებაც ველარ მოახერხა. იდგნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ უფლებამოსილი დამარცხებული მკვლელი და უუფლებო გამარჯვებული ქართველი. არ ვიცოდით, რითი დამთავრდებოდა მათი უთანასწორო ბრძოლა, არ ვიცოდით და ბოლმა გვახრჩობდა. მოულოდნელად მახეში მოხვედრილი მხეცივით იღრიალა გერმანელმა სერჟანტმა, მან ამხანაგებს უხმო. ფრთხილად, მკვლელის შეუმჩნევლად დააგდო ქართველმა რკინა და გერმანელს თვალები დაუბრიალა.

მოვარდნენ მებადრაგენი და გაოცებით შეაჩერდნენ შეშინებულ თანამემამულესა და ვაჟკაცურად მდგარ მტერს. წაიყვანეს ქართველი ტყვე. იგი მეორედ დაატყვევეს. წასვლის წინ სერჟანტს ერთხელ კიდევ გადაუბრიალა თვალები და გაშორდა. არ ვიცი, რით დასაჯეს იგი, ოღონდ იმ ღღეს კი ტყვეები მხო-

ლოდ მის გამბედაობაზე ლაპარაკობდნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ მკვლელი სერჟანტი, რასაკვირველია, არ შეცვლილა, ისევ განაგრძობდა თავის საქმიანობას. ის ოხერი, თუმცა ტყვეების მთელ კოლონას გაწვდებოდა მგლისებური დაუღალავი ძუნძულით, მაგრამ ხშირად ერთი ჯგუფის წინ ტრიალებდა ხოლმე. ის ჯგუფი თითქოს მაყურებლად ჰყავდა. მეც იმ ჯგუფში ვიყავი. ვცდილობდი არ მეცქირა მისთვის და, მით უმეტეს, მისი საქმიანობისათვის. ვერ ვახერხებდი, თვალი მაინც მისკენ გამირბოდა. გარეგნულად არ იყო უშნო, პირიქით, თუ შეიძლება იმისთანა მკვლელზე ითქვას, შნოიანი ახალგაზრდააო, მაშინ მეც ვიტყვი. როდესაც გამოგველაპარაკა, გამიკვირდა, მისი სახე სრულიად არ შეეფერებოდა მის მხეცურ ბუნებას; განათლებული იყო, კარგი ლიტერატურული ენით ლაპარაკობდა, არც ხმა ჰქონდა უხეში და შემზარავი, როგორც აქვთ ხოლმე უმეტეს შემთხვევაში მკვლელებსა და ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანებს.

იმ დღეს დიდი მანძილი გავიარეთ. გამოცხადდა დიდი დასვენება. დახოცილებივით დავეყარეთ იქვე, სადაც ვიდექით. მკვლელი სერჟანტი გულაღმა დაწვა, თოფი მკლავზე გადაიწვინა, — ეს თოფი ჩემი ცოლიაო, — ამბობდა იგი. ცოტა ხანს ცას შესცქეროდა, მერე უბიდან ფოტოსურათები ამოიღო და თვალიერება დაუწყო.

დახედავდა ფოტოსურათს, წამოიწევდა, გადააგდებდა, ხანაც მაგრად დაჰკრავდა მიწაზე და შესძახებდა: „ფერფლიუხტერ კრიგ, ფერფლიუხტერ განცე ველტ“[1]; შემდეგ მეორეს დახედავდა და გადააგდებდა, შემდეგ მესამეს და ასე განაგრძობდა ფოტოსურათების ამ უცნაურ თვალიერებას.

[1] დაწყევლილი ომი, დაწყევლილი მთელი მსოფლიო (გერმ.).

გავიდა დასვენების თითქმის ნახევარი დრო. დიდხანს ატრიალა ხელში ერთი ფოტოსურათი, ხან ახლოს მიიტანდა თვალებთან ბეცივით, ხან შორს დაიჭერდა, თითქოს ამით შნო და ლაზათი ემატებოდა სურათს, ხანაც გადააბრუნებდა და ალბათ ათასჯერ წაკითხულს მეათასერთედ კითხულობდა. ბოლოს უცქირა, უცქირა, გაუღიმა და ხელი ჩაიქნია. აღარ დაუგდია მიწაზე. უცებ წამოჯდა, მონადირე ძაღლივით ყურები ცქვიტა და თვალებით გაჰყვა გეშს. ჯერ თოფი აიღო, შემდეგ დანაზე გაისვა ხელი, შემდეგ ისევ თოფი მოიმარჯვა, მაგრამ აღარ წამომდგარა. გადარჩა ვიღაც ბედნიერი სამსხვერპლო ტყვე. იგი მხოლოდ იმას ჰკლავდა, ვინც უნდა მოეკლა. სხვა არ უნდოდა. მძიმე დუმილი ჩამოწვა. მხოლოდ ის სერჟანტი ფათურობდა მოუსვენრად.

დიდხანს იჯდა გარინდებული. ისევ მიუბრუნდა ფოტოსურათებს და თვალიერება განაგრძო. რაღაცამ კარგ ხასიათზე დააყენა, იღიმებოდა, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა, სიგარას ეწეოდა. ბოლს რომ გამოუშვებდა ცხვირ-პირიდან, მერე სულს შეუბერავდა მაგრად. ჩვენს ჯგუფს მოაცქერდა, ათი თითი გვიჩვენა, სამიც მიუმატა და 13 კაცი გვიხმო.

„ღმერთო ჩემო! რა საძაგელი რიცხვია!“ — გავიფიქრე ჩემთვის. ვეახელით 13 კაცი. ღარიბი და კეთილი მასპინძელივით შეგვეგება.

დაბრძანდითო, გვითხრა და მისი ნათქვამი სიტყვა „დაბრძანდით“ არ იყო ირონიით ნათქვამი.

შემოვუსხედით ირგვლივ.

ამ ცამეტ კაცში ერთი კაცი შემთხვევით გადარჩენილი ებრაელი იყო. გერმანელი სერჟანტი იმ დროს კეთილი ჩანდა, იღიმებოდა და თვალები ისე უციმციმებდა, იფიქრებდით: ამას კაცი კი არა, ჩიტიც არ მოუკლავსო. თუ ჩვენში ერთი კაცი ებრაელი იყო, ეს არ იცოდა.

---

გიორგი ქავთარაძე

**ჯარისკაცის ჩანაწერები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოსურათები ბანქოსავით აურია ერთმანეთში, რამდენჯერმე ჩაჰრა, ტუჩებზე მიიდო და ისე ჩამოგვირიგა. ეს სულ მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, ნაცნობ-მეგობრების, მისი ბაღის ხეების, ძაღლების, კატებისა და მისი საცოლეს ფოტოსურათები იყო.

თურმე ჩაუთქვა: თუ მისი საცოლეს სურათი ჩვენთაგან იმას შეხვდებოდა, ვინც გადათვლისას ლუწზე გამოვიდოდა, ომი ჩქარა დამთავრდებოდა მათი გამარჯვებით და იგი თავისი საცოლეს ნახვასაც მოესწრებოდა.

მე მისი ბაღის ყვავილების ფერადი სურათი შემხვდა. მისი საცოლეს სურათი კი მართლაც იმ ტყვეს ერგო, ლუწზე რომ მოუწია დგომა, რამაც ძლიერ გაახარა ცრუმორწმუნე სადისტი და თავდავიწყებული მიჯნური.

ამ დროს ვიღაც გერმანელი ოფიცერი მოტოციკლით შემოიჭრა და დაიყვირა: ვის გაუგონია ამდენ ხანს დასვენებაო და ბრძანა, ახლავე დაიძარით ტყვეების წინ წასაყვანადო.

წამოიშალნენ მეთვალყურე გერმანელები. ტყვეების კოლონა უკვე ამდგარიყო. მოვემზადეთ, მოვირგეთ ზურგზე ჩვენ-ჩვენი პირადი ნივთები და განვაგრძეთ გზა.

წყურვილი იმდენად აღარ გვაწუხებდა. ვისაც ბედნიერება ჰქონდა და ჭურჭელი გააჩნდა, წყალი მოემარაგებინა. მეც სავსე მქონდა ჩემი მათარა. გერმანული მათარა იყო, გზაზე ვიპოვნე გაჭყლეტილი და გავასწორე, — გამეხარდა, წყლის ჭურჭელი რომ ვიშოვე.

მშიერი ტყვეები გაშმაგებით ესეოდნენ ყველაფერს, რაც გვხვდებოდა, რაც იჭმებოდა და არ იჭმებოდა. ჯალათმა სერჟანტმა ნახა მიზეზი და ისევ გააჩაღა დაუზოგავი ხოცვა-ჟლეტა. იგი თანდათან გამხიარულდა, ეხუმრებოდა კიდეც თავის ამხანაგებს. მას არც სხვები ჩამორჩებოდნენ ტყვეების ხოცვა-ჟლეტაში.

მივემართებოდით ჩვენთვის უცნობი ქალაქისაკენ. ისევ წყურვილი დაგვესხა თავს, შიმშილმაც ჩამოგვიქროლა. მზე-დაკარგულმა ყორანმაც გადაგვიარა თავზე და გულშემზარავად დაგვჩხავლა.

ის საზარელი და უშნო ფრინველი აშკარად გრძნობდა მრავალი ჩვენთაგანის სიკვდილს, მზვერავივით გვითვალთვალებდა, თუ სად დაეცემოდა უპატრონო მკვდარი, რომ შემდეგ სხვა ყორნებისთვის ეხმო და გამძღარიყვნენ ადამიანის ხორცით.

რა ტკბილ-მწარე ქრუანტელს მგვრიდა ყოველთვის აკაკის სტრიქონები:

> ვაჰ, თუ შენსა ლამაზ თვალებს
> ყვავი კორტნის და ყორანი...

მაშინ კი ამ ლექსის მოგონება ალმურს მიკიდებდა. მეჩვენებოდა, თუ როგორ ასხდნენ ყვავ-ყორნები ჩემს გვერდში დაცემულ ამხანაგებს და უკორტნიდნენ თვალებს. იმედს მაინც არ ვკარგავდით, სამშობლოზე ფიქრით ვივიწყებდით და ვიმსუბუქებდით დიდ გასაჭირსა და უბედურებას. არც მარტო უსაგნო ფიქრსა და ოცნებას ვემორჩილებოდით, არც ჩვენს მტერს. გზადაგზა ტყვეობიდან თავის დაღწევის გეგმას ვადგენდით. უფრო ადვილად გარბოდნენ რუსები და უკრაინელები — გადაიცვამდნენ სამოქალაქო ტანისამოსსა და მიიმალებოდნენ; რაკი ქერათმიანები იყვნენ, უცებ ვერ დაიჭერდნენ, თუმცა ბევრ ასეთებს კი ხვრეტდნენ გერმანელები. ჩვენთვის, ნაციონალური უმცირესობის ტყვეებისთვის, გაქცევა უფრო ძნელი იყო, შავგვრემანი ადამიანი ხელად მიიპყრობდა სხვათა ყურადღებას. მაგრამ მაინც არ ეპუებოდნენ არავითარ დაბრკოლებას. გარბოდნენ, თავს აღწევდნენ ტყვეობას, უერთდებოდნენ პარტიზანებს და სპობდნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. ბევრი ქართველი პარტიზანი დაბრუნდა, ბევრმა კი სამუდამოდ განისვენა იქ.

რაც დრო გადიოდა, შიმშილიც უფრო აუტანელი ხდებოდა. შემოდგომა მოდიოდა, შემოდგომა, მუდამ იმედიანი და ბარაქიანი. გზებზე ბალ-ბოსტნები და

მწიფე ხილი გვახელებდა. მწიფე პამიდორები ნაკვერცხლებივით ღვივოდნენ მწვანე ბუჩქებში. არც ერთ პოეტს არ შეუდარებია პროზაული მწიფე პამიდორი ლამაზი ქალიშვილის წითელი ლოყებისათვის, მაგრამ მაშინ რომ ასეთი შედარება წამეკითხა, მომეწონებოდა.

ვინც რას წაატანდა ხელს — ჰყინტ სიმინდს, კვახს, კომბოსტოს, პამიდორს თუ მწვანე ბალახს, იმას სჭამდა, ჩალის ღეროებსაც არ ვიწუნებდით და ვიოკებდით შიმშილს, მიუხედავად იმისა, რომ საჭმლის ყოველ შოვნაზე სისხლი იღვრებოდა.

გავიგეთ, სადღაც ეშელონი გველოდა, მაგრამ არ თავდებოდა სავალი გზა, ვეღარ მივაღწიეთ ეშელონამდე, უღმერთოდ დავიღალეთ, აღარ შეგვეძლო ფეხით სიარული. ზოგიერთები ფორთხვით მიდიოდნენ. რაღაც დიდზე დიდი განუსაზღვრელი მანძილი რომ არ გვქონოდა გასავლელი, თურმე ისევ ფეხით სიარული გვერჩივნა. სუფთა ჰაერზე მაინც ვიყავით, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, დიდი ხოცვა-ჟლეტისა, ცვრიან ბალახს მაინც ვშოულობდით. კიდევ კარგი, რომ კარგი ამინდი იდგა. რა უნდა ექნათ ზამთარში ჩავარდნილ ტყვეებს?

გზადაგზა გადამწვარი სოფლები გვხვდებოდა, დანგრეული და დანახშირებული სახლები სევდას გვიმატებდა. უკრაინული სოფლები დიდი მანძილითაა ერთმანეთისაგან დაშორებული. უდაბნოს მოგზაურებივით შევხაროდით სოფლების გამოჩენას.

აგერ, გამოჩნდა სოფელი.

უკრაინელი ქალები საჭმლითა და წყლით სავსე ვედროებით შემოგვეგებნენ. ვითომც ძალიან ზრუნავდნენ მათთვის, ჯერ გერმანელებს გაუმასპინძლდნენ, შემდეგ ჩვენ შემოგვეხვივნენ უშიშრად; რაც კი გააჩნდათ გაძარცულ ოჯახებში, ყველაფერი მოჰქონდათ. რასაკვირველია, ტყვეები მეტი ვიყავით, ვიდრე ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებნი. ყველა სოფელს არ აძლევდნენ გერმანელები ნებას, მიეწოდებინათ რაიმე ტყვეებისათვის, თორემ მათ შეეძლოთ გამოეკვებათ ტყვეები იმდენად, რომ შიმშილით მაინც არ დახოცილიყვნენ. ვისაც თითო ვედრო წყალი შეხვდა, დალია, მათარა და შემთხვევით გზაზე ნაპოვნი ჰურჰელი აავსო წყლით, დანარჩენი კი თავზე გადაისხა გასაგრილებლად.

მესამე თვე იყო, რაც გამომცხვარი პური არამც თუ მეჭამა, თვალითაც არ მენახა. ამ სოფელში ვიშოვე პურის პატარა ნაჭერი და დიდად ბედნიერი ადამიანი შევიქენი. მაშინვე კი არ ვეცი პურს შესაჭმელად, თავი შევიკავე. ვერ გავიმეტე მაშინვე შესაჭმელად. რომ არავის წაერთმია, ფრთხილად გავაჴვიე ჰუჰყიან ჩვარში და შევინახე. დროდადრო დავხედავდი ხოლმე, ვყნოსავდი და ვტკბებოდი. რა საამური, რა დამათრობელი სუნი ჰქონდა მაინც შინ გამომცხვარ იმ უკრაინულ პურს.

ნახევარი სიცოცხლის ფასად მივაღწიეთ ეშელონამდე. თვითეულ ვაგონში იმდენი კაცი მოგვათავსეს, რომ ერთმანეთს ვასხედით თავზე. დამთავრდა ჩვენი ტანჯვა. ვაგონებში აღარ ხოცავდნენ ტყვეებს, მაგრამ ისევ უკრაინის ველ-მინდვრებზე სიარული და ყოფნა გვენატრებოდა.

ოთხი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ ბელაიაცერკოვში ჩავედით. ქალაქიდან დაახლოებით ერთი კილომეტრით იქნებოდა დაშორებული ჩვენი ბანაკი. ბელაიაცერკოვში რომ გადმოვედით, ელდა გვეცა — ჩვენი ეშელონის გასწვრივ ღრმა თხრილი მიუყვებოდა. შიგ მკვდრები ეყარნენ და თხრილის ნაპირებიც მკვდრებით იყო მოფენილი. სულ შიშვლები იყვნენ.

— ვაი თქვენს უბედურ მშობლებს, ბიჭებო, — ქვითინით წამოიძახა ერთმა ხანშიშესულმა ქართველმა ტყვემ და ყველანი ერთად დაიტირა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ხასიათზე დავდგებოდით. ყველამ ერთი რამ გავიფიქრეთ, — ალბათ დასახვრეტად მოგვიყვანესო, და ეს ფიქრი ერთმანეთს სიტყვის უთქმელად, თვალებით დავუდასტურეთ.

ბელაიაცერკოვში ტყვეების ახალი ჯგუფი შემოგვიერთდა. სხვადასხვა ენაზე გაისმოდა ლაპარაკი. გავიკითხგამოვიკითხეთ, თუ როგორი პირობები იყო ბანაკში და რა ისმოდა ომისა. თუმცა ჩვენი არმია დროებითი წარუმატებლობის გამო უკან იხევდა, მაგრამ აქაურმა ტყვეებმა მაინც იმედიანად გვითხრეს, ჩვენები გაიმარჯვებენო, ბანაკის ცხოვრება კი ნამდვილ ჯოჯოხეთად დაგვიხატეს.

ქართველებმა ერთად მოვიყარეთ თავი, ერთმანეთს ვამხნევებდით. შევიკრიბებოდით ერთად ამხანაგები, გამოვყოფდით მეთვალყურეებს, რომ პოლიციელებსა და ჯაშუშებს არ შეეტანათ რაიმე ეჭვი ჩვენს თავყრილობაზე და ტყვეობიდან გაქცევის გეგმას ვადგენდით; მტრის ხელში ჩავარდნილები ისევ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ვემზადებოდით. ბევრჯერ გაგვცეს შემოპარულმა ჯაშუშებმა.

ვოროშილოვგრადელ რუსს, გვარად ემელიანოვს, რომლის სახელი აღარ მახსოვს, პირზე დაადგა ჯაშუში. ის ჯაშუში კულაკის შთამომავალი გამოდგა. იგი ტყვესავით შემოეგზავნა ბანაკში პოლიციას. ეს ჯაშუში მკვდარი იპოვნეს საპირფარეშოში და ისიც ლაზარეთში შეაგდეს, ვითომც იქ მოკვდა. გერმანელებს არ დაუწყიათ დიდი კვლევა-ძიება. თქვეს: „კაპუტ, კაპუტ“, მორჩა და გათავდა. რუსი ემელიანოვი კი ბანაკის ახლოს დახვრიტეს — იქ, სადაც პარტიზანებსა და ებრაელებს ხვრეტდნენ ყოველთვის.

ბელაიაცერკოვის ბანაკის ტყვეთა ლაზარეთში მამუშავებდნენ. რამდენიმე ეროვნების ავადმყოფი იწვა პალატაში. ყველა თავის ენაზე გაიძახოდა „ვაი დედაო“. ყველას ერთობლივი „ვაი დედას“ წამოძახილი გაეგონა [illegible] გერმანელ გუშაგ ჯარისკაცს. იგი გუშაგობიდან გამოცვლილიყო და დასასვენებლად მიდიოდა. ამდენმა „ვაი დედას“ ძახილმა გერმანელი ჯარისკაცი ლაზარეთში შემოიყვანა.

რას გაიძახიან ავადმყოფებიო, — მკითხა. ვუპასუხე. დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მერე ჯიბეებზე მოიფათურა ხელი, სამი ცალი სიგარეტი ამოიღო, აღარ იცოდა, ვისთვის მიეცა, რამდენს ეყოფოდა სამი ცალი სიგარეტი. სიგარეტები რაფაზე დაყარა, შეიგინა და წავიდა.

ბედნიერია იგი, ვისაც ხვალის იმედი აქვს, ვინც სიხარულით ელოდება ხვალინდელი დღის გათენებას. „ვისაც გამარჯვება დაუსახავს მიზნად, იგი უკვე ნახევრად გამარჯვებულიაო“.

ჩვენი მიზანი იყო, სამშობლოსთვის რაიმე გაგვეკეთებინა ტყვეობაშიც კი. ჩვენ გერმანული ენის შესწავლასაც კი შევუდექით და მცირე ხნის განმავლობაში ბევრ რამეს ვგებულობდით, როდესაც მათ ლაპარაკს ვუსმენდით.

უხვი, სანატრელი და ყველა პირობებში მაინც სევდიანი შემოდგომა უკრაინის ველ-მინდვრებზე დავტოვეთ, ბელაიაცერკოვის მავთულხლართებიან ბანაკში ვიყავით გამომწყვდეულები. აცივდა, საგრძნობლად აცივდა. ნახევრად შიშვლები უნდა შევხვედროდით უკრაინის მკაცრ ზამთარს.

მთელი ბანაკი კვნესოდა და გმინავდა. ეშელონთან დახოცილ ამხანაგებს ახლა ბედნიერად ვთვლიდით, მათ უკვე აღარაფერი აღარ აწუხებდათ. მათთვის ყველაფერი დამთავრებულიყო. მომავალი ზამთრის ცივსა და წითარეში ქარს მთელი ბანაკის გმინვა მიჰქონდა და დროებით დაპყრობილი უკრაინის დარდს ზუზუნით უერთდებოდა. ერთ დიდ გლოვად აქცევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაში ორჯერ, მგონი ოთხშაბათობითა და პარასკეობით, ებრაელებისა და პარტიზანების დახვრეტის დღე იყო.

ერთ დილით ბანაკს ორმა საბარგო მანქანამ ჩაუქროლა. მანქანები სავსე იყო ორივე სქესის ადამიანებით. ისინი პარტიზანები იყვნენ. ვისაც დასვენებისა ან რაიმე დღესასწაულის დღეს ქალაქგარეთ მანქანებით მიმავალი რუსები და უკრაინელები უნახავს, ის დღე მოაგონდებოდა. დაგვინახეს თუ არა დასახვრეტად მიმავლებმა, ყველანი ერთად მოგვესალმნენ ქრიამულითა და ყიჟინით. მოგვაძახეს, რომ გაგვეძლო გასაჭირისთვის, არ დავცემულიყავით სულით, რომ სულ ჩქარა იმ ჩვენს ბანაკში გერმანელი ფაშისტები მოხვდებოდნენ. ყვიროდნენ: გაუმარჯოს წითელ არმიას, გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს! „Страна моя, Москва моя", შემოსძახეს და თვალს მიეფარნენ.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩვენზე, რომ მთელი ბანაკი ფეხზე დადგა, მზად ვიყავით გაგვეგლიჯა ბანაკის ირგვლივ შემოვლებული ეკლიანი მავთულხლართები და ჩვენც მათი ბედი გაგვეზიარებინა. სულ ცოტა ხნის შემდეგ კი სულ სხვანაირი აურზაური ატყდა. დასახვრეტი ადგილი ბანაკიდან ახლოს იყო, არ ჩანდა, ხმაური კი კარგად აღწევდა ჩვენამდე. ავტომატების კაკანმა სწრაფად ჩააქრო პარტიზანთა ხმაური. დადუმდნენ. დადუმდა ბანაკიც. თავდახრილები დავრჩით ერთ ადგილზე.

შემოდგომის მიწურული იყო. ციოდა. უცებ ბანაკის მავთულხლართებიანი ჭიშკარი გაიღო და შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი ტყვე შემოიყვანეს ბანაკში. ტყვე მთლად შიშველი იყო. უკან გერმანელები მოსდევდნენ. ერთი გერმანელი კი გვერდით მოჰყვებოდა; ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, რანაირიც შეიძლება ჰქონდეს მონადირეს, ცოცხლად შეპყრობილი, იშვიათი ნადირი რომ ეამაყება. ჯერ არ ვიცოდით რა მოხდებოდა.

ბანაკის ეზოს შუაში შლამიანი წყალით სავსე აუზი იყო. აუზთან, კარგად აღარ მახსოვს, ხე თუ ბოძი იდგა. მიიყვანეს ის ტყვე აუზთან და უბრძანეს თავდაყირა გადამხტარიყო შიგ. იგი მაშინვე გადახტა. ამოჰყო თუ არა თავი, უბრძანეს ამოსულიყო, ხეზე ამძვრალიყო და იქიდანაც თავდაყირა გადამხტარიყო აუზში. ტყვემ კარგად შეასრულა ბრძანება. რამდენჯერმე გაამეორებინეს. ახალგაზრდა ტყვე დიდი გულმოდგინებით ასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ. მხოლოდ სიცივისაგან თუ შიშისაგან კანკალებდა და ისე იყო ექსტაზში შესული, რომ თითქოს კიდეც ჩქარობდა ახალი ბრძანების შესრულებას. ვინ იცის, იქნებ იმიტომ ჩქარობდა, რომ როგორმე კანკალი მოეშორებინა.

ბანაკის ეზოში ერთი მაღალი სახლი იდგა. გერმანელების შემოსვლამდე სამხედრო ყაზარმა ყოფილიყო. საწყალ ტყვეს ახლა ამ სახლისთავზე ასვლა უბრძანეს. კიბეს უნდა აჰყოლოდა, იქიდან კი უკანასკნელ სართულამდე საწვიმარ მილს უნდა ჩამოჰყოლოდა. თუ ამ ძნელ საქმესაც ზუსტად შეასრულებდა, სამი დღის სიცოცხლით იქნებოდა „დაჯილდოებული", რასაკვირველია, მის განთავისუფლებაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

როგორც კი უბრძანეს ასულიყო სახლის სახურავზე და იქიდან ჩამოჰყოლოდა საწვიმარ მილს, ტყვე მყისვე კიბეს ეცა და ასვლა დაიწყო. ამ ერთ კაცს საგანგებოდ დანიშნული ფაშისტები აწამებდნენ. დიდი ბატონი ოფიცრები კი ბანაკის ტერიტორიის გადაღმიდან უცქერდნენ და დოლის მოყვარულები-

ვით ღელავდნენ, სიამოვნებისაგან ულაყი ცხენებივით ჰიხვინებდნენ.

აირბინა ტყვემ კიბეზე სწრაფად; შუაგზამდე რომ მიაღწია, დაიღალა, ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა. ავიდა სახლის სახურავზე და გადმოიხედა, შეეშინდა, ჩაჯდა, მოიკუნტა. აღფრთოვანებულმა ფაშისტებმა ყიჟინა დასცეს, აყვირდნენ.

დაიწყო თუ არა ტყვემ საწვიმარ მილზე ჩამოცოცება, თვალებზე [illegible]ფარე და გავიქეცი. გაქცეულს ტყვეების შეძრწუნებული ამოძახილი და გერმანელი მწამებლების აღფრთოვანებული ყიჟინა დამეწია.

ამბობდნენ: მიწამდე სული აღარ დაჰყოლიაო...

## ბელაიაცერკოვიდან კიევში

ნოემბერი დადგა. აცივდა. გამძაფრებული დეკემბრის მოგონება შიშის ჟრუანტელს გვგვრიდა. თითქმის ყველანი ნახევრად შიშვლები უნდა შევხვედროდით უკრაინის მკაცრ ზამთარს. წინა წლის ზამთრის ამბავს ზეპირთქმულებასავით ვგებულობდით, მომსწრენიც კი აღარ დარჩენილიყვნენ. 1941 წლის ზამთრის ტყვეებს სამუდამოდ დასძინებოდათ, ერთ დიდ სამარეში ჩახუტებულებს.

ფოთლებგაცვენილი ხეები ჩონჩხებად ქცეულიყვნენ. მზესაც ისე შევცქეროდით, როგორც ჩამქრალ კერიას, — ველარ გვათბობდა. ჩვენს ბანაკში მხოლოდ ქარილა შემორბოდა, არ ეშინოდა მავთულხლართებზე ფრთების დახევისა, ზუზუნითა და წივილით გარბოდა, თითქოს ტყვეთა სასაფლაოს დასტიროსო.

ნაყაზარმალი სამსართულიანი შენობა იყო. რამდენიმე ქართველი პირველ სართულზე ვცხოვრობდით რუს და უკრაინელ ინტელიგენტებთან ერთად. მათში ექიმები და ფერშლებიც ერივნენ. მახსოვს განსაკუთრებით კარგად ექიმი ცარენკო და ფერშალი გრიცენკო.

გრიცენკო მეტად ფიცხი და ამავე დროს კეთილი კაცი იყო. სულ ამას გვეუბნებოდა: თუმცა ტყვედ ხართ ჩავარდნილნი, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქენი ხართო. გრიცენკომ გინება პირში იცოდა და ქება ზურგს უკან. სამწუხაროა, რომ არა მაქვს მისი მისამართი. იგი ბელაიაცერკოვის ახლოს მცხოვრები უკრაინელი იყო. ბანაკში გამომწყვდეული, სევდიანი სახით იყურებოდა ხოლმე იქით, საითაც მშობლიური სოფელი ეგულებოდა. განცალკევებით უყვარდა ეზოში დადგომა: ქარს ჩემი სოფლის სუნთქვა მოაქვსო, — მეტყოდა და აუწითლდებოდა გაცრეცილი ლოყები.

ექიმი ცარენკო ნამდვილი არისტოკრატი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, გვარიც ხომ ხელს უწყობდა: გახუნებულსა და გაცრეცილ ხაკის ტანისამოსშიც შნოიანი ჩანდა. ტყვეობის მწუხარებას სიმღერით ივიწყებდა. იქნებ სხვებზე მწვავედაც განიცდიდა ტყვეობის ტრაგედიას, მაგრამ ისე ეჭირა თავი, რომ არ იმჩნევდა; რაც არ უნდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყავით, მისი დამნახველი მაინც გაიხარებდით. სულ დადიოდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. გერმანელები მას აშკარა შურით შესცქეროდნენ, — ცარენკო ფაშისტებში ისე მოჩანდა, როგორც ჭილყვავებში შერეული შევარდენი.

გერმანელებმა ჩქარა მოიშორეს თავიდან ექიმი ცარენკო. როდესაც ბანაკიდან გაჰყავდათ, თავი ამაყად ეჭირა, სახე კი სევდისაგან გაცრეცოდა...

რუს და უკრაინელ ექიმებს შეკედლებული ჰყავდათ ერთი ძალზე ახალგაზრდა ტყვე, ვალია ბალაკირევი. ვალია ჩემი დარდის გამქარვებელი იყო. დამინახავდა თუ არა, მომაფრინდებოდა, მთხოვდა მისთვის ქართული ცეკვა მესწავლებინა. კარგი სანახავი კი ვიქნებოდი მაშინ, მისი სურვილი რომ ამესრულებინა! არ მოგვეშვებოდა, იქაუ-

რობას აურევდა, თავსაც მოგვაბეზრებდა და როდესაც გაგვშორდებოდა, ისევ მოგვენატრებოდა.

ჯერ ულვაშიც კი არ ამოსვლოდა. მშობლებსა და ტოლ-ამხანაგებს რომ მოიგონებდა, საოცრად მოიწყენდა, გაბუტული ბავშვივით გამოებურცებოდა ტუჩები. ვანუგეშებდი, ვეუბნებოდი: ნუ გეშინია, ცოტა ხანს კიდევ მოითმინე და ჩქარა დამთავრდება ომი, მეც მეწვევი საქართველოში-მეთქი... ხალისდებოდა ხოლმე, ჩემი მისამართიც ჩაიწერა გულდაგულ.

განებივრებული დედისერთა ბიჭი იყო. როგორც მისმა ნაცნობებმა გვითხრეს, კარგი ინტელიგენტი ოჯახიდან ყოფილიყო, არასრულწლოვანი მოხალისედ წასულიყო ჯარში. ჭირვეულობაც იცოდა: თუ არ ვიყავით მის ხასიათზე, გაგვებუტებოდა და როგორც განებივრებული ბავშვი უცდის მშობლების მოფერებას, ისიც ისე ელოდებოდა ჩვენგან ალერსიან სიტყვას.

როდესაც ჩვენ, რამდენიმე კაცს, ბელაიაცერკოვიდან წასვლა მოგვიხდა, ვალია ბალაკირევი ბანაკში დარჩა; პარტახტიანი ტიფით გამხდარიყო ავად და სამუდამოდ დადუმებულიყო. ნახევარი წლის შემდეგ ისევ შევიყარენით ნაცნობები ბელაიაცერკოვში და მისი ამბავიც იქ მითხრეს; ბანაკიდან ტყვეთა სასაფლაომდე სულ პატარა მანძილი იყო. ჩქარა რომ არ დამთავრებულიყო ბალაკირევის გასვენების პროცესია, მისი ცხედარი თურმე რამდენჯერმე შემოატარეს ირგვლივ ყოფილ ყაზარმის შენობას.

იმ სამმა კაცმა: ცარენკომ, გრიცენკომ და ვალია ბალაკირევმა გამიადვილეს ბანაკ-ჯოჯოხეთში ცხოვრება.

ბანაკში ტყვეების ახალი ნაკადი მოიყვანეს. ცარენკოს ხომ ვერ გააჩერებდით ერთ ადგილზე. პირველი ის გაეშურა ახალმოყვანილი ტყვეების სანახავად. გვიან დაბრუნდა, თავისებური ღიმილით შემოაღო კარი და მითხრა: ვლადიმირ-ვოლინსკიდან ტყვე ქართველები მოიყვანეს, მედიცინის მუშაკები არიან, მესამე სართულზე დაბინავდნენ, არ გაინტერესებს მათი ნახვაო?! თითოეულ მათგანს აქებდა ქართველების მოყვარული ცარენკო; ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს, თითქმის ყველა გავიცანიო, და ბოლოს დაუმატა: ჩვენ, როგორც ექიმებს, კონსილიუმი გვქონდა გერმანელი ნაცისტების ჯანმრთელობის მდგომარეობისა გამო. დავასკვენით, რომ მათ არაფერი არ ეშველებათ, სულ ჩქარა დაიღუპებიანო. ყველამ გულიანად გადავიხარხარეთ, მან კი დარდიმანდულად გაისწორა კეფაზე მოგდებული პილოტურა და ღიღინით გავიდა.

ტყვე ადამიანის სიმშვიდე სად გაგონილა, ხოლო ყოველი ახალი ამბის გაგონებაზე სულ ავფორიაქდებოდი ხოლმე. რაღაცნაირ სიზმარეულ ბურანში ვიყავი და ეს სასიხარულო ამბავი ელდასავით მეცა, თითქოს ისევ ბურანში დარჩენა მერჩივნა.

სწრაფად ავირბინე კიბე და მესამე სართულზე გავჩნდი. დერეფანში ვიღაც გერმანელს დავეჯახე. მან ხელთათმანები ჩაიცვა და სადაც მე მოვხვდი, იმ ადგილის ფერთხვა დაიწყო, ხტოდა და თან იფერთხავდა, ნეტავ რა მოვაცხე? მე არაფრით არ ვყოფილვარ გასვრილი. თვითონ ნადირმა ყველა ნადირის სახელი მიწოდა. არაფრად არ ჩამიგდია მისი ლანძღვა-გინება, რაკი ამით დაკმაყოფილდა. ორნაირი განცდით საოცრად ვღელავდი. იმის მაგივრად, რომ მაშინვე შევსულიყავი ქართველებთან, გვერდი ავუარ-ჩავუარე მათ ბინას. ვერ გავბედე, გავცნობოდი უცნობებს. განუწყვეტლად მიდიმოდიოდნენ ტყვეები დერეფანში, აბუზულებიც იდგნენ. მეუხერხულებოდა მარტო ყოფნა და ჩემს თავს ვუსაყვედურე: შედი, რანაირი კაცი ხარ, რა დროს ცერემონიებია, აქ რუსთაველის პროსპექტი ხომ არ გგონია. სამარცხვინო რომ იყოს უცნობებთან გამოლაპარაკება-მეთქი.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, ვილაც შავგვრემანმა, სანდომიანი სახის სათვალიანმა კაცმა ჩამიარა, გამიღიმა და მითხრა: თქვენ ხომ არა ხართ გოგი ქავთარაძეო. მასაც გაეგო ცარენკოსაგან ბევრი რამ ჩემზე და თურმე მეძებდა. იგი აღმოჩნდა ექიმი ხარიტონ ანთიძე. ჩვენ სხვის დაუხმარებლად კარგად გავიცანით ერთმანეთი. დიდხანს ვისაუბრეთ, ბევრი რამ ვნახეთ საერთო, რაც საწინდარი გახდა ჩვენი მომავალი მეგობრობისა.

ხარიტონ ანთიძემ ჩვენი სამშობლოს გამარჯვების რწმენა გამოთქვა, ესეც ჩვენი საერთო აზრი იყო, მაგრამ ერთი არასასიამოვნო სიმართლეც მითხრა, ომი დიდხანს გაგრძელდებაო. მე კი სხვანაირად ვფიქრობდი. ვერ დავდექი მაინცდამაინც კარგ ხასიათზე. რა უნდა მექნა? ამ აზრისთვის ხომ ვერ შეველეოდი იმ საინტერესო ადამიანს.

საღამო ხანს ანთიძემ ქართველებთან შემიყვანა და გამაცნო ექიმები: გრიგოლ ბურჯანაძე, კაპანაძე, ქათამაძე (ამ ორი კაცის სახელი აღარ მახსოვს), ფერშლები: სერგო ლორთქიფანიძე, შოთა ნიკურაძე, გარო თუშმალიშვილი და აკაკი ქორქოლიანი. ასე მეგონა, საქართველოში ვიყავი ჩემს ნაცნობ-უცნობებთან, გული სიხარულით ამევსო. მათაც დიდი ჭირ-ვარამი გამოევლოთ, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურებოდნენ. ზოგი ირწმუნებოდა, ზედიზედ ლხინსაც კი ვერ ვუძლებდით და ახლა რითი ვართ ცოცხლებიო.

იმ დღიდან სულ ჩემს ახალ გაცნობილ ქართველებთან ვიმყოფებოდი, ღამის გასათევად კი ისევ რუს და უკრაინელ მეგობრებთან ვრჩებოდი. ვეცნობოდით ტყვე ქართველები ერთმანეთის სულისკვეთებასა და თავგადასავალს, ვისაც რითი შეგვეძლო, იმით ვართობდით და ვამხნევებდით ერთმანეთს. ექიმ კაპანაძეს ისეთი გულშიჩამწვდომი ხმა ჰქონდა, რომ ახლაც მესმის მისი საამო სიმღერა. თბილისიდან ჩემი ფრონტზე წასვლა და ოჯახთან დამშვიდობების წუთები ვუამბე. მან ჩემი ტკბილი მოგონება კიდევ მეტად გაამძლიერა და ისეთი მშვენივრად წამოიმღერა:

«До свидания милый мой...

რომ ის ჩემთვის ნაცნობი სიმღერა ასე საამური, ასე ამაღელვებელი არასოდეს არ ყოფილა. ისეთი ტკბილი ტანჯვა ვიგრძენი, რომ იქნებ ბედნიერებადაც კი ჩამეთვალა სიკვდილი ასეთ დროს. მომღერალმა რომ შემომხედა, დაარაკრაკა და დაარაკრაკა. ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, ანთიძე ბანაკის ეზოში გავიდა. შეუმჩნევლად უკან გავყევი. ბოლთასა სცემდა ჩაფიქრებული. არ მინდოდა დამერღვია მისი ტკბილი თუ მწარე ფიქრები და შორიდან ჩავუარე; დამინახა თუ არა, დამიძახა: მოდი, გოგი, ჩემთანო. სანამ მთელი ბანაკი არ მიწვა-მოწვა, ერთად ვიყავით და ვსაუბრობდით იმაზე, თუ რა გველოდა, რომ ტყვეებს მხნეობა კვლავაც შეენარჩუნებინათ.

ბოლოს მითხრა:

— მე ძალიან მომწონს და მახარებს შენი იმედიანობა და ენთუზიაზმი. — მაგრამ ხომ იცი, თუ ამ ზამთარში ამ ბანაკში დავრჩით, მარტო ცარიელი იმედი ვერაფერს გვიშველის.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ხარიტონ! — ვუპასუხე.

ამ დროს ბანაკის მორიგე მთვრალი პოლიციელი წამოგვადგა თავზე. მას ჩვენი ერთ ადგილზე დიდი ხნის დგომა შეემჩნია, ფაშისტების დამცველს ჩვენი საუბარი საეჭვოდ მოსჩვენებოდა და გვიბრძანა, ბანაკში წაეთრიეთო. ანთიძემ შეუბღვირა. არ მოეწონა პოლიციელს ასეთი სითამამე უუფლებო ტყვისაგან და რეზინის ჯოხი მოუქნია. გზა გადავუღობე. არ ვაცალე დაერტყა; კიდევ რომ მოუქნია, ველარ მოვითმინე, ჯოხი ხელიდან გამოვგლიჯე და ვთხოვე დაგვხსნოდა. როგორ გამიბედე ჯოხის წართმევაო, — დაიღრიალა და დედა შემაგინა. ცეცხლი წამეკიდა, ველარ მოვითმინე და მისივე

ჯოხი ისე მაგრად გადავკარი ზურგზე, რომ ჩემს სიმაღლეზე ახტა. ხარიტონ ანთიძეს ჯერ მშვიდობიანობა ეწადა: რომ ვერ დამამშვიდა, მანაც შეუტია პოლიციელს. ერთი სიტყვით, პოლიციელი მაგრად მივბეგვეთ. ასეთ დროს იშვიათი იყო ტყვეების გადარჩენა, მაგრამ გადავრჩით. ის პოლიციელი ბანაკის კომენდანტს დაეპატიმრებინა რაღაც დანაშაულისთვის.

მეორე დღეს, პირველი შეხვედრისთანავე ანთიძემ მტკიცედ მითხრა:

— წამოხვალ ჩემთან?

— არ ვიცი, სად აპირებთ წასვლას?

— როგორც ამბობენ, ხუთასი კაცი მიდის კიევში, გერმანელებისთვის შეშის დასამზადებლად. ამ ხუთას კაცს ორი ექიმი, ფერშლები და სანიტრები ესაჭიროება; კარგია, ჩვენს ძმებს მაინც მოვემსახურებით.

— მერე მე რა უნდა გავაკეთო? მე რა მაქვს საერთო მედიცინასთან? ჩემი ხელობის ადამიანი ვის რაში გამოადგება აქ, ამ პირობებში.

— მე გამომადგები.

— თქვენ? რაში გამოგადგებით?

— ამას მერე გეტყვი.

— არ ვიცი, როგორც გნებავდეთ...

— მე მინდა, რომ შენ ჩემთან იყო. შენს საქმეს მე გავაკეთებ, შენ კი, ჩემო გოგი, ლექსები წამიკითხე ხოლმე და დანარჩენი მერე ვნახოთ, სხვას არაფერს არ მოვითხოვ შენგან. თანახმა ხარ?—მხარზე ხელის დაკვრით მითხრა ანთიძემ.

უსაზღვრო კმაყოფილება ვიგრძენი, თუმცა არ ვიცოდი, რა მელოდა. ვხედავდი, როგორ იღებოდა ბანაკის ჭიშკარი. სამუდამოდ ვტოვებდი ბაწაკ-ჯოჯოხეთს.

ექიმი ხარიტონ ანთიძე ძალიან განათლებული კაცი იყო. იგი მხოლოდ თავისი ხელობის ნაჭუჭში კი არ იყო მოქცეული ზოგიერთი ექიმივით თუ სხვა დარგის მუშაკებივით. მრავალმხრივი განათლება ჰქონდა, ნაკითხი იყო, ლიტერატურის დიდი მოყვარული და ამავე დროს მცოდნეც. ჩვენი აზრთა დამთხვევის გარდა ლიტერატურის სიყვარულმაც დაგვაახლოვა ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ხუთასი კაცი, რომელთაც ჩვენ უნდა გავყოლოდით, თვითონ გერმანელებს უნდა შეერჩიათ, ნაწილი უკვე შერჩეული ჰყავდათ, მათს მომსახურე მედპერსონალს კი ანთიძე აგროვებდა ერთი რუსი ექიმის დახმარებით. ის რუსი ექიმი ფრონტელი მეგობარი იყო ანთიძისა და ერთმანეთს ენდობოდნენ.

როდესაც მთელი ჯგუფი ჩამოყალიბდება, ამ ჯგუფს ბანაკის ადმინისტრაცია გასინჯავსო, გამაფრთხილა ხარიტონმა. საგონებელში ჩავვარდი: ვთქვათ, დამიწუნა ბანაკის ადმინისტრაციამ, რაღა ვქნა? ხომ დავკარგე ანთიძეც! როგორ უნდა მოვიქცე? ნეტავ როგორი ტყვეები მოეწონებათ გერმანელებს კიევში გასაგზავნად? გამეშალა მხრები სანამდისაც გამწვდებოდა, თუ წელში მოვხრილიყავი? არა, ჩაჩანაკი კაცი არც მტერს მოსწონს და არც მოყვარეს. გადავწყვიტე, რაც შეიძლებოდა ვაჟკაცურად დამეჭირა თავი.

ჩამოყალიბდა მხოლოდ მედპერსონალთა ჯგუფი, გაგვიყვანეს ბანაკის გადაღმა, დაგვაყენეს შტაბის წინ. გადაგვავლო თვალი ადმინისტრაციამ და დაგვამტკიცა კიევში გასაგზავნად. დანიშნეს ჩვენი გამგზავრების დღეც. აღფრთოვანებული ველოდი ამ დღის გათენებას.

ეს დღეც დადგა. 2 ექიმის, 4 ფერშლისა და 15 სანიტრისაგან შემდგარი ჯგუფი 1942 წლის ნოემბერში ბელაიაცერკოვის ბანაკიდან გაგვიყვანეს კიევში წასაყვანად. ისევ გერმანელების შტაბის წინ დაგვაყენეს, კიევამდის სამყოფი საგზალი დაგვირიგეს და შემდეგ გამოგვიცხადეს: დღეს გარკვეული მიზეზის გამო არ გაემგზავრებით, ხვალ ამ დროისათვის მოემზადეთო. გვეწყინა. თუმცა არ ვიცოდით, რა ბედი გვეწეოდა კიევში, მაგრამ მაინც გვეშინოდა, არ გადაეფიქრებინათ ჩვენი ბანაკიდან გაყვანა.

---

ერთმა ჩვენმა ამხანაგმა შალვა ვარდანიძემ, რომელიც პროფესიით ქართული ენის მასწავლებელი იყო და იშვიათი ცრუმორწმუნეც გახლდათ, ჩვენი დაბრუნება ცუდის მომასწავებლად ჩათვალა. ახალგაზრდა კაცმა თავი გააქნ-გამოაქნია და გრძელწვერიანი ბრძენივით გვითხრა: თქვენ დაისწავლეთ ჩემი სიტყვა, ჩვენ თუ ისევ აქ არ მოგვიხდეს მობრუნება კიევიდანო.

რაღა ეშმაკები გვინდოდა ბელაიაცერკოვში? გვეწყინა მისი ასეთი არასასიამოვნო „წინასწარმეტყველება“ და კარგა გვარიანად შევუკურთხეთ; ცრუმორწმუნე, უიმედო და ჩერჩეტი ვუძახეთ. იგი ძალზე მშვიდად გვისმენდა, ხმა არ ამოუღია.

მეორე დღეს კიევში გავემგზავრეთ. გერმანელების სახალხო მატარებელს ერთი საბარგო ვაგონი ჰქონდა მიბმული ჩვენთვის. ამ ვაგონს თავისი ნომერი და ერთი ფრანგული სიტყვა „France“—საფრანგეთი ეწერა. ეს ვაგონი გერმანელებს წამოეღოთ საფრანგეთიდან და ახლა ბელაიაცერკოვსა და კიევს შორის დარიხინობდა. რაც ჩვენ კიევში ჩასვლამდე დღე დაგვადგა, ნეტავ იმაზე უარესი იქნებოდა ბელაიაცერკოვის ბანაკ-ჯოჯოხეთში დარჩენა?!

ვაგონში ისე ციოდა, კინაღამ დავიხოცეთ. განა ვიჯექით? დავხტოდით. არ დაჯდეთ, არ გაჩერდეთ, თორემ გაიყინებით, — შევძახოდით ერთმანეთს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი იქნებოდა დასუსტებულთათვის იძულებითი ხტომა. შემდეგ ხტომაც ველარ შევძელით, დაოსებული მივეყარენით. ყინვა მშიერი მგელივით მოგვიხტა და ღრღნა დაგვიწყო. ერთი მახათაძე იყო, რომელიც არ ხტოდა, — ხაკის თხელი გიმნასტურა ეცვა, მაზარა არ ჰქონდა, გაცივდა და ავად გახდა. ისე იყო გამხდარი, ნეკნები მოუჩანდა. ახალგაზრდა შერიგებოდა სიცივეს და ნახევრად გაყინული კუთხეში მიგდებულიყო. კიდევ კარგი, რომ ჩვენი გამცილებელი გერმანელები ცალკე ვაგონში იყვნენ და ჩვენთვის არ ეცალათ: ვიღაც ქალები შეათრიეს ვაგონში და ერთობოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ დავიმახსოვრე, რამდენი დღე მოვუნდით კიევში ჩასვლას. მაშინ ჩვენთვის ეს მთელი საუკუნე იყო. ჩავედით თუ არა კიევში, გავიხარეთ. პირადად მე პირველად ვხედავდი ამ შესანიშნავ ქალაქს. ერთი დიდი ქუჩა — კრეშჩატიკი—მშვენება კიევისა, მთლიანად დანგრეული იყო, მაგრამ ამით კიევს იერი არ შესცვლოდა, დანგრეული კრეშჩატიკი ჭრილობასავით აჩნდა ქალაქს.

გერმანელები ქუჩებში თავისუფლად დასეირნობდნენ, უკრაინელი მოქალაქენი კი შემკრთალნი გამოიყურებოდნენ. ნაცისტებს გერმანული წარწერებით აეჭრელებინათ ქუჩები. შავ-წითელი დროშები ფრიალებდა, დროშებზე ყორნებივით ისხდნენ შავი სვასტიკები. უკრაინის შესანიშნავი ქალაქი ჰიტლერის პორტრეტებითაც „დაემშვენებინათ“. ისე გულიანად მოეკალათებინათ, ეტყობოდა, კიევი სამუდამოდ თავიანთი ეგონათ. აგერ რომელიღაც ქუჩაზე აგურისფერი სახლია, შესავალთან კარგად გაფორმებული გოთური შრიფტით წარწერაა: „დოიჩე ჰაუს“, ამ სახლში საროსკიპო იყო გახსნილი გერმანელი ფაშისტი ოფიცრებისათვის.

მიგვიყვანეს ქალაქის განაპირას მდებარე „დოიჩე კრიგლაზარეთში“. ლაზარეთის ადმინისტრაციამ მთლიანად დაგვითმო ერთი დანგრეული სახლი, რომლის რამდენიმე ოთახი ყუმბარებს გადარჩენოდა.

ამ სახლში ცხოვრება საშიში იყო, საცა იყო ჩამოინგრეოდა. პირველ ხანებში მოუსვენრად გვეძინა, შემდეგ მივეჩვიეთ და გერმანელებიც უფრო თამამად შემოდიოდნენ ხოლმე რაიმე საქმეზე.

გერმანელთა ეს ლაზარეთი სავსე იყო დაჭრილებითა და ავადმყოფებით. ომამდე აქ ფსიქიატრიული საავადმყოფო ყოფილიყო, რამდენიმე კორპუსისაგან შედგებოდა და ერთ ტერიტორიაზე იყო გაშენებული. მაშინ აქ დაახლოებით

ორი ათასი ავადმყოფი წოლილიყო. შემოსულიყვნენ თუ არა გერმანელები, ეს ვეებერთელა საავადმყოფო, უზრუნველყოფილი საუკეთესო მეცნიერ-მკურნალებით, თავიანთთვის მოსწონებოდათ, გამოერეკათ ავადმყოფები, შეეყარათ გაზის კამერებში და დაეხოცათ.

საავადმყოფოს მომსახურე მედპერსონალის ნაწილი ბანაკებში ჩაეყარათ, ნაწილი კი კიევში დაწანწალებდა და ლუკმაპურისთვის ყოველგვარ შეუფერებელსა და დამამცირებელ სამუშაოს ასრულებდა.

ერთი უკრაინელი ექიმი ქალი ლაზარეთის საპარიკმახეროში მუშაობდა, იგი გერმანელებს ემსახურებოდა. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ყოველთვის კეთილი, ალერსიანი თვალებით მიცქეროდა. გამიჭირდა და ვთხოვე ერთი ცალი დანისპირი. ერთის ნაცვლად მთელი დასტა მომცა და კიდეც გამპარსა წვერი ისეთ დროს, როდესაც გერმანელები არ იყვნენ. მპარსავდა და თან ტირილით მიამბობდა თავის ამბავს. ახლაც მიწვავს კისერს მისი ცხელი ცრემლები.

კიევში აღარ გვინახავს ის ხუთასი კაცი, რომლებთანაც უნდა გვემუშავნა. გერმანელებმა ლაზარეთში დაგვტოვეს. ვინაიდან დასუსტებულები ვიყავით და დაუსვენებლად ვერ შევძლებდით ვერავითარ საქმიანობას, მთელი ერთი კვირა დაგვასვენეს. შემდეგ შეგვმოსეს საავადმყოფოში ნაწოლ ავადმყოფთა პრელაპრულა ტანსაცმლებით.

მე ფრაკისებური ძველი კოსტუმი შემხვდა. ამხანაგები მეუბნებოდნენ, დირიჟორს დაემსგავსეო. არ მწყინდა ეს ხუმრობა, რადგან თუმცა მუსიკალური ნიჭი ხელს არ მიწყობდა, გულში მაინც ადრე დასაღუპავი გერმანელი ფაშისტებისთვის რექვიემს ვასრულებდი.

ჩვენი ჯგუფის უმრავლესობა ლაზარეთისთვის შეშის დასამზადებლად გამოგვიყენეს. შალვა ვარდანიძე და, მგონი, ვანო კილაძე ცეცხლფარეშებად დანიშნეს.

ავადმყოფი მახათაძე მისვლისთანავე ცალკე ოთახში მოვათავსეთ. ამიტომ, რომ პატივი ვეცით, მას კი ჩვენთან ყოფნა უნდოდა. მეტისმეტად ხათრიანი ახალგაზრდა იყო, ვერ გაგვიბედა ეთქვა, თქვენთან მინდა ყოფნაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელების ადმინისტრაცია ლაზარეთში ძალიან უნდობლად გვიცქერდა, ხან იუდას გვეძახდა, ხან სპეკულანტებს. ძალიანაც რომ მოგვეწადინებინა, მაინც ვერ მოვახერხებდით ასეთ რამეს. ისინი თვითონ ეწეოდნენ სპეკულაციას: ძარცვავდნენ ომით გაპარტახებულ კიეველებს და რაც კი მოეწონებოდათ, გერმანიაში, თავიანთ ოჯახებში აგზავნიდნენ; მათ ხელში იყო ახალგამოშვებული ბონი, და როცა ბაზარზე კილოგრამი ფეტვის პური 100 მანეთი ღირდა, ლაზარეთის საჭიროებისთვის დაქირავებულ კიეველ მოქალაქეებს თვიურად 3 კილოგრამი პურის ფასად ამუშავებდნენ.

მახათაძე მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებდა, მაგრამ ჩვენ რა შეგვეძლო?.. „უვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“. ჩვენი ავადმყოფი უკანასკნელად მე და შოთა ნიკურაძემ ვინახულეთ. გაგვილიმა, სანთელივით დამდნარიყო. გაყვითლებულიყო, ცივ ოთახში იწვა და ზეწარივით სიფრიფანა საბანი ეხურა, კბილებს აკაწკაწებდა. შეგვეხვეწა: გამათბეთ, ბიჭებო, თუ ღმერთი გწამთ, და ისე მოვკვდეო.

შეშის შოვნა არ გვიჭირდა, ჩვენ ხომ შეშის დამამზადებლები ვიყავით. მაშინვე დავუნთეთ ცეცხლი, ცოტა მოსულიერდა. გადამარჩინეთო, გვეხვეწებოდა. საჭმელიც მოგვთხოვა. პირველ ხანებში ვერაფერს ვერ ვშოულობდით, ჩვენი განსაზღვრული ულუფა ვის ყოფნიდა, შიმშილისაგან ქათმის სიბრმავე დაგვემართა ყველას, დაბინდდებოდა თუ არა, გარეთ გამოსვლა აღარ შეგვეძლო.

დავაიმედეთ და დავტოვეთ ავადმყოფი. მე და შოთა ნიკურაძე უხმოდ გავშორდით ერთმანეთს. ნიკურაძის თვალზე ცრემლი შევნიშნე, გამიკვირდა, მე მას გულგრილ კაცად ვიცნობდი.

საღამო ხანი იყო. იმ დღეს სადილი აღარ გვერგებოდა. რა უნდა მექნა? საგონებელში ჩავვარდი. მთვარეულივით დავბორიალობდი ლაზარეთის ტერიტორიაზე და ვფიქრობდი, სად რა მეშოვნა. ამბობენ: „ცდა ბედის მონახევრეაო“. შევვარდი ჩვენს ბანაკში, ავიღე ჩემი ქვაბუნა, მაზარის ქვეშ დავმალე და მივადექი გერმანელების სამზარეულოს. მივადექი და შესვლა მაინც ვერ გავბედე. ერთ ადგილზე გავშეშდი. ფაშისტებს მოვკარი თვალი, სამზარეულოსკენ მოდიოდნენ; გაქცევა დავაპირე, მაგრამ მშიერი ავადმყოფი წარმოვიდგინე და შევჩერდი. მაინც გამიჭირდა სამზარეულოში შესვლა. შევაღე კარი, გავთამამდი, მივაშტერე სამზარეულოში მომუშავე უკრაინელ ქალს და ვთხოვე ავადმყოფი ამხანაგისთვის მოეცა რაიმე საჭმელი. მან ასეთი „თავხედობისთვის“ დამიყვირა, გარეთ გაეთრიეო. ჩამეფუშა საწადელი.

ცოტა ხნის მერე უკრაინელმა ქალმა დამიძახა. ქვაბუნა გამომართვა, ცერძის ჩასხმისას სახის შეუცვლელად ჩამილაპარაკა: არ გეწყინოს, ბიჭო, განგებ დაგიყვირე, ხომ იცი რა საშიშნი არიან ეს გასაწყვეტი ფაშისტებიო. უმდაბლესი თაყვანისცემით გადავუხადე მადლობა, გამოვბრუნდი და ავადმყოფ მახათაძესთან გავეშურე.

როგორც კი შევედი, საამური სითბო ვიგრძენი, ჩვენი დანთებული ცეცხლი საყვარლად გუზგუზებდა. მახათაძე შემოდგომის ფოთოლივით დამჭკნარ ხელებს იფშვნეტდა, ჩურჩულებდა: რა კარგია, რომ გავთბი, თქვენ გიშველათ ღმერთმა, თუ მოვრჩი და გნახეთ ჩემს ოჯახში, მე ვიცი თქვენი პატივისცემაო. ორი კოვზი ბრინჯის ფაფა შევაჭამე ჩემი ხელით, სულ თვალებში შემყურებდა, ბუდეში ჩამჯდარი ბარტყივით ხტოდა. ამოსაკითხი ზარის წკრიალმა მიხმო, ჩემი ქვაბუნა მის[illegible] გადავცალე, დავუდგი ახლოს და მივატოვე.

ისეთი უპატიებელი ამბავი მომივიდა, რომ ჩემი სინდისის წინაშეც ვერ დავფარავ: ვეღარ მოვახერხე თავის დროზე მენახა ავადმყოფი მახათაძე, იქნებ სხვა ამხანაგებმა მიაკითხონ-მეთქი, დროებით წაიშალა ჩემი ხსოვნიდან და ამ დროებითმა დავიწყებამ მუდმივი სინანული დამიტოვა.

გერმანელთა ლაზარეთის ადმინისტრაცია ჩვენს დაკითხვას აწარმოებდა დაწვრილებით. ეს დაკითხვა და კვლევა-ძიება იმან გამოიწვია, რომ გერმანელების კანცელარიაში რევოლვერი დაიკარგა. ის რევოლვერი კოტე ნუცუბიძემ მოიპარა ერთი უკრაინელი ქალის დახმარებით და გოროხოვს გადასცა. გოროხოვი ლაზარეთის ახლოს ცხოვრობდა თავისი ცოლ-შვილით, გერმანელებთან დაახლოებული პირი იყო, ერიად სიმპათიური და ჭკვიანი კაცი გახლდათ. კოტე ნუცუბიძემ მითხრა: გოროხოვს კავშირი აქვს პარტიზანებთანო. გოროხოვმა რევოლვერი იმავე უკრაინელი ქალის ხელით ისევ ნუცუბიძეს დაუბრუნა.

ლაზარეთში მცხოვრებ ტყვეებს ხშირად გვიხდებოდა კანცელარიაში თუ სხვა ადმინისტრაციულ დაწესებულებაში ყოფნა, შეშას თუ ნახშირს ვეზიდებოდით, ან სხვა რაიმე საქმე იყო ხოლმე. ახლაც არ ვიცი, როგორ მოახერხა ნუცუბიძემ რევოლვერის მოპარვა გერმანელი ოფიცრის მაგიდის უჯრიდან.

„სისუფთავის მოყვარული“ გერმანელები ორ-ორ კაცს გვტოვებდნენ ხოლმე ჩვენი ბინის დალაგებისათვის: ნუცუბიძემ სწორედ ჩვენი მორიგეობის დროს იგდო ხელთ რევოლვერი. გერმანელებმა იატაკის რეცხვა შეგვაწყვეტინეს და კანცელარიაში გამოგვიძახეს, ვინაიდან დანარჩენი ამხანაგები გასული იყვნენ ლაზარეთიდან. კანცელარიის მომსახურე უკრაინელი ცეცხლ-

ფარეში დაპატიმრებინათ გერმანელებს, ხანჯლისებური სამხედრო დანები დაკარგულიყო და მას აბრალებდნენ.

დაპატიმრებული ცეცხლფარეშის ნაცვლად მე და კოტე ნუცუბიძემ ავანთეთ იმ დღეს ღუმელები და მივზიდეთ შეშა და ნახშირი.

კანცელარიაში შეშის მიზიდვისას ნუცუბიძე ნერვიულობდა რევოლვერის გამო და მოჩვენებითი სიმშვიდით საქმიანობდა. მიკვირდა მისი ასეთი გულმოდგინეობა. თუ რამეს ვეტყოდი, უხეშად მპასუხობდა. ბინაზე რომ დავბრუნდით, მან ყველაფერი მითხრა და ჩვენ ორმა ვიცოდით მხოლოდ ეს ამბავი ლაზარეთში. საკვირველია, რატომ ჩვენზე არ აიღეს ეჭვი? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ არ გვიშვებდნენ ლაზარეთიდან უბადრაგოდ, უკრაინელი მუშები კი საღამოს დამთავრების შემდეგ თავთავიანთ სახლებში ბრუნდებოდნენ და გარდა მორიგე ცეცხლფარეშებისა, არც ერთი არ რჩებოდა ლაზარეთში ღამის გასათევად.

რიგრიგობით გამოგვიძახეს დასაკითხავ იმავე კანცელარიაში. გომბეშოსავით სახეგაფიყვინებულმა კანცელარიის უფროსმა გერმანელმა ჩამიგდო ხელში და აღარ მომეშვა, დაჟინებით მეკითხებოდა: თქვი ვინ იყავი და რა იყავი ჯარში; თვალებში გეტყობა, დიდი კომუნისტი და დიდი სამხედრო ჩინის იქნებოდიო. უმცროსი ლეიტენანტი რომ ვიყავი, ეს უკვე ვთქვი ამ წიგნის დასაწყისში, ჩემისთანა უპარტიო მეომარი კი მილიონობით იყო და კომუნისტებთან ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ.

ჩემი დამკითხავი გერმანელი ოფიცერი ლაპარაკის დროს ახველებდა და პირს რომ დააღებდა, ეს ფართო ყვრიმალებიანი უშნო სახის კაცი გომბეშოს ჰგავდა, მწერის დასაჭერად ენაგადმოგდებულ გომბეშოს. ისე ახველებდა, სული ძლივსღა ითქმოდა, ლაპარაკს ვეღარ ახერხებდა.

„ოხ, შენი... დახრჩობა, გა[illegible]დვა, არ გადარჩენა“, — ვწყევლიდი და ვა[illegible]დი ჩემს გულში. რას დავეძებდი, მაგრამ რომ აღარ დაადგა საშველი მის ხველებას, ვკითხე, რატომ არ სვამთ ხველების წამალს-მეთქი. რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ენაზე მომდგარი სიტყვა გაბმულმა ხველებამ შეაწყვეტინა. ეს თეთრყირმიზი კაცი უცებ გალურჯდა. ბავშვივით გადაფიჩინდა, მეგონა, ნამდვილად დაიხრჩობოდა და რაღა უნდა მექნა, რა მიხსნიდა სიკვდილისაგან.

ბოლოს, როგორც იქნა, მოითქვა სული, „ვაი დედაო“, ამოიღუღლუღა და სლოკინით მითხრა:

— გაციებული ვარ, ვერ ვიტან ამ დაწყევლილი რუსეთის ჰავას.

ჰმ! ვერ ვიტან რუსეთის ჰავასო. ისე თქვა, თითქოს ჩვენ გვყავდნენ ისინი მოწვეულნი! რას მოეხეტებოდა?! ვინ ეპატიჟებოდა?!

ალბათ გაციებული ბრძანდებითმეთქი, ვუთხარი.

— დავლევდი, მაგრამ სად არის მერე ხველების წამალი, — თქვა და ისევ აუტყდა ხველება. ჩემსკენ წამოიწია, ხელი დამადო მუხლზე და მომიჭირა.

— აფთიაქში.

— სადაა მერე აფთიაქი.

ვუთხარი, სადაც იყო.

— აპოტეკე, აპოტეკე,—წარმოსთქვა ზედიზედ ისე, თითქოს ხველებას გამოსტაცა ეს ორი სიტყვა, და მიბრძანა: გაიქეცი და მომიტანე ხველების წამალიო.

მაშინვე ავდექი, დავეშვი კიბეზე და გავიქეცი ლაზარეთის აფთიაქისაკენ. აფთიაქს განაგებდა გერმანელი პროვიზორი — განთქმული ქურდი და ლოთი. სპირტი ბლომად მოეპოვებოდა: რამდენჯერ მინახავს მთვრალი, ჭაჭანაჭამი ინდაურივით გამოთაყვანებული რომ დაეხეტებოდა. ბევრჯერ გადაურჩა დასჯას: კარგი სასმელების კეთება იცოდა და იმადლიერებდა თავის უფროსებს. მასთან მუშაობდა ჩემი

ნაცნობი ტყვე-ფარმაცევტი სახელად ლიონია, ეროვნებით ებრაელი, მეტად მოხერხებული და ნიჭიერი ახალგაზრდა. ფაშისტებმა არ იცოდნენ ებრაელი რომ იყო, თორემ ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა. ეს ფაშისტების სიძულვილით ალსავსე ებრაელი იძულებული შეიქნა მოეცა ხველების წამალი გერმანელისთვის. დარწმუნებული ვიყავი, დარიშხანს უფრო ხალისით გაუგზავნიდა ჯალათ-ნაცისტებს.

მივურბენინე ხველების წამალი გერმანელს, დალია და დაწყნარდა. ცოტა დაისვენა. უკლო ხველებამ. შემდეგ მას ჩემთვის აღარაფერი აღარ უკითხავს, ესლა მითხრა:

— თქვენი ჯგუფი დარჩება ისევ ამ ლაზარეთშიო.

ხველების წამლის მოტანისთვის გერმანელმა გამომძიებელმა გასამრჯელოდ ბუტერ-ბროტები და სიგარები მომცა და გამათავისუფლა.

პირველად ავიდმყოფ მახათაძესთან შევირბინე. რა საცოდავად, რა გულსაკლავად ამოედო თავისი დამჭკნარი ხელი თავქვეშ და სამუდამოდ დასძინებოდა. პური, ისეთი კი არა, როგორიც ტყვეებს გვეძლეოდა, სხვანაირი, შინ გამომცხვარი, სასთუმალთან ედო ხელუხლებლად. ის სხვანაირი პური უთუოდ იმ უკრაინელი ქალიშვილის მოტანილი იყო, ლაზარეთში რომ მუშაობდა ძველმანი ტანისამოსის საკუჭნაოში.

იმ ღამით, გვიან, ამხანაგების დაწოლის შემდეგ, შევედი მიცვალებულთან. გამიგონია: მიცვალებული მარტო არ უნდა დატოვო, ცოდვა არისო.

ბნელოდა ოთახში, ნეტავ ვინ ჩააქრო ნათურა? კატა გამიძვრა ფეხებშუა და გული გადამიქანდა; იმ წყეულმა ანთებული თვალები შემომანათა და გაიქცა. ხელი მოვაფათურე ნათურის ასანთებად. ვერ მივაგენი ასანთებ ღილაკს და შიშმა ამიტანა. ვიდექი სიბნელეში და ხელებს ვაფათურებდი გულგახეთქილი.

რად შემეშინდა ასე ძალიან? ვინ იცის, რამდენი მკვდარი მინახავს ფრონტზე თუ ტყვეობაში და ასეთი რამ არ დამმართნია.

ვერ იქნა და ვერ მივაგენი ნათურის ასანთებ ღილაკს; ველარც კარს მივაგენი, გარეთ რომ გამოვსულიყავი და თავისთვის მეშველა.

არ ვიცი რით დამთავრდებოდა ჩემი ამბავი, დერეფანში ვილაც ქოშებიანი ამხანაგის ბაკაბუკი რომ არ გამეგონა; გავძახე, შემოდი და სინათლე აანთემეთქი. მასაც შეშინებოდა, ჩემი ხმის ნაცვლად მიცვალებული მახათაძის ხმა მოჩვენებოდა, გავარდნილიყო და მწოლარე ამხანაგები წამოეყარა.

პირველად შალვა ვარდანიძემ გაბედა შემოსვლა, კარტოფილის სანთლით ხელში წმინდანივით გამომეცხადა. დანარჩენები რიგრიგობით მოჰყვებოდნენ უკან. სანთელმა მიცვალებული დამანახვა და შიშიც გაფრინდა. შემრცხვა ამხანაგებისა და უხერხულობიდან ისევ ვარდანიძემ გამომიყვანა, როცა მითხრა: რა გაბედული კაცი ყოფილხარ, ამ სიბნელეში რამ გაგაბედინა მკვდართან მარტო შემოსვლაო.

მიუხედავად იმისა, რაც შემემთხვა, მაინც ვერ მივატოვე საწყალი ბიჭი მარტო,— თუ მიცვალებულს ვინმე ჰყავს გულშემატკივარი, ღამით არ დატოვებენ სიბნელეში. ვიშოვე კარტოფილის სანთელი, ავანთე და მიცვალებულს თავთან დავუდგი, ნათურა კი ჩავაქრე და გარეთ გამოვედი.

თავზე დამათენდა. ბელურების ქვიქვიმა სარკმლიდან გადამახედა. საბრალოდ იდგნენ ფოთლებგაცვენილი ხეები. აქა-იქ შემორჩენილი ფოთლები ჩიტებივით დამსხდარიყვნენ ტოტებზე, მაგრამ ხანმოკლე იყო მათი სიცოცხლე, ხელი რომ აგექნიათ, მართლაც ჩიტებივით გაფრინდებოდნენ.

მეორე დღეს, დასვენების დროს, ლაზარეთში მყოფმა ქართველმა ამხანაგებმა მიცვალებულის ოთახში მოვიყარეთ თავი. ეს იყო თავისებური სამოქალაქო პანაშვიდი. ყველა ჩვენთაგანის გულში დაგუბებული მწუხარება არხევდა გულის მგლოვიარე სიმებს და საპანაშვიდო მუსიკად აქცევდა.

დასაფლავების დღეს, სანამ მიცვალებულს გარეთ გავასვენებდით, შევიკრიბეთ ამხანაგები და ისეთი სიტყვებით გამოვეთხოვეთ, როგორც თანამედროვე ახალგაზრდას შეეფერებოდა, — ყოველგვარი რელიგიური ადათის გარეშე. შალვა ვარდანიძეს კი დაეკრიბა ხელები და მაინც „აწ განუსვენე ქრისტე ღმერთოს" ღიღინებდა.

რაღაც კუბოს მსგავსი ყუთი გავაკეთეთ და საწყალი ბიჭი დავასაფლავეთ ლაზარეთის ტერიტორიაზე, პატარა ტყის ნაპირას; ვინაიდან ყველას არ ეცალა, სასაფლაომდე სულ რამდენიმე კაცმა გავაცილეთ მიცვალებული.

ლაზარეთში მომუშავე ფაშისტებმა, შეიარაღებული რომ მოგვყვებოდნენ მეთვალყურეებად, არ დაგვრთეს ნება მიცვალებული კუბოიანად დაგვემარხა. თქვენ ურჯულოები ხართ, ებრაელები და კომუნისტები უკუბოოდ უნდა დაიმარხონო, — ასე გვითხრეს, როდესაც კუბო სამარესთან დავასვენეთ. რას ვიზამდით, ხომ ვერ შევედავებოდით?!

— შეინახეთ ეგ კუბო, კიდევ დაგჭირდებათ, — ეს იყო მათი რჩევაცა და ბრძანებაც.

უკან დაბრუნებული კუბო ყუთს უფრო ჰგავდა; ჩვენი საცხოვრებელი ბინის საერთო დერეფანში დავდგით. გერმანელებს ეშინოდათ მისი ახლოს გაკარებისა, და თავს რა აახდევინებდათ. ჩვენც ვისარგებლეთ ამით და შიგ მოპარულ კარტოფილს ვინახავდით.

მახათაძის ნაკუბოვარს აღარ ღირსებია არც ერთი ჩვენთაგანის მომსახურება. იმ საწყალის სამარე სამუდამოდ ობლად დარჩა.

შეიძლება ითქვას, რომ ის ზამთარი კარგად გადავიტანეთ. ბევრი უცხოელი მოქალაქე მუშაობდა ლაზარეთში, გვეხმარებოდნენ და გვამხნევებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულდა. ამწვანდა. გაიფურჩქნა და გალამაზდა ისედაც მშვენიერი კიევი. ეს სილამაზე გულის დამაღონებელი იყო, რადგან ეს ლამაზი ქალაქი ჩვენსავით ტყვე იყო.

მზიანი კვირა დღე იყო, ვისვენებდით, გამოვეთიშე ჩემს ამხანაგებს და მახათაძის სამარის სანახავად გავეშურე. მინდოდა პატივი მეცა იმ უბედური ახალგაზრდა კაცის ხსოვნისათვის. ნელ-ნელა მივდიოდი, ათას რამეზე ვფიქრობდი.

გზაზე ყვავილები დავკრიფე მახათაძის უპირისუფლო სამარეზე დასაყრელად. მის სამარეზე ნიშანი არ დაგვატოვებინეს, მაინც ადვილად მივაგენი 7 თვის წინათ დამარხულ ბიჭს.

მახათაძის სახელი არ ვიცოდი. ისე ცოტა ხანს იყო ჩვენთან, რომ მხოლოდ გვარით ვიხსენიებდით, როგორც ჯარშია მიღებული: ამხანაგს უსათუოდ გვარით უნდა უხმო. 21 კაცში ყველაზე უმცროსი იყო და ბიჭიკოს ვეძახდით, თუმცა სხვა სახელი ერქვა;

პატარა მუხა გამოკვირტულიყო და ფუტკრის ფრთისოდენა ნორჩ ფოთლებს ყური დაეცქვიტათ. სამარე ჯერ არ ჩავარდნილიყო, ამობურცული მიწა ამხელდა. ზედ პატარა ღაბუა ჩიტი იჯდა და რაღაცას კენკავდა, დამინახა და გაფრინდა.

ის-ის იყო, მუხლი უნდა მომეყარა, ყვავილები უნდა დამელაგებინა მის გულზე, რომ თავზე ორი გერმანელი წამომადგა. ერთი ახალგაზრდა იყო, მეორე — შუა ხნისა. ღერმკრთალი სახე ჰქონდათ, ავადმყოფების ტანსაცმელი

ეცვათ, კარგი ამინდი იყო და დასეირნობდნენ.

არ მესიამოვნა მათი დანახვა. ჯერ ერთი, მათგან ბევრი რამ იყო მოსალოდნელი, მეორეც ის, რომ მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი ჩემს მწუხარებასთან. ისინი უდარდელად იცინოდნენ. შევკრთი, ყვავილები ხელიდან გამიცვივდა, მაინც არ გავიტეხე იხტიბარი, გული გავიმაგრე, დავიხარე და ყვავილები სამარეზე მიმოვაბნიე, მაინც მძაფრად მიცემდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მინდოდა, ისე ველარ დავიტირე ამხანაგი. რაღაც მინდოდა მეთქვა, ჩამეძახნა მდუმარე სამარისთვის, ველარ მოვახერხე და აფორიაქებული გავშორდი იქაურობას.

მხოლოდ მე ვიყავი იმ დავიწყებული ობოლი სამარის პირველი და უკანასკნელი ჭირისუფალი.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნოდარ ჩხეიძე

## „ახალგაზრდობა“

ამ სათაურით გამოსცა „ნაკადულმა“ ახალგაზრდა პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებთა სქელტანიანი კრებული.

გამომცემლობა აქტიურად ეხმარება ჩვენს ლიტერატურულ პრესას, ეწევა მის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსებისა და მოთხრობების შემდგომ პოპულარიზაციას, ცდილობს მიაწოდოს მკითხველს უკვე მოწონებული მასალები ან შეაჩეროს მისი ყურადღება ჯერ კიდევ უცნობ, მაგრამ საინტერესო და ნიჭიერი ავტორების შემოქმედებაზე. ის განსაკუთრებით ზრუნავს სწორედ ახალგაზრდა ავტორებზე, ბეჭდავს მათი ნაწარმოებების კრებულებსა და პირველ წიგნებს. ასეთი მზრუნველობა გულისხმობს როგორც ეკონომიურ, ისე მორალურ მხარდაჭერას. „ნაკადული“ არ ერიდება ცდებსა და ექსპერიმენტებს, რადგან მისი მიზანი სავსებით ნათელი და კეთილშობილურია — ხელი შეუწყოს ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობის დავაჟკაცებას, მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას, თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციების ავკარგიანობის დადგენასა და შეფასებას.

ეს არის ერთი მხარე გამომცემლობის მოღვაწეობისა. ცხადია, ის ბევრ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეებს აკეთებს, რაც პერიოდულად აღინიშნება და ფასდება ჩვენს პრესაში.

ამბობენ, ყოველი წიგნისა თუ კრებულის შეფასებას, რომელსაც ყდაზე „ნაკადულის“ იარლიყი აქვს, გამომცემლობის მუშაკები საკუთარი მუშაობის შეფასებადაც თვლიან. მე მგონი მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით, ამ „გულთან ახლოს მიტანით“ კეთდება ყოველი კარგი საქმე. მაგრამ, ამავე დროს, ასეთი შეფასებები, ზეპირი თუ წერილობითი, ოღონდ კეთილმოსურნე და ობიექტური, ნამდვილად დაეხმარება გამომცემლობასა და მის მუშაკებს საზოგადოების სურვილებისა და ინტერესების, მისი „მართალი აზრის“ უკეთ გაცნობასა და გათვალისწინებაში.

„ახალგაზრდობის“ სახით „ნაკადულმა“ უკვე მეორე კრებული გამოსცა. პირველისაგან განსხვავებით, ამ კრებულში პოეზიის განყოფილებაცაა წარმოდგენილი.

რამდენიმე შენიშვნა კრებულის შედგენის ხასიათზე. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ იგი ცუდად არის შედგენილი; შემდგენელს არ უხელმძღვანელია ერთიანი და გარკვეული ლიტერატურული პრინციპით.

კრებულში წარმოდგენილი პროზა გაცილებით ძლიერია და საინტერესო, ვიდრე პოეზია (შეიძლებოდა პოეზიის განყოფილება გაძლიერებულიყო ნიჭიერი ავტორებით და თვით იმ პოეტების შემოქმედებაშიც, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილნი, უთუოდ მოიძებნებოდა უფრო სრულქმნილი და კარგი ნაწარმოებები). პროპორციულობის დაცვა ამ მხრივ, შესაძლებელიც იყო და საჭიროც. აქ წარმოდგენილნი არიან მხოლოდ დამწყები პოეტები, ან ისეთები, რომლებიც, მართალია კარგა ხანია იბეჭდებიან, მაგრამ, სამწუხაროდ, აღიარება და კარგი შეფასება არ მიუღიათ. პროზის განყოფილება, ავტორთა სიმრავლისა და მათი საკმაო პოპულარობის გამოც, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს შემდგენელს უნდოდა ეჩვენებინა ის სიახლე, რომელიც ახალგაზრდა ბელეტრისტებმა შეიტანეს დღევანდელ ქართულ პროზაში. მაგრამ ასეთ მიზანს ვერც პროზის განყოფილება აღწევს, რადგან აქ წარმოდგენილი არ არის ნაწარმოებები რამდენიმე ახალგაზრდა პროზაიკოსისა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს კარგი რეპუტაცია. თუ პროზის განყოფილებაში შევიტანეთ არჩილ სულაკაურის, ოტია იოსელიანის, თამაზ ნატროშვილის, ნოდარ წულეისკირის უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოებები, წინ არაფერი ედგა სხვა, მათი ტოლი პროზაიკოსების ნაწარმოებთა დაბეჭდვასაც. მეორეს მხრივ, ბუნებრივი იქნებოდა პოეზიის განყოფილებაშიც გვეხილა ასევე ნიჭიერი და უკვე აღიარებული პოეტების ლექსებიც. თანაც, თუ იოსელიანისა და სულაკაურის ნაწარმოებთა შეტანას პროზის განყოფილებაში იმით ავხსნით, რომ კრებულს წონა და ფასი მისცემოდა, ასეთი რამ უფრო მეტად სჭირდებოდა პოეზიის განყოფილებას. კრებულს რომ ეს ნაკლი არა ჰქონოდა შედგენის თვალსაზრისით, ის იქნებოდა მეტნაკლებად მთლიანი სურათი იმისა, რასაც დღეს ახალგაზრდა ქართველი მწერლების შემოქმედებაში ვხედავთ. გასაგებია, რომ ასეთი ამოცანა და მიზანი შემდგენელს არ დაუსახავს. ამ კრებულს, როგორც გავს, მხოლოდ ალმანახის, ერთდროული პერიოდული ალმანახის მაგიერობა [illegible] გაეწია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საჭირო იყო აგვერჩია ორიდან ერთი პრინციპი: შეგვეტანა კრებულში მხოლოდ დაბეჭდილი, ან, რაც უფრო სწორი იქნებოდა, მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები. ეს გაცილებით დიდ ინტერესს აღძრავდა კრებულის მიმართ და თვითონ კრებულიც უთუოდ მოიგებდა. მაგრამ, ვიმეორებ, ამ კრებულის გამოსვლას გულწრფელად მიესალმა მკითხველი ლიტერატურული საზოგადოება; მისი სამართლიანი გარჩევა-შეფასებაც ნამდვილი წახალისება უნდა იყოს გამომცემლობისა, რომელმაც ეს კარგი საქმე წამოიწყო და იმედია, მომავალში კიდევ უკეთეს კრებულებს გამოსცემს.

•

კრებულში წარმოდგენილია შვიდი პოეტი და თვრამეტი პროზაიკოსი. ასეთი რიცხვობრივი შეფარდება, ეტყობა გამოხატავს ახალგაზრდა მწერლების დიდ მიდრეკილებას პროზისადმი და დღევანდელ ქართულ ლიტერატურაში შექმნილ ფაქტიურ მდგომარეობას. რამდენიმე პოეტმა საბოლოოდ მიატოვა პოეზია (თუმცა ჯერჯერობით ყველამ ვერ გაამართლა ასეთი ნაბიჯი).

დიდი გატაცება პროზით არ ლაპარაკობს ჩვენი პოეზიის სისუსტეზე. ის ხაზს უსვამს პოეზიაში ახლისა და მნიშვნელოვანის შექმნის სიძნელეს.

აგერ ხუთი წელი იქნება, რაც ქართულ პოეზიას არ შემატებია არცერთი ნამდვილად ორიგინალური, საინტერესო და ძლიერი პოეტური ხმა, არ შემატებია არცერთი დამწყები პოეტი, რომელთა პირველ ლექსებში პერსპექტივას დავინახავდით. ამას უთუოდ აქვს თავისი მიზეზი.

შვიდი პოეტიდან არც ერთი არაა წარმოდგენილი საუკეთესო ლექსებით. ყოველ შემთხვევაში, მე გულწრფელად მინდა მჯეროდეს, რომ მათ აქვთ უკეთესი, ოდნავ მაინც უკეთესი ლექსები. თუ ყველა მათგანს მაინც პოეტს ვეძა-

ხით, ეს მხოლოდ ჩვევის, უცნაური, მაგრამ დაკანონებული ჩვევის ბრალია.

მათ შორის არის ანზორ აბულაშვილი, თავისთავად პოეტური და საინტერესო კაცი. იმის მიხედვით, თუ როგორ დაიწყო მან, ახლა გაცილებით უკეთ უნდა წერდეს. მაგრამ კრებულში შეიძლება დაბეჭდილია მისი ისეთი ლექსები, რომლებიც სხვაგან არსად დაუბეჭდია, ან არ დაბეჭდეს, და დაწერილია კარგა ხნის წინათ.

რამდენიმე სტრიქონი მისი, და საერთოდ კრებულის, პირველი ლექსიდან:

„გეცნაურება ეს ადიდება ამ სინათლის და ამ აპრილობის“... „როცა მზევდება მაისი სადღაც“. მე ხაზი გავუსვი ამ ორ სიტყვას „აპრილობას“, „მზევდებას“. არ მოგწყინდათ ეს პროვინციალიზმები, ეს უგემოვნობა, ეს უცნაური სიტყვები? განზოგადების, ფართო შედარების, ყოვლისმომცველი სიტყვიერი ხატის მაგიერ თქვენ გამოგდით გულისამრევი პრეტენზიულობისა და განუვითარებელი აზროვნების ნარევი.

კიდევ სამი სტრიქონი ორი ლექსიდან:

„ერთი ბილიკი დამრჩა კახეთში, მე რომ მივლია და მეტს არავის“. „ნედლი ლერწამი მეც მელის სადღაც...“ კახეთი, ცხადია პოეზიაა, ხოლო ერთი ბილიკი პოეტისათვის დარჩენილი საკუთარი გზაა პოეზიაში. ნედლი ლერწამიც, რომელიც აგრეთვე პოეტს ელის, რათა თავისი სიმღერა თქვას, ისევ მის საკუთარ გზასა და პოეზიაში მისი სახელის გამართლებაზე ლაპარაკობს. შეუძლებელია უფრო პრიმიტიულად გამოითქვას პოეტის ფიქრი, მისი დამოკიდებულება საკუთარ თავთან, თავის პოეტურ სამყაროსთან, ორიგინალურობასა და სიახლესთან.

შედარებით კარგია და საინტერესო აბულაშვილის უსათაურო ლექსი „ბოლოს ხომ უნდა მენახე სადმე...“ ის გამოხატავს ცნობილ სენტენციას, რომ საყვარელი ქალის სახეს ჩვენვე ვქმნით, რომ ქალში ჩვენ ჩვენსავე შემოქმედებასა და ფანტაზიას ვხედავთ და სწორედ ამ უკანასკნელის წინაშე ვიდრეკთ მუხლს. ეს ბევრ შემთხვევაში მართლაც ასეა, და სიმართლე უნდა ითქვას, ქალებსაც შეუძლიათ ასეთივე ანალიზი გაუკეთონ თავიანთ სიყვარულს ვაჟებისადმი. ეს ძველებური „რომანსი“ შესრულებულია ახალ „ინსტრუმენტზე“, ახალი ხერხითა და საშუალებებით.

> მაგრამ მე მაინც ვავსებდი შენით
> ქალაქს, გაშზირებს, სახლსა თუ სართულს.
> ვგრძნობდი მე ყოველ მშვენიერ ფერით —
> სულში შენს თბილ და უცნაურ ფათურს.

თუ ჩავთვლით, რომ ავტორს ერთგვარი კომენსალური დამოკიდებულება არა აქვს ზოგიერთ ახალგაზრდა ქართველ პოეტთან, თუ არ გამოვუდგებით მესამე სტრიქონის ნაძალადეობასა და უკანასკნელ სტრიქონთან მის ლოგიკურ კავშირს კითხვის ქვეშ არ დავაყენებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ანზორ აბულაშვილი ცდილობს მისი ხედვა, განცდა და პოეტური აზროვნება იყოს თანამედროვე, პლასტიკური, ფსიქოლოგიურად ღრმა და ემოციათა ასოციაციურ კავშირზე დაფუძნებული. ამ ლექსში გამოთქმული სენტენციის აზრი შეიძლება გავავრცელოთ ყველა მის ლექსზე. ის ცდილობს თვითონ შესძინოს პოეტური ხასიათი და სილამაზე სხვადასხვა საგნებსა და მოვლენებს. მისთვის მთავარია არა საგანთა ობიექტური არსი, რაც ხშირად შეიძლება პოეტურიცა და ამაღლებულიც იყოს, მისი ბუნების შეცნობა და მისი ხატვა, არამედ ამ საგნებში სუბიექტური საწყისების შეტანა, პირადი განცდისა და შთაბეჭდილებისადმი მათი დამორჩილება. მას დიდი მუშაობა მოელის ლექსების ენობრივ მასალაზე, თვითეული სახის აზრობრივ გამართლებაზე, ნაწარმოების კონსტრუქციულ, სტილისტურ და ემოციონალურ მთლიანობაზე. ის უნდა დაფიქრდეს სათქმელის ცხადად წარმოდგენაზეც და ამ სათქმელის აუცილებელ არსებობასა და გარკვეულობაზეც.

დამწყები პოეტის გიორგი ბაქანიძის ლექსებშიც რამდენჯერმე მეორდება

---

ნოდარ ჩხეიძე
„ახალგაზრდობა“

პოეტის თემა. ისიც ფიქრობს და მსჯელობს თავის პოეტურ მომავალზე და შესაძლებლობებზე, საერთოდ ლექსზე. მაგრამ ეს მსჯელობები ვერ სცილდება არაფრისმაქნის მობოდიშებასა და მოკრძალებას: „მხოლოდ... მე ვერ ვთქვა, შეიძლება, სიმღერა მეტი და დამრჩეს მხოლოდ ერთადერთი სუსტი, ეული, მგოსნის მკერდიდან ყვავილებად გადმონახვეტი ცხელი ლექსების ერთი რვეული". თავისი ხასიათითა და ბუნებით ყოველივე ეს ძალზე წააგავს „გულის სიღრმიდან ამონახეთქისა" და „ცხოვრების ყვავილების" აუტანელ „მხატვრულობას". საინტერესოა, რატომ არ ახსენებს ეს ხალხი ამავე თემაზე დაწერილ მრავალ ლექსს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ბრწყინვალე „პოეტს", ან ბაირონს, ლერმონტოვს, ბარათაშვილს... რატომ აპატარავებენ, ავიწროვებენ, სისხლისა და აზრისაგან რატომ სცლიან პოეზიის მნიშვნელობას; რატომ ჰგონიათ, რომ ვინმეს აინტერესებს ბაქანიძის „რიხიანი" მსჯელობა იმაზე, თუ

რა მსუბუქია უბრალო ჯავშა
და რა მძიმეა ხანჯალი ლექსის!

ან რას ნიშნავს ეს „ძვირფასო! ვზივარ ღამის პირას". ეტყობა, ყველაფრის პირას შეიძლება ჯდომა, ღამის პირასაც და დღის პირასაც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ისაა სავარაუდო, რომ ავტორი არასწორი გზის პირას ზის. ბაქანიძე ცდილობს სულიერი მდგომარეობის ფიზიკური მოძრაობით გამოხატვას, მაგრამ აქედან მხოლოდ ასეთი, უკაცრავად პასუხია, პოეტური სახე გამოდის: „სულში სიმშვიდე ამიყირავდა".

მე მესმის, რომ კრებულში შეტანილი ლექსების ავტორები მუშაობენ, თვითეულ სტრიქონზე ფიქრობენ, ასწორებენ, აკეთებენ, მაგრამ უმეტესად არ აზროვნებენ, ან ცუდად აზროვნებენ. განა არაა საჭირო ლექსში რაიმე აზრის, ცხოვრებისეულისა თუ პოეტურის გამოთქმა, ან რაიმეს დახატვა, ან რაიმე მნიშვნელოვანი განცდის გადმოცემა? საჭიროა, დავუფიქრდეთ იმასაც, თუ როგორი შედარებებით, როგორი სახეებით, როგორი ფრაზებით ვაზროვნებთ და ვწერთ ლექსს. ყელში ამოვიდა ეს ლექსის ხანჯალი, ელდანაცემი ხანჯალი და „წითელი ვარდი, პატარა ვარდი, დამჭკნარი ვარდი" და ამის მსგავსი პრიმიტივები თავისი ახალი თუ ძველი ვარიაციებით.

აგერ ათი წელიწადია, რაც გრიგოლ გვაძაბია ლექსებსა წერს. აი მისი ლექსი „ილიას სურათთან". ამ ლექსში არ არის არც ილიას სურათზე ლაპარაკი, არც ჩვეულებრივი ფიქრი, რასაც დიდი წინაპრის სახე აღძრავს ხოლმე კაცის გონებაში. არის მხოლოდ შეუსაბამობანი და საკმაოდ პროვინციული აზროვნება. „დაბადებული მზედ და ქუხილად დღესაც ხმატკბილად გვეჩურჩულება". არც ჩემს, და მე მგონია არც ერთი ქართველი კაცის წარმოდგენაში ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას არ შეესაბამება ეს „ხმატკბილი ჩურჩული". და საერთოდ მას, ვინც მზედ და ქუხილად დაბადებულა, ხმატკბილი ჩურჩულით ვერ დაახასიათებ. ეს მარტო უნებლიე შეცდომა როდია. პოეტური ხელოვნება უაღრესად სინთეზურია და ის კარგ თვალთან და სმენასთან ერთად მოითხოვს ლოგიკურობის გრძნობასაც. რაც შეეხება სტრიქონებს „რომელ საფლავში დაეტეოდა, ხალხის გულში რომ არ დაეკრძალათ?!" თავისი კითხვისა და ძახილის ნიშნით, ისინი არ ღირდა შეწუხებადაც კი, რადგან ასეთი შედარებები და პათეტიკა დიდი ხანია შაბლონად იქცა.

შეიძლება თუ არა პოეზიაზე ლაპარაკი საერთოდ, როცა კითხულობ „ეს მე მგუჯუნებ პირმომცინარი", ან „ეს ოქტომბერის დგას საუკუნე-გარდუვალობა", „ეს ჩემი დარის არის სუფევა", „ლურჯო? ცისფერო? რისფერო? რიწა". რატომ წერს, ან, ვთქვათ პირდაპირ, როგორ ახერხებს ასე წერას ფირუზ ჯანაშვილი. სერიოზულად გვაინტერესებს, თვითონ თუ მაინც ესმის ჯანაშვილს აზრი ასეთი სტრიქონებისა: „როცა სიცილით დაქანცული ბალახზე მიწვა ყვავილთა ტევრი ნაირფერი ხანძრების ნთებით". ამავე ლექსში, „გრძელდება წუთი", რომელიც 9 მაისის გამარჯვების დღისადმია მიძღვნილი, არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სტრიქონებიც: „როცა ჩვილები, დედის ძუძუს დახარბებულნი, საოცრად ტკბილი რძის ნექტარით თვრებოდნენ უცხოდ“. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს ჩვილებიც ომში იყვნენ, ამიტომ დახარბდნენ დედის ძუძუს და რაკი პირველად სვამდნენ ამ უცნაურ ნექტარს, ძალიან „უცხოდაც“ დათვრნენ. ქალალდი მართლაც ყველაფერს იტანს, ეტყობა. ასევე უგემური, ცუდი ქართულითაა დაწერილი მშვიდობის თემისადმი მიძღვნილი შემდეგი სტრიქონები: „გრძელდება წუთი და აფრთხილებს მოდგმას ავსულთა, ეიმედება ვის ატომი იმედით ცრუთი“.

მაგრამ თუ ამ კრებულის ავტორთაგან ვინმეზე ითქმის „ბანკი მოხსნაო“, ეს პირველ რიგში ისევ სერგო ფაცაციაზე ითქმის.

ამ კრებულში დაბეჭდილი მისი ხუთი ლექსიდან ორი უკვე ზეპირად იცის ხალხმა, როგორც იმის ნიმუში, თუ რამდენად პრიმიტიულად შეიძლება აზროვნებდეს ჩვენი საუკუნის ადამიანი.

თავს ნებას მივცემ და ამ აზრის დასადასტურებლად ციტატებს არ მოვიყვან. ყველას, ვისაც აინტერესებს, შეუძლია გადაშალოს ეს კრებული 23 გვერდზე და ჩაიკითხოს 26 გვერდამდე, — ჩათვლით. მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა, რომ არსებობს მეტად სანუკვარი, ხალხისთვის წმინდა სახელები და თემები, რომლისთვის ხელის მოკიდება და რომელზეც მსჯელობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს და ყველას ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება.

შეიძლება ვინმემ თქვას, ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო, მაგრამ დიდი სიბრძნე არც ამ თქმაშია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა დაინტერესებულმა მკითხველმა იცოდეს კრიტიკის აზრი ამა თუ იმ ლექსსა და მოთხრობაზე. ცუდს პირველ რიგში უნდა გაესვას ხაზი, რადგან ეს ცუდი იწვევს და ავრცელებს „მწერლობისა და პოეზიის“ სენს. ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ კარგი გემოვნებისათვის, მაღალი ლიტერატურული დონისათვის. არ შემიძლია, ამასთანავე, ხაზი არ გავუსვა ერთ გარემოებას. იმ პოეტების ახლობლები და მეგობრები, ვისზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, ალბათ ნუგეშს სცემენ „გაკრიტიკებულ“ ამხანაგებს, დაარწმუნებენ მათ კრიტიკის ცალმხრივობაში და მოაგონებენ, რომ „ქარავანი ვალდებული არაა ყური უგდოს ძაღლების ყეფას“. მე მგონია, ზოგიერთი ნაწარმოების მდარე ხარისხი ხშირად ეყრდნობა მათს გემოვნებას, ვინც ჩვენს ირგვლივ ტრიალებს. ეყრდნობა ძალიან ხშირად მათს ორპირობასაც, სიმხდალესაც და მათ შიშსაც, როგორმე არ „გვაწყენინონ“ და არ „დაგვკარგონ“. ალბათ ყველანი ვართ ასეთი „მეგობრობის“, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, ერთმანეთთან არაკეთილსინდისიერი, არავაჟკაცური დამოკიდებულების მოწმენი. ეს სისუსტეა, გასაგები სისუსტე, რასაც მისთვის, ვისაც ჩვენ ნამდვილად პატივს ვცემთ და ნამდვილად გვიყვარს, ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

*

დღევანდელი ქართული პროზა ეყრდნობა და აგრძელებს ჩვენი ბელეტრისტიკის საუკეთესო ტრადიციებს. ის თამამად ჰკიდებს ხელს დროისაგან ნაკარნახევ ახალ თემატიკას და ცდილობს დაამუშაოს პრობლემები, რომლებიც დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე. ის კვალდაკვალ მიჰყვება სიახლეებსა და ცვლილებებს ჩვენს ეკონომიურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში.

როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება, დღევანდელი ქართული პროზაც იბრძვის ბოროტისა და კეთილის, ჭეშმარიტისა და მცდარის, ძველისა და ახლის სწორხაზობრივი, პრიმიტიული დაპირისპირების, შიშველი ტენდენციურობისა და ცრუ პათეტიკის წინააღმდეგ. მისთვის შემეცნებისა და მხატვრობის ცენტრში დგას რთული, საინტერესო, სხვადასხვა ბიოგრაფიის, ბედისა და ხასიათის ინდივიდი, ადამიანი, რომლის

---

ნოდარ ჩხეიძე
„ახალგაზრდობა“

ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში წარუშლელი ძვრები მოახდინა ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ, პირველმა ხუთწლედებმა და სოციალიზმის გაშლილმა მშენებლობამ, დიდმა სამამულო ომმა, ადამიანი, რომელიც დღეს დაძაბული, საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს და მომავალს აშენებს.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენს მწერლობაში გამოჩნდა ახალი სახელები, მოვიდნენ ავტორები, რომელთა ნიჭიერებასა და ძალას დღითიდღე ადასტურებს დრო.

ისინი წერენ და აზროვნებენ ისე, როგორც დღეს უნდა წერდეს და აზროვნებდეს მწერალი, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს და ითვალისწინებს მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებს.

ცხადია, ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაში ჯერჯერობით ბევრი რამ საღდება ნამდვილ ლიტერატურად ყალბი ორიგინალობისა და მწიგნობრულობის საფარველით, მაგრამ კარგი, ახალი და მნიშვნელოვანი გაცილებით მეტია და ეს კანონზომიერიცაა და სასიხარულოც. ყველაზე სასიამოვნო მაინც ის არის, რომ უმეტესი მათგანი ნიჭიერი, შრომისმოყვარე ხალხია. ისინი დიდ მნიშვნელობას აძლევენ უკვე მოპოვებულ წარმატებებს და ცდილობენ გაამართლონ მკითხველში გაღვიძებული იმედები. ამავე დროს უმეტესი მათგანი არ ერიდება ცდასა და ექსპერიმენტს, ისინი თამამად ეძებენ ახალ გამომსახველობით ხერხებს, ახალ ფორმებს შესაძლებლობისა და დასაშვებ ფარგლებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში შეიმჩნევა ნაადრევი თვითდამშვიდება, პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნება, შინაგანი კონტროლის შესუსტება.

ამ კრებულში, ისევე, როგორც სხვა კრებულებში და უკვე რამდენიმე წიგნის ყდაზეც, კვლავ გვხვდება ოტია იოსელიანის სახელი. მან დიდიხანია მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და თავისებურმა მწერალმა. საერთო ლირიკული განწყობით, სიმსუბუქით, ფაქიზი სულიერი მდგომარეობის გადმოცემით ეს მოთხრობები ისეთსავე შთაბეჭდილებას ტოვებენ და ისევე რჩებიან მეხსიერებაში, როგორც კარგად მოფიქრებული და დაწერილი ლექსები. თუმცა „თეთრი ქალიშვილი“, „ჩქარი მატარებლიდან“, „ოჯახი“ და კიდევ რამდენიმე სხვა მოთხრობა დაწერილია პოეტურად და ლამაზად, მაინც ძნელია იმის თქმა, რომ ეს დიდი მწერლობაა. მისი საუკეთესო ნაწარმოებები „ქვრივის ცრემლები“, „ვარსკვლავთცვენა“ და კიდევ რამდენიმე მოთხრობა ქმნიან წარმოდგენას დიდ პერსპექტივასა და ნამდვილ მწერლობაზე. რაც შეეხება, მაგალითად, მოთხრობა „ლევანას“, მე მგონი, ავტორს არ ეყო ძალა იმ ტრაგედიის გადმოსაცემად და დასახატავად, რომელშიც გმირი ჩააყენა. მან ვერ შექმნა მთლიანი ილუზია, ვერ დაარწმუნა მკითხველი და ერთგვარი ბუტაფორული ელფერი მისცა თავისი გმირის ტანჯვაწამებას.

„ახალგაზრდობაში“ შეტანილია იოსელიანის მოთხრობა „ცეცხლთან თამაში“. ამ მოთხრობის მიხედვით ძნელია მსჯელობა მწერლის შესაძლებლობებზე. „ცეცხლთან თამაში“ ცუდი ვარიანტია მისივე მოთხრობისა „ჩქარი მატარებლიდან“. კოლიზია და სიტუაცია დაახლოებით იგივეა, მდგომარეობაც იგივე. შედეგი კი ყალბი და უაზრო. თანაც მთელი მოთხრობა, დაწერის თვალსაზრისით, ძალზე გაპიანურებულია და, როგორც მოსალოდნელი იყო, სენტიმენტალურიც.

ვაჟი წერილს წერს ქალიშვილს, რომელიც თვალით არ უნახავს. წერილები თანდათან ივსება ვნებით, წარმოდგენილი სიყვარულით, ნატურალისტური დეტალებით. ბოლოს ვაჟმა ველარ მოითმინა, მატარებელში ჩაჯდა, ქალიშვილს დეპეშით აცნობა, მოვდივარ, დამხვდიო, და წავიდა. სადგურზე ქალიშვილი მართლაც დახვდა, მაგრამ ვაჟმა „ვერ იცნო!“ რას იცნობდა, როცა თვალითაც არ უნახავს და რომ ეცნო, მოთხრობაც ხომ

იქვე უნდა დამთავრებულიყო. თუმცა ქალიშვილმა კი იცნო ვაჟი, მივიდა კიდეც მასთან და ჰკითხა: „—თქვენ, ჯიბო ხართ?“ მკითხველმაც იცნო ქალიშვილი, მაგრამ ჯიბომ ვერ იცნო, რადგან ყველა პერსონაჟი რომ ისეთივე მჭკვიანი იყოს, როგორც მკითხველია, ბევრი მოთხრობა ალბათ საერთოდ არ დაიწერებოდა. მერე ჯიბომ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, წარმოიდგინა, რომ ქალიშვილი თეკლა კი არაა, არამედ მისი და, ან მეგობარი, ან კიდევ ვიღაც სხვა და მიეცა ასეთ ფიქრებსა და „თვითანალიზს“:

„მატარებლის დაბრუნებამდე თავი არ ამიღია. რაღაცას ვფიქრობდი, რაღაცაზე ვიმჭყლეტდი ქუდს, მაგრამ არ მესმოდა რაზე. მე მაშინ არ შემეძლო მივხვედრილიყავი რაიმეს. არ მჯეროდა, რომ დეპეშა არ მიიღო. მაგრამ ხომ შეიძლება, მართლაც წასულიყო სადმე და არ მიეღო. არ მჯეროდა, რომ ავად იყო, მაგრამ რა არის აქ დაუჯერებელი... ვინ არის ის გოგონა და იყო თუ არა მართალი, რაც მან მითხრა, და თუ იცრუა, რატომ? თუ ჩემი ჩამოსვლა არ იცოდა თეკლამ, მაშ, ამ გოგონამ სიზმარი ნახა? იქნებ...“

„გოგონა უთუოდ თეკლას და იყო. მაგრამ თეკლას არასოდეს არ უხსენებია, რომ და ჰყავდა.

ჰო, არ უხსენებია, მაგრამ თეკლას არც ძმები უხსენებია.

კი, და იყო. თეკლა ნამდვილად ავად იყო და მიწყრებოდა, მიჯავრდებოდა, რომ მე ეს თამაში გამოვიგონე. მაგრამ იქვე მამართლებდა, რადგან თეკლას ავადმყოფობა ჩემი ბრალი არ იყო. სადღაც თითქოს მემადლიერებოდა მისი თვალები, ალბათ იმიტომ, რომ ასე სათუთად მიყვარდა მისი და, რომელიც ახლა ავად იყო...“ და ასე შემდეგ, „იყოდან“ „იყომდე“.

რა თქმა უნდა, ეს არაა ცნობილი „ფსიქოლოგიზმი“, ქვეტექსტების მხატვრობა, ან ეგრეთწოდებული ცნობიერების უწყვეტი ნაკადი. ეს უფრო ყალბი, არასწორი წარმოდგენებია ამ ტერმინებსა და იმაზე, რასაც ისინი გამოხატავენ, და არა მათი ცოდნა. აღარაფერს ვიტყვი არც ამ ცოდნაზე, რადგან მწერლისთვის ასეთ ცოდნას ბუნებრივობა უნდა ცვლიდეს. ფსიქოლოგიზმიც, ქვეტექსტიც, შინაგანი მონოლოგიც აუცილებლობით უნდა იყოს გამართლებული, სათქმელისა და თქმის ერთადერთი შესაძლებელი და ადექვატური ფორმა უნდა იყოს. ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, მოთხრობა, ამ ციტატების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ენობრივადაც ცუდადაა დაწერილი. მაგრამ ოტია იოსელიანი აღიარებულია დახვეწილი სტილის მქონე მწერლად. მე მგონი, ჩვენ ერთმანეთში ვურევთ ხოლმე თხრობის უნარსა და ენის ცოდნას. ყოველ შემთხვევაში, იოსელიანის ამ მოთხრობის მრავალი გვერდი ხელახლაა დასაწერი ენობრივი თვალსაზრისით. გარდა ამისა, გაუთავებლად და ყველაფერზე ვრცლად წერისაკენ მიდრეკილებას არ შეიძლება თან არ მოჰყვეს ენის, როგორც მხატვრული ფენომენის შეუფასებლობა, მრავალსიტყვაობა, ერთისა და იმავეს განმეორება, მნიშვნელოვანისა და უმნიშვნელოს ერთმანეთში არევა.

ოტია იოსელიანი უკვე სარგებლობს პოპულარობით, მკითხველის სიყვარულითა და ნდობით. ყოველივე ამას შენარჩუნება, ესე იგი, მოვლა უნდა, იმის იმედი, რომ სხვაზე უკეთ წერს და ყოველ ნაწარმოებში, თუნდაც ეს ნაწარმოები საერთოდ სუსტი იყოს, მაინც ჩანს ნიჭი, ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ მოუტანს ვერცერთ მწერალს. ბევრსა და წყალწყალას ცოტა და კარგი სჯობს, რაც ოტია იოსელიანმა კარგად იცის.

კრებულში შეტანილია არჩილ სულაკაურის ორი მოთხრობა „ზევით და ქვევით“ და „ბიჭი და ძაღლი“.

არჩილ სულაკაური პოეზიიდან მოვიდა პროზაში. მან შეინარჩუნა თავისი ძირითადი თვისება აზრისადმი განცდის დამორჩილებისა. მის ლექსებშიც უშუალო ემოციასა და პოეტურ გზნებას ინ-

ტელექტუალური, გონებრივი მიზანდასახულობა ედო საფუძვლად. ახლაც, როცა მან პროზას მოჰკიდა ხელი, მისი მხატვრობა, თხრობა, მანერა, ფსიქოლოგიური პასაჟები, თემის არჩევისა და გადაწყვეტის ხასიათი კვლავ დინჯი და ღრმა ინტელექტის კონტროლითაა შესრულებული. მან იცის, ან უფრო სწორად, ის გრძნობს მთავარსა და მეორეხარისხოვანს. ის არასოდეს არ წერს თავისთავად შეიძლება პოეტურ, მაგრამ ნაკლები, მხოლოდ კონკრეტული მნიშვნელობის მქონე მოვლენებზე. მას აქვს ერთი-ორი მოთხრობა, სადაც პრიმატი თითქოს სუბიექტურს, იშვიათს ენიჭება, მაგრამ ამ მოთხრობათა პერსონაჟების ხასიათსა და ბუნებაში ხაზგასმულად საერთო ადამიანურ თვისებაზეა ყურადღება გამახვილებული. მართალია, ის დაწვრილებით იშვიათად ჩერდება დეტალზე თუ ამბის განვითარებაზე, ხშირად ეს გამართლებულიცაა, მაგრამ არც თუ იშვიათად ასეთი სიძუნწე დაუსრულებლობის, ხელოვნურად შეკვეცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

კრებულში წარმოდგენილი ორივე მოთხრობა მდიდარია ფსიქოლოგიური და აზრობრივი ქვეტექსტებით. ამავე დროს მწერლის ენა უაღრესად სადაა და ბუნებრივი.

„ბიჭი და ძაღლი" სულაკაურის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა.

კეთილშობილება, სამართლიანობა და მტკიცე, მამაკაცური შეუპოვრობა, რომელსაც პატარა ბიჭი იჩენს, ქმნის სიტუაციას, რომელშიც მთელი ცხოვრება ჩანს.

ამ მოთხრობაში, ისევე როგორც სხვებში, განსაკუთრებით მოსაწონია მთხრობელის პოზიცია, მისი მამაკაცური, პირდაპირი და ამავე დროს სამართლიანი დამოკიდებულება თავისი გმირებისა და მათი ბედისადმი. შეფასება, რომელსაც ის აძლევს თავისი გმირების ქცევასა და მოქმედებას, მსჯავრი, რომელიც მას ცალკეული პერსონაჟების მიმართ გამოაქვს, თანაგრძნობა თუ გულისწყრომა, რასაც ის ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ გამოსთქვამს, — ამჟღავნებენ ავტორს, როგორც საინტერესო პიროვნებას.

პირველი შეხედვით სულაკაურის მოთხრობათა თემატიკა მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგრამ ყველა მოთხრობაში გამომსახველობის ერთი და იგივე პრინციპები და ხერხებია გაბატონებული.

ხანდახან, მხოლოდ ხანდახან, ერთგვარი უსიამოვნების გრძნობას ჰბადებს ის გარემოება, რომ ავტორის მოთხრობებში ყველაფერი თავის რიგზეა, თავის ადგილზეა. თუ მოთხრობაში რამე საოცარი არ არის, არც ცუდია, თუ სადმე რისკია, ისიც ზომიერი, რომ ყველაფერი უხინჯოდ და კულტურულად იყოს გაკეთებული. და თანაც, დღესდღეობით, უკვე დიდი ღირსებაა, როცა სახელდობრ კულტურულად, ცოდნითაა რაიმე გაკეთებული.

კრებულის ერთ-ერთი საინტერესო მოთხრობაა ნოდარ წულეისკირის „ციცერონა". მოთხრობაში ბევრი რამაა დამაფიქრებელი და ამაღელვებელი. ეს ითქმის იმ ცხოვრებაზე, რომელიც აქ არის წარმოსახული და იმ ბედზე, რომელიც ამ მოთხრობის მთავარ გმირს ციცერონას ეწია.

პატიოსან ციცერონას რატომღაც ჰგონია, რომ თუ მილიციელი შენთან დამნაშავეა, შეგიძლია შენ თვითონვე წაიყვანო განყოფილებაში. მილიციის მორიგემ კიდევ უარესი დღე აყარა, უარესი შეურაცხყოფა მიაყენა, წესრიგის დამრღვევი და ხულიგანი უწოდა. თან დაარიგა, ჭკუა ისწავლე, ამ ხნის კაცს არ გეკადრებაო.

„იქნებ მართლა დამნაშავე ვარ. აბა, კარგად მოვიფიქრო!.." და ციცერონა თავიდან იწყებდა ფიქრს, წარმოიდგენდა ყველაფერს, რაც ამ ორ საათში გადახდა, ზუსტად აღადგენდა დიალოგს: შოფერმა რა უთხრა, თვითონ რა თქვა, მილიციელს რა უთხრა. ყველა სიტყვას აკვირდებოდა, აანალიზებდა, სულით და გულით უნდოდა თვითონ ყოფილიყო დამნაშავე, ყოფილიყო თუნდაც ხულიგანი, ოღონდ ყოფილიყო, რადგან ახლა უდანაშაულოდ უფრო შეურაცხყოფი-

ლად გრძნობდა თავს. კიდევ კარგი, რომ ნაცნობი არ შეხვდა, არავის არ უნახავს. ციცერონა შეურაცხყოფას ჩუმად ყლაპავდა, როგორც მწარე ცრემლს. მზე საშინლად იბინებოდა, თბილისი მზეში იწვოდა, ქუჩა ხმაურობდა, ქუჩაში ბული იდგა, ქუჩა ხალხით იყო სავსე".

მაგრამ ციცერონამ მკუა ვერცერთ მაგალითზე ვერ ისწავლა, თავისი არ დაიშალა, სანამ ნერვები მართლაც მთლად არ დააწყდა, სანამ ოჯახშიც არ იფიქრეს, გაგიჟდაო. და როცა შეატყო, საგიჟეში მიყავდათ, თოკი ჩამოაბა. ამ დროს დაინახა, როგორ იღრჩობოდა მტკვარში კაცი, ყველაფერი დაავიწყდა, ყინვასავით მდინარეში შესცურა, წყალწაღებული გადაარჩინა, მაგრამ თვითონ გადარჩა თუ არა, არავინ უწყის.

მოთხრობაში ჩანს როგორც ხელოვნების ძველი, მაგრამ უკვდავი კანონებისადმი პატივისცემა, ისე მეტად აქტიური, დაძაბული მოქალაქეობრივი პოზიცია, მახვილი თვალი და იმ მორალურ საკითხებში გარკვევის ცდა, რასაც ჩვენ ტყუილუბრალოდ ვთვლით ხოლმე წვრილმანებად. არ შემიძლია, ამასთანავე, არ აღვნიშნო ნოდარ წულეისკირის, როგორც მწერლის, სიძუნწე წერის თუ დაწერილის გამოქვეყნებისას. ძნელია მწერალს უსაყვედურო, რომ ის ცოტას წერს. ალბათ ის წერს იმას, რაც ეწერება და იმდენს, რამდენიც ეწერება. მაგრამ ნამდვილი ნიჭი სისტემატურად მოითხოვს დახვეწას, გამომჟღავნებას, გამოცდას და ეს ასევე სისტემატური და დაუღალავი შრომით ხერხდება.

ამავე, ან ასეთივე შენიშვნით, ოღონდ განმეორების გარეშე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იოსებ ყაჭეიშვილსა და მის კარგ მოთხრობაზე, „პალადიონი". მე, ისევე, როგორც ალბათ ბევრი ქართველი მკითხველი, ყურადღებით ვადევნებ თვალს მის პირველ ნაბიჯებს მწერლობაში. მართალია, მას ჯერ კიდევ არ დაუწერია ყოველმხრივ სრულყოფილი ნაწარმოები, მაგრამ უთუოდ კარგ, ნაყოფიერ ნიადაგს ამზადებს მის შესაქმნელად. თავის მოთხრობებში ის ჩანს, როგორც დაფიქრებული, ობიექტური დამკვირვებელი. იგრძნობა, რომ ის, როგორც ადამიანს, სურს თავისი მწერლობის საგნად აქციოს ბევრი რამ, რაზედაც ცხოვრებაში დაფიქრებულა. ამავე დროს ის თავს იკავებს სუბიექტური შეფასებებისაგან. მაგრამ თვით მოვლენაში, ადამიანში მას შეაქვს დეტალები, რომლებიც, ერთის მხრივ, აჩვენებენ მათ ობიექტურობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ იგივე დეტალები ამჟღავნებენ ავტორის დამოკიდებულების ხასიათსაც, მის პოზიციასაც.

„პალადიონით" ავტორი მკითხველს სთავაზობს ხასიათს, ლიტერატურულ ტიპს. მისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველია, როგორც ჩანს, ორიგინალური, ოდნავ უცნაური ხასიათებისა და მათი ცხოვრების ხატვა (მწერლის ორიგინალურობა, მისი ნიჭი ამ შემთხვევაში უფრო უკეთ ჩანს არა მარტო იმით, თუ რას და ვის ხატავს, არამედ იმითაც, თუ როგორ, რა ხერხებით, მანერითა და მხატვრული პრინციპებით ხატავს). ზუსტი შტრიხითა და დეტალით, რომელთა ზემოქმედებისა და გამომსახველობის ძალა წინასწარ შემოწმებულისა და მოფიქრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, მწერალი ქმნის მთლიან, დასრულებულ პორტრეტს, რომელსაც, როგორც გორკი ამბობდა, შეგიძლია „თითი შეახო".

ამ მოთხრობაში მწერალი შედარებით ინერტულია, რასაც ალბათ საფუძვლად უდევს გმირის ხასიათი, — მეოცნებე და მელანქოლიური, უსისხლო და სუსტი.

მოთხრობა არაა ხალისიანი, ის არაა დაწერილი სასიხარულოსა და სასიამოვნოზე. მისი გმირის ბედზე მხოლოდ გული გწყდება. ის არ ღირს თანაგრძნობად, იქნებ არც გაკიცხვად ღირს. მისი ცხოვრება მოსაწყენია და მხოლოდ შეურაცხმყოფელი სიბრალულის გრძნობას ჰბადებს მკითხველში. სწორედ ამიტომ, უკვე შეუძლებელი ხდება პალადიონთან ყოფნა, მისი მოსმენა, რასაც ზუსტად

ნოდარ ჩხეიძე

„ახალგაზრდობა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთდროულად მოთხრობის უკანასკნელ სტრიქონებში ეუბნებიან ერთმანეთს მკითხველი და ავტორი.

შეიძლებოდა ავტორისათვის გვეთქვა, რომ ამ მოთხრობის თემა, იქ წამოჭრილი პრობლემა არ იწვევს მკითხველის მაინცდამაინც დიდ ინტერესს, მაგრამ გვინდა გულწრფელად გვწამდეს, რომ მომავალში ავტორი ხელს მოკიდებს უფრო დიდ და საინტერესო თემებს და ეყოფა ძალა მათ დასაძლევად.

თამაზ ნატროშვილმა პირველივე მოთხრობით მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. სამწუხაროდ, შემდგომ მოთხრობებში ნაკლებად იგრძნობა ის ენერგია და დრამატიზმი, ეგრეთწოდებული „სხვისი ცხოვრებისა და ბედის" ხატვისადმი მიდრეკილება, რითაც მისი პირველი მოთხრობა იყო საინტერესო. ავტორი შემოიზღუდა პირადული, საკუთარი, მხოლოდ ინდივიდუალური განცდების გადმოცემით. ეს „სხვისი ცხოვრება და ბედი" არ გულისხმობს, როგორც ცნობილია, არც სუბიექტის იგნორირებას, არც სხვისი თვალით ხედვას. ის მხოლოდ გარდასახვის უნარს და ძალას, სხვისი ტკივილისა თუ სიხარულის საკუთარ თავზე გამოცდისა და საკუთრად ქცევის ნიჭს გულისხმობს. შეიძლება ეს გულისხმობდეს იმასაც, რომ ის, რაც სხვას გადახდა თავს, აქციო შენს „ნამდვილ", ბიოგრაფიულ გამოცდილებად და, ამ გზით, შენი შემოქმედების მასალადაც. პრინციპი „მე ასე ვიქცეოდი, ვიქცევი და მოვიქცევი" — საეჭვო პრინციპია. მწერლობაში, ეტყობა, ერთნაირად აუცილებელია როგორც საქმის უკიდურესობამდე მიყვანა, ისე ამ უკიდურესობის ჩვენებაც. მწერლობაშიც, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, მთავარი მაინც შედეგის ჩვენებაა. თუ აქ ჩანს და იგრძნობა ის გზაც, რამაც ამ შედეგამდე მოგვიყვანა, მწერალს მაქსიმუმი აქვს გაკეთებული.

თამაზ ნატროშვილის მოთხრობებში ჯერ კიდევ იგრძნობა გავლენები. ეს ითქმის მის მანერასა და, იშვიათად, მხატვრული აზროვნების სპეციფიკაზე, ცხოვრებისეული მასალისადმი ლიტერატურულ მიდგომაზე. მაგრამ ეს დიდი ცოდვა არაა, თუნდაც იმიტომ, რომ არ მოიძებნება არც ერთი კარგი და თუნდაც დიდი მწერალი, რომელსაც შემოქმედების დასაწყისში გავლენები, მანერული თუ სტილისტური გავლენები არა ჰქონდეს. ის გარემოება, რომ თამაზ ნატროშვილი მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ ნანახსა და განცდილზე წერს, პირველი თავდებია ასეთი გავლენებისაგან განთავისუფლებისა. რა თქმა უნდა, გავლენებზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მწერლის შემოქმედებაში სტილი, მანერა ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებს. სავსებით შესაძლებელია, რომ სტილი, რომელიც ადრე ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ახდენდა, შემდეგში სავსებით ორგანული და ბუნებრივი გახდეს ავტორისათვის; გააჩნია, შეესატყვისება თუ არა მისი მსოფლშეგრძნება ამ სტილის ბუნებას.

„შატილიცა" და „ლიდაც" ზედმიწევნით ემოციური ნაწარმოებებია. ორივეში იგრძნობა კარგი გემოვნებისა და კულტურის მწერალი.

„შატილში" უნაკლოდ და იშვიათი ზომიერებითაა დახატული ძველი ცოცხალი ხევსურული სოფელი. სევდიანია ფერები, რომელიც წარმოსახვაში აცოცხლებს ოდესღაც ციხე-სიმაგრის, ამჟამად მიტოვებული, ცარიელი სოფლის ნაღვლიან სახეს, გაქვავებულ მზერას. აღარც ბრძოლა და სიყვარული, აღარც ქინი და თავდავიწყება, მხოლოდ ყრუ, უპასუხო გოდება, დათხრილი თვალები, არღუნის ღრიალი და ქარი. ამ ნაწარმოებში იგრძნობა ავტორის ნიჭიერებაცა და ოსტატობაც. მაგრამ ეს არაა მოთხრობა. ეს უფრო სურათი, ან ეტიუდია, რომელიც იშვიათად გადმოსცემს მთლიანსა და დასრულებულ განწყობილებას. რაც შეეხება „ლიდას", ის სწორედ მაშინ თავდება, როცა უნდა იწყებოდეს. დაიხატა მგზავრები, სადგურები, სიცხე. მკითხველი ელის, რომ შემდეგ მოხდება რაღაც მნიშვნელოვანი. მაგრამ აღარაფერი არ ხდება, მოთხრობა დამთავრდა. თავისთვის მნიშვნელოვანიცა და სათქმელიც ავტორმა უკვე თქვა. მაგრამ

ავტორისათვის მნიშვნელოვანი ყოველთვის მნიშვნელოვანია მკითხველისთვისაც? არა მგონია. ეს ნაკლი, ექსპოზიციის მოჩვენებითი საკმარისობა, ხელოვნების შეიძლება ძალზე ძველი, მაგრამ ელემენტარული და ყოველი დროისათვის აუცილებელი კანონების უგულებელყოფა თუ არცოდნა მარტო თამაზ ნატროშვილის ნაკლი როდია. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია და იქნებ მასზე საგანგებო მსჯელობაც კი ღირდეს.

თამაზ ჭილაძემ უკვე გამოაქვეყნა თანამედროვე რომანის მოცულობის ორი მოთხრობა. კრებულში შეტანილია მისი პირველი მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით".

თამაზ ჭილაძის საუკეთესო ღირსება, ამ მოთხრობის მიხედვით, ეს არის კარგი პოეტური ხედვა, თავისი სულიერი მდგომარეობის გადმოსაცემად ხშირად საკმაოდ შეუფერებელი, მაგრამ დამორჩილებული ობიექტების გამოყენება, პაეროვნება და ისეთი მეოცნებე განწყობილებები, როცა საგნები კარგავენ თავის უხეშ, ნატურალისტურ კონტურებს და როგორღაც ცურავენ ნახევარტონებისა და ლამაზი ფერების ზღვაში.

ამ მოთხრობის მთავარი ნაკლი ისაა, რომ ავტორმა ვერ მოახერხა, თავისი დაკვირვებები, გამოცდილება, გამომსახველობითი ხერხები ჩაეყენებინა ერთი პრობლემის სამსახურში. ვერ მოახერხა ყველაფერი შეეწირა მთავარისათვის, ყველაზე მნიშვნელოვნისათვის. საჭირო იყო უამრავი განცდა, პეიზაჟები, სახეები და ამბები გაერთიანებულიყო მთლიანისაკენ სწრაფვის სურვილითა და ერთიანი მიზანდასახულობით. ხანდახან ვფიქრობ, რომ ამისათვის, ამ ერთიანობისა და მთლიანობის ხელოვნების დაუფლებისათვის, ყოველივეს ერთი მიზნის სამსახურში ჩაყენებისა და ამ გზით მონოლითურობის მიღწევისათვის ყველაზე კარგი სკოლაა პატარა მოთხრობა, რასაც გვერდი აუარა, იქნებ გასაგები მიზეზებითაც, თამაზ ჭილაძემ.

ალბათ ყოველთვის აღინიშნება ის გარემოებაც, რომ თამაზ ჭილაძემ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ეგრეთწოდებული ინტელიგენციის თემის მხატვრულ დამუშავებას. დღეს ეს თემა განსაკუთრებით საჭირო, აუცილებელი და გვერდაუვლელი თემაა ჩვენი მწერლობისათვის. მაგრამ ამ თემის მაღალმხატვრულად დამუშავებისათვის საჭირო იქნება სუბიექტურ საწყისებთან ერთად ობიექტური კრიტერიუმებისა და პოზიციების გამონახვაც. ამასთან დაკავშირებით მინდა შევჩერდე ერთ, ჩემი აზრით, თამაზ ჭილაძის მოთხრობისა და მისი მწერლური პოზიციისათვის მეტად დამახასიათებელ ნიშანსა თუ შეცდომაზე.

„ნიკას ფანჯარასთან სკამი მიედგა, რაფაზე ნიდაყვები დაეყრდნო და წვიმას უყურებდა. „ნუთუ ყველაფერი გათავდა, ნუთუ ყველაფერი გათავდა..." ეზოში სიწყნარე იდგა და წვიმის ხმა კიდევ უფრო ამძაფრებდა სიმშვიდის განცდას". მე ხაზი გავუსვი ამ სიმშვიდის განცდას. არ შეიძლება კაცს ისეთ სულიერ მდგომარეობაში, როგორშიც ნიკაა, სიმშვიდის განცდა ჰქონდეს. ეს სიმშვიდის განცდა ავტორისაა. მას, და არა ნიკას, უმძაფრებს ამ განცდას წყნარი ეზო და წვიმის ხმა. ავტორი თითქოს ვერ ახერხებს გათიშოს თავისი განცდები გმირის განცდებისაგან. ამიტომ მისი გმირები არ ცხოვრობენ და ვერ ცხოვრობენ თავიანთი, ავტორის ნებასურვილისაგან დამოუკიდებელი ცხოვრებით. მათ, განსაკუთრებით დადებით გმირებს, არა აქვთ არც ავტორისაგან განსხვავებული მსოფლშეგრძნება და არც მისგან მკვეთრად დამოუკიდებელი ინდივიდუალური ხასიათები. იქნებ ამიტომაც აკლია მოთხრობას სიღრმე, ძალა და ტემპერამენტი. ეს უკანასკნელი სიტყვა ზუსტად გამოხატავს იმას, რაც პაერივით სჭირდება თამაზ ჭილაძის თითქმის ყველა პერსონაჟის ბუნებასა და ხასიათს, მათს ფიქრსა და შეგრძნებას, მოთხრობაში

---

ნოდარ ჩხეიძე
„ახალგაზრდობა"





ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბის განვითარებას, თხრობასა და ნახატს. და მაინც, ძნელია ბევრი ნაწარმოების დასახელება დღევანდელ ქართულ პროზაში, სადაც ასეთი ბუნებრივი და დახვეწილი იქნებოდა ინტელიგენტი კაცის თვალი და სმენა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, თამაზ ჭილაძის მოთხრობა გამოირჩევა დახვეწილი ენით, პოეტური პასაჟებით. ასეთი შეფარდების კანონად ქცევა სწორი არ არის, მაგრამ ნამდვილად სწორია ის, რომ ყველაფერი შეფარდებითია. გარდა ამისა, რატომღაც ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ მოთხრობის ზედმიწევნით სიმბოლურ სათაურს, რომელიც მოკრძალებას აძლევს ავტორის მიზნებს და ხაზს უსვამს შთაბეჭდილებების გადმოცემით დაკმაყოფილებას. ავტორის შეფასებებში ხშირადაა შემონახული თავისი უცვლელი სახით გულუბრყვილო და უშუალო ჭაბუკური შთაბეჭდილებები. ავტორს არ შეაქვს ამ შთაბეჭდილებებში მომწიფებული და დასრულებული კაცის ცივი და სწორი გონებრივი მსჯავრი. თამაზ ჭილაძემ ჯერჯერობით მხოლოდ ორი მოთხრობა გამოაქვეყნა. მომავალი გვიჩვენებს, თუ რა წარმატებების მიღწევა შეუძლია ავტორს.

კრებულში ერთადერთი მოთხრობითაა წარმოდგენილი ახალგაზრდა მწერალი დავით ჯავახიშვილი. მაგრამ ამ ერთი მოთხრობითაც შეიძლება მსჯელობა ძალიან კარგ პერსპექტივაზე. ავტორი, როგორც ჩანს, მხოლოდ იმაზე წერს, რითაც უცხოვრია, რაც უნახავს და განუცდია. მისი გამარჯვებები მომავალში დამოკიდებული იქნება იმაზეც, თუ როგორ გადმოსცემს და იტყვის ავტორი, და განსაკუთრებით იმაზე, თუ რამდენად საინტერესოს, მნიშვნელოვანს და ღრმააზროვანს იპოვის ის ნანახსა, განცდილსა და გაგონილში.

კრებულს აქვს იუმორის განყოფილება, რომელიც წარმოდგენილია ერლომ ახვლედიანის მოთხრობით „ვანო და ნიკო". ეს მოთხრობა ორიგინალურია თავისი ფორმით. მოფიქრება იმ სიახლეებისა, რაც თავისთავად ძალზე საინტერესოა (თუმცა ვინმეს შეიძლება უცნაურად მოეჩვენოს თავისი სიახლის გამო), ლაპარაკობს საინტერესო ნიჭზე, თვალსა და აზროვნების ხასიათზე. მე არ მინდა ხელი მოვკიდო ამ მოთხრობის დეტალურ გარჩევას, ახსნასა და შეფასებას. მინდა მხოლოდ აღვნიშნო თანამედროვე იგავისა თუ წმინდა ჰიპერბოლური აზროვნების მოულოდნელი შესაძლებლობები, რაც ერლომ ახვლედიანმა გვაჩვენა თავის მოთხრობაში.

კრებულში წარმოდგენილია სხვა ახალგაზრდა პროზაიკოსებიც. შეიძლებოდა მათზე შეჩერება როგორც კრიტიკის, ისე მოწონების თვალსაზრისით. ბევრი მათგანი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, ზოგიერთს წიგნებიც აქვს გამოცემული და უკვე გამოუცდიათ ქებაცა და კარგად გასაგები დუმილიც.

ახალგაზრდა, მითუმეტეს დამწყებმა მწერლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ მწერლობა არ ეკუთვნის ისეთი საქმეების რიცხვს, რომელსაც ყველა მონდომებული და ენერგიული კაცი გააკეთებს. ის არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოდური საქმე. ასეთ საქმედ მწერლობა ზედაპირული აზროვნების, პოპულარობას დახარბებულ და თავისთავზე ყალბი წარმოდგენის მქონე ადამიანებს წარმოუდგენიათ. ხანდახან რომანებს ჰკიდებენ ხელს ისინი, ვინც განცხადებასა და მოკითხვის ბარათსაც კი ვერ დაწერს ხეირიანად.

დამწყები მწერლების ყურადღებას მუდამ აქცევენ, და სამართლიანადაც, ენას, მანერას, ბუნებრივობას.

აი, როგორ იწყება მარიამ გორგაძის მოთხრობა „ზღვაზე".

„გივი ტანთ იხდის და წყალში შედის. ჩვენგან ცოტა მოშორებით ბესიკიც ტანთ იხდის და წყალში შედის. მეც (თუ ვიღაც სხვა ჩემს მაგივრად) ტანთ ვიხდი, წყალში შევდივარ და ლოდზე მივძვრები".

ან, აი, ბეგლარ მუჯირიშვილის „მოლოდინი".

„იდუმალ მეტრფოდი! უალოდ ვიწვო-

დი და ეს მახარებდა, მახარებდა და თან მაწამებდა!.. არ ვიცოდი, რა გამეწყო საკუთარ თავთან". ასე წერა არ შეიძლება. არ არის საჭირო იმის განმარტება, თუ რა არის აქ ცუდი და რატომ არ შეიძლება ასე წერა. ამის გაგებას ახსნა-განმარტებები და გრამატიკული კანონების ცოდნა ვერ უშველის. ეს უნდა იგრძნოს მწერალმა. ხომ ბევრი რამაა ისეთი, რასაც უნდა მიხვდე საგანგებო შესწავლის გარეშეც. ასეთ დამწყებ თუ [illegible] ცნობილ მწერლებს უნდა გავახსენო ერთ-ერთი პერსონაჟის ჩივილი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „დაუწერელი მოთხრობა".

„— როდის იქნება ქართველმა მწერალმა ქართული ისწავლოს და ის სწეროს, რაც ეხერხება!.."

•

კრებულში წარმოდგენილი ნაწარმოებები ღარიბი არაა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემატიკით, მაგრამ, მართალს თუ ვიტყვით, არც ძალზე მდიდარია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა მწერლების მომავალ ნაწარმოებებში კიდევ უფრო გაფართოვდება ავტორთა ინტერესების სფერო, კიდევ უფრო მეტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხები ჰპოვებენ საინტერესო მხატვრულ ხორცშესხმასა და მაღალიდეურ გადაწყვეტას.

ჩვენი მწერლობა მოწოდებულია უპასუხოს საუკუნისა და ეპოქის მოთხოვნებს, შექმნას კომუნიზმის ხანისადმი შესაფერი ესთეტიკური ფასეულობანი, აღზარდოს ახალი, თავისუფალი და ძლიერი, ნათელ მომავალში დარწმუნებული და ამ მომავლის შემოქმედი ადამიანი. ამ კეთილშობილური, საერთო-სახალხო ამოცანის გადაჭრაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ ახალგაზრდა მწერლებმაც.

---

ნოდარ ჩხეიძე
„ახალგაზრდობა"

ფილიპე ბერიძე

# მთარგმნელის ოსტატობა

ქართულ ლიტერატურას პროფესიული შემოქმედებითი თარგმნის თვალსაჩინო ტრადიცია აქვს. მარტო ივანე მაჩაბლის, თედო სახოკიასა და გერონტი ქიქოძის სახელებიც კმარა ამის დასადასტურებლად.

მთარგმნელს, თუ იგი ნამდვილად მოწოდებულია ამ საქმისათვის, უპირველესად ეროვნული ლიტერატურის გამდიდრების, შევსების, ნაციონალურ კულტურაში სიახლის შეტანის მიზანი უნდა ამოძრავებდეს. მხოლოდ ამ გზით მოუხვეჭს იგი სახელს ავტორს (რა თქმა უნდა, იმ ენაზე, რომელზეც თარგმნის). შეიძლება მთარგმნელმა ორივე ენა საუცხოოდ იცოდეს, ჰქონდეს წერის მაღალი კულტურა და ფლობდეს იდიომურად გადმოცემის ხერხს, მაგრამ თარგმანი მაინც არ იყოს სრულფასოვანი. მართალია, მთარგმნელის პირადი შემოქმედებითი ხერხების თავისებურება პირითადად დედნის ფორმის გადმოცემის ხარისხში ჩანს, მაგრამ როგორ ურთიერთობაშია იგი ავტორის იდეურ სამყაროსთან?

რამდენადაც ორგანულად იგუებს მისი შინაგანი მხატვრული სტიქია და ინტელექტი ავტორის იდეების ხასიათს, ესე იგი, რამდენადაც მეტია მთარგმნელში ავტორისეული (მისგან დამოუკიდებლად) აზროვნების ელემენტები, სინამდვილისადმი მიდგომის, ობიექტის შემეცნების თავისებურება, მით უფრო მეტი ძალა ორიგინალისა ექნება თარგმანს.

თარგმანში მშობლიური ენის ცოდნა თუ არცოდნა პოზიტიურად ჩანს. სწორედ აქ მართებს მთარგმნელს დიდი სიფრთხილე. მთლიანად ორიგინალისა და ცალკეული მხატვრული დეტალების ადეკვატური ნიუანსების მიგნება შეუძლებელია მხოლოდ თარგმნის პროცესში ენის საფუძვლიანი ცოდნის, თარგმნის წინასწარ შემუშავებული მეთოდისა და, თუ გნებავთ, გამოცდილების გარეშე შეუძლებელია ნამდვილად ფასეული თარგმანის მიღება.

დედანთან უშუალოდ კავშირის, დამოკიდებულების და მისგან დამოუკიდებლობის პრინციპი მთარგმნელს ერთდროულად ზღუდავს კიდეც და თავისუფალი მოქმედების, პირადი მხატვრული სამყაროს გამოვლენის საშუალებასაც აძლევს. ნამდვილ შემოქმედებით თარგმანში ყოველთვის ჰარმონიულად არის შერწყმული ავტორისა და მთარგმნელის მხატვრული აზროვნების თვისებები. ასეთი შემოქმედებითი თარგმანის გზას მისდევს ვახტანგ ჭელიძე. ვინც თვალს ადევნებს მის მთარგმნელობით მოღვაწეობას, შეამჩნევს, რომ დღეს ვახტანგ ჭელიძე თითქმის ყველაზე უფრო ნაყოფიერად მუშაობს; თარგმნის ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მხატვრული სტილის ნაწარმოებებს. ეს მისი პირადი შემოქმედებითი გემოვნებისა და გატაცების საქმეა. ჩვენ გვაინტერესებს ვახტანგ ჭელიძის მთარგმნელობითი შემოქმედების მხატვრული ღირსება. პირდაპირ შეიძ-

ლება ითქვას, რომ ყველა მისი თარგმანი მაღალ პროფესიულ დონეზე დგას. იგი ყოველთვის დაკვირვებით, შემოქმედებითი სიზუსტით გადმოსცემს ნაწარმოების მთლიან თავისებურებას და თვითეული მხატვრული შტრიხის თავისთავადობას.

ვახტანგ ჭელიძე არ მიჰყვება ენის გატკეპნილ ნორმებს, გაცვეთილ ფრაზებს. იგი გასაოცარი გულმოდგინებითა და სიყვარულით ეძებს უცნობ ფორმებს, იდიომურ გამოთქმებს, მეტნაკლებად დავიწყებულ სიტყვებს და ხატოვან ფრაზებს. მთარგმნელის ლექსიკა მოიცავს საქართველოს ყველა კუთხის ენობრივ სპეციფიკას.

ზოგიერთი ჩვენი მწერალი ბრმად მისდევს გამოფიტულ, უსახო ენას. ჩვენი ეროვნული, ხალხური ლექსიკა განუზომლად მდიდარი და მრავალფეროვანია. ძიებისა და კვლევის სურვილი იყოს და ქართულ ენას საგნისა და მოვლენის ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო თვისების გამომსახველი ფორმა მოეპოვება.

ვახტანგ ჭელიძე ფრთხილად ურჩევს ადგილს ყოველ სიტყვას, ყოველ ფრაზას. მისი ლექსიკური მარაგის სიმდიდრისა და მრავალმხრივობის საფუძველი უშუალოდ ცხოვრებაში, ჩვენს ყოფაში უნდა ვეძიოთ. მან შესძლო თავისი მხატვრული სტილის სრული განტვირთვა მწიგნობრული ლექსიკისაგან.

ვახტანგ ჭელიძის ყოველ თარგმანში ჩანს დედნის მხატვრული თავისებურებების, საერთოდ ავტორის შემოქმედების ღრმა გაგება, ეპოქის ცოდნა.

ბოლო დროს მან პარალელურად თარგმნა ჯონ სტეინბეკის „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა" და ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში". სტეინბეკი და სელინჯერი სხვადასხვაგვარი მხატვრული სტილის მწერლები არიან. სელინჯერს, ჩვენი აზრით, (განსაკუთრებით ამ რომანის მიხედვით) ეტყობა ჰემინგუეის ერთგვარი შემოქმედებითი გავლენა.

დაძაბული ფსიქოლოგიური ქვეტექსტი, ხშირად ძირითადი აზრის მინიშნებებში გადატანა, მძაფრი ემოციური თხრობა, პერსონაჟებისადმი განუწყვეტელი ყურადღება, ყოფითი დეტალების ზუსტი მხატვრული ანალიზი და გადმოცემის ტაქტი, ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმა ჩაწვდომა, მეტყველების მკაცრი ლოგიკური დინება, მოკვეთილი ფრაზა, რკალი განუწყვეტელი ქვეტექსტებისა და, რაც მთავარია, ნაწარმოების ძირითადი მხატვრული იდეის ოპოზიციური მიმართება ბურჟუაზიული ყოფისადმი, — ეს ძირითადი ნიშნები აახლოებს სელინჯერის რომანს ჰემინგუეის პროზასთან.

ვახტანგ ჭელიძემ ჰემინგუეის ორი რომანი („აღმოხდების მზე" და „მშვიდობით იარაღო") თარგმნა. რა თქმა უნდა, მას ერთგვარად გამოადგა გამოცდილება, მაგრამ ჰემინგუეისაგან სელინჯერის პროზის განმასხვავებელ ნიშნებს მთარგმნელმა მოუნახა ზუსტი შესატყვისი ფორმები და ქართული ენისათვის დამახასიათებელი უშუალობით გადმოსცა ჰოლდენ კოლფილდის ტრაგიკული ბედი.

ვახტანგ ჭელიძე დედანთან შემოქმედებითი მიდგომით, ავტორის მსოფლმხედველობის ღრმა გაგებით სელინჯერის ნაწარმოებს არა მარტო აქართულებს, არამედ თითქოს ქართულ ნაწარმოებად ხდის. ხშირად თარგმანის განხილვას დედანთან მისი შედარებით იწყებენ და ამითვე ამთავრებენ, მკაცრად მოითხოვენ ფრაზების პედანტურ სიზუსტეს და არ აკვირდებიან ნაწარმოების მთლიანი სტილის გადმოცემის ხარისხს, რაც თავისთავად განსაზღვრავს მთარგმნელის პირადი შემოქმედების თავისებურებას.

მართალია, ვახტანგ ჭელიძე თანაბარი შემოქმედებითი უშუალობით გადმოსცემს ყოველ დეტალს, ყოველ ფრაზას, მაგრამ იგი, როგორც პროფესიონალი მთარგმნელი, ავტორის იდეური კონცეფციებისა და მხატვრული ფორმის თავისთავადობის გაგებაში უსმენს ავტორს, ფრთხილად მისდევს დედანს და მთელი არსებით განიცდის მის ყოველ ეპიზოდს.

ვახტანგ ჭელიძე ზუსტად იცავს სელინჯერის თხრობის ტემპს. ქართული ენისათვის დამახასიათებელი სიცხადითა და შთამაგონებლობით გადმოსცემს ავტორისეულ ძუნწ, კონდენსირებულ დიალოგს თუ გაშლილი თხრობის ეპიზოდებს. იგი ორგანულად ახამებს ერთმანეთთან ინგლისური ენის სპეციფიკას და ქართული ენის ბუნებას, ადექვატურ ფორმაში აქცევს ყოველ მხატვრულ ნიუანსს. როგორ უნდა შეაფასოს მკითხველმა თარგმანი! მკითხველთა უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, არ იცის დედნის ენა, მათ არც აინტერესებთ თარგმანის ურთიერთობა დედანთან. ისინი მას კითხულობენ, როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებს. ამიტომ სწორად აღნიშნავენ — თარგმანს არ უნდა ეტყობოდეს, რომ ის თარგმანია. კარგი თარგმანი ორიგინალის უშუალობით უნდა ძლერდეს. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარად მარტივი, გულუბრყვილო შეფასებაა, მაგრამ ნამდვილი და შეუცდომელი. რით აღწევს ამას მთარგმნელი? შემოქმედებითი ნიჭით და ორი ენის ღრმა, ყოველმხრივი ცოდნით. სელინჯერის მთავარი გმირი — ჰოლდენ კოლფილდი თავის ტრაგიკულ თავგადასავალს ერთი შეხედვით თითქოს ფლეგმატურად, მოჩვენებითი მხიარული განწყობილებებით ჰყვება, სწორედ ამ მოჩვენებითი ფლეგმატურობის იქით გადაიტანა ავტორმა ჰოლდენის მძაფრი სულიერი დრამა, ცხოვრების ამაღლების შეგნება და შთამაგონებელი ადამიანური სევდა. ეს ყველაფერი ვახტანგ ჭელიძეს თარგმნის პროცესში არ აქვს გაგებული. მან წინასწარ, თარგმნის განზრახვამდე იცის დედნის მთლიანი ხასიათი, ცალკეული მხატვრული დეტალის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობა. სწორედ აქედან იწყება ვახტანგ ჭელიძის შეგნებული პრინციპი, — თარგმნის პროცესის ამაღლება ინდივიდუალური შემოქმედების დონემდე. ჰოლდენი მოხუც სპენსერს პენსიდან გარიცხვის ამბავს უყვება:

„— მერე რას ფიქრობ, ყმაწვილო? ძალიან მაინტერესებს ამის გაგება, ძალიან მაინტერესებს.

— რაზე მეკითხებით? პენსიიდან რომ გამომაპანღურეს? — ვკითხე მე. ამ გამობზეკილ მკერდზე მაინც დაიფარებდეს ხალათს. ვერაფერიშვილი სანახავი იყო.

— თუ არ ვცდები, ჰუტონის სკოლასა და ელქტონ-ჰილშიაც ასეთივე უსიამოვნება შეგხვდა. — ეს მარტო გაქირდვით კი არ უთქვამს, ისედაც ბინძურად გამოუვიდა.

— ელქტონ-ჰილში სულაც არ შემხვედრია უსიამოვნება — არც ჩავჭრილვარ და არც არაფერი, ისე წამოვედი, ჩემი გუნებით".

ეს ეპიზოდი ჩვენ ნებისმიერად შევარჩიეთ. ასეთი ლაღი და უშუალო დინება გასდევს თარგმანს თავიდან ბოლომდე. რა თქმა უნდა, წიგნში არის ერთმანეთზე უკეთ თარგმნილი ადგილები, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მხატვრულ შემოქმედებაში არ არსებობს მშრალი მათემატიკური თანაფარდობა და თანმიმდევრობა.

აი, დედანთან შემოქმედებითი სიზუსტის მაგალითი:

„I was wag early when I got there, so I just sat down on one of those leather couches right near the clock in the lobby and watched the girls. A lot of schools were home for vacation already, and there were about a million girls sitting and standing around waiting for their dates to show up. Girls with their legs crossed, girls with their legs not crossed, girls with terrific legs, girls with lousy legs, girls that looked like swell girls, girls that looked like they'd be bitches if you knew them. It was really nice sightseeing, if you know what I mean".

„ჯერ კიდევ ადრე იყო, როცა იქ მივედი. ტყავის სავარძელში ჩავჯექი, ზედ ვესტიბიულის საათის ქვეშ, და გოგოებს დავუწყე ცქერა. სკოლები უკვე დათხოვილი იყო და ქვეყნის გოგოებს მოეყარათ ახლა აქ თავი — ზოგი იჯდა, ზოგი იდგა. ბიჭებს ელოდებოდნენ. ზოგს ფეხი ფეხზე გადაედო, ზოგს დაშვებული ჰქონდა ფეხები, ზოგს ღმერთივით კანჭები ჰქონდა, ზოგს — საძაგელი, ზოგი მშვე-

ნიერი ჩანდა, ზოგი — საზიზღარი, თუკი კარგად გაეცნობოდი. ცუდად კი ნუ ჩამომართმევთ და, მართლაც რომ კარგი საყურებელი იყო“.

ვახტანგ ჭელიძე არ მისდევს „ბუკვალური“ თარგმნის პრინციპს და არც თვითნებური თავისუფლების გზას. იგი „ებრძვის“ დედანს, ორგანულად ითვისებს მის ხასიათს და დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილების სახეს ანიჭებს თარგმანს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სელინჯერის მხატვრული გააზრება, რომანის იდეური არსი, გარეგანი ტექნიკა შეეფარდა მთარგმნელის პირად მხატვრულ სამყაროს და ქართველმა მკითხველმა მიიღო ნამდვილად პროფესიული ხარისხის თარგმანი, რომელშიც ნათლად ჩანს ქართული ენის ხასიათი, მისი ბუნება.

დასასრულს, კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ლამაზად და გემოვნებით გაფორმებული ეს წიგნი გამომცემლობა „ნაკადულის“ კარგი და ნაყოფიერი მუშაობის კიდევ ერთი საბუთია.

---

ფილიპე ბერიძე
მთარგმნელის ოსტატობა

პროკოფი რატიანი

# ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

წერილი მეორე*

თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა ფონდი, რომლის ერთ-ერთ საქმეში (№ 123) ინახება ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტებიცა და მრავალი სხვა უაღრესად საინტერესო მასალაც საგლეხო რეფორმის ირგვლივ. ამ მასალების გულდასმით შესწავლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნათელყოფს, რომ „კრიტიკული შენიშვნებიცა" და „საერთო შენიშვნებიც" ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი ყოფილა ნიკოლოზ ჭავჭავაძის მიერ მისი საკუთარი სახელით.

ეს ფაქტი დასტურდება შემდეგი მონაცემებით: ჯერ ერთი, „საქმის" დასაწყისშივე ჩაკერებულია ხსენებული კომიტეტის საქმეთა მმართველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის მიხ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი ანაწერი [1], რომელშიც ჩამოთვლილია ამ „საქმეში" დაცული ყველა დოკუმენტი, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტები. „კრიტიკული შენიშვნები" ანაწერში ჩანიშნულია 29-ე ნომრით, ამგვარად: «29. Записка кн. Н. Чавчавадзе-41» ეს უკანასკნელი ციფრი „41" აღნიშნავს ფურცლების რაოდენობას, რაც ზუსტად ემთხვევა „კრიტიკული შენიშვნების" ფურცლების რიცხვს. „საერთო შენიშვნები" კი ანაწერში ჩანიშნულია 30-ე ნომრად, ამგვარად: «30. Его же от 6 мая 1864 г.-19». ამ შემთხვევაშიც ფურცლების რაოდენობა ზუსტად ემთხვევა „საერთო შენიშვნების" ფურცლების რიცხვს. აქედან ცხადია, რომ ანაწერის შემდგენელ მ. თუმანიშვილს ორივე ზემოთხსენებული დოკუმენტი ნიკო ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილ და მის საკუთარ დოკუმენტებად მიაჩნია. ძნელი საფიქრებელია, რომ ცენტრალური საგლეხო კომიტეტის საქმეთა მმართველს და თანაც ისეთ პირს, რომელიც ახლოს იცნობდა თითქმის ყველა იმდროინდელ მოღვაწეს, ასეთი უხეში შეცდომა მოსვლოდა და ვერ გაეგო, თუ ვინ მიიტანა ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ხსენებული დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები.

მაგრამ კიდევაც რომ დავუშვათ, რომ მ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ ანაწერში შეცდომაა დაშვებული, იმავე საქმეში მოიპოვება სხვა, გაცილებით უფრო ეჭვმიუტანელი საბუთი, საიდანაც სრულიად უდავოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ორივე დოკუმენტი ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ნიკო ჭავჭავაძემ წარადგინა. ეს არის გლეხთა განთავისუფლების დებულების (პროექტის) ერთ-ერთი ეგზემპლარი, რომე-

* დასასრული. იხ. „ცისკარი", № 11.

[1] ცსსა, განსაკ. საქ. ფონდი, საქმე № 123, ფ. 2, 3.

ლიც კომიტეტის სამუშაო ეგზემპლარი ჩანს და რომლის არეებზე ფრიად საინტერესო მინაწერები მოიპოვება. ამ მინაწერებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მინაწერები დებულების პროექტის იმ მუხლებთან, რომლებსაც „კრიტიკული შენიშვნების" ავტორი აკრიტიკებდა. მათზე დაკვირვებით ცხადად ირკვევა, რომ ყველგან სადაც კი „კრიტ. შენიშვნების" ავტორი გამოთქვამს აზრს, გვერდით მიწერილია: «Кн. Н. Чавчавадзе (письменно)». აქედან ნათელია, რომ კომიტეტის წევრებიც „კრიტიკული შენიშვნების" ავტორად ნიკო ჭავჭავაძეს თვლიან. ცხადია, წარმოუდგენელია, რომ იმ კომიტეტში, სადაც მუხლობრივ იხილავდნენ „კრიტიკულ შენიშვნებს" და ამ განხილვას ნიკო ჭავჭავაძეც პირადად ესწრებოდა, არ სცოდნოდათ, თუ ვინ წარმოადგინა კომიტეტში ეს თავსატეხი „კრიტიკული შენიშვნები".

ყოველივე აქედან უდავოდ დამტკიცებულად მიგვაჩნია, რომ „კრიტიკული შენიშვნები" (ისევე, როგორც „საერთო შენიშვნები") ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარადგინა ნიკოლოზ ჭავჭავაძემ თავისი საკუთარი სახელით. მაშასადამე, სრულიად ამაოა იმის ფიქრი, რომ შესაძლებელია ოდესმე არქივში აღმოჩნდეს საბუთი, რომელიც დაგვანახვებს, რომ ნიკოლოზ ჭავჭავაძე მხოლოდ შემმოწმებელია „კრიტიკული შენიშვნების" ასლისა, ხოლო მისი ავტორი კი სხვა არის (როგორც ეს ისტორიკოს სიმ. ავალიანს ეგონა). რაკი ნიკო ჭავჭავაძემ თავის თავზე მიიღო ავტორობა და თავისი საკუთარი სახელით ოფიციალურად წარადგინა ასეთი კრიტიკული და დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, ცხადია, სხვა ავტორის ძებნა არქივში ფუჭად დროს დაკარგვა იქნება.

მაგრამ ნიშნავს თუ არა, — ან უფრო ზუსტად, — საკმარისია თუ არა ეს ფაქტი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ თითქოს სწორედ ნიკოლოზ ჭავჭავაძეა ნამდვილი ავტორი „კრიტიკული შენიშვნებისა", — როგორც ეს ისტორიკოსებს გ. გიორგაძეს და შ. ჩხეტიას ჰგონიათ? რა თქმა უნდა, არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ, რაც პ. გუგუშვილმა დამაჯერებლად დაამტკიცა და სხვა მკვლევარებმაც გაიზიარეს ის სამართლიანი აზრი, რომ ზემოთხსენებული ორი დოკუმენტის ავტორი არ შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება იყოს, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ნიკოლოზ ჭავჭავაძის მიერ ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი ორი დოკუმენტიდან საკუთრივ მის კალამს ეკუთვნის მარტო ერთი მათგანი, მეორე დოკუმენტი კი უდავოდ სხვისი დაწერილია, ე. ი. ანონიმური დოკუმენტია. ოღონდ ესაა, რომ ნიკოლოზ ჭავჭავაძეს თავის თავზე აუღია მისი ავტორობა რაღაც გარკვეული გარემოების გამო, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ცხადია, ძნელი მისახვედრი არ არის, სახელდობრ, რომელი დოკუმენტი უნდა მიეკუთვნოს ნიკოლოზ ჭავჭავაძის კალამს, თუ გავითვალისწინებთ ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტებს, რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცოტად თუ ბევრად ცნობილია. ჩვენს ისტორიკოსებს უკვე დიდი ხანია შემჩნეული და აღნიშნული აქვთ, რომ ნიკოლოზ ჭავჭავაძეს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე არაფრით არ გამოუჩენია თავი რადიკალურ-დემოკრატიული მიმართულების მომხრედ. ის ერთგულად ემსახურებოდა მეფის მთავრობას და მართალია განათლებული კაცი იყო, მაგრამ მისი შეხედულებები არასოდეს არ გასცილებია ლიბერალიზმის ჩარჩოებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მეფის რუსეთის სამოხელეო კიბეზე ნიკ. ჭავჭავაძე საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა და მეფის წყალობაც არ მოჰკლებია [1].

[1] ამ აზრს ადასტურებს პროფ. ი. ანთელავა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ცენტრალურ არქივში დაცული ნიკოლოზ ჭავჭავაძის პირადი საქმე (იხ. „მნათობი", 1962 წ., № 3, გვ. 184).

ასეთი ადამიანისთვის, ცხადია, ისიც დიდი მიღწევაა, რომ დასწერა ზემოხსენებული „საერთო შენიშვნები“, რომელშიც საკმაოდ გაბედულად (სიტყვიერად მაინც) არის გაკრიტიკებული გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტი, თუმცა ხსენებული „საერთო შენიშვნები“,—როგორც ეს ჩვენმა ისტორიკოსებმა (განსაკუთრებით შ. ჩხეტიამ) დაასაბუთეს, ლიბერალური შინაარსის დოკუმენტია და მეტი არაფერი.

როგორც ვხედავთ, აქ ყველაფერი ისე ნათელი და ბუნებრივია, რომ საკამათო არაფერი გვრჩება.

მაგრამ ვის კალამს ეკუთვნის მეორე დოკუმენტი — „კრიტიკული შენიშვნები“, რომელიც თავისი რადიკალური შინაარსის გამო ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა?

როგორც უკვე ვიცით, მკვლევართა დიდი უმრავლესობა დღემდეც ვარაუდობდა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ავტორი ი. ჭავჭავაძეა, მაგრამ ამ აზრის დასამტკიცებლად არ მოიპოვებოდა უტყუარი საბუთები, რის გამო საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა.

ამჟამად კი, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს სიძნელე დაძლეულია. სპეციალურმა კვლევა-ძიებამ ჩვენ იმ უდავო დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი არის ქართველი ხალხის სასიქადულო მწერალი და მოაზროვნე, გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატი ილია ჭავჭავაძე.

ასეთ დასკვნამდე ჩვენ მიგვიყვანა, ერთი მხრივ, საარქივო საბუთებისა და ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის გულდასმით შესწავლამ, ხოლო, მეორე მხრივ, და განსაკუთრებით — „კრიტიკული შენიშვნების“ შინაარსის დეტალურმა შედარებამ ი. ჭავჭავაძის ნაწერებთან.

ჩვენი დასკვნა რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს, ქვემოთ შევეცდებით, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკული ანალიზი გავუკეთოთ იმ მკვლევართა არგუმენტებს, რომელთა აზრით, ილია არ შეიძლებოდა ყოფილიყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი, ხოლო ამის შემდეგ მოვიყვანოთ უტყუარი ფაქტები, საიდანაც სრულიად გარკვევით ჩანს „კრიტიკულ შენიშვნებში“ ჩამოყალიბებული აზრებისა და დებულებების პირდაპირი დამთხვევა ი. ჭავჭავაძის აზრებთან და დებულებებთან.

რა საბუთებსა და არგუმენტებს ემყარებიან ის მკვლევარები, რომლებიც აცხადებენ, რომ თითქოს ილია არ შეიძლებოდა ყოფილიყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი? მათი პირველი და თანაც უმთავრესი საბუთი იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ხსენებული დოკუმენტი წარდგენილია ნიკ. ჭავჭავაძის სახელით. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ საბუთს საფუძველი გამოეცალა მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ ნ. ჭავჭავაძეს ხსენებულ კომიტეტში ერთდროულად ორი სულ სხვადასხვა, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული დოკუმენტები წარუდგენია. ამ აღმოჩენის შემდეგ ხსენებული ფაქტი სრულებით არ კმარა იმისათვის, რომ ი. ჭავჭავაძის ავტორობა მის საფუძველზე უარვყოთ. მაგრამ ამ მთავარ საბუთს გარდა ხსენებული აზრის მომხრეებს მოეპოვებათ კიდევ ორი არგუმენტი, რომელთა გარჩევას ახლა შევუდგებით.

პირველი ამ არგუმენტთაგან ეკუთვნის პ. გელეიშვილს, რომელიც ი. ჭავჭავაძის ავტორობას უარყოფდა იმ საფუძვლით, რომ ილია არ ყოფილა არც ცენტრალური საგლეხო კომიტეტისა და არც მთავრობის მიერ მიწვეული ექსპერტების შემადგენლობაში. ამასთან დაკავშირებით პ. გელეიშვილი შემდეგნაირად მსჯელობდა: „იმ ცენტრალურ კომიტეტში, რომელსაც დავალებული ჰქონდა უმთავრესი ხელმძღვანელობა გაეწია გლეხების განთავისუფლების საქმისათვის ჩვენში... ილია ჭავჭავაძე არ იყო მიწვეული... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე არც ექსპერტად იყო არჩეული და მიწვეული...

ცენტრალური საგლეხო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ან თავისი კერძო აზრისა და მოხსენების წარდგენის უფლება ჰქონდათ მხოლოდ და მარტო კომიტეტისა ან ექსპერტთა კომისიის წევრებს და არა ამა თუ იმ მემამულეს, თუნდაც რომ იგი ილიასავით დიდი ნიჭითა და ცოდნით ყოფილიყო აღჭურვილი.

ამ კომიტეტში მონაწილეობის მიღება არ იყო დამოკიდებული ამა თუ იმ კერძო მემამულესა და ზოგჯერ მთელი გუბერნიის თავადაზნაურთა სურვილზე, რაც ცხადად მტკიცდება შემდეგი მაგალითით.

როცა დ. ი. ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტი გლეხების განთავისუფლებისა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ მოიწონა და მიიღო, მან მაშინვე აირჩია საგანგებო კომისია, რომელიც თვით დ. ი. ყიფიანის მეთაურობით უნდა წარსდგომოდა დიდ მთავარს, ნამესტნიკს, და თავადაზნაურობის მიერ მოწონებული პროექტი დაეცვა, მისი სამართლიანობა დაემტკიცებია.

დიდმა მთავარმა მემამულეთა ასეთი სურვილი არ დააკმაყოფილა. მან 1863 წ. 4 ივნისს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს, რომელმაც დასახელებული კომისიის მიღების შესახებ ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, უბრძანა: შემუშავებული, მოწონებული და მემამულეთაგან ხელმოწერილი პროექტი შენ ჩამოართვი მათ და წარმომადგინეო. რაც შეეხება საგანგებო კომისიის მიღებას ამ პროექტის პირადათ განსამარტებლათ, მე ამ კომისიის მიღება და მისი აზრის მოსმენა საჭიროთ არ მიმაჩნია, ეს ჩემი უფლებაა და როცა მინდა და ვინც მინდა, მაშინ და მას შევეკითხებიო.

ეს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ არც ისე ადვილი ყოფილა ნამესტნიკის ან კომიტეტისათვის ბატონყმობის შესახებ თავისი კერძო აზრისა თუ მოხსენების წარდგენა. თუ ნამესტნიკმა არ მიიღო მთელი გუბერნიის თავადაზნაურობისაგან არჩეული საგანგებო კომისია, თუ მან არ მოისურვა მოესმინა ამ საგანზე აზრი ისეთი ყველასაგან აღიარებილი ავტორიტეტისა, როგორიც იყო მთელი გუბერნიის მებატონეთა ვექილი, და სტ. სოვ. ჩინით დაჯილდოებული, ნამესტნიკის კანცელარიის ყოფილი მმართველი და ნამესტნიკისავე საბჭოს ყოფილი წევრი დ. ი. ყიფიანი, რათ მოისურვებდა იგი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის კერძო აზრისა და მოხსენების მიღებას, კიდეც რომ ილიას ასეთი რამე წარედგინა? რა დიდი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა იმ დროს ილია ჭავჭავაძეს? ის სულ ახალგაზრდა, ძლივს 25 წლის ჭაბუკი იყო და თანაც ძალზე ღარიბი თავადიშვილი. თუ მაშინ იმას ვინმე იცნობდა, იცნობდა მხოლოდ, როგორც პოეტს, როგორც მწერალს, ავტორს „კაკო ყაჩაღისას", რაც მებატონეთა თვალში მას დიდ ნდობასა და სიყვარულს ვერ მოუპოებდა... გლეხების განთავისუფლების საქმეში მთავრობა ირჩევდა მხოლოდ **დიდ ჩინოვნიკებს, დიდ მემამულეებს,** რომლებსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ მოპოვებული თავის წოდებაში. მებატონეებიც თავისი წოდებრივი ინტერესების დაცვას ანდობდნენ დიდ მებატონეებს, რომლებისთვისაც წოდებრივი ინტერესების დაცვა მათი პირადი ინტერესების დაცვას მოასწავებდა.

ილია ჭავჭავაძე არ ეკუთვნოდა არც ერთი ამ კატეგორიის პირს; ის არც ჩინოვნიკი იყო მაშინ და არც დიდი მემამულე.

ამიტომ ადვილი მისახვედრია, თუ რატომ არ მოჰყვა ილია **რჩეულთა** რიცხვში.

აბა მიბრძანეთ, როგორ იქნებოდა კომიტეტის აქტებში ილიას აზრები, თუ ის არც ამ კომიტეტის წევრი ყოფილა და არც საექსპერტო კომისიისა. თუ ის არც თავადაზნაურობას აურჩევია და არც მთავრობას მიუწვევია?!

აქედან ცხადია, რომ იმ უსახელო

თ-დი ჭავჭავაძის საყურადღებო აზრი გლეხების მიწით განთავისუფლების შესახებ, რომელსაც ვკითხულობთ ნამესტნიკის კანცელარიის არქივში დაცულ აქტებში, ილია ჭავჭავაძეს არ ეკუთვნის"[1].

ასეთია პ. გელეიშვილის უმთავრესი არგუმენტი, რომლის საშუალებითაც ის ცდილობს უარყოს ი. ჭავჭავაძის ავტორობა. თუმცა მისი დასკვნა მცდარია, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ აქ იგი მსჯელობს სავსებით საფუძვლიანად და საქმის ცოდნით. მართლაც, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძის კერძო აზრს და, მით უმეტეს, კრიტიკულ წერილს გლეხთა განთავისუფლების პროექტზე მთავრობის ორგანოები არ მიიღებდნენ. ეს დებულება სადავო არ არის.

მაგრამ განა სწორედ ეს გარემოება არ ლაპარაკობს იმ აზრის სასარგებლოდ, რომ ილია ჭავჭავაძე, — თუ მას სურდა თავისი კრიტიკული შენიშვნები როგორმე გადაეცა ცენტრალური საგლეხო კომიტეტისათვის, — იძულებული უნდა ყოფილიყო, ეს შენიშვნები რომელიმე ავტორიტეტიანი პირის (კომიტეტის წევრის ან ექსპერტის) საშუალებით წარედგინა, ხოლო თავისი ავტორობა დაემალა?! ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ი. ჭავჭავაძე უაღრესად დაინტერესებული იყო და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გავლენა მოეხდინა გლეხთა განთავისუფლების საქმის მსვლელობაზე და, მაშასადამე, დაინტერესებული იყო მთავრობის პროექტის შეცვლით, მისი ძირფესვიანი გაუმჯობესებით. მაგრამ რა გზით შეეძლო მას პროექტის კრიტიკა და ცენტრალური საგლეხო კომიტეტის მუშაობაზე რაიმე გავლენის მოხდენა, თუკი მას უშუალოდ ცენტრალურ კომიტეტამდე ხელი არ მიუწვდებოდა? პ. გელეიშვილი გულმოდგინედ იკვლევს იმ მიზეზებს, რომელთა გამო ილიას არ შეეძლო თავისი კრიტიკული შენიშვნები მთავრობისათვის ოფიციალურად წარედგინა. მაგრამ მას [illegible] მოსდის, რომ მის მიერ მოშველიებული არგუმენტები სწორედ იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რის დამტკიცებაც ავტორს სურს.

ჩვენ განგებ ამოვწერეთ ასე ვრცლად პ. გელეიშვილის საკმაოდ კარგად არგუმენტირებული მსჯელობა, რადგან ცხადზე უცხადესად მიგვაჩნია, რომ იმ ფაქტების შუქზე, რომლებიც დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიას გააჩნია, ეს მსჯელობა აშკარად მეტყველებს არა ი. ჭავჭავაძის ავტორობის წინააღმდეგ, არამედ მის სასარგებლოდ.

მაგრამ პ. გელეიშვილის არგუმენტაცია და მსჯელობა ჩვენთვის საინტერესოა სხვა მხრივაც. საქმე ისაა, რომ იმ მკვლევარებს, რომლებიც ამტკიცებენ, ი. ჭავჭავაძე არ შეიძლებოდა ყოფილიყო „კრიტიკული შენიშვნების" ავტორიო, გააჩნიათ კიდევ ერთი „საბუთი", რომელსაც პ. გელეიშვილის არგუმენტები საფუძველს აცლის და აბათილებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ა. კიკვიძის ზემოთ უკვე ხსენებული მოსაზრება: „რაში დასჭირდებოდა ილიას დამალვა თავისი აზრისა, როცა სათავადაზნაურო შეკრებაზე საჯაროდ იცავდა იგი მას — გლეხთა მიწით განთავისუფლებას"-ო. როგორც დავინახეთ, თვით ისეთი ავტორიც კი, როგორიც პ. გელეიშვილია, რომელსაც ვერავინ დასწამებს ილია ჭავჭავაძის მომხრეობას, გვემოწმება, რომ ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში მას არ შეეძლო თავისი კრიტიკული შენიშვნების ოფიციალური გზით წარდგენა. მაშასადამე, თუკი ილია ჭავჭავაძეს სურდა გაეკრიტიკებინა მთავრობის პროექტი და თანაც ისე, რომ ამ კრიტიკას მთავრობის ხელმძღვანელ ორგანოებამდე მიეღწია და ამით ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა ყმა გლეხთა მდგომარეობა რეფორმის გზით (ხოლო რომ ეს ილიას სურდა, ამას ვერავინ უარყოფს), — **მისთვის აუცილებელი იყო თავისი აზრის ანონიმურად წარდგენა, რადგან სხვა გზა იმ პირობებში არ არსებობდა.**

[1] „ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოქალაქე", 1914 წ., გვ. 25-27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კიკვიძე თვითონვე მიგვითითებს ქრ. მამაცაშვილის მოგონებაზე, საიდანაც გარკვევით ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე კინაღამ ხანჯლით მოჰკლეს თავისი აზრის გამოთქმისათვის. მაგრამ განა ეს ფაქტიც სწორედ იმის საწინააღმდეგოდ არ მეტყველებს, რასაც ა. კიკვიძე გვიმტკიცებს? თუკი იმ კრებაზეც კი, სადაც ი. ჭავჭავაძე მიწვეული იყო და სადაც მას ხმის უფლება ჰქონდა, არავის სურდა მისი აზრის მოსმენა და ამისათვის მოკვლასაც კი უპირებდნენ, რაღად მოისმენდნენ და განიხილავდნენ მის აზრს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში, სადაც ის არავის მიუწვევია?!

ამრიგად, არ არსებობს არც ერთი ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი საბუთი ან არგუმენტი, რომელიც დაგვიმტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არ შეიძლებოდა ყოფილიყო „კრიტიკული შენიშვნების" ავტორი. პირიქით, იმდროინდელი სიტუაციის, აგრეთვე თვით ი. ჭავჭავაძის შეხედულებებისა და სულისკვეთების გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ანონიმი ავტორი სწორედ ილია ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მკითხველს წარმოვუდგინოთ უტყუარი საბუთები და არგუმენტები, რომლებიც დაგვანახვებენ, რომ ილია არა მარტო „უნდა ყოფილიყო", არამედ ნამდვილად იყო ავტორი „კრიტიკული შენიშვნებისა", მაგრამ მანამდე ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ კიდევ ერთ გარემოებაზე, რომელიც დაგვეხმარება უფრო ახლოს გავიცნოთ ილია ჭავჭავაძის იმდროინდელი მოქმედება და სულისკვეთება. გვინდა, სახელდობრ, შევეხოთ საკითხს: პრინციპულად დასაშვებად მიაჩნდა თუ არა ილია ჭავჭავაძეს თავისი აზრების გავრცელება ან სხვადასხვა ორგანოებში წარდგენა ანონიმურად, ე. ი. თავისი ავტორობის დამალვით?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც ორი საინტერესო შემთხვევა ი. ჭავჭავაძის იმდროინდელი მოღვაწეობიდან.

პირველი. ჯერ კიდევ 1860 წელს, როდესაც ი. ჭავჭავაძემ პირველად განიზრახა „ცისკარში" მოეთავსებინა უაღრესად მებრძოლი და კრიტიკული წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის" თარგმანზედა", მან გადაწყვიტა თავისი ავტორობა დაემალა არა მარტო მკითხველი საზოგადოებისათვის, არამედ თვით რედაქტორისა და ცენზორისთვისაც კი. ამასთან დაკავშირებით ილიამ საგანგებო წერილი მოსწერა პეტერბურგიდან თავის უახლოეს მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს. აი, რა იყო ნათქვამი ამ საინტერესო წერილში:

„საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიკო!

აი ამ სტატიასა გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმც სხვა გვარი აწერია: მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოააშკარაო არავისთან, ხელადებით არავისთან; იმისთვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა. ისე უნდა მოიქცე, რომ თითონ რედაქტორს და ცენზორსაც არ შეატყობინო; კანონით იმათ უთუოდ უნდა იცოდნენ, მაგრამ შენ, როგორც იყოს, სხვის მხრით დააჯერე ისინი, რო მართლა და აზნაური ზუმბერიძე მართალი გვარია და არა შოგონილი.

ამას გარდა, თუ ვინიცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარი როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან გაზეთში გიჩივლებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებსა თქო. ვიცი, კერესელიძეს თავად რ(ევაზ) შ(ალვას ძე) ერისთავისა ეშინიან და იქნება იმისთვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს უნდა მიუტანო, აქამდის ის ქალაქ-

ში იქნება მოსული. ესე, შენი ჭირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები ისე მოიქეც, ჩიკვაიძესთვის მე აქ ყველაფერი მითქომს, იმან თითონ იცის, როგორც მიუტანოს კერესელიძეს.

შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭავჭავაძე"[1].

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. მივყვეთ ქვემოთ.

მეორე. როგორც ცნობილია, 70-იანი წლების დასაწყისში, როცა კვლავ მეტისმეტად გამწვავდა ურთიერთობა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებს შორის, ი. ჭავჭავაძემ დაწერა და არალეგალურად გაავრცელა უაღრესად მწვავე პამფლეტები პატარა ლექსებად, სათაურით „გამოცანები", რომლებშიც სასტიკად იყო გამათრახებული რეაქციონური ბანაკის ბობოლა წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც ილიამ უმჯობესად ჩასთვალა თავისი ავტორობა დაემალა და ხსენებული პამფლეტები ხალხში ანონიმურად გაევრცელებინა. აი, რას სწერდა ამასთან დაკავშირებით ილია დუშეთიდან თავის ახლო მეგობარს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს დავით ერისთავს:

„დათიკო! გიგზავნი გამოცანებს, რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი. საქმე იმაშია, რომ არავინ — არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა — არ უნდა იცოდეს, ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ, დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, — ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, „ისინი" ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება.

გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორც უპატრო-ნებ"[1].

ამ წერილებიდან აშკარად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძეს არა თუ პრინციპულად დასაშვებად მიაჩნდა თავისი აზრების ანონიმურად გავრცელება, ან სხვადასხვა ორგანოებში წარდგენა, არამედ ხშირად პრაქტიკულადაც იყენებდა ამ კონსპირაციულ ხერხს. ეს მისი პრაქტიკული რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ყოფილა.

ამ წერილებიდან აშკარად ჩანს აგრეთვე, რომ ილია დიდი სიფრთხილით და მოხერხებით აწყობდა თავისი აზრების ანონიმურად გავრცელებას, წინასწარ გულდასმით ადგენდა გეგმას, შემდეგ კი ოსტატურად ანხორციელებდა მას რომელიმე თავისი ახლო მეგობრის საშუალებით; ამასთან, ეტყობა, ილია განსაკუთრებით ზრუნავდა იმისათვის, რომ არავის (მათ შორის მახლობელ ადამიანებსაც) არ გაეგო მისი საიდუმლო.

ამ წერილებიდან აშკარად ჩანს, დაბოლოს, რომ ი. ჭავჭავაძე ანონიმურად თავისი აზრების გავრცელებას თუ სათანადო ორგანოებში წარდგენას მიმართავდა განსაკუთრებით პასუხსაგებ მომენტებში, როცა ეს საქმის ინტერესებისათვის იყო საჭირო და აუცილებელი. ასეთი პასუხსაგები მომენტების რიცხვს უდავოდ მიეკუთვნება ზემოთ აღწერილი ორი შემთხვევა,—ის შემთხვევაც, როცა ილია პირველად ილაშქრებდა მკაცრი კრიტიკული წერილით გაბატონებული თავადაზნაურული იდეოლოგიის წინააღმდეგ და ის შემთხვევაც, როცა იგი სასტიკად ამათრახებდა ქართველი თავადაზნაურობის ყველა გამოჩენილ ლიდერს სწორედ საქართველოში მეფე ალექსანდრე მეორის ჩამოსვლის მომენტში (1871 წ.).

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სწორედ ასეთივე და კიდევ უფრო მეტადაც პასუხსაგები მომენტი იყო 1864 წელს, როცა დღის წესრიგში დაისვა

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. X. გვ. 23-24.

¹ იქვე, გვ. 33.

ყმა გლეხთა განთავისუფლების საკითხი. სწორედ ამ დროს უნდა გადაწყვეტილიყო საუკუნეებით ჩაგრული ქართველი გლეხის ბედი, რომელიც ასე აღელვებდა იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებას და პირველ რიგში „კაკო ყაჩაღის“ ავტორს; სწორედ ამ დროს უნდა განსაზღვრულიყო ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები, და განა ასეთ დროს ილია ჭავჭავაძეს შეეძლო განზე გამდგარიყო? განა ილიას შეეძლო ყველა ზომა არ მიეღო იმისათვის, რომ კაცთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილები დამსხვრეულიყო და გლეხთა მდგომარეობა, თუ ძირფესვიანად არა, ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესებულიყო? ცხადია, არ შეეძლო. ამიტომ სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ მან ამ შემთხვევაშიც მოიმარჯვა თავისი ნაცადი კონსპირაციული ხერხი.

მაგრამ ვისთვის უნდა მიენდო ილიას ამ შემთხვევაში თავისი ჩანაფიქრის განხორციელება?

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ზემოთხსენებულ ორ შემთხვევაში ილიას ადვილად შეეძლო თავის მრავალრიცხოვან მეგობრებსა და თანამებრძოლებს შორის ამოერჩია სანდო პირი, რომელიც პირნათლად შეუსრულებდა დავალებას, უკანასკნელ შემთხვევაში (საგლეხო რეფორმის დროს) მისი არჩევანი ძალიან შეზღუდული იყო. საქმე ისაა, რომ ამ დროს თავისი საიდუმლო მისიის ამსრულებელი მას უთუოდ ცენტრალური საგლეხო კომიტეტის ან ექსპერტების შემადგენლობიდან უნდა ამოერჩია, რადგან სხვას არავის არ შეეძლო ცენტრალურ კომიტეტში მისი „კრიტიკული შენიშვნების“ წარდგენა.

ვინც არ მოერიდება შრომას, ყურადღებით შეისწავლის ხსენებული კომიტეტისა და საექსპერტო კომისიის შემადგენლობა[1] და დაახლოებით მაინც გაითვალისწინებს თვითეული მათგანის დამოკიდებულება როგორც საერთოდ თერგდალეულთა თაობის, ისე კერძოდ ი. ჭავჭავაძის მიმართ, — ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ მათ შორის ყველაზე მისაღები და უეჭველი კანდიდატი, რომლისთვისაც ილიას შეეძლო თავისი საიდუმლოს განდობა, სწორედ მოსამართლე ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე იყო.

ასეთი დასკვნისათვის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: ჯერ ერთი, დასტურდება, რომ იმ ხანებში ილია ნიკო ჭავჭავაძესთან საკმაოდ ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა, ხოლო მეორეც, — ნიკო ჭავჭავაძე თავის წრეში (ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური საგლეხო კომიტეტისა და ექსპერტთა კომისიის წევრთა შორის) ყველაზე უფრო გაბედული მოწინააღმდეგე იყო (სიტყვიერად მაინც) ბატონყმური წეს-წყობილებისა და, მაშასადამე, იდეურად ყველაზე ახლოს იდგა ილიასთან.

ილიასა და ნიკო ჭავჭავაძის ახლო ურთიერთობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი თავმდებად (მეჯვარედ) ყოფილა ილიას ქორწილზე[1], რომელიც სწორედ იმ ხანებში, სახელდობრ, 1863 წლის აპრილში მოხდა. ასეთ საქმეს, ცხადია, მხოლოდ ახლო მეგობრებს ანდობენ ხოლმე. მაგრამ თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ ილიას ქორწინება ძალიან ძნელ ვითარებაში, თითქმის საიდუმლოდ მოხდა (მისი მომავალი მეუღლის მამისა და ახლო ნათესავების წინააღმდეგობის გამო), მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ ილია და ნიკო ჭავჭავაძე ახლო მეგობრები ყოფილან[2]. მართალია, შემდგომში

---

[1] მათი სრული სია იხ. ს. ავალიანის წიგნში «Крестьянский вопрос в Закавказье», ტ. I, გვ. 295—297.

[1] იხ. „ილია ჭავჭავაძის თხზულებანი“, ტ. I, 1914 წ., გვ. XXX.

[2] საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნიკო ჭავჭავაძესთან ერთად ილიას მეჯვარედ ყოფილა გამოჩენილი თერგდალეული და ილიას ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი დავით ყიფიანი (იხ. იქვე).

(დაახლ. 60-იანი წლების ბოლოდან) მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა და ახლო მეგობრული ურთიერთობა დაირღვა, მაგრამ ილიას ამ პერიოდის წერილებიდანაც კარგად ჩანს, რომ ნიკო ჭავჭავაძე დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მისი და მისი ოჯახის მახლობელ კაცად. მაგალითად, ილიას ერთ-ერთ წერილში მეუღლისადმი, რომელიც დაწერილია 1873 წელს, ნათქვამია: „ჩვენმა ნიკომ ძალიან დევნა დამიწყო სამსახურში. მე მეცინება იმის სულმოკლეობაზედ და არა ვწუხვარ კი. რაც უნდა ქნას, მე მაგდენს არაფერს დამაკლებს, ეს კია, რომ მეტად ცუდის გულის ადამიანი ყოფილა. ვწუხვარ, რომ ამოდენა ხანი ეგრე სულელურად მასზედ ვცდებოდი"[1].

ეტყობა, ნიკო ჭავჭავაძის ნამდვილი ბუნებისა და მიმართულების გამოცნობა არც ისე ადვილი საქმე ყოფილა, რაკი ილიაც კი შემცდარა მის შეფასებაში. მაგრამ ასეა თუ ისე, მაინც ფაქტია, რომ საგლეხო რეფორმის მომენტში (1864 წ.) ილია და ნიკო ჭავჭავაძე უდავოდ ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. მათ სიახლოვეს, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ განათლებით ორივენი იურისტები იყვნენ და როგორც კოლეგებს, ცხადია, ბევრი რამ ექნებოდათ საურთიერთო.

მაგრამ მათ ურთიერთობას, როგორც ითქვა, გარკვეული იდეური ნიადაგიც გააჩნდა. უდავო ფაქტია, რომ ნიკო ჭავჭავაძე საკმაოდ ენერგიულად გამოდიოდა ბატონყმობის წინააღმდეგ და აკრიტიკებდა ძველ წყობილებას. მართალია, მისი კრიტიკა ლიბერალიზმის ჩარჩოებს არ სცილდებოდა, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი გაბედული კრიტიკით იმ დროს მთელ საქართველოში თავადაზნაურთა კლასის მარტო ორმა წარმომადგენელმა შესძლო გამოსვლა: ნიკო ჭავჭავაძემ და გენერალმა კ. მამაცაშვილმა.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ილია და ნიკოლოზ ჭავჭავაძეები ერთად მსჯელობდნენ იმ ეპოქის ისეთ დიდმნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხზე, როგორიც ბატონყმობის გაუქმების საკითხი იყო, ერთადვე განიხილეს გლეხთა განთავისუფლების მთავრობისეული პროექტი, გაუზიარეს მის შესახებ აზრები ერთმანეთს და, ბოლოს, ნიკოლოზმა იკისრა თავისი მეგობრის „კრიტიკული შენიშვნების" წარდგენა იმ ორგანოში, სადაც ის ოფიციალურად იყო მიწვეული ექსპერტად, ილიას კი ხელი არ მიუწვდებოდა. თავისთავად ცხადია, რომ სხვისი დოკუმენტის წარდგენა ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ნიკო ჭავჭავაძეს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საკუთარი სახელით შეიტანდა, ხოლო ნამდვილი ავტორის გვარს საიდუმლოდ შეინახავდა.

ხოლო ყოველივე ეს რომ ნამდვილად ასე მოხდა და რომ, მამასადამე, „კრიტიკული შენიშვნების" ნამდვილი ავტორი ილია ჭავჭავაძეა, ამის უტყუარი საბუთია „კრიტიკული შენიშვნების" შინაარსის პირდაპირი დამთხვევა ილია ჭავჭავაძის აზრებთან. ასეთი დამთხვევის ფაქტი რომ მარტო ერთი, ან თუნდაც ორი იყოს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სხვადასხვა ავტორთა აზრების შემთხვევით დამთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე როდია.

ჩვენ გულდასმით შევისწავლეთ „კრიტიკული შენიშვნების" შინაარსი და შევადარეთ იგი ილიას პუბლიცისტურ ნაწერებს, — განსაკუთრებით მის ცნობილ ნაშრომს „ცხოვრება და კანონი", — რის შედეგად დავრწმუნდით, რომ საქმე გვაქვს არა სხვადასხვა ავტორთა აზრების შემთხვევით დამთხვევებთან, არამედ ერთსა და იმავე ავტორთან და ერთსა და იმავე აზრებთან; ჩვენ დავრწმუნდით, რომ „კრიტიკული შენიშვნების" შინაარსი მთლიანად და სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციას, ხოლო ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული ცალ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. X, გვ. 261.

კეული აზრები ხშირ შემთხვევაში პირდაპირ ემთხვევა, — ზოგჯერ ფრაზებიცა და დამახასიათებელი გამოთქმებიც კი, — ილიას აზრებს. მაშასადამე, აქ ყოველგვარი შემთხვევითობა გამორიცხულია.

იმისათვის, რომ მკითხველი თვალნათლივ დარწმუნდეს ჩვენი დაკვირვების სისწორეში, ქვემოთ მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს — „დამთხვევის" უდავო ფაქტებს, — რომლებიც ყოველ ეჭვს გარეშე დაგვანახვებენ, თუ ვინ იყო „კრიტიკული შენიშვნების" ნამდვილი ავტორი.

**მაგალითი პირველი.** უახლესი გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მემამულურ მიწათმფლობელობას სთვლიდნენ ისტორიულ უკანონობად, რომელიც ძალმომრეობის შედეგად წარმოიშვა და რომელიც ადრე თუ გვიან უნდა მოისპოს. გავიხსენოთ, მაგალითად, როგორ მსჯელობდა ი. ჭავჭავაძე მემამულური მიწათმფლობელობის წარმოშობის შესახებ: „ყველგან პირველ-ყამურ თემთა შორის — აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში — თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი... თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო, მეტ-ნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეკრული ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწის მფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო...

დროთა მიმავლობაში ეს წყობა შეიცვალა და კერძოობრივმა საკუთრებამ ძირი გაიკეთა...

რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ— დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სახით, თუ ცოტა-მეტ-ნაკლებობით, ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და ულონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა"[1].

მაგრამ რა გზით უნდა მოსპობილიყო ეს ისტორიული უსამართლობა?

ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს მშვენივრად ესმოდათ, რომ მემამულური მიწათმფლობელობისა და მასზე დამყარებული ბატონყმური წყობილების ძირფესვიანად მოსასპობად საჭიროა გლეხთა მასების რევოლუციური მოქმედება; ამიტომაც იყო, რომ ისინი მოუწოდებდნენ გლეხობას იარაღით ხელში გამოსულიყვნენ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ 60-იან წლებში გლეხთა მასების რევოლუციური მოძრაობა შედარებით სუსტი იყო, რამაც საშუალება მისცა ცარიზმს კუდმოკვეცილი რეფორმით დაკმაყოფილებულიყო. ასეთი ვითარების გამო იმდროინდელი რევოლუციონერები, რუსეთშიც და ჩვენშიც, იძულებულნი იყვნენ რეფორმის დროს ებრძოლათ ნაწილობრივი დათმობებისათვის, გლეხთა მდგომარეობის ნაწილობრივ მაინც შემსუბუქებისათვის. ამასთან თავიანთ უპირველეს ამოცანად მათ მიაჩნდათ გლეხებისათვის საკუთრებად იმ მიწების დატოვება, რომელიც ამ უკანასკნელთ ბატონყმობის დროს სახმარად ეჭირათ, — ყოველგვარი გამოსყიდვისა და ჩამოჭრის გარეშე. გლეხი უნდა გახდეს თავისი მიწის მესაკუთრე და პატრონიო, ამბობდნენ სამოციანი წლების რევოლუციონერები. მართალია, ასეთი მოთხოვნები არც ილიას და არც სხვა სამოციანელს ლეგალურ პრესაში არ შეეძლო

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 298—301.

თავისუფლად და დაუფარავად გამოეთქვა, მაგრამ მათ ნაწერებში მსგავსი აზრები მაინც გარკვევით გამოსჭვივის. აი, მაგალითად, რას ამბობს ი. ჭავჭავაძე „ცხოვრება და კანონში“:

„...დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გაიშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონს. მცირემ, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბობის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩესო. **რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს** (ხაზი ჩვენია. — პ. რ.), რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვის“ [1].

აქ ილიას აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ის გაკვრით არის გამოთქმული, მაინც სავსებით ნათელია: ის მიწა, რომელიც გლეხს უჭირავს და რომელსაც ის თავისი ოფლით ამუშავებს, მას ეკუთვნის და კანონმა გლეხი უნდა **ხცნოს მის მეპატრონედ** ანუ მესაკუთრედ. თავისთავად ცხადია, რომ თუ გლეხი ხსენებული მიწის მეპატრონედ იქნებოდა ცნობილი, ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნებოდა როგორც იმ მიწის რაიმე გამოსყიდვაზე, ისე იმ მიწისგან რაიმე ნაწილის ჩამოჭრაზე.

მაგრამ ეს რევოლუციური აზრი რეფორმის დროს არ მიიღეს და გლეხს წაართვეს ის მიწა, რომელსაც იგი საუკუნეების განმავლობაში ოფლით რწყავდა და რომელიც მას თავის საკუთრებად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ გამოვიდა ი. ჭავჭავაძე რეფორმის მკაცრი კრიტიკით და გადაჭრით იბრძოდა იმისათვის, რომ მთავრობას შეეცვალა გლეხთა განთავისუფლების დებულების ის მუხლები, რომლებიც განსაკუთრებით სულს უხუთავდა გლეხობას; ამით მას სურდა ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა ქართველი გლეხობის მდგომარეობა, რომელიც საგლეხო რეფორმამ გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო გააუარესა.

იმავე „ცხოვრება და კანონში“ ილია ამბობს:

„გამოიცვლება 172 მუხლის ძალითა აწინდელი წილადობილი ღალა და კულუხი თუ არა, მაინცადამაინც ამას ვიტყვით, რომ ეს არ არის გვირგვინი ბატონყმობის საქმისა. ეგ შუა გზაა, უკეთესი მასზედ, რაც არის, და უარესი მასზედ, რაც სანატრელია. მაგაზედ გაჩერება ყოვლად შეუძლებელია. დღეს თუ ხვალე **საჭიროება მოითხოვს, რომ გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას**“ [1] (ხაზი ჩვენია. — პ. რ.).

ამ ამონაწერებიდან ცხადია: ილიას სანატრელი სურვილი ის ყოფილა, რომ „გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ ეცნოთ“, ხოლო რაკი ეს რეფორმის დროს არ მოხდა, ის შემდეგაც განაგრძობს ბრძოლას იმისათვის, რომ დღეს თუ ხვალე „გლეხი მიწის პატრონად შეიქმნას“.

ასეთია ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს მისი მსოფლმხედველობის გასაგებად.

ვნახოთ, რამდენად ემთხვევა ეს თვალსაზრისი „კრიტიკულ შენიშვნებში“ გამოთქმულ თვალსაზრისს.

„კრიტიკული შენიშვნები“ უაღრესად ვრცელი და ღრმა შინაარსის შემცველი დოკუმენტია; მასში მეცნიერული საფუძვლიანობით არის განხილული და მკაცრად გაკრიტიკებული საგლეხო რეფორმის მთავრობისეული პროექტის თითქმის ყველა ძირითადი დებულება (ასოცამდე მუხლი). მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს დოკუმენტი თერგდალეულთა მთლიანი პროგრამა როდია; თუ მხედველობაში მივიღებთ, ერთი მხრივ, იმ ვითარებას, რომელშიც „კრიტიკული შენიშვნები“ დაიწე-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 232-233.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 241.

რა (რუსეთში უკვე გატარებული იყო ისეთი კუდმოკვეცილი საგლეხო რეფორმა, როგორსაც ჩვენებური რეფორმის პროექტი ითვალისწინებდა, ხოლო ჩვენი თავადაზნაურობა იბრძოდა მასზე გაცილებით უფრო რეაქციული რეფორმისათვის), ხოლო, მეორე მხრივ, იმ კონკრეტულ მიზანს, რომელსაც მისი ავტორი ისახავდა (ნაწილობრივი დათმობები), ადვილად მივხვდებით, რომ ამ დოკუმენტში არ შეიძლებოდა რევოლუციური დემოკრატიის ყველა ძირითადი მოთხოვნა ყოფილიყო წამოყენებული; მიუხედავად მისა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის ის ძირითადი თვალსაზრისი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, „კრიტიკულ შენიშვნებში" დასაწყისშივე გარკვევით არის ჩამოყალიბებული და შემდეგაც მთელ დოკუმენტს წითელ ზოლად გასდევს თავიდან ბოლომდე. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„ყველაფერი, რასაც გლეხი ამჟამად ფლობს და რითაც ის სარგებლობს, საჭიროა მასვე დავუტოვოთ" [1]...

და შემდეგ:

„გლეხებს არაფერი არ შეიძლება ჩამოვაჭრათ (ლაპარაკია მიწების ჩამოჭრაზე. — პ. რ.), მათ ისედაც ყველაფერი ჩამოჭრილი აქვთ. საეჭვოა ნებაყოფლობითი შეთანხმების იმედი ვიქონიოთ იქ, სადაც გლეხი ცნობს მიწაზე თავის უფლებას და სადაც ეს უფლება მას ერთმევა" [2] (ხაზი ჩვენია. — პ. რ.).

ასეთი აზრები მრავლად არის გაბნეული „კრიტიკულ შენიშვნებში". ისინი უდავოდ მოწმობენ, რომ მისი ავტორი მომხრეა, გლეხები იცნონ იმ მიწების პატრონად ანუ მესაკუთრედ, რომლებიც მათ ეჭირათ, — ყოველგვარი ჩამონაჭრებისა და გამოსყიდვის გარეშე.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძის აზრის დამთხვევა ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში „კრიტიკული შენიშვნების" ავტორის აზრთან, უდავოა.

მაგალითი მეორე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც რეფორმის დროს უაღრესად მწვავე ბრძოლის საგანი გახდა, ეს იყო გლეხისათვის მისაცემი მიწის ოდენობის საკითხი.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ, რევოლუციური მოძრაობის გავლენით და გლეხთა „ბუნტების" შიშით, უარყო რეაქციონერ მემამულეთა მოთხოვნა გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების შესახებ, რუსეთშიც და ჩვენშიც მწვავედ დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მიწა („ნადელი") მისცემოდა გლეხს. ქართველი თავადაზნაურობის საუკეთესო ნაწილიც კი (ლიბერალები) მოითხოვდნენ, ან სრულებით არ მიეცათ გლეხისათვის მიწა, ანდა მიეცათ ძალიან მცირე რაოდენობით. მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ არაერთგზის ხსენებულ „საერთო შენიშვნებში", რომელიც უდავოდ ნიკო ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის, ნათქვამია, რომ გლეხისათვის 4-5 დღიური მიწა სავსებით საკმარისი არისო [1].

ვნახოთ ახლა, როგორ არის ეს საკითხი გადაწყვეტილი ი. ჭავჭავაძის ნაწერებში და რამდენად ემთხვევა ილიას აზრი „კრიტიკულ შენიშვნებში" გამოთქმულ აზრს.

წერილში „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" ილია ამბობს: „დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯრებში ყოველთვის ხმარებული სიტყვა „საკომლო" იმის საბუთია, რომ მამულის ჭერის საქმეშიაც ნიშანში ამოღებული კომლი ყოფილა და სხვა არა რა. „საკომლო" ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა

---

[1] «Все, чем владеет и пользуется ныне крестьянин, нужно оставить за ним...» („საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 293).

[2] «...У крестьян ничего нельзя отрезывать, у них без того все отрезано. Едва ли добровольные соглашения будут иметь успех там, где крестьянин признает свое право на землю и где это право у него отнимается». იქვე, გვ. 285.

[1] იქვე, გვ. 323.

და მამულის უდიდეს ზომასაც. სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო: ზოგან ათი დღიური, ზოგან ოცი, ზოგან ორმოცი და სამოციცა. აშკარადა ჩანს, რომ ეგ „საკომლოს“ სიდიდე იმაზედ იყო დამოკიდებული, — სად რამდენი მამულია საკმარისი ცალკე კომლის სარჩენად და სახელმწიფო და სასოფლო სამსახურის გადასახდელად“ [1].

და შემდეგ:

„ჩვენ არსად არ შეგვხვედრია, სადმე „საკომლო“ ათს დღიურზედ ნაკლები ყოფილიყოს და სამოცზედ მეტი. ზოგნი ამბობენ, ოთხმოცი დღიურიც ყოფილა თურმე“ [2].

სხვა ადგილას, სახელდობრ, ნაშრომში „ხიზნების საქმის თაობაზედ“ ილია კვლავ ეხება ამ საკითხს და გადაჭრით ამბობს: „ცნობილია, რომ ერთს კომლს კაცს სულ ცოტა-ცოტა ათი დღის მიწა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ თავის მამულის ანაბარას დარჩეს და თავი ირჩინოს ცოლშვილითა“ [3].

ამ ამონაწერებიდან **აშკარად ჩანს,** რომ ილიას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გაეზიარებინა „საერთო შენიშვნების“ ავტორის აზრი, გლეხს 4-5 დღიური მიწა ეყოფაო; აქედან აშკარაა ისიც, რომ მას დაუშვებლად მიაჩნდა გლეხისათვის ათ დღიურზე ნაკლები „ნადელის“ მიცემა.

მაგრამ, როგორც ცნობილია, მთავრობა თვითონვე გახდა იძულებული ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ ჩვენშიც დაეწესებინა ნადელის ისეთი ზომა, რომელიც აუცილებელი იყო გლეხის არსებობისათვის. ამიტომაც იყო, რომ გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტით, რომელიც თბილისის გუბერნიის ყმა გლეხობას შეეხებოდა, საყანე ნაკვეთების უმაღლეს ზომად (მე-8 მუხლით) წესდებოდა: სარწყავ მიწებში ათი დღიური მიწა, ხოლო ურწყავ მიწებში — ოცი დღიური მიწა. როგორც ვხედავთ, „ნადელის“ ასეთი ზომა ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფდა იმ მინიმუმს, რომელიც, ილიას აზრით, აუცილებელი იყო გლეხის არსებობისათვის. ამიტომ ი. ჭავჭავაძეს არსებითად აღარ ჰქონდა საფუძველი გაეკრიტიკებინა პროექტის ეს მუხლი.

და მართლაც, რას ვხედავთ „კრიტიკულ შენიშვნებში“? როდესაც ავტორი იხილავს მე-8 მუხლს, ის თავს იკავებს მისი არსებითად გაკრიტიკებისაგან და მხოლოდ მცირე სარედაქციო შენიშვნით კმაყოფილდება [2]. ეს შენიშვნა პროექტში ჩამოყალიბებული აზრის უფრო ნათლად გამოთქმას ეხება, რაც იმის უდავო მაჩვენებელია, რომ ავტორი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს გლეხისათვის 10-20 დღიური „ნადელის“ მიცემას.

აქედან ცხადია, რომ ი. ჭავჭავაძის და „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა ერთმანეთს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხშიც, როგორიცაა გლეხისათვის მისაცემი „ნადელის“ ოდენობის საკითხი.

**მაგალითი მესამე.** უახლესი გამოკვლევებით სავსებით დამტკიცებულია, რომ სამოციანელები, საერთოდ, და ი. ჭავჭავაძე, საკუთრივ, გადაჭრით ებრძოდნენ კაპიტალიზმის განვითარების ე. წ. „პრუსიულ გზას“ და მოითხოვდნენ კანონის წინაშე მემამულისა და გლეხის გათანაბრებას, მათ შორის უფლებისა და მოვალეობის თანაბრად განაწილებას. ამ საკითხზე ილიას პოზიციისათვის მეტად დამახასიათებელ მსჯელობას ვხედებით „ცხოვრება და კანონში“, სადაც ნათქვამია, რომ ევროპაში არის ერთი „სახელმწიფო, რომელიც ამგვარებში (რეფორმების საქმეში. — პ. რ.) ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და რომელიც

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 341.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 301.

[1] იხ. დებულების პროექტის მე-8 მუხლი ს. ავალიანის წიგნში «Крестьянский вопрос в Закавказье», ტ. II, 1913 წ., გვ. 169.

[2] „საისტ. მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 286.

ამგვარებში დღესაც იმ აზრებით სულდგმულობს და მოქმედებს, როგორც ნეტარ-ხსენებულ ბატონყმობის დროსო".

„ეს სახელმწიფო, — განაგრძობს ილია, — გახლავთ გერმანია და უფრო განათლებული პრუსია... უკანასკნელი საპროვინციალო წესდება პრუსიისა, მის გამო გაცხარებული ბაასი პარლამენტში, ცხადად ამტკიცებს, — იქაური... მიწათმფლობელი თავადაზნაურობა სადა სცემდა: **ყველა ტვირთი გლეხსაო, ყველა შვება ჩვენაო** (ხაზი ჩვენია. — პ. რ.). დაწინაურებული თაობა კი ეუბნებოდა, შვებაც მიიღე გლეხთან ერთადო და ტვირთიცაო"[1].

ზუსტად ასევე მსჯელობს „კრიტიკული შენიშვნების" ავტორიც. აკრიტიკებს რა პროექტის 93, 94 და 95 მუხლებს, ის ამბობს: „ამ მუხლებით, და საერთოდ დანარჩენი მუხლებითაც, **ყველა უფლება მემამულეს ეძლევა, ყველა მოვალეობა კი გლეხს ეკისრება**"[2] (ხაზი ჩვენია. — პ. რ.).

სხვა ადგილას ავტორი კვლავ უბრუნდება მემამულესა და გლეხს შორის უფლება-მოვალეობის განაწილების საკითხს და ამბობს:

„მე ვფიქრობ, ორივე მხარეს ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს... თუ მემამულეს ეძლევა თავისი მიწის გამიჯვნის უფლება, მაშინ ასეთივე უფლება უნდა მიეცეს გლეხსაც"[3].

როგორც ვხედავთ, აქ არა მარტო აზრების შინაარსობრივი დამთხვევაა, არამედ გამოთქმებიც თითქმის ერთნაირია.

საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძე ძალიან ბევრს წერდა ადამიანთა შორის უფლება-მოვალეობის სამართლიანი განაწილების აუცილებლობაზე; იგი ხშირად იმეორებდა, ადამიანის უფლება-მოვალეობა განუყოფელიაო, არ არსებობს უფლება უმოვალეობოდ და მოვალეობა უუფლებოდო.

სწორედ ასეთი ნათქვამი (და თანაც ხაზგასმით) „კრიტიკულ შენიშვნებშიც": „თუ გლეხს მიეცა **უფლება**, ამით, მაშასადამე, მემამულეს დაეკისრა **მოვალეობა** უსათუოდ დაუთმოს (მიწის) ნაკვეთები მას, ვისაც აქვს უფლება"[1].

ამ სტრიქონების ავტორი ძნელი გამოსაცნობი არ არის: ლომი ბრჭყალებით იცნობაო, ნათქვამია!

**მაგალითი მეოთხე.** ასევე აშკარა და თვალსაჩინოა აზრებისა და გამოთქმების დამთხვევა „ნადელის" გამოსყიდვის წესის საკითხში. დავაკვირდეთ, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის ამ სტრიქონებს:

„ყველაზედ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ნაყმევთა მამულების დახსნას ხელს უშლის და დიდად აბრკოლებს, ის არის, რომ ნაყმევი მამულს ვერ იყიდის, თუ მებატონე ამას არ მოიწადინებს"[2].

ან:

„ის კი არ უნდა ეფიქრათ, გლეხი მამულის სყიდვას არ ინდომებსო, ფიქრი მებატონისა უნდა ჰქონოდათ, რომ იგი მამულს არ გაჰყიდდა. ამის წამალი უნდა მოეპოვებინათ"[3].

ასე გულისტკივილით ლაპარაკობდა ამ საკითხზე ილია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. აქედან ცხადია, რომ თვით რეფორმის დროს მას უნდა მოეთ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 255.

[2] «По этим, да и вообще по всем другим параграфам, все права предоставляются помещикам и все обязанности налагаются на крестьян» („საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 301).

[3] «Обе стороны, мне кажется, должны иметь одинаковые права... Если право требования отдела своих земель представлено помещику, то такое же право должно быть дано и крестьянину» (იქვე, გვ. 295).

[1] «Если крестьянину дано **право**, то, следовательно, на помещика наложена **обязанность** непременно уступить эти участки тому, кто имеет право» (იქვე, გვ. 305).

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952 წ., გვ. 245.

[3] იქვე, გვ. 243.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვა ისეთი სავალდებულო წესის დადგენა, რომლის ძალით გლეხისათვის კი არ იქნებოდა ნადელის გამოსყიდვა სავალდებულო, არამედ მემამულისათვის იქნებოდა სავალდებულო — დაეთმო ნადელი გლეხისათვის.

და მართლაც, „კრიტიკულ შენიშვნებში" ვკითხულობთ:

„სავალდებულო მემამულისათვის უნდა იყოს, რომ დაუთმოს ნადელიდან გლეხებს, გლეხისათვის კი არ უნდა იყოს სავალდებულო გამოსყიდვა"[1].

შემდეგ:

„თუ თქვენ დაუშვებთ სავალდებულო გამოსყიდვას მხოლოდ გლეხებისათვის და მემამულეებს გაანთავისუფლებთ სავალდებულო გაყიდვისაგან, ამით თქვენ დიდ შეცდომას ჩაიდენთ, იმიტომ, კერძოდ, რომ ამგვარი წესრიგით თქვენ დაუშვებთ გლეხთა ჩაგვრის კიდევ ერთ ზედმეტ შესაძლებლობას"[2].

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ამიტომ მივყვეთ ქვემოთ.

**მაგალითი მეხუთე.** ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის გადამწყვეტ პირობად სთვლიდა გლეხის ეკონომიურ დაინტერესებულობას, რასაც შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდა უნდა გამოეწვია. ამ საფუძველზე ის კატეგორიული წინააღმდეგი იყო მამულის წილზედ-ჰერისა საერთოდ და ე. წ. მეოთხედობისა კერძოდ. ამასთან დაკავშირებით „ცხოვრება და კანონში" ილია ასე მსჯელობდა:

„ეკონომიურის მხრით წილზედ-ჰერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ მაინცა და მაინც მავნებელი შედეგი მოსდევს. რადგანაც აქ ნაშრომის გაყოფაში, ცოტად თუ ბევრად [illegible] წილი უდევს, გლეხს არ ექნება ისეთი ხალისი, ისეთი თავგამოდებითი მხნეობა შრომისათვის, როგორც იმას, რომელიც თვის საკუთრებაზედ მუშაობს, მაშასადამე, შრომა გლეხისა იმოდენად ნაყოფიერი არ უნდა იყოს, რამოდენადაც ეგ შესაძლოა. ეს ერთი. მეორე, — მიწის განოყიერებისათვის გლეხი ხარჯს ვერ გაიმეტებს, იმიტომ რომ ამ ხარჯში მონაწილე არ უდგება და წილი კი სრულად მიაქვს... გადაკვეთილს ღალას კი ის სიკეთე მაინც მოსდევს, რომ ბევრია თუ ცოტა, გლეხს ხელს არ უშლის მამულის გაკეთებისათვის ხარჯი გასწიოს, უფრო მედგრად იმუშაოს, უფრო დიდი მხნეობა და მეცადინეობა იხმაროს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მომეტებულის ხარჯისა და შრომის მონაგები სრულად მისია. აქ ღალას მიწის ქირის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და არა შრომის ნაყოფის გაწილადებისა. აქ შრომა, ცოტად თუ ბევრად, თავისუფალია, და რამოდენადაც თავისუფალია, იმოდენად ყოვლადშემძლებელიც არის"[1].

საკითხის სწორედ ასეთივე დაყენებას და ასეთსავე არგუმენტაციას ვხვდებით „კრიტიკულ შენიშვნებშიც". ამ დოკუმენტში მიწით სარგებლობის გადასახადის ის წესი, რომელსაც მთავრობის პროექტის 170-ე მუხლი ითვალისწინებდა, გაკრიტიკებულია გლეხის იმავე ეკონომიური დაინტერესებულობის პრინციპის თვალსაზრისით. მთავრობის პროექტში ნათქვამი იყო, რომ თავადაზნაურთა საგუბერნიო საკრებულოს ნება ეძლევა გაუდიდოს გლეხს მიწის გადასახადი, თუ მემამულე დაასაბუთებს, რომ მისი მიწა კარგ შემოსავალს აძლევს გლეხსო. ე. ი. რაც უფრო ნაყოფიერად იმუშავებდა გლეხი, მით უფრო მეტი გადასახადი უნდა ეძლია მას მემამულისათვის, რაც უთუოდ შეანელებდა შრომის სტიმულს. ამით

[1] «Обязательная уступка крестьянам из надела должна быть поставлена для помещика, а не для крестьянина обязательный выкуп» („საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 308).

[2] «Если вы допустите обязательный выкуп только для крестьян и избавите от обязательной продажи помещиков, то вы слишком ошибетесь потому, собственно, что в подобном порядке вещей вы допустите еще одну излишнюю возможность угнетения крестьян» (იქვე, გვ. 308—309).

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952 წ., გვ. 237—238.

აიხსნება, რომ პროექტის ამ მუხლის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი, რომელიც შემდეგნაირად მსჯელობს: „...არ არის საჭირო ამ მუხლის მიღება, — მას შეუძლია მხოლოდ გაუთავებელი კამათი და უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ ის განსაკუთრებით საშინელი იარაღი იქნება გლეხების წინააღმდეგ, რომლებიც არასოდეს არ იქნებიან იმის მოლოდინში, რომ მათი ვალდებულებანი ერთხელ და სამუდამოდ განისაზღვრება და, მაშასადამე, არ შეიცვლება, და თუ მათში ეს იმედი მოისპო, მაშინ არ შეიძლება მოველოდეთ მათგან თავიანთი კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ რაიმე მისწრაფებას, იმიტომ რომ როგორც კი ისინი თავიანთ მიწას გააუმჯობესებენ და მისგან მეტ სარგებლობას მიიღებენ, მაშინვე, ამ მუხლის ძალით, მემამულეები მოუმატებენ ფასს თავიანთ მიწაზე, და გლეხი ხელცარიელი დარჩება, და მთელი მისი შრომა, მთელი მისი მოღვაწეობა სრულებით გაქარწყლდება“ [1].

ასე მსჯელობს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი. არა გვგონია საძაგო იყოს ამ აზრების მსგავსება და პირდაპირი დამთხვევა ი. ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ აზრებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაგალითი მეექვსე.** განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ილიას აზრი დროებითვალდებულობის წინააღმდეგ და მისი გეგმა რეფორმის დროს გლეხთა დაუყოვნებლივ და სრული განთავისუფლების შესახებ, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება „კრიტიკულ შენიშვნებში“.

ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ნაწერების გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ რეფორმების ხანაში მას და მის თანამებრძოლებს შემუშავებული ჰქონდათ თავისებური „პროგრამა-მაქსიმუმი“ და „პროგრამა-მინიმუმი“. პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელების იმედებს სამოციანელები სახალხო აჯანყებას უკავშირებდნენ, მაგრამ, როგორც ვიცით, გლეხთა მოძრაობა იმ დროს შედარებით სუსტი იყო და არ არსებობდა პირობები სამოციანელთა სოციალურ-პოლიტიკური იდეალების სრული განხორციელებისათვის. ამიტომ იყო, რომ პრესაში და თავადაზნაურთა კრებებზე ისინი გაფთრებით იბრძოდნენ ნაწილობრივი დათმობებისათვის, ე. ი. „პროგრამა-მინიმუმის“ განხორციელებისათვის.

ამ ტაქტიკის სრული შესაბამისობით მოქმედებდნენ თერგდალეულები საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების მთელ პერიოდში. როცა თერგდალეულებმა დაინახეს, რომ არ ხერხდება გლეხი იცნონ მისი ოფლით მორწყული მიწის მეპატრონედ (ე. ი. დაუტოვონ მას მიწა ყოველგვარი გამოსყიდვისა და ჩამოჭრების გარეშე), ისინი იძულებული გახდნენ წამოეყენებინათ კომპრომისული გეგმა („მინიმუმი“), რომლის კონტურები საკმაოდ ნათლად მოჩანს ილიას „ცხოვრება და

[1] «...Не для чего принимать этой статьи,— она только может породить нескончаемые споры и неудовольствия, но в особенности она послужит страшным орудием против крестьян, которые никогда не могут ожидать, что обязанности их раз и навсегда определены и, следовательно, не подлежат изменению, и если в них эта надежда будет уничтожена, то нет никакой возможности ожидать от них никакого стремления к улучшению своего благосостояния, потому что как только они станут улучшать земли и получать большие выгоды, то сейчас, по силе этой статьи, помещики набавят цены на свои земли, и он останется ни при чем, и весь его труд, все его старание, вся его деятельность уничтожены будут в пух и в прах» („საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 312).

კანონში“. ეს გეგმა სავსებით უარყოფდა ე. წ. დროებითვალდებულთა ინსტიტუტს და მოითხოვდა, რომ მემამულესა და გლეხს შორის დაუყოვნებლივ და საბოლოოდ გაწყვეტილიყო ყოველგვარი იძულებითი დამოკიდებულება.

„მცირემ, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებისამ, — ამბობს ილია და, ცხადია, ამ „უკეთეს ნაწილში“ თერგდალეულებს გულისხმობს, — მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობიაო, **ეხლავე** (ხაზი ჩემია. — პ. რ.) ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა, ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევანზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულად უარჰყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედა-აზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც“ [1].

ამ უაღრესად საინტერესო მსჯელობიდან სრულიად გარკვევით მოჩანს ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ თერგდალეულების პოზიცია, მათი „პროგრამა-მინიმუმი“. სწორედ ასეთივე პროგრამა და ასეთივე თვალსაზრისია ჩამოყალიბებული „კრიტიკულ შენიშვნებშიც“, სადაც ნათქვამია:

„წესები, რომლებიც ბეგარა-გადასახადების დროულად შეტანის უზრუნველსაყოფად არის გათვალისწინებული (ლაპარაკია დებულების პროექტის 178—193 მუხლებზე. — პ. რ.), გამოიწვევს საშინელ უკმაყოფილებას, რომლის აცილება თითქმის შეუძლებელი იქნება. სავსებით უარვყოფ რა სავალდებულო დამოკიდებულებას, რომელიც მხოლოდ ყოველგვარი უსიამოვნების წარმოშობის მიზეზი იქნება, მე უნდა დავსძინო, რომ გლეხთა საკითხის გაწყვეტა უნდა დაფუძნდეს სრულიად სხვა საწყისებზე, სახელდობრ, მემამულის ინტერესების გლეხის ინტერესებისაგან საბოლოოდ გამოყოფის საწყისებზე; მათ შორის უნდა გაწყდეს ყოველგვარი ძაფი, რომელიც მათ ძალდატანებით ერთმანეთთან აკავშირებს; უამისოდ არ არის გამოსავალი და ყოველგვარი სხვაგვარ საწყისებზე გადაწყვეტა გლეხთა საკითხისა, იქნება არა საბოლოო გადაწყვეტა, არამედ გაგრძელება, ოღონდ სხვა ფორმით, ბატონყმური მდგომარეობისა, რომელიც დროთა განმავლობაში ისევ ისე მოსასპობი იქნება, როგორც ძველი ბატონყმობა. ხელახლა რომ არ დაგვჭირდეს გლეხთა საკითხის დაყენება და გადაწყვეტა, მე აუცილებლად მიმაჩნია **ეხლავე** (ხაზი ჩემია. — პ. რ.) გადაწყდეს ეს საკითხი საბოლოოდ, და... დაწესდეს საბოლოოდ გამოყოფა გლეხებისა მათთვის ბოძებული ნადელითურთ მემამულესთან ყოველგვარი სავალდებულო დამოკიდებულებისაგან. ასეთი გამოყოფა განხორციელდეს გლეხის ნადელის გამოსყიდვის გზით. გამოსყიდვა

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებ., ტ. III, 1952 წ., გვ. 232—233.

მოხდეს მთავრობის დახმარებით და გლეხების სახსრებით“ [1].

ზედმეტია მტკიცება, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ი. ჭავჭავაძის აზრებთან „კრიტიკული შენიშვნების“ აზრების პირდაპირ და უდავო დამთხვევასთან.

**მაგალითი მეშვიდე.** ყველასათვის ცნობილია, რომ იმ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განსაზღვრისას, რომელიც ძველი წყობილების ნანგრევებზე უნდა აღმოცენებულიყო, ი. ჭავჭავაძე ხშირად მიმართავდა ხალხის ადათ-ჩვეულებებს, როგორც ისეთ საშუალებას, რომელიც მეფის მთავრობის უკულმართ კანონებს უნდა დაპირისპირებოდა და ხალხის უფლებები ნაწილობრივ მაინც დაეცვა. ხალხის ჩვეულებით საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული ადათ-წესები, რომლებიც, ილიას აზრით, თვით ჩვენი ცხოვრების ნაყოფი იყო, ხშირად გაცილებით უფრო მისაღები იყო ხალხისათვის, ვიდრე მეფის მთავრობის კანონები. გლეხსაც და მემამულესაც, ილიას ფიქრით, უფრო ადვილად შეეძლოთ ჩვეულებით განმტკიცებული წესების მიღება, გაგება და დაკანონება. ამიტომაც რეფორმის დროს ახალი კანონების შედგენისას, ილიას აზრით, შესწავლილი და სათანადოდ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ჩვენი ხალხის წეს-ჩვეულებები. მაგალითად, „ცხოვრება და კანონში“ ილია, — იმ ადგილას, სადაც დროებითვალდებულ გლეხთა გადასახადების ოდენობისა და ხასიათის საკითხს შეეხება, — გადაჭრით გმობს საგლეხო რეფორმის დებულებით დადგენილ კანონს და აშკარა უპირატესობას აძლევს ჩვეულებას. აი მისი სიტყვები:

„იმ გზით და სახით, რა გზითაც და სახით ნაჩვენებია დებულებაში, გლეხის აწინდელის გარდასახადის გადაკვეთა ჯერ შეუძლებელია და მერე, თუნდაც შესაძლო იყოს, **ერთს მხარეს მოვალეობას უმძიმებს და მეორეს ამით არას მატებს** (ხაზი ჩემია. — პ. რ.). ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ წილზედ-პერას შველა არა აქვს, არსაიდამ მოევლება. შველა აქვს და ძალიან ადვილიცა, ოღონდ კი მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახვებს ხსნის გზასა... სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა, — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ რომ ეგ ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომლად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ. ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და სახე, და ყოველ ამის კვალად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღალა თავ-თავისის ადგილის მიხედვითა“ [1].

1 «Правила об обеспечении исправного взноса повинностей поведут к страшным неудовольствиям, которых едва ли будет возможно предотвратить. Опровергая вовсе обязательные отношения, из которых возможно только порождение всех этих неприятностей, я должен присовокупить, что решение крестьянского вопроса должно быть основано совершенно на других началах, именно на началах окончательного отделения интересов помещика от интересов крестьянина, между которыми должна быть прорвана всякая нить, связывающая их насильно между собою, — без этого нет исхода, и всякое решение крестьянского вопроса на иных началах не будет окончательным решением, а только продлением, только в другой форме, крепостного состояния, долженствующего современем уничтожиться точно так же, как и старое крепостное право. Во избежание нового решения и поднятия крестьянского вопроса, я признаю необходимым теперь же его порешить окончательно, и... определить окончательное отделение крестьян с предоставляемым им наделом от всяких обязательных отношений к помещику. Такое отделение совершить посредством выкупа назначенного крестьянам надела. Выкуп произвесть при помощи правительства и на средства крестьян» („საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 313).

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952 წ. გვ. 240.

ზუსტად ასევე მსჯელობს „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორიც. ის ამბობს:

„ხალხის ჩვეულებამ ხომ შესძლო დაედგინა გადაკვეთილი გადასახადი მიწით სარგებლობისათვის, რატომ კანონს არ შეუძლია პატივი სცეს ხალხის გონებას მით უმეტეს მაშინ, როცა თვითონ იგი გლეხთა საქმის დამთავრების პრინციპად ნადელის მფლობელობისა და მასზე გადასახადის მუდმივობას აღიარებს. რა საჭიროა დავუშვათ გამონაკლისები საერთო წესიდან, როცა **ეს გამონაკლისები ხალხის შევიწროვებას იწვევენ და იმათ კი ვერ იცავენ, ვის სასარგებლოდაც ისინი დაშვებული არიან**“[1] (ხაზი ჩემია. — პ. რ.).

მკითხველი, რა თქმა უნდა, შეამჩნევს, რომ აქ მოყვანილ ციტატებში არა მარტო აზრების შინაარსობრივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, არამედ აზრის გადმოცემის თვით ფორმაც (განსაკუთრებით ხაზგასმულ ადგილებში) თითქმის ერთნაირია.

ამგვარი ციტატები და ამგვარი მაგალითები, რომლებიც თვალნათლივ და უდავოდ გვიჩვენებენ ი. ჭავჭავაძის აზრების პირდაპირ დამთხვევას „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის აზრებთან, შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმისათვის, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ანონიმ ავტორში „ცხოვრება და კანონის“ სახელოვანი ავტორი დავინახოთ.

ფრიად საყურადღებო ფაქტია: „კრიტიკული შენიშვნები“ იწერებოდა სულ სხვა ვითარებაში და სხვა მიზნით, ვიდრე „ცხოვრება და კანონი“; უფრო მეტიც: „კრიტიკული შენიშვნები“ და „ცხოვრება და კანონი“ დაწერილია ორ სულ სხვადასხვა ეპოქაში: ერთია რეფორმამდელი ხანა ანუ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების ეპოქა, ხოლო მეორე რეფორმის შემდგომი ხანა, ანუ ბურჟუაზიული ეპოქა, როცა ჩვენი საზოგადოების წინაშე ახალი, წინანდელისაგან განსხვავებული ამოცანები დადგა. თითქოს საკვირველი არ იქნებოდა, რომ დროთა ბრუნვაში საზოგადო მოღვაწეს შეეცვალა ზოგიერთი თავისი ძირითადი დებულება და ექადაგა ახალი, წინანდელისაგან განსხვავებული, ან წინანდელთან დაპირისპირებული აზრები. მაგრამ არა! „კრიტიკულ შენიშვნებში“ ჩვენ ვერსად, თვით წვრილმანებშიც კი, ვერ აღმოვაჩინეთ ისეთი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს, **ან თუნდაც ცოტად თუ ბევრად საგრძნობლად განსხვავდებოდეს ი. ჭავჭავაძის შეხედულებისაგან. „კრიტიკული შენიშვნები“ თავიდან ბოლომდე ი. ჭავჭავაძის აზრებითაა გაჟღენთილი.**

და ესეც სავსებით ბუნებრივი და გასაგებია: ილია ჭავჭავაძე ხომ ერთი მთლიანი პიროვნება იყო და მას მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ შეუცვლია აზრები, რომლებიც ჯერ კიდევ რეფორმამდელ ხანაში, სრულიად ახალგაზრდამ შეითვისა!

ამრიგად, ჩვენს წინაშე ნათლად დაიხატა ასეთი საინტერესო სურათი: ქართველ მეცნიერთა ორმოცდაათწლიან კამათში არ მოიძებნა არც ერთი ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაწევი ფაქტი ან არგუმენტი, რომელიც ოდნავ მაინც მიგვითითებდეს, რომ ილია ჭავჭავაძე არ შეიძლებოდა ყოფილიყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი; პირიქით, იმდროინდელი ვითარებისა და თვით ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა-აზროვნების დეტალური შესწავლა მიგვითითებს, რომ სწორედ ილია ჭავჭავაძე უნდა ყოფილიყო ამ შესანიშნავი დოკუმენტის ავტორი. და რომ ეს მართლაც ასე იყო, ამას ყოველ ეჭვს გარეშე **ადას-**

[1] «Могли же народные обычаи установить постоянные повинности за пользование землею, почему закон не должен уважить народного сознания тем более тогда, когда он сам признает принципом окончания крестьянского дела постоянное владение наделом и постоянное отбывание за него повинностей. К чему исключения из общего правила, когда эти исключения ведут только к народному стеснению и не ограждают тех, в пользу которых эти исключения допускаются» („საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 319).

ტურებს „კრიტიკული შენიშვნების“ შინაარსის როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკე დებულებების უდავო დამთხვევა ი. ჭავჭავაძის ნაწერების შინაარსთან.

მაშასადამე, ამიერიდან საბოლოოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ იმ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტის ავტორი, რომელსაც სახელად ჰქვია „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე“ და რომელიც ანონიმურად იყო წარდგენილი 1864 წ. 6 მაისს ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში, არის ქართველი ხალხის დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

ასეთია საქმის ვითარება „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ვინაობის მხრივ.

დაგვრჩენია პასუხი გავცეთ კითხვას, როგორ უნდა შეფასდეს „კრიტიკული შენიშვნების“ შინაარსი, — რადიკალურია (ე. ი. გლეხობის ინტერესების გამომხატველია) იგი თუ არა?

მკითხველი, რა თქმა უნდა, შეამჩნევდა, რომ ზემოთ ჩვენ გაკვრით არაერთხელ შევეხეთ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ გაკვრით ნათქვამი, ცხადია, საკმარისი არ არის; იმისათვის, რომ საეჭვო ალარაფერი დარჩეს და ამასთან სათანადოდ იქნას დაფასებული მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი უბრწყინვალესი დოკუმენტი, საჭიროდ მიგვაჩნია „კრიტიკული შენიშვნების“ შინაარსი განვიხილოთ უფრო საფუძვლიანად და თანაც — რუსეთის იმდროინდელი რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის მიღწევათა შუქზე. ამისათვის მოგვიხდება მოკლედ მაინც გავეცნოთ რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს გლეხთა განთავისუფლების პირობებზე.

მაგრამ ამ საკითხზე სხვა დროს გვექნება მკითხველთან საუბარი.

---

პროკოფი რატიანი

## ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

ვალერიან მექვაბიშვილი

# საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის ისტორიიდან

1921 წელს დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ქართველი მშრომელი მოსახლეობა სამუდამოდ განთავისუფლდა მენშევიკების ბატონობისაგან. ეს გამარჯვება ქართველი ხალხის თანმიმდევრული ბრძოლის შედეგი იყო.

დუშეთში, ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოსა და სხვა რაიონებში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მომხდარი აჯანყებები წარმოადგენდა ისტორიული ხასიათის რევოლუციურ მოძრაობას ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. მასობრივი აჯანყებანი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა.

რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთის სახელოვან მეთერთმეტე არმიას, რომელიც ამ დროისათვის ქ. ბაქოში იდგა. მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ინტერნაციონალური ვალი. საქართველოს მშრომელები სამუდამოდ გაათავისუფლა იმპერიალიზმის უღლისაგან. ჩვენს დედაქალაქში — თბილისში აფრიალდა თავისუფლების დროშა, შეიქმნა პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფო. 1921 წლის თებერვალ-მარტში დამლილ და დათხოვნილ იქნა მენშევიკური არმია და სახალხო გვარდია. ამით ნიადაგი მომზადდა ქართული რეგულარული წითელი არმიის შექმნისათვის. საქართველოს წითელი არმიის შექმნას მოითხოვდა როგორც ახლადშობილი საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, ისე მისი შინაგანი მდგომარეობა, რადგან მენშევიკური მთავრობის დამხობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა შინაგანი კონტრრევოლუციური ელემენტების მთლიანად მოსპობას, ხოლო მეორეს მხრივ კაპიტალისტური ქვეყნები ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის მეთაურობით დიდ საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა საქართველოსათვის.

ვ. ი. ლენინმა გენიალურად შეაფასა ეს მდგომარეობა და საქართველოს კომუნისტებს მოუწოდა შეექმნათ რეგულარული ქართული წითელი ჯარი, რომელიც საქართველოს მშრომელთა ინტერესებს დაიცავდა. ამის შესახებ 1921 წლის 2 მარტს ლენინმა ს. ორჯონიკიძეს მისცა მითითება: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები და ღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია" (თხზ. ტ. 32, გვ. 189).

1921 წლის 4 მარტს რევოლუციურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ვ. ი. ლენინის მითითება და მიიღო დადგენილება „ღარიბებისა და მუშების შეიარაღების შესახებ", ხოლო 11 მარტს გამოსცა დეკრეტი ქართული რეგულარული წითელი არმიის შექმნის შესახებ.

საქართველოს კომუნისტებსა და მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას კარგად ესმოდათ საბჭოთა საქართველოსათვის საკუთარი ჯარის შექმნის მნიშვნელობა. ათასობით მათგანმა გამოთქვა სურვილი

ემსახურა წითელ არმიაში, რომ საჭიროების შემთხვევაში მკერდით დაეცვა რევოლუციის დიადი მონაპოვარი. ამის გამო სერგო ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს უპასუხა: „თქვენს მიერ მითითებულ საკითხებზე შემიძლია გაცნობოთ, რომ ქართველ კომუნისტებს სრული ერთსულოვნება აქვთ ჩვენთან.

მუშები და ულარიბესი გლეხები იარაღდებიან" (ს. ორჯონიკიძე. სტატიები და სიტყვები, ტ. 1, თბ. 1957 წ. გვ. 211).

ამრიგად, საქართველოს სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატმა, რომელსაც სათავეში ედგა შალვა ელიავა, სისრულეში მოიყვანა დეკრეტი წითელი არმიის ნაწილების შექმნის შესახებ. 1921 წლის 21 მარტის ბრძანებით ქ. ბათუმში შეიქმნა პირველი ქართული ბრიგადა. როგორც ცნობილია, ამ რაიონში თავმოყრილი იყო მენშევიკური ჯარების უმრავლესობა. მენშევიკების ყოფილი ჯარების რევოლუციურად განწყობილმა ნაწილმა აქ დაამტკიცა თავისი ერთგულება მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობისადმი. მან გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართა ბათუმში შემოჭრილ თურქეთის ჯარებს და დაამარცხა ისინი. გაზეთი „კომუნისტი" 1923 წლის 23 მარტის ნომერში წერდა: „რევოლუციური კომიტეტის მხარეზე გადმოსულმა მენშევიკების ყოფილმა ჯარმა დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება. გააფთრებული სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მან განდევნა თურქეთის ჯარები. თუმცა მენშევიკების გამცემლობა გამოსწორებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ, მაგრამ ეს დაუჯდა მას ათეული ახალგაზრდის სიცოცხლედ".

ბათუმში პირველი რეგულარული წითელი არმიის შექმნა არ იყო მენშევიკური არმიის რეორგანიზაციის უბრალო ლოგიკური შედეგი. ის არც მისი მხოლოდ „წითელ პოლკებად" გარდაქმნა იყო, არამედ უფრო მეტი — პირველი ქართული წითელი არმია შედგებოდა მტკიცე რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული ჯარისკაცებისა და მეთაურებისაგან, რომლებმაც მენშევიკთა ჯარში სამსახურის დროს თვალნათლივ დაინახეს მათი გამყიდველი პოლიტიკა და ბნელი ზრახვები.

ბათუმში პირველი ქართული ბრიგადის დაკომპლექტებიდან ერთი თვის შემდეგ თბილისში შეიქმნა პირველი მუშურ-გლეხური წითელი ნაწილები, რომელსაც აპრილში ბათუმიდან გადმოყვანილი წითელი სამხედრო ნაწილები შეუერთდა. ამით დამთავრდა საქართველოში პირველი ქართული წითელი დივიზიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში იყო ქვეითი ჯარის სამი ბრიგადა, ცხენოსანთა ერთი ბრიგადა და სამი საარტილერიო დივიზიონი ერთი ჯავშნოსანი მატარებლით.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა ფილიპე მახარაძისა და მამია ორახელაშვილის ხელმოწერით მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს წითელი არმიის განმტკიცების უზრუნველყოფას. შემოღებულ იქნა საყოველთაო სამხედრო სწავლება, ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობის ზუსტი აღრიცხვა, რკინიგზის მუშა-მოსამსახურე პირების გასამხედროება, აგრეთვე განხორციელდა სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წითელი არმიის ნაწილების დაკომპლექტებასა და ბრძოლისუნარიანობას.

წითელი არმიის საბრძოლო სულისკვეთების გამტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წლის 30 მაისს რევკომის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამხედრო ფიცის ტექსტს, რომელსაც საზეიმო ვითარებაში იღებდნენ ქართველი წითელარმიელები. ფიცში გამოხატული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლთა სიყვარული და ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მშრომელი ხალხისადმი.

საქართველოს წითელი არმიის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა 1921 წლის მაისში საბჭოთა რუსეთსა და

საქართველოს შორის დადებულმა საკავშირო ხელშეკრულებამ სამხედრო ერთიანობის შესახებ. ქართული წითელი არმიის ნაწილების შექმნის პირველი ეტაპი მისთვის საჭირო რეზერვების მომზადებით დამთავრდა.

ქართული წითელი არმიის ნაწილების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო წითელ მეთაურთა ახალი კადრების მომზადება. საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობისათვის ჩვენი რესპუბლიკის წითელ არმიაში მეთაურების 23 პროცენტი ძველი არმიის ოფიცრებიდან იყვნენ, ხოლო ომიანობის დროის ოფიცერთა რაოდენობა 74 პროცენტს შეადგენდა. ოფიცერთა ეს შემადგენლობა ვერც თავისი პოლიტიკური თვალსაზრისით და ვერც სამხედრო მომზადებით ვერ დააკმაყოფილებდა საბჭოთა არმიის მოთხოვნებს. საჭირო იყო წითელი არმიის რიგების შევსება ოფიცერთა ახალი კადრებით, რომელნიც თავიანთი რევოლუციური განწყობილებითა და ცოდნით წარმატებით გადაჭრიდნენ დასახულ ამოცანას. ეს კი შეეძლოთ მხოლოდ იმათ, ვინც პოლიტიკურ და სამხედრო განათლებას მიიღებდა საბჭოთა სამხედრო სკოლებში.

1921 წლის ზაფხულში თბილისში გაიხსნა სამხედრო სკოლა, რომელშიც მზადდებოდა მეთაურთა კადრები როგორც სახმელეთო ძალებისათვის, ისე საჰაერო ფლოტისათვის. სასწავლებელს დაენიშნა უფროსი და სამხედრო კომისარი, რომლებსაც დაევალათ სკოლის დაკომპლექტება. 8 ივნისს სკოლაში ჩაირიცხა 43 კურსანტი, მათ შორის კ. ლესელიძე, ბ. კაჭარავა, პ. ბითაძე და სხვ. ამავე წლის ნოემბერში ამ სამხედრო სკოლასთან გაიხსნა რვათვიანი კურსები მეთაურთა ახალი კადრების მოსამზადებლად. 1922 წლის თებერვალში აღნიშნული სასწავლებლის კურსანტთა რაოდენობა უკვე 288 კაცს შეადგენდა. ესენი იყვნენ ქართული ნაწილების მომავალი წითელი მეთაურები, რომლებიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მთელი ძალითა და ენერგიით შეუდგნენ წითელი არმიის ნაწილებში თავიანთი საპატიო მოვალეობის შესრულებას.

საქართველოს საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევდა მშრომელი მასების სამხედრო მომზადების საკითხს. საჭიროების შემთხვევაში მშრომელებს უნდა შეძლებოდათ წითელი არმიის ნაწილებთან ერთად იარაღით ხელში დაეცვათ მუშათა და გლეხთა ინტერესები. ამიტომ 1922 წლის 6 მაისს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ მიიღო სპეციალური დეკრეტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ. დეკრეტით გათვალისწინებული იყო ყოველი მშრომელი მოქალაქის ჩაბმა საყოველთაო სამხედრო სწავლებაში. სამხედრო სწავლება წარმოებდა განუწყვეტლივ, ორი თვის განმავლობაში, კვირაში არანაკლებ თორმეტი საათისა. ამ ღონისძიებამ გარკვეული შედეგი გამოიღო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. მაგალითად, თბილისის სამხედრო კომისარიატმა სულ მოკლე ხანში მოამზადა 5.000 კაცი, რომელთაგან დაკომპლექტდა განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონი.

საერთაშორისო რეაქცია და მენშევიკი ავანტიურისტები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ შეეჩერებინათ საბჭოთა მშენებლობა, თავისი ძალები დაეპირისპირებინათ ჩვენი ძალისათვის და დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. შექმნილი ვითარება მოითხოვდა წითელი არმიის ნაწილების შემდგომ განმტკიცებას და გაზრდას როგორც რაოდენობრივად, ისე საბრძოლო ტექნიკის თვალსაზრისით. ამის გამო ვ. ი. ლენინმა გეზი მისცა ქართველ კომუნისტებს. ლენინი 1922 წლის 13 თებერვალს სერგო ორჯონიკიძეს სწერდა:

„ამხ. სერგო!

აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობამ მიიღოს გადაწყვეტილება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს წითელი არმიის უეჭველი გაძლიერების შესახებ და რომ ეს გადაწყვეტილება ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ შესრულ-

დეს... რადაც უნდა დაჯდეს და დაუყოვნებლივ უნდა გავადიდოთ და გავაძლიეროთ საქართველოს წითელი არმია. თავდაპირველად დაე იყოს 1 ბრიგადა, თუნდაც უფრო ნაკლები. 2-3 ათასი წითელი კურსანტი, აქედან ათას ხუთასი კომუნისტი, რომ ამ კურსანტებს (როგორც კადრებს) შევძლოთ არმიად გაშლა, როცა ეს საჭირო გახდება, — ეს აბსოლუტურად აუცილებელია"[1].

ვ. ი. ლენინის წერილის მიღებიდან თორმეტი დღის შემდეგ თბილისში გაიხსნა საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. ამ ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხი „საქართველოს წითელი ლაშქრის შესახებ". მოხსენებით გამოვიდა შალვა ელიავა. ამ პერიოდისათვის საქართველოში უკვე იყო შექმნილი სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატის შტაბი, სამხედრო-საინჟინრო სამმართველო, აჭარისა და აფხაზეთის სამაზრო სამხედრო კომისარიატები. საბჭოების ყრილობამ დაგმო ევროპის სოციალისტ-ავანტიურისტთა მოთხოვნა მეთერთმეტე წითელი არმიის საქართველოდან გაყვანის შესახებ და ერთხმად მიიღო დადგენილება ქართული რეგულარული წითელი არმიის ნაწილების გაძლიერებისა და განმტკიცების შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა ლენინის რჩევა წითელი არმიის რიგების კომუნისტებით განმტკიცების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა წითელი არმიის ნაწილებში პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაშლის მიზნით მობილიზაცია გაუკეთა კომუნისტებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჯარების მორალური ძლიერების განმტკიცებაში. გარდა ამისა, 1923 წლის ზაფხულში შეიქმნა პოლიტიკური მუშაკების მოსამზადებელი კურსები. იმავე წელს 50 პოლიტიკური მუშაკი მომზადდა, ხოლო 1924 წლის თებერვალში დაარსდა ქართული „სამხედრო-პოლიტიკური სკოლა", რომლის საპატიო კურსანტად ჩაირიცხა სერგო ორჯონიკიძე. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა საქართველოში არმიის პოლიტიკური კადრების მომზადების საქმეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდნენ არმიაში გაწვეულებისა და მათი ოჯახებისადმი, რაც მკაფიოდ ჩანს მათ მიერ მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებებში.

საქართველოს რეგულარულმა წითელმა არმიამ დიდი როლი შეასრულა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, კერძოდ, მეფის არმიის ყოფილი ოფიცრის ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ხევსურეთში, აგრეთვე ავანტიურისტთა წინააღმდეგ მუხრანში, ოზურგეთის მაზრაში და სხვ. მათ სალიკვიდაციოდ იგზავნებოდა რეგულარული წითელი არმიის ჯარისკაცები, სასწავლებლის კურსანტები, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს სარდლობის დავალება. კონტრრევოლუციონერთა ბანდების განადგურებაში აქტიური მონაწილეობისათვის ბევრი ქართველი მეთაური და წითელარმიელი დაჯილდოებულ იქნა ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების მიერ. მათ შორის იყო კ. ლესელიძე, ს. გელაშვილი, ვ. კილაძე და სხვ.

საქართველოს წითელი არმიის ზრდისა და განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა პირველმა ქართულმა სამხედრო პრესამ. გამოცემულ იქნა გაზეთი ჯერ „წითელი მხედრის", ხოლო შემდგომ „წითელი არმიელის" სახელწოდებით. გაზეთს ხანგრძლივი დროის განმავლობაში პოეტი-რევოლუციონერი სანდრო ეული-ქურიძე რედაქტორობდა.

გაზეთი ფართოდ აშუქებდა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს რესპუბლიკის წითელი არმიის გან-

[1] (თხზ. ტ. 33, გვ. 226—227).

მტკიცების შესახებ და მისი კოლექტიური პროპაგანდისტი იყო.

საბჭოთა რუსეთში უკვე დამთავრებული იყო სამოქალაქო ომი და ხალხი იშუშებდა მიყენებულ ჭრილობებს, მაგრამ შექმნილი საერთაშორისო ვითარება არ იძლეოდა უფლებას შეგვესუსტებინა თავდაცვითი ღონისძიებები, რადგან მთელი რიგი კაპიტალისტური სახელმწიფოები უარყოფდნენ საბჭოთა კავშირთან მშვიდობიან თანამშრომლობას. ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი 1922 წელს საბოტაჟს უწევდნენ რუსეთთან ვაჭრობას, საბჭოთა სახელმწიფოს ცდებს, დაემყარებინა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული სამყარო ვერ ურიგდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობას და ყოველნაირად ცდილობდა თავს დასხმოდა სოციალისტურ ქვეყანას, კვლავ აღედგინა ექსპლოატატორთა ხელისუფლება.

გენუის კონფერენციის შედეგებისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა საქართველოშიც ყველა სამხედრო ნაწილში. ქართველი წითელარმიელები, ისევე, როგორც საბჭოთა არმიის მთელი პირადი შემადგენლობა, სასტიკად გმობდნენ იმპერიალისტთა ხრიკებს გენუის კონფერენციაზე და პირობას იძლეოდნენ, კიდევ უფრო აამაღლებდნენ თავიანთ საბრძოლო-პოლიტიკურ მომზადებას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას.

ქართულ სამხედრო ნაწილებში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის გამოცდილების საფუძველზე ფართოდ გაიშალა პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. წითელარმიელები საბრძოლო მომზადებასთან ერთად სწავლობდნენ წერა-კითხვას; იღებდნენ განათლებას.

1924 წელს ქართული წითელი არმია შედგებოდა ორი მსროლელი დივიზიისაგან. ქართული წითელი არმიის პირადი შემადგენლობა აღზრდილი იყო ღრმა სიყვარულით კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ეს ნათლად გამოვლინდა ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკ-ავანტიურისტთა გამოსვლის დღეებში 1924 წლის აგვისტოში. ქართულმა წითელმა არმიამ ქართული სამხედრო სკოლის კურსანტთა აქტიური მონაწილეობით სწრაფად გაანადგურა ავანტიურისტთა გამოსვლები.

ამრიგად, საქართველოში წითელი არმიის შექმნამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

საქართველოს წითელმა დივიზიებმა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახმარებითა და ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და სასახელოდ დაიცვეს ოქტომბრის მონაპოვარი— საბჭოთა საქართველოს სუვერენიტეტი.

ქართული დივიზიის ნაწილების შექმნასა და მათი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებაში სათანადო წვლილი შეიტანა ს. ბუაჩიძემ, როგორც სამხედრო კომისარმა, ხოლო შემდგომ მეორე ქართული დივიზიის მეთაურმა, მან გარკვეული მუშაობა გასწია დივიზიების დაკომპლექტებისა და საბრძოლო მზადყოფნისათვის. მასთან ერთად მუშაობდნენ დივიზიის სამხედრო კომისრები ო. უგულავა და თ. ქლენტი.

ქართული სამხედრო სკოლის მუშაობის საქმეში მარად დაუვიწყარია ქართველი ხალხის საამაყო შვილის, სპეტაკი ბოლშევიკის ბორის ძნელაძის დამსახურება. იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით დანიშნული იყო სამხედრო კომისრად.

საბჭოთა საქართველოს წითელი არმიის ნაწილებმა, რომელიც მეთერთმეტე წითელი არმიის ხელმძღვანელობით და უშუალოდ მის საბრძოლო ტრადიციებზე გამოიწრთო, სათანადო წვლილი შეიტანა სსრ კავშირის სამხრეთ საზღვრების დაცვისა და კონტრრევოლუციური ძალების დათრგუნვის საქმეში.

როცა საბჭოთა საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში შესვლით სსრ კავშირის ერთიანი ოჯახის წევრი გახდა, დადგა საკითხი საქართველოს წითელი არმიის ნაწილების საკავშირო-საჯარისო

დანაყოფში გაერთიანების შესახებ. ეს გაერთიანებაც მოხდა.

ქართული წითელი არმიის ნაწილების საკავშირო-საჯარისო დანაყოფში გაერთიანებამ კიდევ უფრო აამაღლა ქართველ მეომართა სამხედრო წვრთნა და პოლიტიკური მომზადება.

ისინი დიდი რუსი ხალხის ღვიძლი შვილების — საბჭოთა მეთაურებისა და პოლიტმუშაკების დახმარებითა და ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ეუფლებიან სამამულო საბრძოლო ტექნიკას, იმაღლებენ პოლიტიკური განათლების დონეს.

ბევრმა ქართველმა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა ისახელა თავი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიულ დღეებში, როგორც გამოჩენილმა მხედართუფროსმა, სამშობლოს დიდმა პატრიოტმა. მათ რიცხვს ეკუთვნიან: სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი ვ. მჟავანაძე, არმიის სარდლები: გენერალ-პოლკოვნიკები კ. ლესელიძე და პ. ჩანჩიბაძე, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ნანეიშვილი, კორპუსის მეთაურები საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯღავა, გენერალ-მაიორები: გ. ყუფარაძე, მ. მიქელაძე, არმიის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი მ. ღლონტი, გენერალ-მაიორები: ვ. ხუბულური, ი. ბაბალაშვილი, ნ. თავართქილაძე, ვ. ლისინოვი, ნ. კალაძე, პ. აბრამიძე, ი. კობერიძე, ი. სილაგაძე, გ. ყურაშვილი, ვ. ზამბახიძე, პ. ჩხობაძე, კ. ჯახუა, ივ. შაიშმელაშვილი; პოლკოვნიკები: შ. ვასაძე, ვ. ჯანჯღავა, კ. ჩირაძე, ი. გირგველიანი, ვ. ღვალი, შ. ქვანია, ტ. მეძმარიაშვილი, ე. ქანთარია და მრავალი სხვა. ყველა ისინი არიან ქართველი მეთაურებისა და პოლიტმუშაკების წარმომადგენლები, რომლებიც გაიზარდნენ და დავაჟკაცდნენ ქართული რეგულარული წითელი არმიის სამხედრო ნაწილებში, სადაც მიიღეს სამხედრო წვრთნა, შეითვისეს საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ისინი სახელმოხვეჭილ ქართველ მეთაურთა შორის გახდნენ პირველთაგანნი, რომლებმაც დიდ სამამულო ომში გმირული ბრძოლით, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით ასახელეს მშობლიური საქართველო და მისი ხალხი.

ქართველი ხალხი და მისი საამაყო შვილების მამაცობა და გმირობა დიდად შეაფასა თავის გამოსვლაში ამხანაგმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქ. თბილისში 1961 წლის 12 მაისს: „ქართველი ხალხის ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა,—მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში. ყველა საბჭოთა ადამიანს ახსოვს სერჟანტ ქანთარიას გმირობა, რომელმაც სერჟანტ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა ააფრიალა რაიხსტაგზე. არასოდეს არ წაიშლება საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში აგრეთვე დიდებული სახელები საქართველოს სხვა საუკეთესო შვილებისა, რომლებიც მამაცურად იბრძოდნენ ფრონტზე და ზურგში, იცავდნენ თავიანთ დიდ სამშობლოს — სსრ კავშირის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას".

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სიამოვნებით იგონებს ქართველ გენერლებს ვ. ნანეიშვილსა და პ. ჩანჩიბაძეს, რომელთაც დიდი სამამულო ომის წლებში, კერძოდ, ვოლგოგრადის ფრონტზე უმაგალითო ვაჟკაცობა გამოიჩინეს: „საბჭოთა კავშირის გმირი გენერალი ნანეიშვილი მაშინ საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე იყო. იგი ღირსეულად ხელმძღვანელობდა მებრძოლ მფრინავებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტის ამ უბანზე".

ხოლო გენერალ ჩანჩიბაძეზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: „ეს იყო შესანიშნავი გენერალი, რომელიც მამაცუ-

რად იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინაალმდეგ"[1].

„...საუკეთესო მოგონებანი დამრჩა ამ გენერლებსა და სხვა ქართველ მეომრებზე, — განაგრძობს ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე, — მაგრამ ყველას ვერ დაასახელებ. ბევრი მინახავს ჩვენი საბჭოთა ხალხის მამაცი შვილი. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, სოციალიზმისათვის, კომუნიზმისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეულად იბრძოდნენ სხვა ხალხთა მხარდამხარ ქართველი ხალხის შვილებიც".

ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ დიდ სამამულო ომში საბრძოლო დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის შვიდ მილიონზე მეტი მეომარი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, ხოლო საბჭოთა სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 10.442 მეომარს. სასიქადულო და საამაყოა ის, რომ ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულთა შორის 50.000-ზე მეტი ქართველია, ხოლო საქართველოს 129 სახელოვან შვილს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა. მათ შორისაა სახელგანთქმული მფრინავები: გ. ინასარიძე, ქ. ბენდელიანი, ა. წურწუმია; ტანკისტები თ. ჯაფარიძე და ა. ბუკია; არტილერისტი ა. პირმისაშვილი; [illegible]ნიკები: გ. ბილანიშვილი, მ. [illegible]ძე, გ. ალფაიძე, შ. წიქორიძე და მრავალი სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორმოცდაერთი წელი ჩვენი ქვეყნის ბრძოლისა და სახელოვან გამარჯვებათა წლებია. საბჭოთა საქართველომ დიდი რუსი ხალხის დახმარებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში. საქართველო გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე მძლავრ ინდუსტრიულ რესპუბლიკად საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, სადაც უკვე წარმატებით ხორციელდება მშრომელთა სანუკვარი ოცნება—კომუნისტური მშენებლობა. ამ ისტორიული მონაპოვრის ღირსეულ დამცველთა შორის დგანან ქართველი ხალხის შვილებიც — ჯარისკაცები, სახელმოხვეჭილი მეთაურთა კადრები. ისინი, აღფრთოვანებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მოძმე საბჭოთა ხალხების შვილებთან ერთად კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობას სოციალისტური სამშობლოს წინაშე, უშიშრად დგანან ხალხთა შორის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების სადარაჯოზე ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

[1] იხ. გვ. 21-22-23 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1961 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მეცნიერება და ტექნიკა

იაროსლავ პუციკი

# სინდისი

თარგმნა ვერა ბუაჩიძემ

ოპენჰეიმერის საქმე

რ ო ჯ ე რ  რ ო ბ ი:

— ახლა ყველაფერი აბსოლუტურად ნათელია!

ბ ო რ ი ს  პ ა ხ ი:

— არაფერიც, ამით ჯერ კიდევ მთლიანად არ ამოიწურება მისი ძირგამომთხრელი არალეგალური საქმიანობა. ჩვენ აქ გვაქვს იმის წერილობითი დადასტურება, რომ მან საკუთარი ინიციატივით კალიფორნიაში ჩამოაყალიბა „მასწავლებელთა კავშირი" — „teachers' Union", რომელიც აერთიანებდა მემარცხენე და კომუნისტურად მოაზროვნე პროფესორებს. ოპენჰეიმერი ამ ორგანიზაციის მდივანიც კი იყო. ის მუშაობდა იქ 1941 წლამდე, ე. ი. სწორედ იმ დრომდე, როცა პრაქტიკულად დაიწყო ატომური იარაღის წარმოება. ეს უტყუარი საბუთები უშიშროების კომიტეტს ხელთ აქვს. ისინი ეჭვმიუტანლად ადასტურებენ, რომ ოპენჰეიმერი კომუნისტებს ემსახურებოდა, როგორც აქტიური და მიზანდასახული მომხრე.

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— ოპენჰეიმერის კომუნისტური სიმპატიები იქნებ მისი გულუბრყვილობით და პოლიტიკური გამოუცდელობით აიხსნას?

ბ ო რ ი ს  პ ა ხ ი:

— მე მოველოდი ასეთ კითხვას და შემიძლია გიპასუხოთ... პოლიტიკა არ იქმნება ახლობლისადმი სიყვარულით. დიდმა მათემატიკოსმა ოპენჰეიმერმა ცუდად გაიანგარიშა. მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ეს, რუზველტის გეგმების სრული გაქანების პერიოდში, 1936 — 1939 წლებში ხდებოდა. ეს ის დრო იყო, როცა სწრაფად იზრდებოდა პროფესიული კავშირებისა და კომუნისტური ორგანიზაციების გავლენა. კომუნიზმზე არჩევანის შეჩერება სრულიადაც არ იყო უიმედო. თუ ჩვენ ოპენჰეიმერის ამ გაანგარიშებებს მივუმატებთ მის მერყევ ხასიათს და განსაკუთრებულ სიმპატიებს გერმანიაში შევიწროებული ებრაელებისადმი, რომელთა შორის ბევრი მისი ახლო ნათესავი იყო, აგრეთვე კომუნისტ ტოტლოკისადმი სიყვარულს, მაშინ მდგომარეობა გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს.

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი" № 1, 2.

დოქტორი უორდ ივენსი:

— რამდენადაც მე ვიცი, კომუნისტური ორგანიზაციების დევნა მხოლოდ ომის შემდეგ დაიწყო. იმ დროს ოპენჰეიმერის ეს კავშირი არაფრით არ ეწინააღმდეგებოდა კანონს.

ბორის პახი:

— ოპენჰეიმერმა იცოდა თავისი საქციელის უკანონობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნისტებთან კონსპირატული შეხვედრები არ ექნებოდა. უშიშროების ორგანოების ანკეტაში, რომელიც შეავსო 1942 წელს, როცა ლოს-ალამოსის კანდიდატი იყო, მან თავისი კავშირი აღიარა ისეთი გამოთქმებით, რომელიც არავითარ კომენტარს არ მოითხოვს.

გორდონ გრეი:

— რატომ აღიარა მან ეს მაშინ?

ბორის პახი:

—გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის ოპენჰეიმერის გულახდილობას შეიძლება თავგზა აებნია, მაგრამ ჩვენი შეცდომაში შეყვანა ძნელია.

გორდონ გრეი:

— არსებობს თუ არა იმის საბუთი, რომ ლოს-ალამოსის ლაბორატორიის ხელმძღვანელობა მან კომუნისტური პარტიის ბრძანებით მიიღო?

ბორის პახი:

— პირდაპირ ვერ დავასაბუთებთ, მაგრამ ზოგიერთი მონაცემის საფუძველზე შეიძლება დავუშვათ, რომ ეს სწორედ ასე იყო.

თომას მორგანი:

— თქვენ გაქვთ კიდევ ცნობები პროფესორ ოპენჰეიმერის კომუნისტურ საქმიანობაზე?

ბორის პახი:

— დიახ, ჩვენ დავადგინეთ, რომ ოპენჰეიმერის ძმა, ფრანკი, თავის ცოლთან ერთად 1937 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ჩვენ არა გვაქვს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ იგი კომუნისტი აღარ არის! იურიდიული თვალსაზრისით ამ ფაქტს არავითარი კავშირი არა აქვს პროფესორ ოპენჰეიმერის საქმესთან. მაგრამ მე ვფიქრობ, თუ ჩვენ საკითხს ვიხილავთ შეერთებული შტატების უშიშროების თვალსაზრისით, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ ამგვარი ნათესაური კავშირი ძალზე არახელსაყრელია ადამიანისათვის, რომელიც ხელმძღვანელობს ყველაზე საიდუმლო ატომურ ლაბორატორიას. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. 1937 წელს ოპენჰეიმერი დაქორწინდა. მისმა ქორწინებამ ბერკლისა და პასადენის უნივერსიტეტებში თითქმის სკანდალი გამოიწვია. ოპენჰეიმერმა ცოლად მოიყვანა არა ტოტლოკი, როგორც ამას მოელოდნენ, არამედ ეკატერინე პაუნინგი, რომელთანაც სულ რამდენიმე დღის ნაცნობობა ჰქონდა. ამაშიც გამოვლინდა მისი ძალზე არამტკიცე პიროვნების ექსცენტრულობა. შეუყვარდა ტოტლოკი, დაჰპირდა ცოლად მოყვანას, ქალის ოჯახში სიძედ იყო მიღებული. მაგრამ ღამით გადაიფიქრა და ერთი კვირის შემდეგ სხვა ითხოვა ცოლად! ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მას ქორწინების შემდეგაც კი არ შეუწყვეტია ყოფილ საყვარელთან კავშირი. ჩვენ არ ვიცით, ჰქონდა თუ არა პოლიტიკური ხასიათი ამ შეხვედრებს, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ეს შეხვედრები სრულიად ინტიმური იყო, რასაც ამტკიცებს ჩვენი თანამშრომლების მიერ გადაღებული ფოტოსურათები. ამ წყვილის ყოველი ფეხის გადადგმას თვალყურს ადევნებდა ჩვენი ჯაშუში. როცა გაჩვენებთ ფილმს, თქვენ დარწმუნდებით, რომ ოპენჰეიმერს სინდისის ქენჯნა არ აწუხებდა, როცა საქმე ეხებოდა ქორწინების ერთგულების სიწმინდის დაცვას (დარბაზში ხმაურია; ოპენჰეიმერი ისევ დუმს).

შემდგომში მან, ბუნებრივია, ტოტლოკთან კავშირის გაწყვეტა ამჯობინა. მას ეშინოდა საკუთარ ოჯახში მოსალოდნელი უსიამოვნების, რადგან ამ დროისათვის ეკატერინესაგან ორი ვაჟი ჰყავდა. მას აგრეთვე არ სურდა სახელი გასტეხოდა კომუნისტებთან შემდგომი შეხვედრებით. დიდი დრო არ გასულა უკანასკნელი შეხვედრიდან, რომ ჟანა ტოტლოკმა თავი მოიკლა (ძლიერი ხმაურია; ოპენჰეიმერი იხრება და იწერს შენიშვნებს).

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— რატომ მოიკლა ტოტლოკმა თავი?

ბ ო რ ი ს  პ ა ხ ი:

— ეს ჩვენ ბატონმა ოპენჰეიმერმა უნდა აგვიხსნას... შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ასეთი ტრაგიკული ეპილოგის შემდეგ ოპენჰეიმერის კავშირი კომუნისტებთან დამთავრდებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან ოპენჰეიმერის კანონიერი მეუღლეც კომუნისტი გახლდათ! ყველამ იცოდა, რომ იგი მდიდარი და წესიერი მშობლების ქალიშვილი იყო. მაგრამ მისი კომუნისტური პარტიის წევრობა და, რაც მთავარია, ოჰაიოში კომუნისტური პარტიის განთავისუფლებული მდივანი ჯო დალეტი რომ მისი პირველი ქმარი იყო, ცოტამ თუ იცოდა. დალეტი დაიღუპა მადრიდში, კომუნისტების სამსახურში (დამსწრეთა შორის ჩოჩქოლია).

ე. ი. ოპენჰეიმერი დაქორწინდა ფანატიკოს კომუნისტზე. ამით წრე იკვრება: ყოფილი საყვარელი და კანონიერი მეუღლე, ძმა და რძალი კომუნისტური პარტიის წევრები არიან. ის ყველას პირადად ხვდება, ზოგიერთს კი სურს დაგვიმტკიცოს, რომ მას კომუნისტებთან არაფერი საერთო არა აქვს. სასაცილოა!

რ ო ჯ ე რ  რ ო ბ ი (წამოიყვირებს):

— ეს საშინელებაა!

ბ ო რ ი ს  პ ა ხ ი:

— დიახ! საშინელებაა. ჩვენ ყველაფერი ეს ვიცოდით 1942 წელს, გვქონდა ყველა საბუთი და მიუხედავად ამისა, ვერაფერი ვიღონეთ. მან დაიკავა ადგილი, რომელსაც სამხედრო თვალსაზრისით გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რამდენიმე სამხედრო კორპუსის მეთაურობას. თავისთავად ცხადია, რომ პროფესორ ოპენჰეიმერისათვის ჩვენ წუთითაც არ მოგვიშორებია თვალი, და შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვიცოდით მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი წერილი წაკითხული, ყოველი ტელეფონით ლაპარაკი მოსმენილი და ყველა შეხვედრა შემოწმებული და შესწავლილი გვქონდა (ოპენჰეიმერი ამას თავის დაქნევით ადასტურებს). 1943 წლიდან ოპენჰეიმერი უფრო ფრთხილი გახდა და ყოველნაირად გაურბოდა მეგობარ კომუნისტებთან შეხვედრებს. ალბათ მან ბრძანება მიიღო, რომ თავი შეეკავებინა ყველა სახელისგამტეხი შეხვედრისაგან. იგი ყოველნაირად ცდილობდა შეექმნა აზრი, რომ მისი კომუნისტური წარსული დიდი ხნის მივიწყებული ისტორიაა, რომ წუთიერი შეცდომა იყო... მაგრამ არ შეიძლება დავუჯეროთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ერთხელ უკვე უმტყუნეს თავის რწმენას... ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვუთვალთვალებდით ოპენჰეიმერს და ის, რაც მოხდა, ამტკიცებს ჩვენს სიმართლეს. 1942-43 წლებში ჩემს რწმუნებაში იყო ლოს-ალამოსის უშიშროების დაცვა. მე რამდენიმეჯერ შევხვდი ოპენჰეიმერს. როგორც მოსალოდნელი იყო, გარეგნულად მას თავი კორექტულად და ძალზე პატრიოტულად ეჭირა. მაგრამ ჩვენ მალე მივხვდით მის ტაქტიკას: ის ცდილობდა ლაბორატორიებში თავი მოეყარა თავისი მეგობრებისათვის — რასაკვირველია, კომუნისტებისათვის. მან შესძლო ბერკლის ლაბორატორიაში მოეწყო თავისი ძმა ფრანკ ოპენჰეიმერი, ხოლო ლოს-ალამოსში სამუშაოდ მიიღო თავისი პირადი მეგობარი, კომუნისტი და პაციფისტი ლომანიძე და სხვა მრავალი სრულიად არადარბაისელი ადამიანი. მისი ეს მოქმედებები საეჭვოზე მეტიც კი იყო, მაგრამ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერი გავაწყვეთ, რადგან ოპენჰეიმერს გენერალი გროუვზი მფარველობდა. გენერალი სხვებივით შეცდომით ფიქრობდა, რომ უოპენჰეიმეროდ შეუძლებელი იყო ატომური ბომბის შექმნა და მილიარდობით დოლარი, რომელიც ამ საქმეზე იხარჯებოდა, ტყუილუბრალოდ დაიკარგებოდა. ჩვენს გაფრთხილებებს ის სანაგვე ყუთში ყრიდა და ამით ტრაბახობდა.

ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი მოვალეობაა დროულად და ძირფესვიანად მოვსპოთ მოსალოდნელი საფრთხე... ჩვენ ავირჩიეთ გზა, რომელმაც შეიძლება უშიშროების კომიტეტი გააკვირვოს, მაგრამ აქ არაფერი არ უნდა იყოს გაუგებარი. ჩვენ

გადავწყვიტეთ, ოპენჰეიმერი გაგვეხადა ჩვენს თანამშრომლად, რათა მისთვის თანდათანობით გაგვეტეხა სახელი მანამდე, სანამ იგი ჩვეულებრივი დამსმენი არ გახდებოდა და საბოლოოდ არ დაკარგავდა თავისი წრეების ნდობას (ხმაური დარბაზში). ჩვენი არჩეული ხერხი შეიძლება არაკეთილსინდისიერად მოგეჩვენოთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ლეხბურთს კი არ ვთამაშობდით, არამედ ვომობდით.

ეს ოპერაცია დაიწყო პოლკოვნიკმა ლენდსდეილმა. მან გამოიძახა პროფესორი ოპენჰეიმერი და გაუხსნა თავისი კარტები. მან წარუდგინა ოპენჰეიმერს საბუთები, რომ მას კავშირი ჰქონდა კომუნისტებთან და უთხრა, რომ ამჟამად ჩვენ მას ვენდობით (რაც, რასაკვირველია, სწორი არ იყო), და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ მას ვენდობით, მოვითხოვთ, რომ მან ჩვენთვის ზოგიერთი რამ გააკეთოს. კითხვაზე, თუ კერძოდ რა უნდა გააკეთოს, ლენდსდეილმა უპასუხა, რომ საჭიროა დაასახელოს იმ კომუნისტების გვარები, რომლებმაც შემოწმებას თავი აარიდეს და ამჟამად ლოს-ალამოსში მუშაობენ. ოპენჰეიმერი მიხვდა, რომ იგი ვერ შესძლებს თავის დაღწევას. მას რომ უარი ეთქვა, მაშინ ლენდსდეილი ჰკითხავდა, კი მაგრამ როგორ დავუჯეროთ თქვენს მტკიცებას, რომ თქვენ კომუნისტებთან კავშირი აღარა გაქვთ? ოპენჰეიმერი დაგვპირდა, რომ ამას გაგვიკეთებს, მაგრამ განგვიცხადა, რომ ხელს არ მოაწერს არავითარ წერილობით ვალდებულებას, ვინაიდან ეს პირადად მას დაუტოვებს არასასიამოვნო შეგრძნებას. ჩვენ შევასრულეთ მისი თხოვნა. ჩვენი მიზანი ძირითადად მიღწეული იყო. პირველმა ნაბიჯმა გაგვიმართლა და ჩვენ განვაგრძეთ მოქმედება.

როჯერ რობი:

— დაგისახელათ ვინმე?

ბორის პახი:

— კი, დაასახელა, მაგალითად, ახალგაზრდა ფიზიკოსი ვეისბერგი. მაგრამ არა მგონია, რომ ოპენჰეიმერის თანამშრომლობა გულახდილი იყო. ის უფრო ხშირად ასახელებდა მხოლოდ იმ კომუნისტებს, რომლებზედაც სხვა წყაროებიდანაც ვიცოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როჯერ რობი:

— მაგრამ ის მაინც იყო თუ არა თქვენი თანამშრომელი?

ბორის პახი:

— იყო. 1943 წლის გაზაფხულზე ჩვენ გავაკეთეთ შემდეგი სვლა. პროფილაქტიკისათვის ჩვენ დავაპატიმრეთ რამდენიმე ეჭვმიტანილი კომუნისტი აგენტი, მათ შორის ოპენჰეიმერის მეგობრებიც იყვნენ. მან მალე გაიგო მათი დაპატიმრება და, როგორც მოველოდით, ძალზე გაბრაზდა. მან სავსებით დაკარგა წონასწორობა. რამდენიმე დღის შემდეგ ის საკუთარი ინიციატივით შევიდა ჩვენი აგენტის ლილ ჯონსონის კაბინეტში და საკმაოდ არაფრისმთქმელ და უპასუხისმგებლო საუბარში განაცხადა, რომ მან იცის და შეუძლია დაასახელოს ადამიანი, რომელიც საკმაოდ საეჭვოდაა დაინტერესებული ლოს-ალამოსით. როცა ლილ ჯონსონმა სთხოვა დაესახელებინა ამ ადამიანის გვარი, მან უპასუხა, რომ ეს უფრო მისი ეჭვია, ვიდრე რეალური ფაქტი. ლილ ჯონსონმა მაშინვე შეგვატყობინა აღნიშნული საუბრის შესახებ და თქვა, რომ მან არ იცის, რა იფიქროს. ჩვენ, რასაკვირველია, ვიცოდით რაში იყო საქმე. თევზი წამოეგო ანკესს, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მან იგრძნო საშიშროება და დასხლტა, უფრო სწორად, ფიქრობდა, რომ დასხლტა.

ჩვენ არ ვცდილობდით მოვლენათა განვითარების დაჩქარებას. ჩვენ ვიცოდით, რომ იგი ვერსად წაგვივიდოდა. უფრო მეტიც, შემდგომმა ცნობებმა ჩვენ კიდევ უფრო მეტად დაგვარწმუნა, რომ ოპენჰეიმერი არასოდეს იტყოდა უარს თავის თანამდებობაზე ლაბორატორიაში. ვიცოდით, რომ ის ადრე თუ გვიან გადადგამდა იმ ნაბიჯს, რომელსაც ჩვენ ველოდით. ჩვენმა აგენტმა პეერ დე სილვამ, რომელიც მასთან ტრიალებდა და მის ამხანაგად ითვლებოდა, ხანგრძლივი და ყურადღებიანი დაკვირვების შემდეგ გამოგვიგზავნა წერილი: „ოპენჰეიმერი პატივმოყვარე ადამიანია, რომელმაც თა-

ვისი ბედი დაუკავშირა მანჰეტენ დისტრიქტს. ის დაასახელებს ჯაშუშებს, თუ მას გენერალი გროუვზი „უბრძანებს" (ოპენჰეიმერი ფითრდება).

სილვას ცნობები ძირითადად ემთხვეოდა ჩვენს დასკვნებს... ჩვენ მოველაპარაკეთ გენერალ გროუვზს და დავარწმუნეთ, რომ ებრძანებინა ოპენჰეიმერისათვის ყველაფერი ეღიარებინა. გენერალმა გამოიძახა ოპენჰეიმერი და მოკლედ, მაგრამ დაბეჯითებით უბრძანა, დაესახელებინა უცნობი პიროვნება და ამით თავიდან აეცილებინა მას, მის საყვარელ ოპენჰეიმერს ეჭვი, რომ თითქოს იგი ჯაშუშებთან თანამშრომლობდა. ყველაფერი რიგზე მიდიოდა: ოპენჰეიმერმა ყველაფერი აღიარა და მოულოდნელად გასცა მეგობარი ხააკონ შევალიე. ხააკონს, რომელიც ბერკლის უნივერსიტეტის ფრანგული ენის პროფესორი იყო, იგი თითქმის ყოველ დღე ხვდებოდა. ოპენჰეიმერი მეგობრისა და კარიერის არჩევანის წინაშე დავაყენეთ. მან კარიერა აირჩია. ჩვენ არ შევმცდარვართ. ჩვენ იშვიათად ვცდებით.

მაგრამ შედეგი ჩვენთვის მოულოდნელი იყო: შევალიე სრულიადაც არ იყო ჯაშუში, რაც ჩვენ მალე ნათლად დავინახეთ. ოპენჰეიმერმა იცოდა, რომ ჩვენ ამას გავიგებდით. მაგრამ მან თავისას მიაღწია. ის დარჩა ლაბორატორიაში, მაგრამ ჩვენი ნდობა სამუდამოდ დაკარგა. თუ რას ფიქრობდა იგი ჩვენზე, ამაზე მეტყველებდა ცნობები, რომლებიც ჩვენამდე აღწევდა. ოპენჰეიმერი ვერ იკავებდა თავს, რომ ყოველ ხელსაყრელ მომენტში არ გაეთათხა ჩვენი უშიშროების სისტემა. იგი მასზე ლაპარაკობდა, როგორც ველეშაპზე, გვიწოდებდა ყეყეჩებს, ბრიყვებს, იდიოტებს, ფანატიკოსებსა და კრეტინებს. მაგრამ ჩვენ ერთგვარი თვალსაზრისით კმაყოფილი ვიყავით. ყოველ შემთხვევაში, ვიცოდით მისი ნამდვილი თვალსაზრისი და შეხედულებები. ჩვენ ჩვენსას მივაღწიეთ. მან გასცა შევალიე და ამით გაწყვიტა კავშირი ყველა მეგობართან. უნდოდა თუ არა, მომავალში იძულებული იყო ჩვენთან ერთად ევლო. მას ისღა დარჩენოდა, საკუთარ სინდისთან ეკეკლუცა. მაგრამ ჩვენ ეს ძალიან ძვირად დაგვიჯდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— რატომ გადაწყვიტა გაეცა შევალიე?

ბ ო რ ი ს  პ ა შ ი:

— რომ შეცდომაში შეეყვანეთ და მერე ინტრიგების შესაძლებლობა ჰქონოდა...

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

—თქვენ შეგიძლიათ პროფესორ ოპენჰეიმერის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე რაიმე კონკრეტული საბუთი მოიყვანოთ?

ბ ო რ ი ს  პ ა შ ი:

— რასაკვირველია. ამის დამამტკიცებელი საბუთი აურაცხელია. აი პირველი, რომელიც მე გამახსენდა: 1932 წლის აპრილში ოპენჰეიმერი დაინიშნა განიარაღების კომიტეტის თავმჯდომარედ. იგი შეცდომით ფიქრობდა, რომ ეს მაღალი თანამდებობა კარგად ჰფარავდა მის ინტრიგებს და მაშინვე გამოამჟღავნა თავი, როგორც თერმოატომგულის იარაღის გამოცდის მოწინააღმდეგემ. მას ამ ორგანიზაციის გამოყენება უპირველესად ყოვლისა იმისათვის სურდა, რომ კუნძულ ენივერტოკზე თერმოატომგულის იარაღის გამოცდის მომზადების შესაძლებლობა მოესპო. ოპენჰეიმერის გამოსვლამ შეცდომაში შეიყვანა საზოგადოებრიობა და არაჩვეულებრივად გაართულა ჩვენი ატომისტ მეცნიერების მუშაობის პირობები... ყურადღების ღირსია ჩვენი მოქალაქეებისათვის სრულიად უცნობი კიდევ ერთი ამბავი. 1951 წლის ოქტომბერში პროფესორი ოპენჰეიმერი პარიზში იყო. მან მიღება სთხოვა გენერალ ეიზენჰაუერს, რომელიც, როგორც ცნობილია, მაშინ ჩრდილო-ატლანტიკის პაქტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი იყო. საუბარი, რომელიც ოპენჰეიმერსა და გენერალ ეიზენჰაუერს შორის მიმდინარეობდა, საბედნიეროდ, ჩაწერილ იქნა და ამიტომ ჩვენ გვაქვს უტყუარი საბუთი იმისა, თუ რო-

გორ დაბეჯითებით ცდილობდა ოპენჰეიმერი ამერიკაში თერმოატომგულის იარაღის წარმოების ჩაშლას. „თქვენ იცით თუ არა, რას ნიშნავს, გენერალო, — ეუბნება ოპენჰეიმერი, — თუ წყალბადის ბომბები ოდესმე დამზადდება და ჩვენს არსენალებში იქნება შენახული. ახლა ჯერ კიდევ არის დრო, არ მივცეთ ამას გასაქანი. არც ჩვენ, არც სხვებს ჯერ კიდევ არა გვაქვს ჯოჯოხეთური ბომბი. ჯერ კიდევ შესაძლებელია, არ დავუშვათ არც ჩვენს მხრივ და არც იმათ მხრივ უამრავი მსხვერპლი. გვიშველეთ, გენერალო ეიზენჰაუერო, გვიშველეთ!" ჩვენს ჰუმანისტებსა და პაციფისტებზე ალბათ მოახდენს გავლენას ის ზრუნვა კაცობრიობაზე, რომელსაც იგი აქ ასე ცხადად იჩენს. მაგრამ მე შემიძლია დავადასტურო, რომ ჩვენი მეომრები ოპენჰეიმერზე ნაკლებ არ ზრუნავდნენ კაცობრიობაზე. ოპენჰეიმერის ეს მოწოდება სინამდვილეში იყო უტიფარი ცდა, რომ უკანასკნელ მომენტში დაეღუპა მრავალწლიანი და ძვირადღირებული სამუშაოს შედეგები, ამიტომ, როცა მან გაიგო, რომ ეიზენჰაუერი გენერალ ნორსტედს ეთათბირებოდა, მორჩილად განაცხადა: „ეს დასასრულია". იმ დროს, როცა მთელმა ამერიკამ შვებით ამოისუნთქა, რომ დადგა მერყეობის დასასრული, ოპენჰეიმერი ამ ამბავს ისე შეხვდა, როგორც შეხვდებოდა ყოველი კომუნისტი მოღვაწე, რომლისთვისაც მოსკოვის ინტერესები შეერთებული შტატების ინტერესებზე მაღლა დგას...

დოქტორი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— უშიშროების ორგანოებს აქვს რაიმე კონკრეტული საბუთი, რომ ოპენჰეიმერი ჯაშუში იყო?

ბ ო რ ი ს პ ა ხ ი:

— ჩვენ გვაქვს სრულიად საფუძვლიანი ეჭვი.

დოქტორი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— მაშასადამე, საბუთი არ არსებობს?

ბ ო რ ი ს პ ა ხ ი:

— ამაში ჩვენ სავსებით დარწმუნებულები ვართ.

დოქტორი უ ო რ დ ი ვ ე ნ ს ი:

— გმადლობთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო რ დ ო ნ გ რ ე ი:

— მოწმე, გთხოვთ განაგრძოთ!

ბ ო რ ი ს პ ა ხ ი:

—1951 წელს ოპენჰეიმერი ჯერ კიდევ დიდების ზენიტზე იმყოფებოდა და მრავალი დიდმნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. როდესაც ჩვენმა ორგანოებმა დაიწყეს შესწავლა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება შეერთებული შტატების თავდაცვა ახალ პირობებში, როცა რუსებმა შექმნეს ატომური ბომბი, ისევ დადგა ოპენჰეიმერის დრო. მეცნიერებს მიმართეს შველისათვის, რომ მიეღოთ ზომები იმ შემთხვევისათვის, თუ კი შეერთებული შტატები განიცდიდნენ ატომურ თავდასხმას... პრაქტიკულად წყდებოდა საკითხი, რა ვუყოთ ჩვენს სტრატეგიულ ავიაციას. საჭიროა ჩვენი სტრატეგიული ავიაციის გაძლიერება, თუ უარი უნდა ვთქვათ ამაზე, რომ რუსები არ გრძნობდნენ მუქარას და რომ მათ პირველებმა არ მოახდინონ პრევენტული თავდასხმა ჩვენზე? და აი, ოპენჰეიმერს უნდა ეპასუხა ჩვენი შეიარაღებული ძალებისათვის ამ კითხვაზე.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ვინ მიანიჭა მას ასეთი უფლებები?

ბ ო რ ი ს პ ა ხ ი:

— სამხედრო-საჰაერო ძალების სამეცნიერო მრჩეველმა ლუის რაიდმუერმა.

რ ო ჯ ე რ რ ო ბ ი:

— ეს ხომ ნამდვილი შეთქმულებაა!

ბ ო რ ი ს პ ა ხ ი:

— თავის წინადადებებს ოპენჰეიმერი თვითონ არ ამუშავებდა, მის დასახმარებლად გამოყვეს მეცნიერული ძალები და კალიფორნიის ინსტიტუტის ლაბორატორია, აგრეთვე ათობით ექსპერტი და მრჩეველი. მაგრამ ყველაფერი ოპენჰეიმერის სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ამან ზემოქმედება იქონია შედეგებზე. რამდენიმე თვის შესწავლის შემდეგ მან წარმოადგინა ცნობილი „ვისტის პროექტი". ეს პროექტი ძირითადად ოპენჰეიმერმა ჩამოაყალიბა, პირველი ხუთი თავი პირადად მან დაწერა და თავის ავტორობას არც უარყოფს. ძალზე საინტერესოა, რას გვთავაზობს იგი. მდიდარი ფანტაზია არ სჭირდება იმის

შეტყობას, რომ ის, უპირველესად ყოვლისა, ჩვენი სტრატეგიული ავიაციის შემდგომი გაზრდის წინააღმდეგი იყო. ეს თითქოს და ძალზე ძვირია და აგრეთვე სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ რუსები ჩვენ ვერ დაგვეწევიან; რომ თითქოს, რაც მთავარია, იზრდება ნერვიული დაძაბულობა და რუსები იმის შიშით, რომ არ დავასწროთ, შეიძლება თავს პირველნი დაგვესხნენ და დაიწყება ომი. ის თავს ესხმოდა ჩვენს ძირითად კონცეფციას, რომ კომუნისტებთან მხოლოდ ძალის გამოყენებით უნდა იმოქმედო. ის სრულიად სერიოზულად ამტკიცებდა, რომ თუ ჩვენ უარს ვიტყვით სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის შექმნაზე, რუსები დაწყნარდებიან და გაიზრდება მშვიდობის შესაძლებლობა, ხოლო იმისათვის, რომ რუსებმა ვერ გაბედონ თავდასხმა, თითქოს და საკმარისია ტაქტიკური ავიაცია და, უპირველესად ყოვლისა, ძლიერი თავდაცვა აქ, ამერიკაში. სტრიქონებს შორის რეკომენდებული იყო, რომ ჩვენ გაგვეუქმებინა სამხედრო ბაზები საზღვარგარეთ, დაგვეტოვებინა ჩვენს მიერ აშენებული ასეული მილიონობით ღირებული ნავთსადგურები, აეროდრომები და სამხედრო საწყობები. წინადადება ფანტასტიურია!

ეს ფანტასმაგორიები საბოლოოდ უარყოფილ იქნა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ მაინც გამოიღეს რაღაც სასარგებლო ნაყოფი! ჩვენმა წამყვანმა პოლიტიკოსებმა საბოლოოდ გაიგეს, ვინ არის ბატონი ოპენჰეიმერი და ვისთვისაა სასარგებლო მისი წინადადებები. მაგრამ სიმართლემდე გრძელი და ეკლიანი გზა არის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გენერლები ფითრდებოდნენ, როცა ესმოდათ ოპენჰეიმერის სახელი, ეს ადამიანი ანგელოზის სიმშვიდით ამუშავებდა ჩვენი თავდაცვის ორგანიზაციის შემდგომ პროექტებს. ის დაბეჯითებით იმეორებდა ერთსა და იმავე აკვიატებულ იდეას: ჩვენ არც კი შეგვიძლია ვიფიქროთ პრევენტულ ომზე ან ატომურ ბომბარდირებაზე, რომ ეს თითქოს არახელსაყრელია მორალურად და სამხედრო თვალსაზრისით და ა. შ. თუ ჩვენ ჩავუკვირდებით მის ყოფმანს, არ გამოგვეპარება რუსების მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და სხვა ადგილებზე წამოყენებულ წინადადებებთან მისი სრული მსგავსება. ოპენჰეიმერს და საბჭოთა პოლიტიკოსებს რიგ საკითხებში თითქმის ერთნაირი აზრი ჰქონდათ.

რ ო ჯ ე რ   რ ო ბ ი:

— შესაძლოა ერთი და იგივე ფულიც?

ბ ო რ ი ს   პ ა ს ი:

— კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე ჰგავდა მისი წინადადება იმ იდეას, რომელსაც ერთი დღით გვიანავრცელებდა მოსკოვის „პრავდა". ისევე, როგორც კომუნისტები, ის თავს ესხმოდა მთავარ პრინციპს — ატომგულის გამოკვლევების შედეგების სრულ საიდუმლოებას. მე აქ ჩვენი უშიშროების ორგანოების მისამართით მის ირონიულ შენიშვნებზეც ვილაპარაკე. ოპენჰეიმერი სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას ჩვენი უშიშროების სამსახურს. იგი ყვებოდა ძველ ანეგდოტებს, ხან კი შეწუხებული სახით მოუთხრობდა მსმენელებს ნამდვილ, ზოგჯერ კი მონაჭორ ამბებს ჩვენი თანამშრომლების წარუმატებლობაზე და ასკვნიდა, რომ მთელი ჩვენი უშიშროების სისტემა სულელურია. ის საიდუმლოდ აბეზღებდა ჩვენს აგენტებს უმაღლეს ორგანოებში და აშკარა ალფრთოვანებას გამოთქვამდა, როცა რომელიმე მათგანი ისჯებოდა. მე მას ვადანაშაულებ იმაში რომ ამგვარი სიძულვილი ჩვენი თანამშრომლების მიმართ თანდათანობით განვითარდა სხვა ლაბორატორიებშიც, მაგრამ იგი ძალზე ფრთხილად მოქმედებდა და ამიტომ ჩვენ ვერ გამოვააშკარავეთ. ოპენჰეიმერი საერთოდ სიამოვნებით მიმართავდა კანონს, თითქოს და შეერთებული შტატების მოქალაქეებს უფლება აქვთ ყველაფერი იცოდნენ და ამიტომ დეტალურად უნდა იყვნენ ინფორმირებული ატომური იარაღის შესახებ. ამ ლოგიკით გენერალურ შტაბს ოპერატიული გეგმები თითქოს სახალხო ფორუმისათვის ენდა მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა დასამტკიცებლად. ასეთ დემაგოგიას, რომელიც ისევ რუსებისათვის იყო სასარგებლო, შეიძლება საშიში შედეგები მოჰყოლოდა, დროზე რომ არ უვნებელვეყო მსგავსი მტკიცებანი. ოპენჰეიმერი მარტო არ იყო. იმ დროს ბევრ გამოჩენილ და ნაკლებად გამოჩენილ მეცნიერს აუცილებლად მიაჩნდა გაევრცელებინა ანეგდოტები უშიშროების სამსახურზე, ეჩივლათ პოლიციურ თვითნებობაზე და ანტიამერიკული საქმიანობის საგამოძიებლო კომისიაზე, გადაკვრით ელაპარაკათ იმაზე, რომ პირში წყალი ჰქონდათ ჩაგუბებული და გაევრცელებინათ შეურაცხმყოფელი ხმები, რომ მეცნიერების თავისუფლებას, და მასთან ერთად ამერიკის თავისუფლებასაც საშიშროება ემუქრება. ამ დემაგოგიურ ტალღას, სხვათა შორის, იმიტომაც გავუძელით, რომ კონგრესში გამოვიდა რამდენიმე კაცი, რომლებმაც გაითვალისწინეს მოსალოდნელი საფრთხე და შესძლეს მამაცურად ეთქვათ: „დიახ, ჩვენ თავისუფლების მომხრენი ვართ და მივცემთ ჩვენს მეცნიერებას თავისუფლებას, მაგრამ არავინ არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ დავუშვებთ, ეს თავისუფლება ჩვენი მტრებისათვის ხელსაყრელი იყოს...“ [1]

დოქტორი უორდ ივენსი:

— მოწმე, თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ მეცნიერების თავისუფლების ანალოგიურ შეხედულებას იზიარებდა ალბერტ ეინშტეინიც, ადამიანი, რომლითაც ამაყობს ამერიკა და რომელსაც ალბათ არ შეიძლება ბრალი დავდოთ კომუნიზმისაკენ მიდრეკილებაში.

ბორის პახი:

— ეჭვის მიტანა ყველაზე შერმორებით, თვით ეინშტეინიც არ წარმოადგენს წმინდანს. და საერთოდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მისი შეხედულებანი შორს არ არის კომუნიზმის იდეისაგან. ოპენჰეიმერი ეკუთვნის სხვა კატეგორიას და იგი ჩვენ სხვაგვარად უნდა გავასამართლოთ. მან თავისი წინადადებები წამოაყენა არა როგორც მეცნიერმა ან ფილოსოფოსმა, არამედ როგორც პოლიტიკოსმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი იყო შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელი და უკვე ამიტომ მას ჰქონდა განსაზღვრული მოვალეობანი, რომლებიც არ შეეძლო დაუსჯელად დაერღვია...

გორდონ გრეი:

— ხვდებოდა თუ არა ოპენჰეიმერი უკანასკნელ წლებში კომუნისტებს?

ბორის პახი:

— კი. ამ ახლო ხანში იგი პარიზში შეხვდა ხააკონ შევალიეს (ხმაური დარბაზში). ეს იყო მონმარტრზე, ყოფილი კომუნისტი მწერლის მალროს საზოგადოებაში. ბატონი მალრო 1938 წელს ეწვია შეერთებულ შტატებს და წითელ ესპანეთს უწევდა აგიტაციას...

როჯერ რობი:

— აჰა!

დოქტორი უორდ ივენსი:

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ არსებობს იმის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ შევალიე კომუნისტური პარტიის წევრია. თქვენ თვითონ აღნიშნეთ, რომ არა გაქვთ არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ იგი ჯაშუშია.

ბორის პახი:

— ოპენჰეიმერს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ შევალიე პარტიის წევრი არ არის.

დოქტორი უორდ ივენსი:

— მაგრამ ეს ხომ მისი მოვალეობა არც არის!

როჯერ რობი:

— ცდებით. უშიშროების ორგანოების ინსტრუქცია ატომური კომისიის თანამშრომლებს სასტიკად უკრძალავს კომუნისტებთან და არალეგალური კომუნის-

[1] ბორის პახი, რასაკვირველია, ლაპარაკობს სენატორ მაკარტის ცნობილ გამოსვლაზე, რომელმაც სიბრაზისაგან აკანკალებული ხმით რადიოთი საქვეყნოდ განაცხადა: „თუ ჩვენს მთავრობაში არც ერთი კომუნისტი არ არის, რატომ შეუერხდა 19 თვით წყალბადის ბომბის საგამოკვლევო სამუშაოები, მაშინ, როცა ჩვენმა დაზვერვამ გვაცნობა, რომ რუსებს შეუძლიათ შექმნან წყალბადის ბომბი? მე ვამცნობ დღევანდელ ამერიკას, რომ იგი შეიძლება აღიგავოს პირისაგან მიწისა ამ დაყოვნების გამო“. ამ მაგალითს შეუძლია ნათელი წარმოდგენა მოგვცეს იმაზე, თუ რამდენად მძაფრი იყო ანტიკომუნისტური ისტორია.

ტური ორგანიზაციების წევრებთან ყოველგვარ კავშირს. ეს მითითებანი ყოველ თანამშრომელს ავალდებულებს ყოველმხრივ გაურბოდეს მათთან შეხვედრებს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ატომური კომისიის არცერთ თანამშრომელს არა აქვს უფლება შეხვდეს ადამიანს, თუ დარწმუნებული არ არის, რომ იგი კომუნისტი არაა. ოპენჰეიმერმა კი იცოდა, რომ მისი მეგობარი შევალიე, სულ მცირე, კომუნიზმში ეჭვმიტანილია, ამიტომ მას არ უნდა დაკავშირებოდა...

თ ო მ ა ს  მ ო რ გ ა ნ ი:

— თქვენ შეგიძლიათ აგვიხსნათ, რატომ ამბობდა ოპენჰეიმერი უკანასკნელ წლებში უარს პოსტებზე?

ბ ო რ ი ს  პ ა ს ი:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი დროზე გააფრთხილეს მეგობრებმა და იცოდა, რომ ჩვენი ხელმძღვანელი პოლიტიკოსები უკვე აღარ თვლიდნენ საიმედოდ. მან, რასაკვირველია, შეიტყო, რომ 1952 წლის გაზაფხულზე რამდენიმე ცნობილი მეცნიერი გენერალური საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარედ მისი ხელმეორედ არჩევის წინააღმდეგი იყო. საქმე ფარული იყო, მაგრამ ოპენჰეიმერმა ალბათ ზოგი რამ გაიგო, რადგან მალე ამის შემდეგ თვითონ შემოიტანა აცილება თავის კანდიდატურაზე. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ სარგებლობდა ატომური კომისიისა და საერთოდ სამეცნიერო წრეების დიდი მხარდაჭერით. საბოლოოდ დაშვებულ იქნა კომპრომისი, ოპენჰეიმერი დანიშნეს მრჩევლად და დაუშვეს საიდუმლო მასალებთან. ამ დანიშვნას ძალა ჰქონდა ერთი წლის მანძილზე, 1953 წლის ივნისამდე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ დრომდე იმდენად გამოვააშკარავებდით ოპენჰეიმერს, რომ მის შემდგომ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა. სამწუხაროდ, ატომური კომისიის თავმჯდომარე გორდონ გრინმა სულ სხვაგვარად გადაწყვიტა და 1953 წლის 5 ივნისს ოპენჰეიმერს ეს ვადა გაუგრძელა კიდევ ერთი წლით. მალე ამის შემდეგ დანიშნულ იქნა ატომური კომისიის ახალი თავმჯდომარე — ლუის სტრაუსი, და აქედან მოყოლებული საქმეს მიეცა სწორი მიმართულება და საჭირო ტემპი. სტრაუსი მოქმედებდა სწრაფად და გაბედულად. ამ პოსტის დაკავებისთანავე 1953 წლის ივლისში მან ბრძანა, ყველა საბუთები, რომლებიც ჰქონდა ოპენჰეიმერს პრინსტონში, გადაეტანათ სხვა ადგილას. ასე დაიწყო აშკარა ბრძოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო რ დ ო ნ  გ რ ე ი:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ოპენჰეიმერი გულით კომუნისტი დარჩა იმ პერიოდშიც, როცა ამერიკა ასე აშკარად ამჟღავნებდა მისდამი სიყვარულს და პატივისცემას?

ბ ო რ ი ს  პ ა ს ი:

— მე მგონია, ოპენჰეიმერს მოსვენებას არ აძლევდა შინაგანი წინააღმდეგობანი. კომუნისტური საზომით თუ მივუდგებით, იგი მათთვის არ შეიძლება გამოსადეგად ჩაითვალოს. ის ინდივიდუალისტია, წვრილმანშიც კი არ შეუძლია დაემორჩილოს სამხედრო დისციპლინას, თავის თავზე უფრო ბევრს ფიქრობს, ვიდრე კომუნისტურ კოლექტივზე და ა. შ. მაგრამ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნისტებთან მეგობრობითა და ოჯახით. იგი გაჟღენთილია მარქსისტული ოპიუმით და უბრალოდ არ სჯერა ჩვენი სისტემის სიმტკიცე...

რით შეუძლია ზიანი მოგვაყენოს ჩვენ რომელიმე კომუნისტურმა მოღვაწემ? ჩვენთვის ცნობილია მისი ყოველი ნაბიჯი, გამოძიების ფედერალური ბიურო კითხულობს მის წერილებს; იცის, ვის ურეკავს, ვინ დადის მასთან, რას ფიქრობს, რას აკეთებს და ყოველ წუთს შეუძლია დააპატიმროს. ეს ყველაფერი ცნობილია არა მარტო გამოძიების ფედერალური ბიუროსა და პოლიციისათვის, არამედ მეწარმისათვისაც, იციან პროფკავშირებმაც. ის ვერსად გაძვრება. ჩვენ მას განუწყვეტლივ ვუთვალთვალებთ და ამიტომ მას შეუძლია ამერიკას ისე ავნოს, როგორც კოღო ავნებს სპილოს, მაგრამ ოპენჰეიმერი იმყოფება მაღალ სახელმ-

წიფოებრივ პოსტებზე. პრეზიდენტის პირადი მრჩეველია, მეცნიერების და ამერიკელი ხალხის რჩეულია, პიროვნებაა, რომელსაც ყველაზე უფრო საიდუმლო საბუთებით სარგებლობის უფლება აქვს. იგი რჩევას აძლევს მინისტრებსა და გენერლებს. მისი მოქმედებები, თუ კი იგი შესძლებს დიდხანს და წარმატებით დაფაროს თავისი მსოფლმხედველობა, შეიძლება საშიში აღმოჩნდეს, და ეს მართლაც ასე იყო. მისი ღვარძლიანი თავდასხმების წყალობით, უშიშროების ორგანოების ინსტრუქციები ფარსად იქცეოდა ხოლმე. ატომური იარაღის წინააღმდეგ მისმა ფანატიკურმა, საკუთარი დანაშაულით და სინდისის ქენჯნით დამძიმებულმა ბრძოლამ ჩვენ დაგვაკარგვინა რამდენიმე წელი, რომელიც მხოლოდ უამრავი მსხვერპლის გაღებით შეიძლება ავინაზღაუროთ. ვერც ერთი ბოროტგანმზრახველი ვერ გააკეთებდა უფრო მეტს.

ოპენჰეიმერმა ამერიკას მიაყენა საშინელი ზიანი. თუ თქვენ არ გსურთ, რომ ეს ზიანი გაიზარდოს, საჭიროა ოპენჰეიმერი ცნობილ იქნას დამნაშავედ, აეკრძალოს სამხედრო აღმოჩენებით და ატომგულის გამოკვლევების მასალებით სარგებლობის უფლება. უშიშროების კომიტეტმა უკომპრომისოდ და სრულიად გარკვევით უნდა განაცხადოს, რომ ოპენჰეიმერი იყო და არის აბსოლუტურად არალოიალური თავისი ქვეყნის მიმართ და ამიტომ დაკარგა ყოველგვარი ნდობა. უფრო მეტს კომუნისტი ვერ გააკეთებს. ჩვენ კი ჩვენის მხრივ ვეცდებით, რომ შემდგომში ამ კაცს აღარავინ გაუღოს ჩვენი ატომური ლაბორატორიების კარი.

რ ო ჯ ე რ   რ ო ბ ი:

— ძალიან კარგი.

გ ო რ დ ო ნ   გ რ ე ი:

— გმადლობთ. აქვს კიდევ ვინმეს შეკითხვები?

დოქტორი უ ო რ დ   ი ვ ე ნ ს ი:

— მე აღვნიშნავ, რომ ბორის პახის ჩვენებაში არ იყო დამტკიცებული დანაშაულებრივი მოქმედების არც ერთი ფაქტი.

რ ო ჯ ე რ   რ ო ბ ი:

— მე ვადასტურებ, რომ ყველაფერი დამტკიცებული იყო.

გ ო რ დ ო ნ   გ რ ე ი:

— გმადლობთ, ბატონებო.

## Who's who[1]

„კაცი, რომელიც არ ყოყმანობს", ასე შეიძლება მოკლედ დავახასიათოთ ბორის პახი. ის არაფერზე არ ჭერყეობს, არ მერყეობს და შეუძლია სულ უბრალოდ შეთხზას სახელმწიფო ღალატის ყველაზე უფრო ფანტასტიკური საქმე.

მანამდე, სანამ ბორის პახი უშიშროების სამსახურის ოფიცერი გახდებოდა, ჰოლივუდის ერთ-ერთ სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. მაგრამ მან იქ ვერ მიაღწია თვალსაჩინო შედეგებს და სახელი მხოლოდ სამიჯნურო თავგადასავლებით გაითქვა. იგი ავანტიურების მოყვარული იყო, პოლიტიკური რწმენით კი რეაქციონერი და ანტიკომუნისტი. იგი მაბეზღარა იყო და ამით დიდ კარიერას გაიკეთებდა. სახელმწიფო უშიშროების აპარატში მას სწრაფად ასწავლეს ეჭვის მიტანა და ადვილად და მტკიცედ შეითვისა ამ სამუშაოს ძირითადი კანონი — არავისთვის დაეჯერებინა. შეიძლება ყველაზე კარგი მეგობარიც კი მტერი აღმოჩნდეს. უშიშროების ოფიცერს მეგობრები არა ჰყავს. ის სწავლობდა სპეციალურ სკოლაში და „კომუნიზმის გავრცელებასთან ბრძოლის" სპეციალისტი გახდა. რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა მას განსაკუთრებულ კვალიფიკაციას აძლევდა. ბორის პახი წარმოშობით რუსია. მამამისი შეერთებულ შტატებში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი იყო.

სახელმწიფო უშიშროების აპარატში, სადაც იგი რეგბის თამაშში შეთვისებუ-

[1] „ვინ, ვინ არის". (ინგლ.).

ლი ჩვევებით მოქმედებდა, სწრაფად მიიწევდა წინ. პახს არასოდეს არ აკლდა მლიქვნელობა და კარიერისტული მოქნილობა. ის გაიცნეს ჰუსარული მოქმედების წყალობით, რომელიც ზოგიერთი ამერიკელი პოლიციელისთვისაც კი უჩვეულო იყო. მას განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ერთმა საქმემ. პახი ისე, რომ არავისთვის არ უთქვამს, შეეცადა შეპარულიყო ამერიკული არმიის ერთ-ერთ შტაბში ლოს-ანჯელოსში. გადაძვრა ღობეზე, მოატყუა დარაჯები, შეძვრა შენობაში და მოიპარა საიდუმლო საბუთების სეიფი. ეს მოხდა ომის დროს, და ბუნებრივია, საშინელი განგაში ატყდა. ყველაფერი გამოაშკარავდა და ყველამ გაიგო, რომ ეს საქმე პახმა ჩაიდინა. მაგრამ მან თავი იმართლა: არმიის ოფიცრებისათვის მინდოდა მეჩვენებინა, რომ ისინი ფხიზლად არ არიან და ადვილად ტყუვდებიანო. ეს უკვე მეტისმეტი იყო, და ამიტომ იგი იძულებული შეიქნა დროებით დაეტოვებინა ხელსაყრელი სამსახური, მაგრამ ის დაიცვეს გავლენიანმა მფარველებმა.

ოპენჰეიმერის საქმეში მან მაინცდამაინც თავი ვერ გამოიჩინა. ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ პახი მეტისმეტად პირდაპირი და მოუქნელი იყო. ამ საქმეს კი უფრო მოქნილი კაცი ესაჭიროებოდა. ამიტომ ეს საქმე გადაეცა ადვოკატს, პოლკოვნიკ ლენდსდეილს და პახი ჩამოიშორეს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ მისი უკმაყოფილონი იყვნენ. 1943 წლის ნოემბერში მას ოპერაცია „ალსოსის" ხელმძღვანელობა დაევალა.

ოპერაცია „ალსოსი" ამერიკის საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი დიდი მიღწევაა მეორე მსოფლიო ომში. ოფიციალური საბუთებით მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, დაედგინა თუ რამდენად წინ წავიდნენ გერმანელები ატომურ გამოკვლევებში და ატომური ბომბის შექმნაში. სინამდვილეში პახის აგენტები, გარდა ბომბისა, დაინტერესებული იყვნენ კიდევ ბევრი სხვა და ძალიან მნიშვნელოვანი საქმეებით. საქმე ძირითადად ეხებოდა გერმანელ მეცნიერებსა და პატენტებს. პახს უნდა მიეღწია, რომ არაფერი რგებოდა საბჭოთა არმიას და რაც შეიძლება ნაკლები — ინგლისელებს და ფრანგებს.

თავდაპირველად პახი გაემგზავრა იტალიაში და მოკავშირეების ჯარებთან ერთად მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ. მაგრამ იტალიურ ლაბორატორიებში სახარბიელო არაფერი აღმოჩნდა. საფრანგეთში საომარი მოქმედების გაშლისთანავე პახი გადასახლდა პარიზში. შემდეგ გენერალ პატონის ჯარებთან ერთად შევიდა სტრასბურგში — გერმანული ატომური გამოკვლევების უმნიშვნელოვანეს ცენტრში. ბორის პახის თანამშრომლებმა ხელში ჩაიგდეს დიდი რაოდენობის ძვირფასი საბუთები. ჰოლანდიელ-ამერიკელმა ფიზიკოსმა სამუელ ჰუდსმიტმა, რომელსაც პახის შტაბში დავალებული ჰქონდა ნაპოვნი მასალების ღირებულების განსაზღვრა, დაადგინა, რომ გერმანელები ვერაფრით ვერ მოასწრებდნენ ატომური ბომბის შექმნას. ამით გადაიჭრა პირველი ამოცანა, მაგრამ ბომბი მათ უკვე აღარ აინტერესებდათ.

პახმა აღმოაჩინა, რომ პირველი ატომური რეაქტორი მუშაობდა ხაიგერლოხის ციხე-სიმაგრის სარდაფებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხაიგერლოხში ინახებოდა ყველა მეცნიერული მონაცემიც. სიძნელეს ქმნიდა ის ამბავი, რომ ეს პატარა ქალაქი საფრანგეთის საოკუპაციო ზონაში იყო. მაგრამ პახმა იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. მისი პარაშუტისტები თავს დაესხნენ ხაიგერლოხს და მის მეზობელ ხესლინგენს, მაგრამ ყველაზე დიდი თევზი ხელიდან გაუსხლტათ. ვერნერ ჰეიზენბერგი შეუმჩნევლად გაიპარა ველოსიპედით ბავარიის ალპებში. მაგრამ მონაპოვარი ისედაც მნიშვნელოვანი იყო. მათ ხელში ჩაიგდეს ოტო ჰანი, მაქს ფონ ლაუე და კ. ფ. ვაიცზეკერი. ეს იყო პახის ყველაზე დიდი მიღწევა. მაგრამ საჯნებით გასაგები მიზეზების გამო ეს ამბავი არ გაუხმაურებიათ. გაცილებით მეტს

ლაპარაკობდნენ ბრემში მომხდარ ამბავზე. პახმა და მისმა თანამშრომლებმა ქუჩაში დააკავეს პიროვნება, რომელსაც პასკუალ ჯორდანი ერქვა. იგი თავს იცავდა და ყვიროდა, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. პასკუალ ჯორდანი ჩასვეს თვითმფრინავში და გადააფრინეს შეერთებულ შტატებში, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რომ ეს პასკუალ ჯორდანი სახელგანთქმული გერმანელი ფიზიკოსი კი არ იყო, არამედ მხოლოდ მისი თანამოგვარე და უბრალო ბრემელი მკერავი. მაგრამ პახისათვის პასუხი არ მოუთხოვიათ. ასეთი დრო იყო. პახის ომისშემდგომ კარიერაზე ოფიციალური ცნობები არ მოიპოვება. ის კი სრულიად აშკარაა, რომ იგი უშიშროების სამსახურის ვარსკვლავებს ეკუთვნის, და რომ მას ანდობენ ისეთ საქმეებს, რომელიც გონების ძალდაუტანებლად მოქმედების სიმტკიცეს მოითხოვს. მრწამსით, ბუნებრივია, პახი მემარჯვენეთა ყველაზე უფრო რეაქციულ ჯგუფს მიეკუთვნება. მაგრამ განა სხვანაირად შეიძლება? იგი ხომ თავისი სახელმწიფოს ერთ-ერთი ბურჯთაგანია.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სატირა და იუმორი

არლი თაყაიშვილი

## უცნობი მისამართები

### ჩატეხილი ხიდი

მე რომ ბინის გადაცვლა განვიზრახე, სამსახურში ყბად ამიღეს: გადიდკაცდა და ძველს აღარ კადრულობსო. გადიდკაცება თუ ქვია, ყველა კრებაზე მოსე მწერლად რომ მირჩევენ, იმასაც ვიკითხავ. რაც შეეხება ბინას, ძველი კია, მაგრამ ჩემი დასაწუნი ნამდვილად არაა. ჩუქურთმებად ქცეულ სახლში ორი ოთახი, ხელით რომ ვერ შესწვდები, ისეთი ჭერით, არაა პატარა უძრავი ქონება!

ეს ბინა ორმოციოდე წლის წინათ ერთ თეთრგვარდიელ ოფიცერს დარჩენია, ქუდმოგლეჯილი რომ გარბოდა ქალაქიდან. სხვათა შორის, ყველაფრის წალება მოუსწრია ბინის გარდა. მალე იგი მამაჩემს გადასცეს და მას შემდეგ მის კედლებში ჩვენი გენეალოგიური შტო სუნთქავს.

მამამ და დედამ არ ინებეს ჩემი მომავალი გახელილი თვალებით დაენახათ. მე ობლობა ცოლის შერთვით შევიმსუბუქე; თანაც არ მინდოდა, ჩვენს გვარეულობაში ამ ქვეყნიდან გემის კაპიტანივით ყველაზე ბოლოს წავსულიყავი. მაგრამ მემკვიდრე რატომღაც გაჩენას აგვიანებს და ახლა მარტო მე და ჩემი ცოლი ვტკეპნით ამ მამაპაპეულ ფართობს.

აბა, რატომ ვცვლი ბინას? გეტყვით და არ დამცინოთ: მეზობლების გულისათვის.

ამბობენ, მეზობელი გაჭირვების ტალკვესია ჭირსა და ლხინში, რომ დღეს არავინ ცხოვრობს რობინზონ კრუზოსავით უმეზობლოდ და სუფრაზე ყოველი მესამე სადღეგრძელო ყურის მეზობელს ეკუთვნის.

მაგრამ მე კარგად ვიცი ერთი რამ: ჩვენსა და მეზობლებს შორის ხიდია ჩატეხილი.

მთელი უსიამოვნება მოზარდი თაობიდან დაგვეწყო. შეიძლება ითქვას, უბნის საბავშვო ბაღი ძირითადად ჩვენი ეზოს ჭინკებისთვის არის გახსნილი.

მე ბავშვები ძალიან მიყვარს. ტყუილად ხომ არ ეძახიან მათ ჩვენი ცხოვრების ყვავილებს?! ცოლთანაც ჩხუბი სწორედ ბავშვის თაობაზე მომდის. მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფერს საზღვარი აქვს.

ჩემი ერთ-ერთი ფანჯარა საერთო აივანზე გადის. ინათებს თუ არა, ატყდება ერთი შლიგინი და რია-რია. ფანჯრები ზრიალს იწყებს, იატაკი აჭრიალდება, ელექტრონათურა გაექან-გამოექანება.

თითქოს ჩემს სამსახურში წასვლას უცდიანო, იმწამსვე საბავშვო ბაღში გაიკრიფებიან. იქ სწავლობენ ყვირილს, სტვენას, ფეხის დაბრახუნებასა და სხვა სიკეთეს. მე რომ მოვდივარ, ისინიც ბრუნდებიან და ჩემი ფანჯრების წინ აგრძელებენ აურზაურს.

რას იზამ! მშობლებს ეტყვი და, მე შენ გეტყვი, გაუწყრებიან. ის კი არა, მგონია, თვითონ აქეზებენ. ერთმა საგანგებოდ მტრედებიც კი მოაშენა ჩვენს წინ. მათმა ღუღუნმა და ფრთების ტკაცუნმა გული წაიღო. გავაღებ თუ არა ფანჯარას, შემოფრთქიალდებიან და ხელზე დამასკუპდებიან შიშინოსავით, გეგონება გამოცდილი მონადირე ვიყო...

მე თვითონ პალმა არ დამადგმევინეს დერეფანში: დიდ ადგილს იკავებს და, რაც მთავარია, ჩვენს წილ ჟანგბადს ნთქავსო. შევათრიე ისევ ოთახში და ახლა ცოლი მის ფართო ტოტებს წვრილ-წვრილი სარეცხის გასაფენად იყენებს.

მერე რა პალმა, არ იკითხავთ?! მთელ ეზოს მიჰქონდა პანაშვიდებზე. არა უშავს. აწი რას დაუდგამენ მიცვალებულს თავთან, იმასაც ვნახავ!

ღირს ამის მერე მათთან მეზობლობა? არავითარ შემთხვევაში! ჩვენც აღარაფერი შეგვრჩა საერთო, გარდა სამზარეულოსი. მაგრამ სამზარეულო, ვინც იცის, მისწრებაა კინკლაობისათვის.

მე რომ სამსახურში მივდივარ, წარმოდგენას დაწყებულს ვტოვებ. ვერ ვიტყვი, ჩემი ცოლი უმნიშვნელო როლს ასრულებდეს ამ შეხმატკბილებულ ანსამბლში. მას ეკუთვნის ბრძნული აზრი: დილით ონკანი და სხვა საჭიროების ადგილები ურიგოდ დაეთმოს სამსახურის ხალხს (თვითონ დიასახლისია, ამას ჩემი გულისთვის ლაპარაკობს).

რას იზამ. ცოლი მეზობელს მაინც ჯობია. ის შინ მაინც გეჩხუბება. ამიტომაა, ცოლი გავუშვი წყალტუბოში სამკურნალოდ და არა მეზობელი. წასვლისას გამაფრთხილა: აქაურობას თუ არ მომაცილე, უბედურებას ვეწევიო. ერთმა ამხანაგმა მირჩია: რადა ბინას იცვლი, ცოლი გამოიცვალეო. არა, ძამიკო ამდენი ვეძებე და ეს შემხვდა, რა ვიცი, მეორე რა დაწყობილი ხასიათის გამოდგება!

ერთი სიტყვით, ჩვენი და მეზობლების ერთად ყოფნა შეუძლებელი იყო. ჩვენ სხვადასხვა ბინებისთვის ვიყავით გაჩენილი. რომელიმე მხარეს უნდა დაეთმო და ეს კეთილშობილური ნაბიჯი მე პირველმა გადავდგი.

### საუბარი ღია ცის ქვეშ

კედლებზე გაკრული განცხადებებისთვის არასდროს არ მიმიქცევია ყურადღება. ვიცოდი, უბრალოდ, მე არ მეხებოდა. ეს პაწაწინა ფურცლები კი თურმე ძალზე მშრალად, მაგრამ საკმაოდ გასაგებად იტყობინებიან, ვის რა უჭირს ან რა ულხინს ამ ჩვენს დალოცვილ დედაქალაქში.

მაგრამ თბილისში უამრავი ხალხი ცხოვრობს და არც კედლებია ცოტა...

რა ჯურის განცხადება არ შემხვდა! თუ ხალხი ამდენ რამეს ცვლიდა და ყიდდა ქვეყანაზე, მართალი გითხრათ, არ მეგონა! „ვცვლი ორ ოთახს ოთხ ოთახზე", „ვცვლი ბინას ნოვოსიბირსკიდან თბილისის ცენტრში", „სასწრაფოდ გვესაჭიროება გამოცდილი მეეზოვე", „ვყიდი „რუბინის" სისტემის ტელევიზორს" და სხვ.

ჩემს გაჭირვებას მაინც არც ერთი არ მიუდგა.

ისევ ალექსანდროვის ბაღს მივაშურე.

ამ კუთხეს, დასვენების გარდა, ერთი სასარგებლო დანიშნულებაც აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აქ, ცაცხვების შრიალსა და კრიალოსნის მარცვლაში, წყდება რთული საყოფაცხოვრებო საკითხები.

მაკლერები თბილისს არასდროს აკლდა, ახლა მით უმეტეს. მშენებლობის ზრდამ სოკოსავით მოამრავლა ისინი. ამ სამუშაოს უმეტესად მოხუცები ეტანებიან. სხედან გრძელ სკამებზე, მოხრილი წელი მზისთვის მიუშვერიათ და სხვების ბედზე ფიქრით ტვინს იღლიან. ხელისგულზე აქვთ გადაშლილი მთელი ქალაქის არქიტექტურული სახე. თუ მსხვილი ლუკმა შეხვდათ, თვითონ მიუყვებიან ადგილზე. ხანდახან მხოლოდ მისამართებს აძლევენ. სინდისიერი კაცი, როცა საქმეს მოაგვარებს, მონახავს მათ და გასამრჯელოს მისცემს. ზოგი უვიწყებს ამაგს და მშრალზე ტოვებს.

მე რომ მოვედი, ბაღში უკვე ერთი ჩოჩქოლი იდგა. ხელად ვიცანი მაკლერები — მათ უფრო დამშვიდებული სახე აქვთ. ერთი მათგანი მიზანში ამოვიღე. მანუჩარი ერქვა. წითური კაცი იყო, ქოსა. თეთრ წამწამებს სწრაფად ახამხამებდა და „გეკოს" ტყვიებივით წვრილ თვალებს გულში უმიზნებდა მოსაუბრეს.

ასეთები კარგ ფეხზე მყავდა დაცდილი.

როგორც კი დავიმარტოვე, ხელი გავუყარე. მორჩილად გამომყვა, პარტყუნა ყური მომიშვირა და ჩემს ალსარებას დაელოდა.

— თუ კაია, რატომ ცვლი?! — მკითხა და სანთლისფერი ხელოვნური კბილები გამოაჩინა.

— მეზობლებმა გამამწარეს.

— უჩივლე მერე!

— არაფერი გამოვა.

— ავლაბარში წახვალ? — მკითხა უცებ.

— ექსკურსიაზე კი.

— მაშ, ავლაბარში არ წახვალ. აბა, მე შენ მოგცემ ოთხ ოთახს თავისი ყველაფრით ვაკეში.

შევახსენე, კაპიკს ვერ დავუმატებდი.

— რა ვქნათ, აბა? — უგულოდ იკითხა და დაამთქნარა.

— რამე მომიხერხე და გულს არ დაგწყვეტ! — შევაშველე იმწამსვე.

— რა გიყო ახლა მე შენ?! — გულის ჯიბიდან უშველებელი უბის წიგნაკი ამოათრია, — გაგიშვებდი ნახალოვკაში, მაგრამ დღეს ვაკე-საბურთალოს გარდა არაფერი არაფრად მიგაჩნიათ. რითაა ცუდი, მაგალითად, ორთაჭალა. თბილისი პირველად იქ გაშენდა. გოგირდის აბანოები გვერდზე გექნება.

— ბიძია მანუჩარ, აგიტაცია მერე!

— კარგი, კარგი, — უბის წიგნაკს დაუწყო ფურცვლა, — ეს გასაყიდია, ჩვენი საქმე არაა. ფალიაშვილის ქუჩა, აქირავებს ორ ოთახს — გვერდზე! სანებლიძე, რესტორნის თავზეა, არ გვინდა. ჰო, აგერ, ქალალდი გაქვს? თუ არ გაქვს, აჰა! წილკანის ქუჩა, რიგვავა, ბამბანერკა ოთახებია.

— კიდევ, კიდევ!

— კიდევ, ხომ? ა, კიდევ შენ! ბეშთაშენზე, სიდამონიძე, გადასარევი ხალხია. ესეც წაილე, ვაშლოვანზე, არ წააგებ!

უბის წიგნაკი რომ დახურა, ხუთი მისამართი მქონდა ჩაწერილი.

— მორჩა, მეტი ახლა არაფერი მაქვს. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. წამოგყვებოდი, მაგრამ კლიენტი მყავს დაბარებული.

არ მესიამოვნა, ასე იოლად რომ შეელია საკბილოებს.

— თუ მოეწყვე, იმედია, მინახულებ!

— გინახულებ კი არა, სანთელს დაგინთებ, ბიძია მანუჩარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდგავარ მესამე სართულის შესასვლელში. პატარა გოგოს პირში თითი ჩაუდვია და მომჩერებია.

— მამა შინაა?

ბავშვი უხმოდ გარბის. მოდის დედა. ისიც მტოვებს. ისმის დანა-ჩანგლის წკარუნი და არეული სიმღერის ხმები.

უცებ კარი კედელს მიეხეთქა და ჩემს წინ ჩექმების ტკაპუნით გაიჭიმა თეთრ კიტელში გამოწკეპილი ოჯახის მამა.

— რიგვავა დავითი! — ხელი ჩამომართვა და რვა ნომერი ღვინის სუნი მომაორთქლა. — აბა, ერთი აქეთ, ჭირიმე!

— არა, ბატონო, საქმეზე ვარ!

— როგორ, ჩვენ უსაქმურად ვართ, თუ?!

წაჭრილი ცერით ოთახისკენ მიმითითა. აღარ გავძალიანებულვარ.

სუფრის წინ ვიდექი და თვალს ვერ ვუსწორებდი შეჭიკჭიკებული ხალხის ეჭვიან მზერას.

— კაციტაძე არჩილი, ამ ოჯახის მომავალი ბატონ-პატრონი! — განაცხადა მასპინძელმა.

— ოჯახის პატრონი თუა, აქამდე სადაა?! — იკითხა ხმაურში გამოღვიძე-ბულმა ვიღაც თავგასიებულმა.

— ოჰ, შესანიშნავი ბინაა! — თქვა ერთმა მანდილოსანმა.

— ამისთანა ოჯახს სანთლით ვერ იპოვი! — თქვა მეორემ.

— რას ამბობ, დავითი გადასარევია!

რა თქმა უნდა, ჯარიმა მომარტყეს დაგვიანებისათვის. მე ვიხუმრე, მილი-ციელმა უკვე დამაჯარიმა თქვენთან მოსვლამდე-მეთქი, რაზედაც კახური მრა-ვალჟამიერით მიპასუხეს.

როგორც შევიტყვე, ბავშვის დღეობას ზეიმობდნენ. სუფრასთან არ იყო არც ერთი ბავშვი და იყვნენ არტელის თანამშრომლები. არ იყო აგრეთვე ის, ვისი გულისთვისაც გაღებული იქნა ამოდენა ხარჯი — დავითის უფროსი. სამა-გიეროდ, იყო მისი დეპეშა. დეპეშა მოწიწებით ესვენა ხელუხლებელ თეფშზე და მის წინ თავისუფალი სკამი იდგა...

ქეიფი დასასრულს უახლოვდებოდა. თამადა, იგივე არტელის ბუღალტე-რი, გამეხუმრა: ისე გამიჭირდა, შენ რომ არ შემომსწრებოდი, ადამ და ევას სადღეგრძელოზე გადავდიოდით.

მისურვეს: შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამო, დავითის კერაში „ფუტი არ გააციოო", აქ ისევე ხალისით შეგვძლებოდეს მოსვლა, როგორც ახლა მოვდი-ვართო.

მე როცა ვთვრები, ხუმრობას სერიოზული სიტყვისაგან ველარ ვარჩევ.

— გმადლობთ, ბატონებო! — შევიფერე სამადლობელოში, — ვეცდები, თქვენი სურვილები 100 პროცენტით შევასრულო. ერთი გჯეროდეთ: აქაურო-ბას უდავითობა არ დაეტყობა!

— რას მიედ-მოედები, დალიე მალე! — შემახსენა ისევ თავგასიებულმა.

— ვინაა, ჩემს ბინაში ლაპარაკს რომ მიშლის?! — ვიყვირე და სუფრაზე მუშტი დავკარი.

გავიწიე. გამოიწია. დავითი და თამადა მხარზე ჩამომეკიდნენ: შენი ჭირი-მე, შენ გენაცვალე, მთვრალი კაცი რაღაცას წაიბუტბუტებს, რა ყურს უგდებო.

ძლივს გაგვაშველეს.

როდესაც ოჯახის კედელ-ყურე დალოცეს, დავითზე მეტად თავს მე ვკან-ტურებდი.

ჭირისუფლებივით ჩავმწკრივდით კართან მე, დავითი და მისი ცოლი. მოდიოდნენ სტუმრები, ხელს გვართმევდნენ, გვკოცნიდნენ და ისე გვტოვებდნენ.

— აბა, ახლა საქმე, ყმაწვილო! — მითხრა მასპინძელმა, როდესაც ყველა გაიკრიფა.

ილუზიები გაქრა და მეც გამოვფხიზლდი.

— მშვენიერი ბინა გქონიათ, ბატონო დავით!

ბინა მართლაც კარგი იყო: მაღალჭერიანი, ნათელი, ახლადშეფეთქილი.

— ბინას ვერ დამიწუნებ! — გაუბრწყინდა სახე პატრონს. — ნახე, როგორი მოწყობილია. ეს სასადილო მოსკოვიდან ჩამოვიტანე, „მოცარტია“. 100 მანეთი ამაფცქვნეს ზედმეტად. ახლა საწოლი?! — მეორე ოთახში გამიყვანა,— გამოგზავნიანად 1800 დამიჯდა.

ბინა უაღრესადაც მომწონდა.

— როგორი მეზობლები გყავთ?! — წამძლია სულმა.

— ოჰ, მაგათი სინსილა გაწყდა, მაგათ მე სისხლი გამიშრეს, აბა, რა მიმარბენინებს აქედან?! გაუტანელი და შურიანი ხალხია. სამსახურში უსახელო წერილებს მიგზავნიან: რით შეიძინა ამოდენა ქონებაო. რით და ჩემი მარჯვენით!

ხასიათი წამიხდა. მასპინძელმა ეს შენიშნა, უცებ მიხვდა, რა სისულელე მოუვიდა და ისიც გამოფხიზლდა.

— არა, მე დამასვეს კბილი, თორემ ერთმანეთში კი არიან კარგად!

მაგრამ გვიან იყო. დავითმა ესეც იგრძნო და გაჩუმდა.

### პარხომენკოს ქიხი, კვეზერელი

შესასვლელთან ეკიდა ფერადი ფანქრით ნაწერი განცხადებები: „შემოსვლისას ფეხი კარგად გაიწმინდეთ!“, „დააფასეთ დიასახლისის შრომა!“ სულ ზემოთ ნაბეჭდი პლაკატი კითხულობდა: „ხომ არ დაგავიწყდათ ნავთქურის ჩაქრობა?!“

პლაკატი ჯობდა კარის შიდა მხარეს გაეკრათ — შინიდან გამოსულ დიასახლისს თვალში ეცემოდა.

ზარს თითი დავაჭირე.

ჩემ წინ ჩასქელებული ქალი იდგა. ბუსავით მიყურებდა.

— კვეზერელი ბრძანდებით?

— ყმაწვილო, ჩვენს ქვეყანაში უსწავლელი არავინ დარჩენილა, მგონია. რა წერია ამ დასაწვავზე?! — მომაძახა და თითი ატაკა წარწერას,— კვეზერელი, ორი ზარი! არ შემიკლეს, ბეჩა, ხელში!

...დავაკაკუნე. ხმა არავინ გამცა. დავაბრახუნე. შიგნით რაღაცამ ბრაგვანი მოადინა. არავინ აპირებდა ჩემს მიღებას.

კარი ოდნავ გამოვაღე. უცებ კედლის სარკეში იატაკზე გაშხლართული მოხუცი კაცი დავლანდე.

ხელად მასთან გავჩნდი. თვალები ფართოდ გაელო და შეშინებული მიყურებდა. მაჯა გავუსინჯე — აჩქარებული ჰქონდა.

— ვინა ხარ? — მკითხა უცებ.

ვუთხარი, ვინც ვიყავი. ოდნავ დამშვიდდა. მერე წამოჯდა.

— ეს ოხერი, სკამიდან გადმოვვარდი.

გამიკვირდა. ამ ხნის კაცი სკამზე რატომ უნდა შემდგარიყო. კედელზე მხოლოდ ელექტრომრიცხველის აპარატი ეკიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გაკვირვება შეამჩნია.

— ინკასატორი მეგონეთ.

— მერე?!

— „ქულიკი“ მქონდა მრიცხველზე, იმის გამორთვა მინდოდა, დამარტყადეხმა და...

ორივეს გაგვეღიმა.

ელექტროქურასთან მივიდა.

— რა ვქნა, ლობიო მიყვარს. დილას დავადგი და ახლაც ქვასავითაა. რასაც ეს წვავს, ის თუ ვიხადე, გადავყოლივარ ლობიოს ხარშვას და ესაა. — მერე მე მომიბრუნდა. — მაშ მანუჩარმა გამოგაგზავნათ, ჰა? ა, ესაა ჩემი ციხე-კოშკი, თუ მოგეწონებათ!

ოთახები დასაწუნი არ იყო. არც სიმაღლე აკლდა და არც მზე. ნივთები ცოტა ელაგა და დიდად მოჩანდა.

— რატომ ცვლით?

— ვიფიქრე, ცოტა ფულს ავიღებ-მეთქი. რა ვიცი, ამ ხნის კაცს რაში დამჭირდება.

მიზეზი პირდაპირ იყო დასახელებული და მომეწონა.

— ახლობელი არავინ გყავთ?

— ვაჟი, ცოლშვილიანი. ახალ ბინაში ცხოვრობს.

— ერთად რატომ არ ხართ?!

— რძალი ვერ შემეწყო. ქოფაკს მეძახდა, ლუკმას მითვლიდა.

— მერე თქვენი ბიჭი?

— ცოლმა მაგრად დაიჭირა. რას იზამ.

— არ გეხმარებიან?

— კი, მაგრამ მე არ ვშვრები.

ეს არის, რასაც ვეძებდი-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში.

ის იყო ფულზე უნდა ჩამომეგდო სიტყვა, რომ ოთახის მყუდროება საშინელმა ხმაურმა დაარღვია. შემკრთალი წამოვხტი. მოპირდაპირე ფანჯარაში სპილენძის უზარმაზარ ინსტრუმენტს დაეღო ხახა. შიგ, როგორც უღელში, თავი გაეყო დაბალი ტანის ახალგაზრდას. მოჩანდა ფართო შუბლი და უზომოდ დაბერილი ლოყები. გადმოქაჩულ თვალებს ნოტებს არ აცილებდა. ფანჯარა ახლოს იყო და ამ დევკაცის ნასუნთქი ორპირი ქარივით იჭრებოდა ოთახში.

მოხუცს გადავხედე.

— ო, ეგ სასულე ორკესტრში უკრავს. ჩვენი ქუჩის სიამაყეა. საწყალმა ბიჭმა თავისით გაიკაფა გზა.

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. ხმა არ ამომიღია.

— დღედაღამ შინაა და ვარჯიშობს. — ვერ ისვენებდა მოხუცი. — ახლანდელ ახალგაზრდებს კი არა გავს. ამხანაგი რომ მოდის და ერთად უკრავენ, მაშინ უნდა ნახოთ!

— წარმოდგენილი მაქვს, რა იქნება. — შევნიშნე ირონიით.

— გეფიცებით, ეგაა, ამ მარტოხელა კაცს რომ მაძლებინებს.

ფანჯარასთან მივდექი, გულამოსკვნილი მივაჩერდი ჩემი ცოდვით სავსეს,— რომ იბერები, რას იბერები, რა დაგიშავე, რა იქნებოდა, მეც მეცხოვრა ამ ქუჩაზე, — ამბობდა ჩემი თვალები. — რა გიყო, ბატონო, ჩემი მოწოდება ესაა. უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო, — თვალებითვე მანიშნა მან და უფრო მაგრად ჩაბერა.

— ახლა მგონი მოსკოვში საგასტროლოდ ემზადება, — ხალისით განაგრძობდა მოხუცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი ღია იყო. ეზოში ხმაური ისმოდა. რამდენიმე ქალი და კაცი მოაჯირზე გადამდგარიყო და ძირს იყურებოდნენ. ჩემი მისვლა არავის გაუგია.

— ხალხო, მაქვს თუ არა უფლება, ამ ქვეყანაზე მეც ვისუნთქო?! — იკითხა ეზოდან შუა ხნის კაცმა და ოთხივე მხარეს მიაბრუნ-მოაბრუნა კისერი.

— გაქვს, გაქვს! — ჩასძახეს ოთხივე მხრიდან.

— აბა რანაირად. ამის ცოლია და, — ხელი მანქანასთან მდგომისკენ გაიშვირა, — თავზე ნარეცხ წყალს მასხამს...

— ამას ქვია, დაგასხი თავსლაფიო, — იხუმრა ვილაცამ.

— თვითონ ეს ვაჟბატონია და „ვოლგა“ ზედ კარზე დამიყენა. გარაჟი ვარ თუ რა ვარ, ბოლოს და ბოლოს?!

— რა ვქნა, აბა, მესამე სართულზე ავიყვანო?! — სასოწარკვეთით იკითხა მანქანის პატრონმა.

— არ ვიცი მე, მომაცილე ეს ხალტურით ნაყიდი მანქანა, თორემ ნაჯახით დავჩეხავ!

ახლა „ვოლგის“ პატრონმა მიაბრუნ-მოაბრუნა ოთხივე მხარეს კისერი, და დედა იფიცა, სოფელში გაყიდული სახლის ფულით მაქვს შეძენილიო.

ამასობაში ვილაც თმაგაჩეჩილი მამაკაცი მომიახლოვდა. გრძელი ხალათი ეცვა და ფეხი ქუსლებჩაკეცილ ჩუსტებში ჰქონდა გაყრილი. უცნაურად ილიმებოდა.

— თავბერიძეები? აქ ცხოვრობენ, კეთილო, — ბოხი ხმით მითხრა და გვერდით ოთახზე მიმითითა. — მალე დაბრუნდებიან. მანამდე ჩემი სტუმარი უნდა იყოთ!

უარი ვერ შევკადრე.

შესვლისთანავე მაგიდასთან დამსვა, მაცივრიდან შეორთქლილი „ბორჯომი“ გამოიღო და მაღალ ჭიქაში ბარაქიანად ჩამომისხა.

ჩემი მოსვლის მიზეზი რომ გაიგო, ტაში შემოჰკრა.

— ოჰ, დიდებულია, კეთილო, დიდებული. ძლივს ერთი ინტელიგენტი მეზობელი მეყოლება. ხომ ნახეთ, ხალხი რაში ფლანგავს დროს. ბოლოს და ბოლოს, ჭამის, ძილისა და ჩხუბის გარდა ქვეყანაზე არსებობს სხვა რაღაც, უფრო წმინდა.

ხელი წინ გაიშვირა. ახლა დავაკვირდი: კედლები ნახატებით იყო მოფენილი. კარებზეც ნახატები ეკიდა. ფანჯარასთან მოლბერტი იდგა. ახლომახლო ფუნჯები და საღებავები ეყარა.

— მე ვარ მხატვარი, — თქვა ამაყად და წელში გასწორდა. — თქვენ ზიხართ იმ ადამიანის წინ, რომელსაც ჯერ არ იცნობენ, მაგრამ მალე დააფასებენ, — მე მოწიწებით წამოვიწიე. — მისი სახელი შევა სხვადასხვა კრებულებში, მას მიიწვევენ საუკეთესო გამოფენებზე. გიყვართ მხატვრობა? — მკითხა უცებ.

— ვგიჟდები! — ვუპასუხე ანგარიშმიუცემლად.

— ყოჩაღ! — დამარტყა მხარზე ხელი. — მე უკვე მომწონხართ. ვერ ვიტან კაცს, რომელსაც ესთეტიკური ტკბობის უნარი არა აქვს. ამ კედლებზე წარმოდგენილია მსოფლიო დიდოსტატების შედევრები. ერთი კია: არც ერთი დედანი არაა. სამაგიეროდ, ჩემები ყველა ორიგინალებია, — ხელი თავმომწონედ გაიშვირა ნახატების ერთი ჯგუფისკენ. — აი, ის, თავში რომაა, ჩემი მეოცე ავტოპორტრეტია.

დავაკვირდი: ხელში ათასნაირად დაკლაკნილი და ერთმანეთზე გადახლართული ხაზები შემრჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვერდით თქვენ ხედავთ მოწინავე მალაროელს!

ვერავითარ მალაროელს ვერ ვხედავდი: ჩემს წინ მოჩანდა წითლად-ყვითლად აჭრელებული მაჯლაჯუნა. ბურღის მსგავსი რაღაც ფეხებთან ედო.

— როგორია? — მკითხა უცებ.

— გადასარევი! — ვუპასუხე ისევ ანგარიშმიუცემლად.

— გმადლობთ! — გაებადრა სახე ნახატების პატრონს და „ბორჯომი" ხელმეორედ ჩამომისხა. — როგორც შეამჩნიეთ, მე ძირითადად პორტრეტისტი ვარ. მსურს, პიკასოსავით გარეგან შტრიხებში გადმოვცე ადამიანის შინაგანი სამყარო. აი, თქვენ ძალზე ინტელექტუალური პროფილი გაქვთ.

თავსა და ნიკაპზე წამავლო ხელი, გვერდზე მიმაბრუნა და ხარბად დამაშტერდა.

წასასვლელად მოვემზადე.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, კეთილო! — თხოვნაში ბრძანების კილოც ერია. — ერთი იცოდეთ: აქედან კაცი არ გასულა, სამახსოვროდ თავისი სახე არ დაეტოვებინოს!

— მეჩქარება, სხვა დროს! — გავიბრძოლე წამოსადგომად, მაგრამ მისი ფართო ხელები გირებივით მეწყო მხრებზე.

— შემომხედეთ თვალებში. ოთხი დღეა კაციშვილი ვერ დავიჭირე. მომკლა ავტოპორტრეტების ხატვამ. გამიგეთ, კეთილო?!

ყბა აუცახცახდა. თვალებში უცნაურმა ნაპერწკალმა გაუელვა. სასწრაფოდ ეცა მოლბერტს, ფურცელი მიაკრა და ფუნჯი მოიმარჯვა.

შიშით ხმას ვერ ვიღებდი.

— მთელს ჩემს შემოქმედებას მე ვყოფ ორ ნაწილად, — მომმართა როგორც აუდიტორიას, თან ფუნჯის მოსმა არ შეუწყვეტია. — პირველ პერიოდში რეალიზმით ვიყავი გატაცებული, რაც ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია.

მე ცალი თვალით კედლებს ვათვალიერებდი, — ვის გვერდით მომიწევდა ჩამოკიდება.

— შემდგომ მივხვდი, ჭეშმარიტი ხელოვნება ისაა, ჩემს მოდერნისტ კოლეგებს რაც აღელვებს. ხედავთ, ამ სერიას ფორმალიზმისა და აბსტრაქციულობის ბეჭედი აზის. ამ მანერითა მაქვს შესრულებული ჩემი მშობლების პორტრეტიც.

ჩარჩოში ჩანდა ადამიანის სახეების მსგავსი რამ, რომლებზეც დახვავებული იყო რამდენიმე თვალი და ცხვირი.

მეც ასეთი ანატომიური დაშლა მელოდა.

ნახევარი საათის შემდეგ მორიდებით შევჩივლე, ჯდომა მეტი აღარ შემიძლია-მეთქი.

— აბრძანდით, კეთილო, — დამრთო ნება. — ოღონდ არ იმოძრაოთ!

მერე და მერე მთლად ენად იქცა. პირით კედლისკენ ვიდექი და მისი სიტყვები საფეთქლებში ტყვიებივით მხვდებოდა.

— აი, მე თქვენ ცხვირზე გარტყამთ ძლიერ წითელ ფერს. ეს ექსპრესიას ამძაფრებს. ყურებისთვის მოძებნილი მაქვს მწვანისა და ყვითლის გამმა. ამით კარგად გადმოიცემა თქვენი შინაგანი განწყობა.

15 წუთის შემდეგ ისევ დაჯდომა მოვითხოვე.

— აბა, ცოტაც, კეთილო. ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს. იმარჯვებს ნებისყოფა. ო, ნეტავ გადმოხვიდოდეთ. ღამეებს გავათენებთ მარადიულ თემებზე საუბრით.

მოთმინების ძაფი გამიწყდა. რამდენჯერმე წამოვხტი და დავჯექი, წამოვხტი და დავჯექი. უცებ ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა, ნისლში გაეხვია. მერე როგორ დავეხეთქე ძირს, აღარ მახსოვს.

თვალი რომ გავახილე, თავზე მადგა და ხელში ჩემი მაჯა ეჭირა.

— არა გრცხვენიათ, ბოლოს მილალატეთ. ეტყობა, შეუჩვევლობის ბრალია. შემდგომ აღარ გაგიძნელდებათ.

წყალი მოვსვი და გაჭირვებით წამოვდექი ფეხზე.

მხარზე ხელი დამკრა და გამილიმა.

— მაშ, ასე. დანარჩენი ხვალ საღამოს, კეთილო. გელოდებით!

გაბრუებული გამოვედი გარეთ და სადღაც გულის სიღრმეში მწყინდა, რომ ხელოვნების ისტორიას დაუმთავრებლად შერჩებოდა ჩემი „ინტელექტუალური პროფილი“.

## მარტის ქუჩა, აგვანდაძე

მარტის ქუჩაზე მივაბიჯებ. დღევანდელი დღის იმედი მაქვს. თან ეს კუთხე ძალიან მომწონს. ბაღი აქვეა და ბაზარში ჩუსტებითაც ჩაირბენს კაცი.

...ჩემს წინ დიასახლისი გაჩნდა კოვზით ხელში. მობრძანდითო, მიმიპატიჟა და სწრაფად წასრიალდა უკან. რომ შევყევი, ფაფას უბერავდა სულს. იქვე მკერდზე ხელსახოცაფარებული ბიჭი იჯდა. თმის ღერები ანტენასავით ჰქონდა აშვერილი.

— მაპატიეთ, ბატონო, ასე რომ დაგხვდით. ამ ეშმაკის ფეხს წუთით ვერ ვტოვებ. ნახეთ, რას დაამგვანა ოთახი!

ირგვლივ ანარქია სუფევდა. იატაკზე დანა-ჩანგალი და თეფშები ეყარა. მაგიდაზე კაცის ცალი ფეხსაცმელი იდო, რომლიდანაც მოკბეჩილი ვაშლი მოჩანდა.

— ბავშვი საერთოდ ასეა, ქალბატონო, — ვთქვი დაჯერებით და არცთუ ისე მიმზიდველ ბიჭს მუცელზე ხელი მოვუთათუნე.

— ეს მაინც მეტისმეტია. წყლის შემოსატანად არ მიშვებს. მამამისს რა ენაღვლება. მოვა შუაღამისას გალეშილი, მოეფერება და მორჩა!

უცებ ვიგრძენი, ოთახში ვიღაც იყო და მითვალთვალებდა. სწრაფად მივტრიალდი. კედლიდან გაბრაზებული მამაკაცი თვალს არ მაცილებდა, ალბათ ქმარი იყო.

— რეზიკო, გააღე პირი, თორემ ბიძია ტომარაში ჩაგსვამს და ტყეში წაგიყვანს!

ჯიბეში ნეილონის ბადურა მედო. ბაზარში უნდა გამევლო. შესანიშნავად თავზე წამოვიცვი. რეზიკომ მიყურა, მიყურა და უცებ სიცილი აუტყდა. ამასობაში დედამისმა ფაფა პირში ატაკა. ბავშვი მიხვდა შეცდომას და ტუჩები ისევ დამუწა.

— ასე მაწვალებს ეს საზიზღარი. ახლა ნახშირი და კარდონი რომ მივცე, სიამოვნებით შეჭამს. ერთიც, რეზიკო, და მაგიდის ქვეშ გავძვრები! — შესთავაზა დედამ.

— ბიძია გაძვრეს! — ეს იყო პირველი ფრაზა, რაც მან ჩემს აქ ყოფნაში თქვა.

ბევრი ეხვეწა დედა, ბიძიას წელი ტკივა და ვერ დაიხრებაო, მაგრამ ბრძანება შეუვალი იყო. დავღუნე თავი და ჩემი გატკიცინებული შარვლით ჩავიმუხლე მტვრიან იატაკზე.

ბავშვმა გაიხარა. ახლა კარადის უკან დამალვა და თავის გამოყოფა მომთხოვა „კუ-კუ“-ს ძახილით. მერე სკამზე ამსვა და ქოლგით მახტუნავა, ვითომ პარაშუტისტი ვიყავი.

ვრცელი ატრაქციონის შემდეგ ფაფამ თეფშიდან რეზიკოს მუცელში გადაინაცვლა.

მთავარი თურმე წინ იყო.

ბავშვმა, არ ვიცი, ბევრი სიცილისა თუ წყლის სმის გამო, მოშარდვა ისურ-ვა და, რა თქმა უნდა, ჩემი დახმარებით.

არავითარმა ცემამ და მუქარამ არ გაჭრა.

მოვკიდე ისევ ღამის ჭურჭელს ხელი და წინ დავუდექი.

ასე ვიყავი, კარი რომ გაიღო და ვიღაც ჩია კაცი შემოიტუზა.

— მამიკო, მამიკო! — ატეხა ბავშვმა ძახილი.

— ოჰ, ასე ადრე, ვაჟბატონო?! — გაიკვირვა დიასახლისმა.

ოჯახის უფროსი კართან იდგა და ყაყაჩოსფრად დაწითლებულ თვალებს არ მაცილებდა. სლოკინზე შევატყვე, ძარღვებში ალკოჰოლი ჰქონდა გამჯდარი. ვიხსენე, ნეტა სად მინახავს-მეთქი, მაგრამ ვერ მოვიგონე.

— შალიკო, გაიცანი, ბინის თაობაზეა მეგობარი!

— ვინაა, ვინა?! — გამომწვევად იკითხა და ჭილის ქუდი ტახტისკენ ისროლა.

— შენ გაგიწყრა ღმერთი, კიდევ დალიე, ხომ?! — მიუხვდა ცოლი.

არ მომეწონა შალიკოს გაშტერებული გამოხედვა.

— ქალო, ვინაა ეს კაცი-თქვა, — იღრიალა შალიკომ, სახელო აიკაპიწა და ნესტოების ბერვითა და კბილების კრაჭუნით ჩემსკენ წამობანცალდა.

ჩია კი ჩანდა, მაგრამ დაეჭვებული ქმარი იყო და გოლიათად მომეჩვენა.

— ჭკუაზე თუ ხარ, შე უბედურო! — წინ გადაუდგა ცოლი, თან მანიშნა, აქაურობას გავცლოდი.

უცებ თვალი შევასწარი გამოქნეულ სკამს. ელვის უსწრაფესად დავიხარე. ჩემს უკან რაღაც ხმაურით ჩამოიფშვნა.

— უიმე, ჩემი სიკვდილი! — იკივლა ცოლმა და ორივე ხელით ქმარს თმებში ეცა. — დედაჩემი ხომ გააქციე, ახლა მისი სურათიც აღარ დააყენე, ხომ?!

შალიკო სიმწრით დაიმანჭა.

აღრიალებული ბავშვი შუაში გაეჩხირა.

მე გასასვლელისკენ გავქანდი.

კიბეზე მესმოდა კარის ხათქუნი და უწმაწური შეძახილები.

ტროლეიბუსში რომ ჩავჯექი, მაშინღა ამოვისუნთქე.

მერე, ცოტა არ იყოს, სინდისმა შემაწუხა. ისიც კი ვიფიქრე, მოდი, მანუჩარს მივიყვან და ამ პატიოსან ხალხში ეჭვს გავფანტავ-მეთქი, მაგრამ არ ღირდა: დიასახლისი ღონიერი იყო და ოჯახის მამას თვითონ მოიყვანდა ჭკუაზე.

მცხეთის შესახვევი, ხატიაშვილი

ისევ მანუჩარს ვეწვიე. განმარტოებით იჯდა. წინ გაშვერილი ფეხები ხელჯოხზე ვაზივით შემოეხვია, თავი მხრებში ჩაერგო და თვლემდა. მზე წითურ თავზე ნათელივით ადგა.

ფრთხილად შევახე ხელი.

— ა, შენ ორი ოთახი ხარ! — მოიგონა ხელად. — რა ჰქენი?

ვუთხარი, რაც ვქენი.

— რა გიყო, ბიძიკო, მე ბინა მეხება, მეზობლები კი არა. ისე, ნამეტანი ნერვიული ყოფილხარ. ცოცხალი კაცი ხან გიტარაზე დაუკრავს და ხან გრამაფონზე; აბა როგორ! ყრუ-მუნჯების სახლში თუ გინდა, მითხარი და გაგიშვებ!

ხმა არ გამიცია. თვითონაც ჩაფიქრდა. სადღაც სივრცეში იყურებოდა, თან

ნიკაპს ისრესდა. ერთხანს ასე იყო. უცებ სახე გაებადრა, თვალებში ეშმაკურმა სხივმა გაუელვა.

— მგონი სამალარიჩოდ გაქვს საქმე. შენ რომ გაგეხარდება, ისეთი ხალხია.

— ბინა?!

— ბინა ხომ არი და არი!

— წამყევი აბა! — მარტო წასვლას ველარ ვბედავდი.

— დღეს არ შემიძლია, ხვალ — ჩემი თავი გენაცვალოს!

. . . . . . . . . . . . . . .

შესასვლელში მომღიმარი ქალი შემოგვხვდა. წინ გაგვიძღვა. კარი უკითხავად შეაღო, გოგუცა, შენთან სტუმრებიაო, შესძახა და შეგვიპატიჟა.

ოთახში რამდენიმე ქალი დაგვიხვდა. ხელები მუხლებზე დაეწყოთ და ფრესკებივით გაშეშებული ისხდნენ. ყველა მშვიდი და სათნო მეჩვენა. მანუჩარმა ერთ-ერთს მოსვლის მიზეზი აუწყა, დანარჩენებმა მუშტრის თვალით დამიწყეს ყურება. მეზობლები აღმოჩნდნენ.

ამდენი მეზობელი, ასე ერთად და ასე ტკბილად, კაი ხანია, არ მენახა.

— მაშ გვტაცებთ ჩვენს გოგუცას? — მომიბრუნდა ერთი და კინალამ ცრემლები გადმოყარა.

— ეჰ, ვინლა გვეტყვის აწი, თქვენ დეილუპეთ საცხაო, — აუჩუყდა გული მეორეს.

— იმის იმედი მაქვს, ხანდახან გამოგვივლის და გაგვამხნევებს, თვარა...— აღარ დაამთავრა მესამემ.

მეოთხეს არაფერი უთქვამს.

— მართლაც, როგორ იმეტებთ ამ შესანიშნავ ხალხს? — ვისარგებლე შემთხვევით.

— ბარემ მიჭირს, მაგრამ რა ვქნა. — ამოიოხრა გოგუცამ. — რაც ჩემი კაცი გარდაიცვალა, შიში დამჩემდა, აქ ველარ ვჩერდები. ქალიშვილმა მითხრა, საცა გინდა გადავიდეთ, ოღონდ შენ იყავი კარგადო.

— ეჰ, რა კაცი იყო ცხონებული?! — თქვა ერთმა და გაჩუმდა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობა, განსვენებულის პატივსაცემად.

— თქვენ რაღაზე ცვლით, ბატონო?! — უცებ მიამიტურად მკითხა მეოთხემ, რომელსაც აქამდე კრინტი არ დაეძრა.

ყველა მე შემომაცქერდა. მანუჩარმა ჭერში დაიწყო ყურება.

ამ კითხვის უფლებას, რატომღაც, მხოლოდ ჩემს თავს ვაძლევდი და, მართალი გითხრათ, არ მოველოდი.

— იცით რა, — დავიწყე ბორძიკით, — ცოტა უცნაური ამბავია. შესანიშნავ ალაგას ვცხოვრობ. ბინაც კარგია, მეზობლები ხომ უკეთესი. თუ არა, აგერ ნახავს ქალბატონი გოგუცა. მაგრამ, ხომ იცით, კაცს ყოველ დღე ლობიოს ჭამა მობეზრდება. ჰოდა, ვიფიქრე, გადავხალისდები, ჰაერს გამოვიცვლი-მეთქი.

— დიახ, ბატონო, დიახ! — დამეთანხმა კითხვის მომცემი.

საუბრის შემდეგ დავათვალიერეთ ბინის ღირსშესანიშნაობანი. ვინახულე საერთო სამზარეულოც და ისე აღვფრთოვანდი, კინაღამ შთაბეჭდილების წიგნი მოვითხოვე.

— მაშ, ასე! — მოემზადა წასასვლელად მანუჩარი, — საკითხის ერთი ნახევარი ამოწურულია. ხვალ, 7 საათზე, ამ მეგობართან ვართ, ქალბატონო გოგუცა!

გამოგვაცილეს მადლიერმა თვალებმა. იყო უზომო სითბო და ღიმილი. გული ამიჩუყდა და მანუჩარს შუბლზე ვეამბორე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც სანახავად მოსართავ პატარძალს, ოთახებს ისე ვუვლიდი. ცოლის ხალათი ჩავიცვი. მტვერი დავწმინდე. კუთხეებში აბლაბუდების ქსელი მოვშალე. ფარდაგზე სამმაგი ოდეკალონი მოვასხურე, ფანჯრებზე ჰილოფის ფარდა ჩამოვუშვი, რომ ცნობისმოყვარე სახეებს შიგ ვერ შემოეჭყიტათ. საერთო სამზარეულოში ყველას კუთხე ჩუმად მივალაგ-მოვალაგე.

მოვიდნენ. მუშტრის თვალით შეხედეს. პირველი შთაბეჭდილება საუცხოო იყო. მის განსამტკიცებლად ხილი და სასმელი გამოვიტანე. მანუჩარი ზედიზედ ცლიდა და ისედაც წვრილი თვალები ფოსოებში სულ ჩაეკარგა.

— მოდი, თქვენ გაგიმარჯოთ, — უკვე მერამდენედ გვლოცავდა იგი, — ეს ნაბიჯი კეთილი ყოფილიყოს თქვენს ცხოვრებაში!

მე და ქალბატონი გოგუცა მადლიერების ღიმილით თავს ვუკანტურებდით.

უცებ სამზარეულოს მხრიდან ნაცნობი უსიამო ხმები მომესმა. ტანში გამცრა. ხუთი თითივით ვიცოდი, ამას რაც უნდა მოჰყოლოდა.

სტუმრებს ვენტილატორი ავუბზუილე ყურთან. ხმაურის ჩახშობა მაინც ვერ შევძელი. გოგუცამ ყურები ცქვიტა, მეც გონება დავძაბე და:

— ქალბატონო გოგუცა, ახლა მოგასმენინებთ მსუბუქი მუსიკის კონცერტს!

სწრაფად დავატრიალე მაგნიტოფონის ლენტი, ხმის ტემბრი უმაღლეს რეგისტრზე გადავწიე და ოთახში იფეთქა რადიომიმღებიდან ჩაწერილმა „ბუგი-ვუგიმ“.

მეც ტაქტს ფეხი ავაყოლე. ეს, თავისთავად, უტაქტობა იყო, მაგრამ რა მექნა.

ერთმანეთის ალარაფერი გვესმოდა.

სტუმრებმა ამ ხმაურს ორად ორი წუთი გაუძლეს.

პირველი მანუჩარი წამოხტა. მას გოგუცაც მიჰყვა და აწყვეტილი მელოდიების თანხლებით გამოვიჭერით გარეთ.

კიბეზე ქალბატონმა გოგუცამ ხელი კრძალვით ჩამომართვა, თან გამიღიმა. ეს ნიშნავდა, იგი თანახმაა იცხოვროს ჩემდამი რწმუნებულ რეზიდენციაში.

## მშვიდობით, საჯიხვეებო!..

ჩვენი სურვილი წერილობით წარვადგინეთ, სადაც ჯერ არს. კომისია დინჯად მოქმედებდა: რატომ, რა მიზეზით, რა მიზნით; მეზობლები როგორ უყურებენ ამას; იძულება ხომ არ თამაშობს როლს; ფართობი ხომ ემთხვევა ერთმანეთს. ასჯერ გაზომეს ოთახების სიგრძე, სიგანე, სიმაღლე. გახედეს, გამოხედეს და ძლივს დარწმუნდნენ — თაღლითობას არ ჰქონდა ადგილი. დარწმუნდნენ და, როგორც იქნა, დამშვიდდნენ.

მე ვჩქარობდი. მინდოდა ცოლი მოულოდნელად გამეხარებინა. მანუჩარის მისია უკვე ამოწურული იყო. მან საკმაო გასამრჯელო მიიღო და ლოცვა-კურთხევით დაგვემშვიდობა.

...დღე იყო თბილი და წყნარი. ღვედებით შეიარაღებული მუშები უმოწყალოდ დათარეშობდნენ ოთახებში. ყველაფერი თავდაყირა იდგა. მატერია იცვლიდა ფორმას.

ვიდექი შუა ოთახში და რბევის სევდა მაწვა. დიახ, სანამ ყველაფერი ახალ ბინაში არ დალაგდებოდა, ეს რბევა იყო!

საბოლოოდ მოვავლე თვალი სახლს — ჩემს პატარა სამყაროს. კედლებისა

და დამტვრეული აკვნის მეტი არაფერი მრჩებოდა და მაინც რა გულდასაწყვეტი იყო! ნეტავ, რა ხასიათზე დგებიან, ხელთათმანებივით რომ იცვლიან ბინებს?!

ერთ საათში მთელი ჩემი ქონება დიდ საბარგო მანქანაში იყო მოთავსებული.

ეზოში რამდენიმე მეზობელი ჩამოსულიყო. გზას მილოცავდნენ. ერთს ცრემლი შევამჩნიე და კინაღამ მეც ავტირდი.

ისინი, ვისთანაც დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი მქონდა, ფანჯრებთან იდგნენ, თვალს ვერ მისწორებდნენ. ერთი წამით კავშირიც კი გაიბა ჩვენს შორის.

მოტორი აგუგუნდა.

ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა პუნქტიდან ერთმანეთის შესახვედრად გამოვიდა ორი საბარგო მანქანა...

ეს სასკოლო ამოცანის პირობა არ გახლავთ — ჩემი და ქალბატონ გოგუცას ადგილიდან დაძვრის ნიშანია. იგი სასკოლო ამოცანაზე უფრო რთულია. თუ როგორ მივაღწევთ მიზანს, ამაზე პასუხს ცხოვრება გასცემს.

## ერთით ნოლი...

ორი თვეა ახალ ბინაზე ვარ. პირველ ხანებში მშვენივრად ვგრძნობდი თავს. კაციშვილი უბატონოდ ხმას არ მცემდა. ისე გახარებული ვიყავი, დაღამებამდე შინ არ მივდიოდი. გოგუცაც ერთი-ორჯერ კმაყოფილი შემხვდა და ესეც მიმატებდა ხალისს.

მაგრამ, აი, ჩამობრძანდა ჩემი კნეინა, გაკაეებული, ენერგიით სავსე. ჩამობრძანდა და თავისი ადგილი დაიკავა სამზარეულოში. დამხვდურები შევიწროვდნენ, ჰაერი აღარ ეყოთ. ძლიერი მეტოქე იგრძნეს და გადაწყვიტეს თავი გაეცნოთ მომხვდურისათვის. საკმარისი იყო მცირე საბაბი, რომ მეხი გავარდნილიყო. საბაბის პოვნაზე ადვილი კი არაფერია, მით უმეტეს, როცა ეძებ.

და მეხიც გავარდა...

აი, ახლა აფთიაქიდან მოვდივარ და ცოლისთვის გულის დამამშვიდებელი წვეთები მომაქვს. ექიმმა თქვა, დიდი სულიერი ან ფიზიკური ტრავმის შედეგიაო. არც ერთი არ კლებია.

რაო, რაო, მეზობლები არაფერ შუაში იქნებიან და ისევ ჩემს კაპას ცოლს მოვუაროო?

მართალი ხართ, ბატონებო! რა ანგელოზის პატრონი ვარ, მეც დავრწმუნდი.

მაგრამ, აი, რა გაიგეს დღეს ჩემმა დასავსებმა ყურებმა:

ჩემი ახალი მეზობლები და გოგუცა თურმე კბილებით ჰამდნენ ერთმანეთს. რომელიმე მხარე უნდა გასცლოდა აქაურობას და ამ კეთილშობილური ნაბიჯის გადადგმა, ჩემი არ იყოს, გოგუცას უთავებია. სინდისგარეცხილ მანუჩარს ეს ამბავი სცოდნია, მაგრამ რა ბიჭი იყო, ეთქვა! იგი ჩემს მოყვანამდე აქ წინდაწინ მოვარდნილა: არიქა, მეზობლებო, ხვალ მუშტარი მომყავს და გოგუცას მოცილება თუ გინდათ, იმ კაცს ადამიანური სახით დახვდითო. შეურიგებია დროებით ეს დანა-სისხლად გადაკიდებული ხალხი და მეორე დღეს ჩემთან ის სცენა გაუთამაშებიათ...

ეს ისე გითხარით, თორემ რა ანგელოზის პატრონი ვარ, მეც კარგად ვიცი.

# სპორტი

## ჩვენი ინტერვიუ

დიდი საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ „ცისკრის" რედაქციამ თხოვნით მიმართა თბილისის „დინამოს" უფროს მწვრთნელს მიხეილ იაკუშინს, გუნდის კაპიტანს შოთა იამანიძეს და მარჯვენა გარემარბს ზაურ მეტრეველს, პასუხი გაეცათ რამდენიმე შეკითხვაზე.

ვფიქრობთ, მათი პასუხები ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის.



### მიხეილ იაკუშინი

**1. რას ისახავს გუნდი მიზნად 1968 წლის ჩემპიონატში?**

**2. რა ტაქტიკური სიახლენი იქნება თბილისის დინამოელთა თამაშში?**

1. გუნდის მიზანი, მე მგონი, თქვენი ჟურნალის მკითხველებისათვისაც სავსებით ნათელია. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი მიზანი მარტო თბილისის „დინამოს" არ დაუსახავს. ჩემპიონატი ძალზე დაძაბული იქნება და მიზნის მისაღწევად მხოლოდ სურვილი არ იკმარებს.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ჩვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი.

2. ჩვენს პლანეტაზე დღესდღეობით უკანასკნელ საფეხბურთო მოდას წარმოადგენს ბრაზილიური სისტემა 4-2-4.

შარშან თბილისის „დინამომ" სწორედ ამ სისტემაზე ააგო ყველა ბრძოლა. თქვენც დამეთანხმებით, რომ შარშან ჩვენი ბიჭები ბრაზილიურ სისტემას ყოველთვის როდი ანხორციელებდნენ „ბრაზილიურად". ეს პირველ რიგში ითქმის თავდამსხმელებზე. სწორედ თავდამსხმელებისაგან მოითხოვს ბრაზი-

ლიური განლაგება ვირტუოზულ ტექნიკასა და გამძლეობას.

წელს ჩვენ კვლავ ერთგულნი დავრჩებით ამ სისტემისა. მეტრეველის გადმოსვლას თბილისის „დინამოში“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: პირველი ის, რომ გუნდს შეემატა საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი და მეორე, ახლა უფრო ადვილად გამოვიყენებთ ბრაზილიურ სქემას.

თუ თავდასხმა შარშანდელ ნაკლს გამოასწორებს (და მე მგონია, რომ გამოასწორებს), მაშინ ჩვენი ოცნება მხოლოდ ოცნებად არ დარჩება...

---

### შოთა იამანიძე

**1. როგორ საბრძოლო განწყობილებაზე ხართ თქვენ და თქვენი მეგობრები?**

**2. გთხოვთ გაგვიზიაროთ ბრაზილიური შთაბეჭდილებანი.**

1. თბილისის დინამოელები საბრძოლოდ არიან განწყობილნი. მიზანიც დიდი და საპატიო დავისახეთ. მეორე და მესამე ადგილი უკვე ბევრჯერ მოიპოვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. დროა ავიწიოთ კიდევ ერთი საფეხურით მაღლა და გავაუმჯობესოთ მედლების ხარისხი.

ჩემი აზრით, თბილისის „დინამო“ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ახლაა. ამ რამდენიმე წლის წინ მიხეილ მესხს და ზაურ მეტრეველს ელენიო ერერამ საბჭოთა ნაკრების „ქართული ფრთები“ უწოდა. და ახლა, როცა ეს ფრთები თბილისის „დინამოს“ ასხია, მოწინააღმდეგენი იძულებულნი იქნებიან ჩვენს წინააღმდეგ დაცვითი ვარიანტი გამოიყენონ. ეს კი უკვე უპირატესობა იქნება. ვეცდებით ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

2. ბრაზილიური შთაბეჭდილებანი ძალიან დიდია, თითქმის ზღაპრული. ამ ზღაპრის გმირი არის „შავი მარგალიტი“ — პელე.

ჯერ კიდევ თვითმფრინავში გაგვაფრთხილეს: თუ ბრაზილიას და ბრაზილიელებს პატივსა სცემთ, უნდა გიყვარდეთ ფეხბურთი და იცნობდეთ ამ ქვეყნის ყველა ცნობილ ფეხბურთელსო.

ამ გაფრთხილებას მომხიბვლელმა სტიუარდესამ საკმაოდ დამაჯერებელი ფაქტიც მოაყოლა. როდესაც ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩილისა და ბრაზილიის ეროვნული ნაკრები გუნდები.



მატჩის რეპორტაჟის დროს რიო დე ჟანეიროს მერს ტკბილად სძინებია. ეს არ გამოჰპარვიათ სენსაციის მოყვარულ ფოტორეპორტიორებს. მეორე დღეს ბრაზილიის თითქმის ყველა გაზეთში მოეთავსებინათ ჩაძინებული მერის ფოტოები. ამას მოჰყვა დიდი სკანდალი. მერმა სპეციალურად იქირავა რეპორტიორები და მრავალ გაზეთში მოათავ-

სა თავისი სურათები, რომელიც მას რეპორტიორებმა ფინალის ტრანსლაციის დროს მღელვარების წუთებში გადაუღეს. მაგრამ მერს ალარაფერმა უშველა. მისი ავტორიტეტი რიო დე ჟანეიროელთა თვალში სამუდამოდ დაეცა. მომავალ არჩევნებში რომ ამომრჩეველთა ხმები არ დაეკარგა, მერმა შეიმუშავა რიო დე ჟანეიროში მეტროს გაყვანის პროექტი და კრედიტი თხოვა უცხოეთის რომელიღაც სახელმწიფოს. ვნახოთ, ალმოაჩნდებათ თუ არა ამ სახელმწიფოს მესვეურებს იუმორის გრძნობა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოედანზე ვიხილე ყველა დროის საერთაშორისო ფეხბურთის ეტალონი — პელე. გულახდილად რომ ვთქვა, თავიდან ცოტა სკეპტიკურადაც კი ვიყავი განწყობილი, ვფიქრობდი, „შავი მაგიის" ასეთი განდიდება ალბათ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფია-მეთქი. როგორც კი პელემ მიიღო ბურთი და მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე შეიჭრა, ვიგრძენი, რომ ეს არ იყო არც კოპა, არც სუარესი და, საერთოდ, არც ერთი ფეხბურთელი, რომელიც მე მინახავს. მის დასახასიათებლად ნამდვილად არ მეყოფა ეპითეტები. ჩამოთვალეთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს იდეალურ ფეხბურთელს და თქვენ დაახლოებით წარმოიდგენთ პელეს.

არ დამავიწყდება ერთი ეპიზოდი. პელეს ორმა მცველმა გზა გადაუღობა, მაგრამ მას სირბილი არ შეუნელებია. ფეხის წვერით ბურთი ჰაერში ააგდო, აგდებულ ბურთს მკერდით წამოეწია და ორ მცველს შუა სირბილით გავიდა. სანამ გაოგნებული მცველები გონს მოვიდნენ, პელემ ბურთი ძირს დაუშვა და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა კარში.

პელე მთელი მატჩის განმავლობაში თხუთმეტ-ოც წუთს თამაშობს. ეს აიხსნება არა პელეს თამაშის მანერით, არამედ კომერციით. გუნდის შემადგენლობა ორი დღით ადრე ცხადდება. თუ არ თამაშობს პელე, მაყურებელთა რაოდენობა 50 პროცენტით იკლებს. იგი იძულებულია წლის განმავლობაში ყველა, დაახლოებით ასამდე, მატჩში გამოვიდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამიტომ პელე მეორეხარისხოვანი მატჩების დროს თავს ძალას არ ატანს. მე ვნახე ერთი მატჩი, სადაც პელემ 90 წუთი ითამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ კინოში. ეს იყო ფინალური შეხვედრა პორტუგალიის „ბენფიკასთან". პელემ ამ მატჩში სამი ბურთი გაიტანა. იგი მოედანზე მთელი თამაშის განმავლობაში გრიგალივით დაჰქროდა.

ეს დოკუმენტური ფილმი „სანტოსთან" თამაშის წინ ვნახეთ. ფილმმა ისე იმოქმედა, რომ სერგო კოტრიკაძეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ბევრმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, რომელთა შორის პირველ რიგში გარინჩა, ზიტო, კუტინიო და მაურო უნდა მოვიხსენიო. ერთ-ერთ მატჩში ვავა მოედანზე ტრავმირებული გამოვიდა. იგი მთელი ორი ტაიმი იდგა, მაგრამ ორჯერ ისეთი დაარტყა კარში, რომ ადვილი მისახვედრი იყო, ვის ვუყურებდით.

მატჩის დღე ბრაზილიაში ნამდვილი ფიესტაა. თქვენ წარმოიდგინეთ, სან-პაულოს ახალ სტადიონზე მწვადის შესაწვავი მაყალებიც კია გაკეთებული. მაყურებლების დიდი ნაწილი თამაშზე დილიდანვე მიდის. სტადიონის შესასვლელთან ნახავთ პატარა ორკესტრებსაც. მსურველებს, რომლებსაც ჯიბეში სათანადო გარანტია აქვთ, შეუძლიათ დაიქირავონ ორკესტრი და სტადიონზე გვერდით მოისვან. მათი სათაყვანებელი გუნდის მიერ გატანილი გოლი სათანადო გამოხმაურებას პოულობს მუსიკალური თვალსაზრისითაც.

იყიდება ვაზნებიც. გოლის გატანას დიდი სროლა მოყვება ხოლმე. თვალი რომ დახუჭო, თავი ფრონტზე გეგონება.

ჩვენ დავესწარით „ბოტაფოგოსა" და „ფლამენგოს" შეხვედრას მსოფლიოს უდიდეს სტადიონ „მარაკანაზე". რატომღაც „ფლამენგო" რიო დე ჟანეიროში დიდი სიყვარულით სარგებლობს. ეს მით უფრო საინტერესო, რომ გუნდ-

ში არც ერთი ვარსკვლავი არ თამაშობს. ტრიბუნების ნახევარი „ფლამენგოს“ გულშემატკივრებს ეკავათ. მათ ხელში თეთრი დროშები — „ფლამენგოს“ კლუბის ალმები — ეჭირათ. მეორე ნახევარზე კი „ბოტაფოგოს“ გულშემატკივრები ისხდნენ. ისინი ცისფერ ალმებს აფრიალებდნენ. მოედანზე გამოჩნდა „ფლამენგო“. ნახევარი სტადიონი ადგა. „ფლამენგოს“ მომხრეები სროლით, მუსიკითა და ალმების ფრიალით შეხვდნენ საყვარელ გუნდს. დანარჩენმა მაყურებელმა კი სტვენა და ყვირილი ატეხა. როცა მოედანზე გამოჩნდა „ბოტაფოგო“, ყველაფერი პირიქით მოხდა.

ეს იყო რიოს შტატის უკანასკნელი თამაში. ფეხბურთელები მალე შვებულებაში უნდა წასულიყვნენ და დიდი მონდომება არ ეტყობოდათ. მაგრამ ბრაზილიელმა მაყურებელმა არ იცის პატიება. გაისმა წამახალისებელი შეძახილები. გარინჩამ ბურთი მიიღო, მოწინააღმდეგის მოედანზე შეიჭრა... მაგრამ ბურთი წაართვეს. ხალხმა ამოიგმინა. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება გარინჩასაც წაართვან ბურთი. მაშინ კი გაბრაზდა გარინჩა, გაბრაზდა და... სამი გოლიც გაიტანა.

როცა ბრაზილიიდან ვბრუნდებოდი, აღარ მიკვირდა, თუ რატომ ჰყავთ ბრაზილიელებს ყველაზე კარგი ფეხბურთელები. მათ ხომ სხვებზე უფრო ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი.

### ზაურ მეტრეველი

**1. როგორ შეეწყვეთ ახალ პარტნიორებს?**

**2. რას გვეტყვით ქართული ფეხბურთის თავისებურებებზე?**

1. გუნდში ისე თბილად შემხვდნენ, არც კი მოველოდი. ყველას ისე შევეჩვიე, თითქოს მთელი ცხოვრება მათ გვერდით გამეტარებინოს. ბიჭებს კარგად შევეგუე ცხოვრებაშიც და მოედანზეც. მართალია, მოსკოვის „ტორპედოში“ გვერდით ვალენტინ ივანოვი მყავდა, მაგრამ ახლა ხომ ვლადიმერ ბარქაია მეყოლება?!

2. ქართული ფეხბურთის თავისებურებებზე და თვისებებზე ისეთს ვერაფერს ვიტყვი, რაც ქართველმა გულშემატკივრებმა არ იციან.

ქართული ფეხბურთის უპირველესი თვისება არის შემოქმედება, იმპროვიზაცია. ეს თვისება ქართველი ფეხბურთელების უდიდესი უპირატესობაა.

ძნელია თბილისის „დინამოელთა“ წინააღმდეგ წინასწარ შემუშავებული, სავსებით ნათელი და გარკვეული გეგმით მოქმედება. ყველა გუნდს უჭირს იმის გამოცნობა, თუ როგორ წარმართავს ბრძოლას თბილისის „დინამო“



მათ წინააღმდეგ. მათი იმპროვიზებული თამაში სიტუაციით ნაკარნახევი და ფანტაზიით აღსავსეა. ეს ფანტაზია ქართულ ფეხბურთს დიდ სილამაზეს ანიჭებს.

როცა გუნდის თამაშის ძირითად პრინციპს შემოქმედება და იმპროვიზაცია წარმოადგენს, ასეთ გუნდთან თამაში მეტად ძნელია და ამავე დროს სასიამოვნოც. ქართველი ფეხბურთელები ყოველთვის ცდილობენ მხოლოდ თავისი შემოქმედებით დაჩაგრონ მოწინააღმდეგე. ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის, სამწუხაროდ, ბევრი გუნდი ცუდი მიმართულებით „სპეციალდება“. ეს მარტო მწვრთნელების უბადრუკი „სტრატეგიით“ არ არის გამოწვეული. როცა გუნდში არ არიან მაღალი კლასის შემოქმედი ფეხბურთელები, მწვრთნე-

ლები იძულებულნი არიან გუნდის ყველა წევრს მისცენ გარკვეული დავალება. ტემპის დაცემა, მოწინააღმდეგის ნერვებზე ზემოქმედება და უხეში თამაშით მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანა, აი რას ითვალისწინებს ხოლმე ასეთი დავალებები.

ყველა დამეთანხმება, რომ არ შეიძლება მესხი, იამანიძე ან ბარქაია მწვრთნელმა რაიმე ვიწრო დავალებით შეზღუდოს და არ მისცეს თავისუფალი მოქმედების საშუალება. მაშინ ისინი ფრთებშეკვეცილ ფრინველს დაემსგავსებოდნენ.

ძალიან ცუდია, როცა მოედანზე მხოლოდ მწვრთნელი ჩანს. თუმცა არც ის ვარგა, როცა მთელი თამაში მხოლოდ იმპროვიზაციაზეა აგებული. პირველმა თავისი დაღი დაასვა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების გამოსვლებს ჩილის მსოფლიოს ჩემპიონატში, მეორემ კატასტროფამდე მიიყვანა ურუგვაის და არგენტინის პირველხარისხოვანი ფეხბურთი.

თუ როგორ ავსებენ ერთმანეთს მწვრთნელი და სოლისტები, გეგმა და იმპროვიზაცია, ამის კლასიკური ნიმუშია ბრაზილიის ეროვნული ნაკრები.

თბილისის „დინამო“, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თამაშს ყოველთვის იმპროვიზაციაზე აგებდა. გუნდში დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის მოსვლის შემდეგ თვალსაჩინოდ იგრძნობა საბრძოლო გეგმის ორგანიზაცია და მიზანი. გუნდმა შეიძინა წარმატებისათვის აუცილებელი მეორე თვისება — ბრძოლის წარმართვის გარკვეული გეგმა. ვფიქრობ, ამან უნდა განაპირობოს თბილისელთა წარმატება მიმდინარე სეზონში.

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13, 7. შეკვ. № 239. უე 05318. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.800.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата. Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



მეთევზეები

ფოთის ნავსადგური



ეროვნული ბიბლიოთეკა

რიში, ტოკიოში, სტოკჰოლმში, ლაიფციგში, ბერლინში, მეხიკოში, ვარშავაში, ვენაში. დინარა ნოდია არის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვენის მსოფლიო ფესტივალის მხატვარ-ლაურეატი.

დინარა ნოდიას მხატვრობა ასახავს თანამედროვეობას, მის რიტმს, ხასიათს, სულისკვეთებას. მხატვარი ცდილობს სადა, რეალისტური ხერხებით და საშუალებით გადმოსცეს თავისი განწყობილება, შთაბეჭდილება, შეგრძნება, ასევე ამ განწყობილებისა თუ შთაბეჭდილების სიმძაფრე და სიღრმე. მხატვარს მკვეთრად აქვს განვითარებული მონუმენტურობისა და რიტმის გრძნობა, მას უყვარს ძლიერი და ჯანღონიანი სახე-ფიგურები, მის ნახატებში გამოხატულია ურბანული მოვლენ-შეგრძნებები და თანამედროვე ტექნიკური ეპოქის რიტმი.

დინარა ნოდია გრაფიკოსია, იგი მუშაობს ტუშით, გუაშით, უყვარს ლინოგრავიურა და შავი გრაფიკა. მხატვარი ყოველთვის ითვალისწინებს თანამედროვე მხატვრობის მიღწევებს და მის საერთო დონეს. იგი სწორად ეძებს თავის ახლებურ გადაწყვეტას და აღწევს წარმატებას. დინარა ნოდია არა მარტო დახვეწილი გემოვნების, არამედ მეტად განათლებული, ჭკვიანი და ალღოიანი მხატვარია.

დინარა ნოდიას სხვა ქართველ მხატვრებთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ესთეტიკური აღზრდის საქმეში.

ფასი 60 კ.

თამაზ ჭილაძის

ახალი ლექსები

ახალგაზრდა მწერალთა

საკავშირო თათბირისადმი

მიძღვნილი მასალები

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ"

издательство
„САБЧОТА МЦЕРАЛИ"

ИНДЕКС 76336